ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოსელი

5

1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი ლექსები

შენ არ მოდიხარ, დიდება მიცდის,
ვითვლი საათებს, ყვითელ უწყებებს...
ჩემი ლექსები, როგორც მილოცვა,
მათ, ვინც არასდროს არ მივიწყებენ!

გაბზარულ სხივებს — აღმართულ ხელებს,
საღამოს, დღეში — თრთოლვას, ძიებას,
ძვირფას სახელებს, უცნობ სახელებს
ჩემი ლექსები, ვით პატიება!

მეგობართ ჩრდილებს, მეგობართ წყებას.
ტრფობას დამალვის, არგამოჩენის,
როგორც სიკვდილშიც არდავიწყება,
არ დავიწყებს ლექსები ჩემი.

მირზა გელოვანი

1944 წელი, ფრონტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

276

5

მაისი

1980

თბილისი

სსრ. კავ. ცკ-ის გაერთიანებულ ორგანო

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ფაშიზმზე გამარჯვების ᲬᲬ-Ე წლისთავი

3. აკაკი ბენაძე — ცარა კაისის დიდი ბზე

კომეზია, პროზა

8. თეიმურაზ ᲯᲐᲜᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ლექსები
12. ვასილ გვეტაძე — დაპრკვას სახელი ქველაᲯᲘ დ. დი. ლექსი
13. ლადო ᲮᲣᲚᲐᲒᲔᲠᲘᲫᲔ — შინ ნაშუალᲐᲕᲔᲚ ᲛᲝᲜᲐᲠᲣ-ნᲔᲑᲣᲚ ᲒᲕᲘᲚᲔᲑᲘ. ლექსი
13. შალვა აᲕᲘᲡᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲛᲔᲠᲜᲘᲠᲔᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲐᲜ. ლექსი
14. გიორგი ᲙᲐᲫᲘᲗᲐᲠᲐᲫᲔ — რა ᲫᲚᲔ ᲒᲐᲗᲘᲜᲔᲓᲐ. ᲚᲔᲥᲡᲘ
15. ილია აᲠᲜᲘᲐ — ᲘᲒ ᲓᲘᲓᲔ ᲫᲚᲔᲗᲘ ᲒᲐᲠ ᲒᲘᲜᲐᲫᲘᲚᲘ. ლექსი
17. ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲔᲪᲣᲠᲘᲫᲔ — ᲛᲝᲗᲮᲠᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

60 — საქართველოს კომკავშირი — 60

28. ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲘ-ᲜᲘᲗ
29. ᲨᲐᲑᲐᲜᲯ ᲑᲝᲠᲒᲐᲜᲔᲚᲘ — ᲓᲘᲓᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ ᲒᲘ-ᲚᲝᲪᲐᲕ. ᲚᲔᲥᲡᲘ
29. ᲝᲚᲝᲒᲘ ᲒᲕᲔᲚᲘᲐᲜᲘ — ᲙᲘᲜᲘᲜ ᲡᲘᲛᲐᲑᲣᲫᲔ. ᲚᲔᲥᲡᲘ
30. აᲐᲙᲐᲙᲘ ᲮᲘᲑᲐᲠᲬᲚᲘᲫᲔ — ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲚᲝᲑᲐ ᲞᲘ-ᲠᲕᲔᲚᲘ ᲧᲐᲛᲘᲠᲘᲚᲘ
32. ᲙᲝᲚᲐᲣ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ — ᲨᲔᲜ, ᲓᲐᲛᲐᲠᲑᲣᲚᲘ ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘᲡ-ᲜᲔᲑᲐᲕᲘ ᲑᲐᲚᲐᲓᲐ
34. ᲯᲔᲛᲐᲚ ᲙᲘᲠᲘᲐ — ᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲛᲮᲔᲓᲠᲘ. რომანი. გაგრძელება
62. ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲚᲔᲥᲐᲜᲘᲫᲔ — ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ. ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ
69. რᲔᲕᲐᲜ ᲛᲘᲨᲕᲘᲚᲐᲫᲔ — ᲜᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ
82. აᲐᲙᲐᲙᲘ ᲩᲮᲐᲝᲫᲔ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ
99. ᲗᲝᲛᲣᲠ ᲐᲠᲯᲔᲕᲐᲜᲘᲫᲔ — ᲜᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ
101. ᲚᲔᲕᲐᲜ ᲡᲐᲜᲘᲫᲔ — ᲨᲕᲐᲠᲐᲫᲨᲝ ᲮᲚᲔᲑᲘ. გაგრძელება

60 — საქართველოს კომკავშირი — 60

109. ᲡᲘᲛᲝᲜ ᲧᲕᲘᲠᲐᲕᲐ — ᲐᲚᲘᲛ ᲛᲘᲠᲪᲮᲣᲚᲐᲕᲐ

წერილები

114. ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲚᲬᲘᲜᲘᲫᲔ — ᲙᲐᲛᲘᲝᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
124. ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲜᲘ — ᲡᲐᲗᲣᲗᲔᲑᲘᲡᲐᲜ
147. ᲑᲝᲚᲨᲝ ᲙᲐᲠᲐᲛᲣᲨᲘᲐ — ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲐ

ხელოვნება

149. ᲡᲐᲛᲡᲝᲜ ᲚᲔᲥᲐᲕᲐ — ᲑᲝᲜᲘ ᲗᲝᲗᲘᲪᲐᲫᲔ
154. ᲘᲠᲘᲜᲔ ᲐᲒᲔᲚᲐᲫᲔ — ᲙᲘᲜᲝ ᲢᲐᲑᲐᲢᲐᲫᲔ

ᲘᲣᲛᲝᲠᲘ

158. ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲑᲠᲔᲯᲚᲘᲫᲔ — ᲠᲐᲜᲘᲜᲔᲣᲚᲘ ᲕᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲓᲐ-ᲢᲔᲪᲮᲘᲚᲘ
160. ᲒᲣᲠᲐᲚᲗᲐ ᲚᲘᲜᲘᲚᲜᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲨᲜ-ᲓᲔᲑᲘ. ᲨᲔᲛᲯᲐᲠᲔᲑᲐ და ᲗᲐᲠᲯᲛᲐᲜᲐ ᲨᲝᲗᲐ ᲐᲕᲘᲪᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

მთავარი რედაქტორი
ᲛᲝᲠᲘᲡ ᲨᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

სარედაქციო კოლეგია:
ᲭᲐᲑᲣᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲯᲘᲑᲘ, ᲒᲘᲕᲘ ᲒᲣᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ, ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲔᲕᲠᲓᲔᲤᲘᲗᲔᲚᲘ, ᲠᲘᲡᲐᲛᲐᲒ ᲒᲝᲠᲓᲔᲜᲘᲫᲔ, ᲖᲘᲠᲘᲒᲘ ᲒᲣᲒᲚᲘᲐ, ᲔᲠᲚᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲐ ᲚᲔᲚᲘᲝᲜᲘᲫᲔ, ᲘᲝᲡᲔᲑ ᲠᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲔ, ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲛᲔᲜᲯᲐᲫᲔ,

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ᲝᲗᲘᲐ ᲪᲐᲮᲙᲝᲠᲘᲐ, ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲜᲯᲘᲨᲘᲫᲔ, ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲨᲐᲗᲐᲫᲔ, ᲯᲣᲜᲔᲚᲣᲠ ᲩᲮᲐᲠᲫᲘᲐᲜᲘ, ᲖᲘᲠᲘᲒᲘ ᲫᲔᲚᲘᲫᲔ, ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ, ᲗᲘᲛᲐᲖ ᲜᲘᲜᲘᲫᲔ, ᲒᲐᲠᲘᲔᲚ ᲯᲐᲜᲒᲣᲠᲘᲐ, ᲠᲔᲖᲝ ᲯᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრა მაისის დიდი მზე

მიდის დრო-ჟამი! შეუსვენებლად მიდის წუთისოფლის შავ-თეთრ გზაზე! აგერ უკვე ოცდათხუთმეტი წელიწადია ყოველ ცხრა მაისს სალამის ცხრა საათზე ქვემეხები მშვიდობიანად გრიალებენ და სალუტი ანთებს ცას.

ლამაზია ეს შუქი, გეგონებათ, ცარგვალში უხლავი ხელი უზარმაზარ თაიგულს ხსნის და ნაირფერ ყვავილებს დედამიწაზე აბნევსო.

ბავშვები ამ სილამაზეს ბედნიერი ჟრიამულით და „ჯაშის“ ძახილით ხვდებიან, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, ვისთვისაც ამ დიდ სიხარულში ძველი ტკივილიც ფრეავი, ის ტკივილი, დიდმა ომმა ჭრილობებად რომ დაუტოვა ქვეყანასაც და დრო-ჟამსაც.

ომი!.. დიდი სამამულო ომი!

1941 წელი, 22 ივნისი, კვირადღე საბჭოეთის მიწა-წყლისაკენ დამიზნებული ფერმანული ქვემეხები ძალლის ალიონზე აყეფდნენ, მშვიდი დილა გაალვიძა ხვასტიკიანი თვითმფრინავების ამაზრზენმა ზმუილმა, ბომბების აფეთქებამ და ტანკთა მუხლუხების ბოროტმა ბრჭიალმა. საბჭოთა კავშირს მოულოდნელად. ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა ფაშისტური გერმანია... და უმალვე ფეხზე დადგა მთელი ქვეყანა, ეკთილშობილი საბჭოთა ხალხის მრისხანება ჭარშმლილან ზღვასავით აბოჩერდა, დელგმასავით ზაზავდა და აგრიგალდა. დადგა ეამი ცეცხლის წარდგინისა და სისხლდადინისა.

თითქმის ოთხ წელიწადს დამწვარი ჰაერისა და დაფვრილი სისხლის ხუნი იდგა ირგვლივ — ცაში, ზღვასა და მიწაზე. მზეც კი ისე ამოდიოდა ხოლმე, იფიქრებდით, ჰორიზონტზე ნადმებს აფეთქებენო. ტრიალებდა ომის დილა და ღამეში და უმოწყალოდ ფეთავდა სიკვდილ-სიცოცხლეს, არც უცოდველ ადამიანებს ინდობდა, არც უწყინარ სოფელ-ქალაქებს, არც ადამიანის მარჩენელ მიწას, იმ უსაშინელესი ომისაგან ადენილი კვამლი და ბოლი დროჟამის ჭარს რომ არ გაეფანტა, მზეც და მთვარეც, იმ კვამლის ხუდარაში გახვეულნი, დაიბრჩობოდნენ და ახლა იქნებ მარადიულ სიბნელესაც ემეფა. იმ ომის დატოვებული ნაკრიდან სიცოცხლე ფენიქსივით რომ არ წარმომდგარიყო, უდაბნო იმეფებდა ბეერგან.

ომი!.. 1418 დღე-ღამე ებრძოდა ტყეთა ტყეთას, ქვემეხი — ქვემეხს, ტანკი— ტანკს, თვითმფრინავი — თვითმფრინავს, გემი — გემს, სიკვდილ — ბორტებს, სიცოცხლე — სიკვდილს, გონიერება — უგუნურობას... 1418 დღე-ღამე!.. თუ ომის არშინით გავზომავთ, იქ ყოველი წუთი საუკუნეს უდარდა და, წარმოიდგინეთ, ჯარისკაცთათვის რამდენნაწილ გაგრძელდა ეს კალენდარული 1418 დღე-ღამე! ფრონტის ყველა უბანზე იმ. ომის ყველა საათი, თუნდაც ყველა დღე ცალ-ცალეულ რომ ადგეწეროთ, თითოეულ ათასტომიანი წიგნივე არ ეყოფა... და რამდენი ახალი წიგნიც არ უნდა დაიწეროს, ყველაფერს მაინც ვერ ასახავს.

ბეერი რამ გარდაქმნა და გადაასხვაფერა ომის დრომ. სიტყვებმაც კი უმალვე იცვალეს მნიშვნელობა.

— შუქი! — ღამით ქუჩაში რომ დაიძახებდნენ, ნიშნავდა, ფანჯარაში სინათლე ეოლავს და კარგად შენიღბეთო. ომმა თვითონ ცის ფლოკავი ხანძრები გაამრავლა ფრონტებზე და ზურგშიც. ფანჯრებს კი აუკრძალა შუქის გამოჩენა. სინათლე დაამატებრა ომმა.

— ჰაერი! — ეხე იგი, ცოდან თავდასხმაა მოსალოდნელი და სარდფაფაში დაიმალეთო.

ეკრანელებსაც მაშინ გერმანელებს ადარ ვეძახდით, მათ სხვა სახი სახელი ჰქონდათ — ფაშისტი, ფრიცი, ჰიტლერელი. ჩვენ ამ სამივე სიტყვაში ზიზღსა და მრისხანებას ვურეკდით.

ჰიტლერელებს ვებრძოდით სტალინგრადელები.

ყველა ფაშისტ მეომარს ქამრის ბაზინდაზე ამოტვიფრული ჰქონდა — „ჩვენთანაა ღმერთო!", რაიც გულისხმობდა, ჩვენი ღმერთი ჰიტლერია და ამ ღმერთის წყალობით უეჭველად გავიმარჯვებთო. ვერა, ვერ უშველთ ამ ღმერთმა. ვინ მოთვლის, რამდენი ფაშისტი ულმერთოდ გაიწირა ფრონტზე და ამ ქამრიანად გიმეზავრა საიქიოში, ხიკვდილის წინ კი თავისივე გაღმერთებული ფიურერი დასწყევლა კიდეც. დიახ, არა მარტო ხხვებს, თვითონ ეერმანელი ხალხსაც ხაწყევარად გაუხდა იგი.

ჰიტლერი თავის ჯარისკაცებს ჰპირდებოდა, ომს ელვისებურად დავამთავრებ, 1941 წლის 7 ნოემბრის მოსკოვში, წითელ მოედანზე ტრიუმფალური მარშით გაგასერანებთო, მაგრამ ამ მოედანზე 7 ნოემბრის კვლავ გაიმართა ხაბჭოთა ჯარების პარადი და ლენინის მავზოლეუმის შემოვარენინან ოთხას კილომეტრზე გარეკეს ოკუპანტები. ამ პარადზე პირველი მომაკვდინებელი ლანგარი ჩასცა ჰიტლერელთა უძლეველობის მქადაგებელ იდეას და ყველა ხაბჭოთა ადამიანს, იმ ძნელ ომში გამარჯვების უტკუარი რწმენა ჩაუნერგა. ეს რწმენა გახდა ჭვეყნის მახულდგმულებელი და მტერთან შერკინებისას დაუმარცხებელი ჩვენი უპირველესი იარაღი. ამ რწმენამ შეგვაძლებინა შეუძლებელი. იმ ომის კვამლში მზესაც კი უჭირდა სუნთქვა, მაგრამ ჩვენ, ადამიანებმა, ყოველგვარ გაჭირვებას გავუძელით, გავუძელით იმ დიდი რწმენის წყალობით.

ნოვოროსიისკში ახლაც დგას ტუვიებით დახვრეტილი ვაჯინი. ფაშისტებმა ამ ვაჯინის გადმოდმა ერთი ნაბიჯის წამოდგმაც ვერ მოახერხეს. ახლა ეს უბრალო, ოქვაფადილი ვაჯინი დიდი ძეგლია ჩვენი ვრცელი სიცოცხლის გადარჩენისა.

ჩონჩხადეცეულ სტალინგრადში გაიფთრეზულმა ფაშისტებმა რა არ იღონეს და მაინც ვერ დაადგმეს ეერი ხახლი, რომელსაც ავალოვი იცავდა რამდენიმე ჯარისკაცით.

ეოლგამდე რაღაც ასიოდე მეტრიდა ჩონდათ გასავლელი ფაშისტ მეავტომატეებს და რუსეთის დიდ მდინარის ბეკობთან ჩასაწარეებელთა ხაბჭოთა მეომრები ეერ დაამარცხეს. ვერ დაამარცხეს, რადგან ჩონჩხადეცეულ ქალაკში იმ ერთ ხახლსა და მდინარისპირა ბეკობს ებარა ჩვენი დიადი ჭვეკნის გადარჩენის ბედ-იღბალი. სტალინგრადის დაცემას ელოდა ფურქეთი, რომ ჯეკახიაში შემოეჭრილიყო, სტალინგრადის დაცემას ელოდა ეაპონია, რომ შორეულთა აღმოსავლეთი ურალამდე ხელში ჩაეგდო. ხხვებიც სტალინგრადის დაცემას უცდიდნენ, რომ თავიანთი ავანტიურიანი ვეები განეხორციელებინათ. აი, რა შეეშვნელობა ჰქონდა მაშინ ფაშისტების პირისპირი მდგარ ამ ერთ დაუპარცხებელ ხახლსა და ამ შენარჩენებელ ვოლგისპირა ბეკობს... დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იქ არა მარტო ჩვენი ჭვეკნის, მთელი კაცობრიობის ბედ-იღბალიც წყდებოდა.

ნოვოროსიისკელ ვაჯონთან, სტალინგრადის იმ ერთ დაუპარცხებელ ხახლში და ვოლგის-პირა ბეკობთანაც ხაბჭოთა ჭვეკნის ხხვადასხვა ერის ზვილებთან ერთად ქართველებიც იბრძოდნენ. იბრძოდნენ თავდაუზოგავად. თითქმის ყველამ ზედმეწევნით იცოდა, ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლე რომ არის და ბერრმა ინიც ჭვეკნის გადარჩენისათვის გასწირა, გასწირა უყოყმანოდ.

ხაკართველოდან ომის დროს 670 ათასი კაცი წავიდა ჯარში, რესპუბლიკის მოსახლეობის მეოთხედი და ძალიან ბევრი ვეღარ დაბრუნდა შინ. თერგსა თუ ვოლგასთან, დონთან თუ დნეპრთან, ოდერთან თუ დუნაისთან, ყირიმში თუ ბრიანსკის ტყეებში, უნგრეთსა თუ ჩეხოსლოვაკიაში დაცემეზენ ეუმბარა ხაქართველოშიც ხშირად ჰკრთება კერას, იმ მიწა-წყალზეც, ხადაც ეუმბარები არ ცვიო�d ციდან. ახეთია ომი. ომის დანგრეულ ხახლსა თუ ბეღელს, ხიდსა თუ კაშხალს ხელახლა აშენებენ, დაფუძნულ ადამიანს ვეღარ გაიცოცხლებ. ის მხვნელი მოეხველნი, მეეენახენი თუ მწყემსები, მახლ ეკალებმენი, ტტაფენტები, მეცნიერები, მუშები, ხელოსნები თუ ახლადფენაშებაკოკრებული ტალიკ-ტალიკა ბიეკები ახლაც ალლიან ჩვენს მიწა-წყალს.

ომის ხისხლდიდობამ და ეარიენამ გადაუარა ზღვასა და ხმელთეს და მაინც გადავრჩით. ომი იქ დავბრუნეეთ, ხაიდანაც ჩვენეკენ ეამოგრეხეენდა. 1941-1942 წლებში, როცა უკან ვიხევდით, კვალშეი გაგეეეოო დილის მზე წინ ვეხედეზოდა ბეპრძოლებს, 1943 წლიდან კი მზე ხაბჭოთა ჯარისკაცების ზურგხეკან ამოდიოდა, შეადგილხას კი წინ მიგვიძღოდა. ომის ბედ-იღბლის ბორბალი თანდათან ჩვენ ხასიკეთოდ შემოტრიალდა. პირველეულია ომის ზარი თვითონ ოეის გამჩაღებლებს დაერიხხათ თავს. 1945 წელს უკვე ეერმანელთა მიწა-წყალი იწვოდა თვითონ ეერმანელთა ფეხქვეშ. მაგრამ ზურგხმეიკას არ დაუთვლია და არც გაუბაროტება ჩვენი ჯარი. წითელჯარხკალვიანი მეომრები ეერმანიაში თოფ-იარაღით იმიტომ კი არ მივედით, პირიხაგან მიწისა აღგვეგება ეს ჭვეკანა, არამედ, მოგველალა ხმალოდ ფაშიზმის ურჩხეული, რომ ეერმანია ვეღარაფრიდან წამოსულიყო ჩვენკენ ხომრად და ეს ამბავი ხხვებსაც გაკვეთილად ჰქონოდათ. წითელჯარხკალვიანმა მოსკოვმა ძირს დასცა ზაკვალხტაეანი ბერლინი და ფაშიზმის ბუნაგ რიიხტაგის გუმბათზე ჩვენი ალი-დიდი გამარჯვების დროსა ერთად ალფრიალეს

რუხმა ეგოროვმა და ქარხველმა ჭანთარიამ. ნგენ ძარს დაგვანახვეთ პიტდეერის სახელმწიფო და ფეხზე წამოვაყენეთ ქვეყანა მარქსისა და ტალმანისა.

ეს მოხდა მთელი მსოფლიოს ხასიერეთოდ, საყოველთაო მშვიდობის დასამკვიდრებლად.

და მოვიდა ზეიმი ჩვენს ქეჩაზე. ისტორიის ცოფერბლაზეზე 1945 წლის ცხრა მაისის ისარმა მარადიული კვალი დატოვა. უდენთისკკამლო მზე მოგვეახლა. მშვიდობის დიდი მზე და ჩამოდგა ჩვენი წუთისოფლის ყველაზე ნათელი დღე, რომელის შუქსე ახლეე დიდ სინათლედ ვამოქცეა დრო-ეამს.

სამამულო ომის დაწყებიდან ოთხი წლის თავზე, 24 ოქტომბერ, წითელ მოედანზე მოეწყო სამეზოთა ჭკეენის ძლეგამოსილი ჯარის პარადი და გამარჯვებულმა მეომრებმა ნაბადელად ჩამოტანილი ხვანტიკიანი დაძენძილი დროშები წითელი ვარსკვლავებით ქონდურებდამშვენებული კრემლის ფერხთით ჩაერეგნეთ დაეარეს.

**სამამულო ომი ჩვენი ხალხისთვის წმიდათაწმიდა ომი იყო. ამ წმიდათაწმიდა ხაქმეს ხალხი წმიდა გულითა და წმიდა ხელებით აკეთებდა. დიახ, აკეთებდა, რამეთუ ომი, უპირველეს ყოველისა, თავისებური დიდი შრომაკე იყო არა მარტო ზურგში, ფრონტზეც. ნანატრი გამარჯვება ოილად არ მოსულა, იგი მოვიპო

შოთას კერა, მისი ოჯახი ამ მოლოცვას ორმაგი გრძნობით განიცდის — სიამაყითაც და სევდითაც. ბუნებრივია ეს ორივე გრძნობა. დიახ, ჩვენ ისევ გვტკივა ომისდროინდელი ქრილობები, მაგრამ ეს ქრილობები გვეამაყება კიდეც, რადგან ფაშაზმის უღლისგან კაცობრობის გადარჩენისას გაგვიჩენდა. ეს გმირული ქრილობებია.

ობელისკებად დგანან ახლა პირტყველი ფაროჯინი ბიეკი, ობელისკებად დგანან საპაკარძლო ქალაშვილები და საკორწილიდან შემართული ვეფკაცები, ობელისკებად დგანან მზნეულ-მთისეულები, მწუთმსები და მეეფეანები, მებაღეები და ფიქრის კაცები... და სდუმან ობელისკები, როგორც საპატიო ყარაულში მდგარი ჯარისკაცები. ისინი, არა მარტო თავიანთი სახელების ხსოვნას გუშაობენ, სიცოცხლისაც დარაჯობენ დედამიწაზე. დარაჯობენ მშვიდობიან დღეებს, დარაჯობენ ხალხის უშინდეს გულისთქმას — ალარასოდეს გამეორდეს ომი!

მაგრამ ამ მშვიდობისა და ბედნიერების ეკამ ისინი იმასაც გვახსენებენ, მარად გვახსოვდეს, რა მსხვერპლის ფასად მოვიპოვეთ ამ ძნელ ომში დიდი გამარჯვება და ეს ხანგრძლივი მშვიდობაც. არა, ეს არასოდეს არ უნდა დავკარგეთ!

სტატისტიკოსებმა ბევრი ინგარიშეს, მაგრამ საბოლოოდ მთელისაგან მაინც ვერ ალრიცხეს, მეორე მსოფლიო ომმა თვალ კაცობრობას რამდენი უსაზღვარი უბედურება მოუტანა, რამდენი ზარალი დაატეხა თავს მატერიალურიც და სულიერიც, რამდენი სიცოცხლე მოაკლო დედამიწას — ადამიანთა სიცოცხლე.

დადგენილა, რომ მეორე მსოფლიო ომში ორმოცდაათი მილიონი კაცი იმსხვერპლა, ფაროჯინიც და უფაროჯოც... მაგრამ რიცა უცოდ-ზეელო ბაბუკი ან საპაკარძლო ქალაშვილი კვდება, მაშინ ხომ ის ერთი ადამიანის სიკვდილით მხოლოდ ერთი ადამიანი არ კვდება, ისპობა სიცოცხლის ბუდე, რომელშაც უნდა იმრავლოს და იბარტყოს. ჰოდა, ვინ მოთვლის ამ ომში რამდენი ასეთი ბაბუკი და ქალაშვილი დაიღუპა, სიცოცხლის ბუდედ ქცევა რომ არ დასცალდა. არც ის ალურიცხავს ვინმეს, ომის ქრილობებით მერმე რამდენი დაიხოცა ნაადრევად, რამდენი გაწამდა და გაუბედურდა უსაზღვლოდ. ზოგი ოჯახი მთლიანად ამოიძარცვა და უკვალოდ გაქრა. ახლა ისიც ვივარაუდოთ, რამდენი გაუმფლელნელი სიბრძნე და მეცნიერული აზრი, რამდენი უთქმელი ლექსი და რამდენი დაუწერელი მოთხრობა, რომანი და პიესა დაფფითთა ჭიუმვამ და განგმირა ტყვიამ, რამდენი მირზა გელოვანის ლამაზი ფიქრი მოალა და პოეტური ცეცხლი ჩააქრო, რამდენი სეეერიან ინიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, ვლადიმერ უბლიავა, დავით პატატაშვილი და ნიკოლოზ კოპალიანი დაადეს ნაადრევად. ასეთ შემოქმედ ადამიანებს შინ დაპრუნება რომ ეფიქ-ბოდათ, დღეს რამდენად უფრო მდიდარი იქნებოდა მწერლობა. ეოოელად შეეფდენელია ომის მიაბლოებით წარმოდგენაც კი, ომში რამდენი საქმეც ხანგეეი ღრმა და ლამაზი ფიქრი დაიღუპა, რამდენი გენიალური აზრი გაცხადებამდე სანგარში დამარხა ეუმბარამ.

„ცხარე მიწაზეო ჩასანგარებულო თითოეულ ჩვენს მებრძოლს 1250 კილოგრამი მომაკვდინებელი ლითონი დაუშინეს ფაშაზტებმა და იქ მაინც ვერ მოხეს სიცოცხლე. ამის მიხედვით ადვილი წარმოსადგენია, იმ ომში ერთი ადამიანის სიკვდილი რაც ჯდებოდა, რაოდენი ენერგია და შრომა იხარჯებოდა ომში ადამიანის სასიკვდილოდ. ახლა ისიც წარმოვიდგინოთ, ეს ენერგია და შრომა ადამიანისა და მიწის სიცოცხლეს რომ მოხმარებოდა, რამდენი უფდაბნო თუ მწირი მიწა იქცეოდა ხამოთხის ბაღად და რამდენ ადამიანს გაუხანგრძლივდებოდა ბედნიერი სიცოცხლე.

ეს რომ ვიცით, კიდევ უფრო გვაშფოთებს ის არაადამიანური ამბავი, მავანი და მავანი დღემდე რომ ვერ ტანეგი თავის ტაკვაში, ახალი ომის გაჩაღებით რომ ეფიქრება მსოფლიოს.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ინგლისში დაამატიმრეს ავიაინჟინერი ჯეიმს ტიერნი, რომელიც ოჯახშა ამზადებდა ბომბებს. ადამიანმა თავზედაურად განაცხადა: შინ მოწუენელი ვიოკავი ხოლმე და ბომბებს თავის შესაქცევად ვაკეთებდაო. ეშმაკმა უწეინს, რამდენი ახალი შერეკილი, ცინეკოსი თუ მორიტი ზარაგებიან ხავსე კაცი ზას არა მარტო შინ, ხახელმწიფოს ხათაკვეშიც, მოწუენელობის თავშეხაქცევად ახალ-ახალ ბომბებს რომ ამზადებს, ატომურ და ნეიტრონულ ბომბებსაც კი.

მსოფლიოში ამეკვამდ ზოგს ხურრეთ ის აშფოთებს, მსოფლიოს დიდი ნაწილი დამშვიდებული რომ არის.

მაგრამ ეს დამშვიდებაც ხომ მოჩვენებითია, რამეთუ ასე დაძაბული მსოფლიო არასოდეს ყოფილა, არც ასე ნერვიული და გაღიზიანებული. ატომის და ნეიტრონის ბომბებმა თავიანი ავადმყოფობები მოუტანეს და გაუჩინეს კაცობრობისას, მთავარი კი ამ ავადმყოფობათაგან — კატასტროფული ომის ფსიქოლოგიური შიშია, ადამიანის დამორგუნველი შიში, ხვალინდელი იმედის მომსპობი შიში.

ლეონოსსაგან ზარაზანიც კეთდება და გუთანიც, კოსმოსური ხომალდიც და ბომბიც, გაარსია, ვინ რას აკეთებს.

წინათ მშეიდელმა კარაგდ იცოდა, მაზგილს ბედავდა თუ გუთანს, ახლა მავანის ქარხანაში ხშირად არავინ უწეინს, რაიმე კეთილ მანქანას ამზადებენ თუ სიკვდილის იდუმალი იარაღს. ხაომარი იარაღის დამზადება და ამდენად ომის ხაფრთხეც ერთთან შეინიშნა. ეშმაკმა იცის, ვინ სად და როდის დაპეერს თითს პატარა ფილაკს

და... ამ პატარა ფილაკზე თითის ფარაფლი და-

ჭერთ რა უბედურებას მოუვლენს მთელ დედამიწას. დიახ, მთელ დედამიწას! დედამიწაზე ერთი სიცოცხლეა, მრავალფეროვანი ერთი სიცოცხლე და ამ ერთ სიცოცხლეს ჩვენი ბავშვი-ვთ შენგან მოსული და გაფრთხილება.

მომავალ მსოფლიო ომში ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, წაგებული დარჩება სიცოცხლე. გაიმარჯვოსო, სიტყვის მარაქად ვამბობთ, თორემ მთელ დედამიწაზე ამიერიდან მსოფლიო ომში ვინმეს გამარჯვება ყოველად შეუფლებელია. ახლა თუ კიდევ მსოფლიო ომი ატყდა, გამარჯვებული არავინ დარჩება. ამიტომ დასწრებაზე ადარც ღმერთია ომი. ეს უნდა შეიგნოს ყველამ და... წინდაწინ დაეკოთს საომარი ფარხმალი... ერთადერთი გზა მსოფლიოს გადარჩენისა მთელი მსოფლიოს განიარაღებაა, ყოველგვარი საომარი იარაღის მოხსნა.

ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ომში დაცემული ჭაბუკებისა და მამების წინაშე, დაკიცვათ ყველაფერი, რასაც მათ შესწირეს თავი. გვეძახის მიწა, გვეძახის ზღვა, სადაც ისინი ჩაინთქნენ და დაიმარხნენ: ვიცოცხლოთ ჩვენ და ვიცოცხლოთ მათი სახელებიც. ეს არ არის მისტიური სულის ძახილი, თვით მათი გადარჩენილი მეწა-წულის ძახილია:

— ადამიანებო, გიყვარდეთ ერთმანეთი! ნუ გეუცხოებათ ერთმანეთის ფერი და, საერთოდ, ადამიანური ნურა-ფერი — ნურც სიყვარული, ნურც ცრემლი, ნურც სიცილი! და, რაც მთავარია, იფიქრეთ მთელი დედამიწის ბედ-იღბალზე, რამეფოს... რაც კაცობრიობას თავი ახსოვს, მუდამ ომებია, დიდ-პატარა ომები... ომების სიგიჟე ავ ბედიწყრახავით მოსდევს დედამიწას. კაცობრიობის ცის თავსაზე დამოკლეს მახვილივით ხელ ჰკიდია გამახადურებელი ომის საფრთხე. კიდევ უფრო საშიში გახდა მისი იარაღი ჩვენს დროში. ჯერ ატომის ბომბი გაჩნდა, მერე წყალბადის, ახლა ნეიტრონის ბომბიც გამოიგონეს. ამბობენ, მისი რადიაცია 6000 წელიწადს მოქმედებსო. ასეთი იარაღის გამოგონება სიგიჟეა, ამა, სხვა რა უნდა ვუწოდოთ! შორეული წარსულიდან რაც უფრო ავეთ და აქეთ მოვდივართ, ომებში თნდათან მეტი და მეტი ხალხი იღუპება, მეტი სოფელ-ქალაქი ნადგურდება. შორს რომ არ წავიდეთ, პირველმა მსოფლიო ომმა ათი მილიონი ადამიანი შეიწირა, მეორემ — ხუთჯერ მეტი იმსხვერპლა, ხოლო თუ მესამე ატყდა...

აიმწტანის ჩკითხეს: მესამე მსოფლიო ომში რა იარაღით იბრძოლებენო? მესამეზე... ბევრ-ფერ-ია, მეოთხეში — მხლო�d ქვის იარაღითო. აქაოდა, თუ კიდევ ომი ატყდა, ცივილიზაციას ისევ კაცობრიობა ეშეკერება, კაცობრობამ ცხოვრება ხელახლა უნდა დაიწყოს, ქვის ხანის მიღმიდანო.

ამერიკაში ამჟამად თავისი ჯიბის გასახკლეწ-ბლად რა იარაღს ალარ ამზადებენ. მსოფლიოში ომაზე მეტი ატომური, ეშეკერული და ნეიტრონის ბომბი დაგროვდა, ვიდრე საჭიროა მთელი დედამიწის მოსახსნობად და... ქვეყნები ისევ ჯიბრში უდგანან ერთმანეთს. ახლა განიარაღებას მოითხოვს დედამიწის მთელიანი ბედი, მოითხოვს ჩვენი დრო-ეაში. განიაღურების საფრთხე ეშეკერეს მთელ დედამიწას, ერთადერთ ცოცხალ პლანეტას მთელ სამყაროში (სხვაგან სიცოცხლე თუ სადაა, მოაზროვნე სიცოცხლე, ეს ჩვენ ჯერ-ერობით არ ვიცით).

დედამიწა დიდიცა და პატარაც. დიდი ინდნავ, რომ სიცოცხლე ზედ თავისუფლად ეტევა და პატარაა იმდენად, რომ მისი მოხსობა უკვე ერთხმა ადვილია.

მაშ, გაგეფიერთხილდეთ ადამიანებო, დედამიწაა, ერთადერთი მოაზროვნე სიცოცხლის ბუდეს მთელ სამყაროში!

დიახ, ეს მათი ანდერძიცაა, ვინც მეორე მსოფლიო ომში შეიწირა და დღეს მდუმარე ობელისკებადღა დგანან ან შინმოუსვლელთა მემორიალურ არიან გაკრულნი და ალბეკდილნი. ეს მათი ანდერძიცაა და ანდერძი კი არ უნდა დაგვიწყდეს არასოდეს!

ეურო დაუდგეთ მდუმარე ობელისკებს!

ლეონიდ ბრეჟნევი, ჩვენი ქვეყნის მეთაური, უალრესად მუქანური სულისკვეთების მოოვაწე, თვითონაც ომადახდილი ადამიანი თავის საპროგრამო შესანიშნავ წიგნში „მცირე მიწა" მთელი მსოფლიოს ბედზე პასუხისმგებლობით განმსჯველული ალალმართლად ღაღადებს:

„ალელ რომ მკოთხოს ვინმეს, რა მთავარი დასკვნა გამოვიტანე მე, რომელმაც ომი პირველი დღიდან უკანასკნელ დღემდე გამოვიარე, ვუპასუხებდი: იგი ალარ უნდა განმეორდეს, ომი არასოდეს ალარ უნდა მოხდეს".

ესაა მთელი საბჭოთა ხალხის სულისკვეთების ეტშპარტი დროშა.

ცხრა მაისის ღიდი მზეს, დიდ ომში გამარჯვებულმა მშვიდობის დიდმა მზეს მარად უნდა იკაშკაშოს!

აკაკი ციფაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ახალგაზრდობას

ტრიპტიხი ეპილოგით

1.

მას მცირე მიწა უწოდა ხალხმა,
მცირეა, მართლაც ხელის დადება...
ნუღარ მიხსენებთ ბიბლიურ წარღვნას,
ყოველგვარ წარღვნას აღემატება
ის რაიც ნახა ამ მიწამ მცირემ.

და კვლავ ვიხსენებ ამ მიწის გმირებს —
არ დათმეს მიწა ერთი მისხალიც,
მტრის წინ აგებდნენ რვალის ცხრა კედელს,
მკერდებით — ცხელით და ნასისხლარით,
და ამ მიწაზე მკვიდრად ჩაკეტეს
საქართველოის რკინის ჭიშკარიც.

ფიცს უერთგულეს, გულზე მიწერილს,
ქვეყნის და ხალხის ალალშვილობით
და იშვა სიტყვა:
მ ც ი რ ე მ ი წ ე ლ ი
ვით სინონიმი უკვდავ გმირობის.

II

გაუგონარი სისასტიკის ოთხწლიან ომით
მიყენებული ჭრილობები სტკივა ქვეყანას,
ძველის აღდგენის და ახალთა მწვერვალთა წვდომის
დამდგარა ჟამი.
ქარხნის სუნთქვა ჰქროდეს მძლე ქარად.

ნანგრევებიდან აღიმართონ კვლავ ქალაქები,
მიწის მკერდს ისევ რძე დასდინდეს მაცოცხლებელი,
მზე მღიმარ მამულს დაჰყურებდეს თვალგალაღებით
და სიხარული იყოს დღეთა ჩვენთა მხლებელი!

კაცს პური ჰშია,
ველს — ტრაქტორი,
ქარხნებს — ლითონი
და შენ გეკუთვნის,
ნაომარო მარჯვენავ,
სიტყვა!
დღეიდან უნდა შენ სიცოცხლის სწერდე სტრიქონებს,
ქვეყნის დიდება მეომრული შრომითაც გვითხრა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაწერე ისე,
მომავალმა რომ წაიკითხოს
და დაგიგულოს თვისი დიდი სულის ნაწილად.
ეს ყოველივე ჯერ არსმენილ გმირობას ითხოვს,
ძალთა დაძაბვას,
ნებისყოფას,
თავის განწირვას.

შეუძლებელი შესძელ ომში, —
შრომაშიც შესძელ! —
ასე ინება პარტიამ და ხალხმა ინება
ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ა! —
მამულს ახალ სიმაღლეს შესძენ,
ბურჯად შეუდექ დიდ მომავალს —
ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ა!

კიდით კიდემდე რომ სიცოცხლის ქარები ჰქროდეს—
ხვალინდელ დღისკენ —
დღევანდელი დნეპრის დინება,
უფრო ბურჯმტკიცე
უფრო მძლავრი სამშობლო გვქონდეს —
ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ა,
სასიცოცხლო ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ა!

III

თვლემდა ტრამალი თვალუწვდენელი,
კაცის ურგი და გაბერწებული,
მიწა — ზღაპარი აუხდენელი,
უკაცრიელად დაბერებული.

თვლემდა ყამირი
და ბოლთას სცემდა
გაგეშებული ხვატი და თოში...
მისი გატეხვის ოცნებაც თვლემდა
კაცთა გულებში
შორეულ დროშიც.

და ის ოცნება შეაფრთიანა
ჩვენმა დრომ, მართლაც გასაკვირალმა,
დონზე გაზრდილმა ვაჟმა ფხიანმა,
ჭაბუკმა, ქარვლის მთასა მყვირალმა,
დიადი ქვეყნის ყოველი მხრიდან
დაძრულმა მძლავრმა ლაშქარმა გმირთა,
მათ — ფრონტელების გულმამაც შვილთა —
კომკავშირი და პარტია ზრდიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...დღე ღამის ცვარ-ნამს ჰკენკავს ყვავილზე,
ღამე ცას ჰკიდებს ვარსკვლავთა ეფენებს,
ჩემ სოფლელ ქაბუკს ვხვდები ყამირზე,
ყამირზე ვხედავ ამხანაგ ბრეჟნევს.

მათს ირგვლივ ღელავს ზღვები ყანების —
უკიდეგანო,
თვალუწვდენელი,
აღარც ბარხანთა ცხელი ქანები,
აღარც ზღაპარი აუხდენელი.

მათ მოიხადეს ვალი მაღალი
ქვეყნის და ხალხის ალალშვილობით
და ყ ა მ ი რ ე ლ ი —
სიტყვა ახალი —
ჟღერს სინონიმად უკვდავ გმირობის.

●

გადაშლილი დევს „მცირე მიწა“ ჩემს მაგიდაზე,
ეს ცეცხლოვანი სტრიქონები კვლავ გამიტაცებს.
„აღორძინებას“ ვკითხულობდი გუშინწინ ღამით
და აი ახლა შთაგონებით ჩავცქერი „ყამირს“.

ბრძოლის,
შენების,
გამარჯვების,
ცხოვრების
წიგნებს
კითხულობს ხალხი — მებრძოლი და ალმშენებელი,
მართალი გულის,
დიდი საქმის,
კეთილი ფიქრის
ხალხი —
პლანეტის მოამაგე და მშვენებელი.

მცირემიწელთა,
ყამირელთა
მოდგომის და ფესვის
ახალგაზრდობავ,
გონიერო და ღონიერო,

ნერგო კეთილო,
დატოტვილო დღეის დღის მზეში,
და ნვალინდელო ვოსმოსურო შუქო ციერო
ჩვენო ტოტებო,
გაწვდილებო მომავლის დღეში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშობელი ხალხის საუკეთესოდ, საბედნიეროდ,
თამამად გევლოთ მამა-პაპის გზითა და გეზით,
დროშით,
რომლითაც ჩვენი გული მზეობს, ძლიერობს.

დიახ, თქვენც გელით თქვენი ფრონტი, თქვენი ყამირი
და ეს წიგნები წარმიძღვარეთ კეთილ მრჩევლებად,
საქმეთ მამათა მიუმატეთ სიგრძე — განივი
და თქვენი საქმე ნურასოდეს ნუ გებევრებათ.

იშრომ-იღვაწოთ მამულისთვის დაუზოგავად,
ჩვენი მართალი გზა განაგრძოთ —
თქვენი გალია!
ახალგაზრდებო,
გაუმარჯოს თქვენს დიდ მომავალს,
რამეთუ იგი ხალხის ჩვენის მომავალია!

სამშობლოს მკერდზე გულს სანთლად ვანთებ

უნდა მთაწმინდის კალთაზე შევდგე,
რომ მივაწვდინო ხმა ჩემი ყვარელს,
სხვიტორს როგორღა შევხედო
შემდეგ,
თუკი ყვარელი არ შემიყვარებს...

უნდა ვადიდო მამულის შუქი,
რომ ჩემი ვალი ბოლომდე ვზიდო.
ყვარელს როგორღა შევცინო, თუკი
არ ვეყვარები საყვარელ სხვიტორს..

უნდა ყველა დღეს შევეკრა ფიცით,
რომ არა მქონდეს წაქცევის შიში.
პატარძეული ხელსა მკრავს ვიცი,
რომ არ მიყვარდეს პატარა ტყვეში...

უნდა გავნათლდე რუსთაველის
მადლით,
რომ ჩამოვრეკო ჩემი ზარები.
თუკი არ ვიცი მშობლების ყადრი,
შვილები ვითღა შემიყვარებენ...

სამშობლოს მკერდზე გულს
სანთლად ვანთებ —
ვერ ჩამიქრობენ ცივი ქარები.
როგორ შევხედო ამ ცას და ამ მთებს
თუ საქართველოს არ ვეყვარები?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაერეკვას სახელი ყველაზე დიდი

ცემესის უბეზე ცა წითლად ჰლვივის,
დგაფუნობს ღამეში ცემესის უბე.
შლამი ჩამოსტირის ზღვის ბალახივით,
ძენძით და სინესტით გაყლენთილ ღრუბელს.

ღამეა ყურუმი და ღელვა თანაც,
ტალღების თქარუნი მძიმე და მძაფრი.
აქ, ვიწრო ყურეში, გემები დგანან,
ზღვაში გასასვლელად გაშლილი აფრით.

ზღვა აჩენს დროდადრო მთრთოლვარე ხაზებს,
წინაა გორაკი ნისლებში მწოლი.
ღმუიან ნაღმები და მღვრიე ზღვაზე
ქარი ქრის და მოაქვს ჭვარტლი და ბოლი.

თითქოს საგანგებოდ ზედ კონცხზე მითლილს,
შეხედე და ჩუმად უყურე მხოლოდ...
სულ რაღაც ოცდაათ კილომეტრს ითვლის —
მხრის ერთი გაშლაა ბოლოსდაბოლოს.

შეხედე გორაკებს, სანგრების ძირებს,
თქორმა რომ ჩაულბო უბე და კალთა.
...რად გქვია, მიწაო, მითხარი, მცირე,
თუმც ერთი შეხედვით მცირე ხარ, მართლა!

ფიქრებში თვლემა და დუმილი კმარა...
დე, იყოს ეს მიწა მტკაველი თუნდაც,
დარჩება სახელი, ო, მცირე არა!
დიადი, დიადი, დიადი მუდამ!

სახელი, რომელიც ცეცხლში არ იწვის,
ანთია, ჰლვივის და არასდროს ქრება.
ვინა თქვა, ვინა თქვა სიმცირე მიწის,
უკვდავი გმირობით რომ დიადდება.

ვიმღეროთ სიმღერა მებრძოლი ძმების
და მიწა ნახევარკუნძულის დარი —
მორწყული სისხლით და ნათესი ძვლებით,
ვიცოდეთ, რომ მართლა დიადი არი...

ნათდება, ნათდება და წითლად ჰლვივის
თებერვლის ღამეში ცემესის უბე,
და შლამი ჩამოსდის ზღვის ბალახივით,
ნესტში და მარილში გაჟღენთილ ღრუბელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ ნაშუალამევს მოგრუნეგულ ფვილებს

გახსენება არ მინდა
იმ სისხლიან ქარების,
იმ სისხლიან თოვლის,
იმ სისხლიან წვიმების.
შინ შემოდით, ბიჭებო,
და მირაზეთ კარები,
გვიან მოდით, ოღონდაც
შინ მობრუნდით, ბიჭებო,
ჩემი სიჭაბუკის ლანდს
როცა მიეწყვილებით,
მე შორეულ ცეცხლისას
ბალღამიანს ვიჭერ ბოლს.
შინ შემოდით თქვენივე
ქარებით და წვიმებით,
გვიან მოდით, ოღონდაც
შინ შემოდით, ბიჭებო.

გახსენება არ მინდა,
თქვენ მახსენებთ იმა
თოვლს,
როცა გხედავთ, მეწვის კვლავ
ყბაზე მთვლემი იარა.
თქვენს ღამეზე საწუთრომ
შანდალივით მიმანთო,
მოჰყეთ ამ შუქს, შემოდით,
შინ შემოდით, ბიჭებო.
ჩემმა გაწამებულმა
ყრმობამ ჩამომიარა...
ნუ შრიალებთ ჩემი ტყის
ნაღვლიანო ფიჭვებო.
შინ შემოდით თქვენივე
თოვლითა და იარით,
გვიან მოდით, ოღონდაც
შინ მობრუნდით, ბიჭებო.

შალვა ამისულაშვილი

ფერწერულ სურათთან

ყალყზე შემდგარი ცხენები
ლაჟვარდს ხაპავენ ტორებით;
სამნი არიან,
მეტადრე
ერთ მათგანს ვეამბორები.
სწორედ ისეთი საფერხე
ომში
მეც მყავდა ოდესღაც;
ო, მისი მჭახე ჭიხვინი
აი, ახლაც კი მომესმა.
მომესმა,
ვხედავ კიდევაც —
ჯილავებს იგლეჯს ლაგმისას;
დაფეთებულა საწყალი
აფეთქებული ნაღმისგან...
ხევგალმა
ხეზე მიბმული
მიხმობს: მოდიო, ამიშვი!..
მე აქეთ კომდივს დავეძებ,
სული მევსება ქარიშხლით...
ცაში
ყორნები ბრუნავენ —
სვასტიკიანი ყორნები;
იწყება ბომბარდირება,
ბომბებს მოსდევენ ბომბები...
წრიალებს,
უფრო ხელდება
ხევგალმა ჩემი საფერხე;
ხეს — მერქანჩამოხეულსა —
ახლის გახვითქულ საფეთქლებს.
ჰა,
აიწყვიტა საბმურიც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაკეკლულზე გავარდა;
გაუსხლტა შავი ყორნების
აგუგუნებული არმადას.
მიჰქრის და
მიაბუქნავებს
ყირაზე შემდგარ შარაბანს;
ბომბების გრგვინვა-გრიალში
ყირაზე დგება შარაგზაც...
ყირაზე დგება
შარაგზაც
და შლაგბაუმის უღელიც;
ტრიალებს ბორბალივითა
მტვრისა და კვამლის ღრუბელი.
ტრიალებს,
ელვის ნამსხვრევებს
აფრქვევს ოთხსავე მხარესა;
სადაც კი შეითარეშებს,
სიკვდილი მისდევს ფარეშად...
გავხევდი
მეც იმ ხესავით
და ვეღარაფერს ვახერხებ;
ვეღარც შარაბანს ვხედავ და
ვეღარც შიგ შებმულ საფერხეს.
მარტო
ქიხვინის ხმა ისმის
მჭახე და შესაბრალისი;
ზღვარი წამშლია ჟამთასვლის,
რა მემართება, არ ვიცი...
გონზე მოვდივარ,
ფერწერულ
სურათთან ვდგავარ ისევე:
გაოცებული ცხენები
ტორმოღერებით მიცქერენ...
მიცქერენ,
ერთი მათგანი
ჩემი საფერხე მგონია;
თითქოსდა იმ დიდ ომიდან
ფეხდაფეს გამომყოლია...

გიორგი ქავთარაძე

რა დღე გათენდა

თავს მოიყრიდით, სიცილ-ხარხარით
(სოფლად იყავით თუ ქალაქგარეთ),
გაუყვებოდით და დაეხაროდით
ქართულ მიწა-წყალს,
სამშობლო მხარეს,
ქართველ ქალ-ვაჟებს — „გიჟებს“ და ანცებს
გიყვარდათ თქვენი სამშობლო მხარე
ყმანწილურ ჟინით და გატაცებით.

მზეი უღრუბლო სხივებს გიფენდათ,
გული სიყვარულს ვეღარ იტევდა.

დაუდეგარნო, ჩხაპნიდით კედლებს
ბეთანიის თუ ტაძარს მარტყოფთან,
აწერდით გვარებს,
კედლებს ანდობდით
თქვენი სახელის „უკვდავსაყოფად“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიკოკინეშდნენ ქალვაკთ ონავართ:
— ძეგლთა ჩხაპნანი არ გეკადრებათ!
წინაპართაგან დანატოვარი
მინური ქოხიც გვეძვირფასება.

როცა მამულის დროშა ამაღლდა
ომგადახდილი, ნაგრიგალევი,
თქვენ, რაიხსტაგის გარუჯულ კედელს
ზედ წააწერეთ თქვენი გვარები.

მოგდგამდათ გული მამა-პაპათა,
მტერს აუტეხეთ შიშის ციება,
შავ რაიხსტაგის კედლების ჩხაპნა,
არა უშავს რა, გეპატიებათ!

ვერ იზეიმა მწუხრის დაისმა,
ყველას ცა დროშის ფერით აივსო,
რა დღე გათენდა,
რა დღე, რარიგად,
ეს დღე ნანატრი
დღემ ცხრა მაისის —
ორმოცდახუთმა დაათარიღა.

ᲘᲠᲘᲐ ᲐᲠᲝᲡᲘᲐ

ᲘᲛ ᲓᲘᲐᲓ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲕᲐᲠ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ

მამულისათვის დავთმე მკლავი და
სიცოცხლისათვის თავიც გავწირე
და, მიხარია, რომ იმ ბრძოლების
იმ დიად დღეთა ვარ მონაწილე!
ვამბობ: არასდროს, ერთი წუთითაც
თვითდამშვიდებას არ მივეცემი,
რადგან ალალი სისხლის წვეთითაც
დიდად მაფასებს სამშობლო ჩემი!
მარჯვენა მკლავი დამრჩა ბრძოლაში,
მშვიდობისათვის თავი გავწირე, —
მეამაყება, რომ იმ ბრძოლების,
იმ დიად დღეთა ვარ მონაწილე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

60 — დავით კვიცარიძე — 60

ცნობილ ქართველ მწერალს დავით კვიცარიძეს დაბადების 60 წელი შეუსრულდა.

იგი მწერალთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც ხიშტით და კალმით გაიარა დიდი სამამულო ომის ქარიშხლიანი დღეები და ომის დამთავრების შემდეგ. აგერ 35 წელია, თავისი მწერლური ნიჭი და უნარი ამ თემას შეალია.

ომის დროს ავტორი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჯერ ვიტებსკის ოლქის, ბოგუშევსკის იატაკქვეშა რაიონული კომიტეტის მუშაობაში, ხოლო შემდეგ პარტიზანულ ბრძოლებში. იყო რაზმის მეთაურის მოადგილე — მზვერავთა უფროსი.

მისი პირველი წიგნი „ორდიშევის ტყე" სწორედ ბელორუს პარტიზანებზეა შექმნილი.

ქართველი მკითხველისათვის ფართოდაა ცნობილი კვიცარიძის რომანები: „სადა ხარ, მარინე", „ნდობა", „მშვიდობით უსიერო ტყეებო", „ძეგლები მიწას არ ამძიმებენ"; აქედან „მშვიდობით უსიერო ტყეებო" და „ნდობა" („ლეონ კახიანის" სათაურით) ითარგმნა რუსულ ენაზე და საბჭოთა მკითხველის მოწონებაც დაიმსახურა.

მწერლის შემოქმედების ძირითადი თემაა დიდი სამამულო ომი, პარტიზანული მოძრაობა, ბრძოლებში ნაწრთობი საბჭოთა მეომრების ხასიათები, გმირობა, ნათმარი ადამიანის ბედი და ცხოვრება ომის შემდგომ წლებში.

მწერალი კარგად იცნობს სამშობლოს დამცველი ჯარისკაცის სულს, მის ტკივილსა და სიხარულს, ამიტომ მის მიერ შექმნილი სახეები სამოდამოდ ამახსოვრდება მკითხველს.

დავით კვიცარიძე აქტიურად ეხმაურება ჩვენს დღევანდელობას. რომანებში, მოთხრობებში, მხატვრულ ნარკვევებში სიყვარულით ხატავს თანამედროვე ადამიანს, ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ცხოვრებას, დაურიდებლად ამხელს და აკრიტიკებს ჯერ კიდევ შემორჩენილ ნაკლოვანებებს. ამ მხრივ საინტერესოა დ. კვიცარიძის მიერ გასულ წელს გამოცემული რომანის „მწვანე ქალაქის" პირველი წიგნი.

დ. კვიცარიძის პიესები წარმატებით იდგმებოდა რუსულოვანი თეატრების სცენებზე, ხოლო მის რამდენიმე ლექსს მთელი საქართველო მღერის.

შემოქმედებით მუშაობასთან ერთად მწერალი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. 20 წელია ხელმძღვანელობს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილებას და თავის ძალასა და ენერგიას ახმარს მწერალთა ახალგაზრდა კადრების გამოვლენისა და აღზრდის საპატიო საქმეს.

ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია, თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად, ულოცავს დავით კვიცარიძეს დაბადების მესამოცე წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობას და ახალი საინტერესო წიგნების შექმნას.

მწერლის საიუბილეოდ ვბეჭდავთ მის ახალ მოთხრობებს.

ბერეტიანი კაცი

ჯიხური წმინდა გიორგის ეკლესიისკენ ამავალი ვიწრო ქუჩის დასაწყისთან, მოფარებულში იდგა.

ყოველ დილაუთენია ჯიხურთან ყავარჯნიანი კაცი მოჩაკუნდებოდა, დალარტყულ ცალფრთიან კარზე მხარს მიყრდნობდა, ყავარჯნებსაც მიაყუდებდა, შუბლიდან ოფლს მოიწმენდდა, ხიხინით ამოისუნთქავდა თუ ამოიოხრებდა, მერე კლატეს მოიძვრედა და კუსტარულად გამოქვედილ თუ გამოჩორკნილ რკინის ნასვრეტებიან სალტეზე დაკიდებულ დიდ ბოქლომს მოარგებდა. ისევ მოიმარჯვებდა ყავარჯნებს, კარს მხრის კვრით შეაღებდა, თავს დაღუნავდა, საღ ფეხსა და ცალ ყავარჯნს ჯიხურში შედგამდა, მერე ტანსა და მეორე ყავარჯნესაც შიგ შეიტანდა.

ჯიხურში ყოველი წვრილმანი ზუსტად იყო დანგარიშებული, ამ ერთი ფანჩხა ფართობს დამორჩილებული.

ყავარჯნებს ფალთინი კუთხე ჰქონდა მიჩნეული, ყურებიან ქუდს — თავისი, ხოლო, ვინ იცის, რადროინდელი, ახლა ბუშლატადქცეული, ბეჭებზე დაბამბული სალდათური შინელი კუთხის გაურანდავ ბოძზე მისაბილ უშველებელ ლურსმანზე იხრჩობდა თავს...

სანამ მონჯრეული, მაგრამ საგულდაგულოდ შემაგრებულ ტაბურეტზე დადებულ გაზიზგნილ ბალიშზე დაჯდებოდა, შეჯიხური ჯერ აგურებზე შემოდგმულ პაწია ელექტროქურას ჩართავდა, დიდრონ ბლაღუნა ხელებს ზედ დაადგიცხებდა, ინთო თუ არაო...

მერე ოთხკუთხა დარაბას ასწევდა, საბჯენ ტუკებს შეუყუდებდა, გრძელ-ჩარჩოიან ფანჯარას გამოაღებდა და მუშტრის მოლოდინში სიგარეტს ააღრჩოლებდა.

მუშტარი ძალიან ცოტა, თითებზე ჩამოსათვლელი ჰყავდა, მით უმეტეს, გვიანი შემოდგომის ცივ დღეებში.

სავაჭრო წერტს წყლის ჯიხური ერქვა, თუმცა ხანდახან კვირა ისე ჩათავდებოდა, ჭიქა წყალს არ ჩამოასხამდა გამყიდველი... და მაინც თითთა-ოროლა სახედალურჯებული მემთვრალე, თითქოს არყის სუნს მოყვებაო, ხელების ფშვნეტით მიადგებოდა ჯიხურს.

არყითაც ვაჭრობდა ომის ინვალიდი საშურა დარჩია, ოდესღაც განთქმული მოცურავე... იგი რომ თეთრი ხიდის მოაჯრიდან გადაეშვებოდა, და მერე წყლიდან მუხლებამდე ამოიწვართებოდა, მის შეხედვას არაფერი სჯობდა და მართლაც უკეთესს ვერც ვერაფერს ნახავდა ადამიანის თვალი.

ჩხუბისა და აყალმაყალის მაძიებელიც იყო დარჩია...

ახლა არყით ვაჭრობდა, ისიც მალულად, უფრო თავს იქცევდა. ჯიხურის პატარა ჭრილოდან ქვეყანას, ცხოვრებას აკვირდებოდა და უთვალთვალებდა.

ჯიხურთან ორ კაცს იშვიათად ნახავდით, აქაურები რესტორნებში უხვპურმარილიან მაგიდებს უფრო არიან დაჩვეულნი...

არაყს ცხოვრებაში ხელმოცარულნი, რაღაცაზე თუ ვიღაცაზე ნაწყენნი, თითქმის გაბორტებულნი ან მთლად გულმართალნი, უცოდველნი ეტანებიან.

იყო დღეები, როცა ჯიხურთან არავინ შეჩერდებოდა, გამარჯობას არავინ ეტყოდა...

დარჩია არ ბრაზობდა, აუგად არავის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინსწონებდა, ოღონდ ჯიხურის დაკეტვის წინ არყიან ბოთლს ჩაის ჭიქაში ჩაასოფინებდა თავს, გააპპინებდა — ასე გამწარდა ჩვენი გამმწარებელიო, ჩაიდრეკნდა, გადაჰკრავდა და ნავსიან დღეს მიაფეთრებდა.

ერთხელ წაისწრეს... სწორედ იმ **დროს** წამოეპარნენ და დადგნენ თავზე, როდი გოჭოურელ მეადგურეს სტეფანე კვანტრეს მეორე ასგრამიანს უვსებდა.

ეცნენ... მუშტარს ხელიდან ჭიქა გამოსტაცეს, დარჩიას — ბოთლი. მერე პორთფელიდან ორი ფერის სტამბერად ნაბეჭდი აქტები ამოაშანშალეს, თან დარჩიას განუმარტეს: აქტი თუ შეგიდგენთ, მოხსნას არ გაკმარებენ, იქნებ ციხეშიც გიკრან თავიო...

საშურა დარჩიას არ შეეძლო და აჩქარება არც უცდია. თავის მართლება და ხვეწნა-მუდარა მის ხასიათს არ ესადაგებოდა, ხოლო მექრთამენი პირის დღესაგით სძულდა.

იგი ჩუმადად მისწვდა ყავარჯენს, და იღლიაში ამოსაჩრგელი მხრიდან ჩაბღუჯა.

სტეფანე კვანტრეს ორი გამხმარი ფიფი თვეის ჩამოხრარწყლ ჩიჩაყვნი წოვილო და რაღაცას უმტკიცებდა თუ ეხვეწებოდა რევიზორს, რომელსაც თვორყვიფელი აქტი ჯიხურის მინაზე აეფარებინა და გულმოდგინედ ავსებდა, თან მეადგურეს თავის გაქნევით იგერიებდა...

საშურა დარჩიამ ჯერ კვანტრეს გაჯდა, ერთ წამს რაღაცაზე დაფიქრდა, მერე ჩაბღუჯული ყავარჯენი ერთბაშად დაიქნია, წვეტიანი ბოლოთი მინას ატაკა, გამსხვრია და ზედ ნიკაპთან უსწორა „მოუსყიდველ" რევიზორს, ყავარჯენს ჭიქები მიაყოლა, ჭიქებს — გერეგნა...

მთელი კვირა პირში წვეთი არაყი არ ჩაუკარებია, ელოდა... ელოდა თითქოს მშვიდად, თუმცა შინაგანად დაძაბული და შიმორთული იყო, იცოდა, რა უნდა მოვმოქმედნი და ოდნავ შიშობდა, ვიითუ ჩანაფეჭრი ზუსტად ვერ შეესრულოთო.

ჩანაფეჭრი კი... შტრისას... მომზადური როგორმე ჯიხურში უნდა შეეტანებინა, წინასწარ ნაგულვები ბენზინი გადაესხა და მასთან ერთად შიგ გამომწვარიყო...

არავინ მოკარებია.

ხანდახან მთლად ხელიდან წასული ლოთი, არაყის ბიჭი მოეხეტებოდა და საცოდავად აწყლაპუნებდა პირს.

დარჩია ჭიქა არაყს მიაწოდებდა და მორჩაო, ეტყოდა... სიტყვას არამც და არამც არ გასტეხდა. დაფიცებული ჰქონდა, აქედან მთვრალი არავინ გიგშვა...

მუდმივი მუშტარიც ჰყავდა, მეტწილად მისი ტოლნი, უფრო ძველი ნიცნობნი, ომის, ცხოვრების გზაზე შეხვედრილნი. ზოგიერთთან ამხანაგობდა, ზოგიერთთან მეგობრობდა, კიდეც. ვის ნისიად ასმევდა არაყს, ვის სულაც არ ახდევინებდა ფულს და ასე უგემრიელად მიაზლაზნებოდა მისთვის წუთისოფელი.

ერთხელ ჯიხურს სულ უცნობი კაცი მოადგა, დაიხარა, შეიხედა **და დარჩიას** მიესალმა.

საშურამ ხალამზე ხალამით უპასუხა, თან გამომცდელად შეათვალიერა, ვინ უნდა იყოსო...

მუშტარი სახის ფერით არყის მოყვარულს არ ჰგავდა, ნაჯაფი კი ეთქმოდა, იქნებ ნაომარიც...

— ორი ასი-ასი გრამი არაყი დამისხით. — თქვა ყრუ, ხანლეჩილი ხმით.

— ორასი გრამი? — თითქოს საპატიოდ ესალმებაო, დარჩიამ ყურს ხელი მოაფარა.

— ორი ასი-ასი გრამი! — გაიმეორა მუშტარმა.

დარჩია ოდნავ ჩაიწია, ჩაიზნიქა და ახლა ჭრილიდან იხედა უცნობს.

კაცი საშუალო ტანისა იყო, ახლად წვერგაპარსული, უულვაშო. გამხდარი ჩანდა, თუმცა არც მთლად გამწყლეული იყო. თავზე ლურჯი ბერეტი ეხურა, გვერდზე მოგდებულად და წინ წაკეცილად კი ირა, გულღრმა საინიგით მუცელგამობურცული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუკლეს შეცვეფილი პალტო ეცვა და საერთოდ ისე გამოიყურებოდა, ღარიბიაო ვერ იტყოდით, არც დალხინებულს ჰგავდა.

დარჩიას იგი რატომღაც მოეწონა და როცა ორას გრამ არაყს ცალ-ცალკე ჭიქებში უსხამდა, უთუოდ მე მპატიჟებსო, გაიფიქრა.

ბერტიანი ჭიქას დასწვდა, ასწია, რაღაც ჩაილაპარაკა და კი არ გადაჰკრა, წრუპა-წრუპით შესვა, მსმელთა თქმით, არაყს გემო ჩაატანა.

დარჩია თვალს არ აშორებდა მას, ეგონა ხელი აუკანკალდებოდა ან არყის შესმის წინ სახეზე მოუთმენლობა, დალევის უზომო წადილის ნიშანწყალი დეინტერესებოდა.

მსგავსი არაფერი.

მეორე ჭიქაც ასვეე მიიტანა ტუჩთან, რაღაც ლოცვასავით ჩაიჩურჩულა, სვენებ-სვენებითვე დალია, ჯიბიდან ტყავის საფულე ამოიღო, არყის საფასური გადახადა, დარჩიას თავი დაუქნია და ნელა ფუჯეა ქუჩაზ.

უცნობი, მეორე, მესამე დღესაც მოვიდა, ისეე ორასი გრამი არაყი მოითხოვა ცალ-ცალკე ჭიქებით და ლოცვისმაგვარი ნურჩულით შესვა.

მეოთხე დღესაც გამოჩნდა.

— გამარჯობათ, ბატონო საშურაო, თქვა.

— იცოცხლეთ, — წაილულღლუღა დარჩიამ და ორი წელი გაწყვეტილი ასგრამიანი ჭიქა ჩამოდგა, მაგრამ სანამ არაყს დასხამდა, მორიდებით ჰკითხა:

— მაპატიეთ, მაგრამ რატომ ასე... ერთი სიტყვით... ასე დანაწილებულად?

უცნობმა პასუხი დაუგვიანა და როცა დარჩიამ ჭიქები შეუფსა, ჯერ ჯიხურის კუთხეში მიყუდებულ ყავარჯნებს მიაჩერდა, მერე ბეშლატად დალეულ შინელს გადაჰკრა თვალი...

— ომში ერთი პოლონელი მეგობარი მყავდა, ბატონო საშურა, მეგობარი...

საშურა დარჩიამ თავი დაუქნია, ვიცი მე ომის მეგობრის ფასიო...

— ორჯერ გადამარჩინა, მეც ვიხსენი ერთხელ... ერთად ვიწვალეთ და ... ერთმანეთს ვშორდებოდით... როცა ის ბელოსტოკში უნდა გამგზავრებულიყო, ხოლო მე აქეთ... დავსიტყვდით: სანამ პირში სული გვედგომებოდა, ერთმანეთი არ დაგვივიწყებინა, ას-ასი გრამი არყით ასე — ამნაირად გვგვეხსენებინა... ვასრულებ იმ სიტყვას, ასე ექცევა ისიც ალბათ... — ჩვეული მანერით ასწია ჯერ ერთი, მერე მეორე ჭიქა და... უთუოდ მეგობარი ადღეგრძელო...

ასე გაგრძელდა თითქმის სამ თვეს. პირველ ხანებში ყოველ დღე მოდიოდა, მერე ყოველ მეორე დღეს, მერე კვირაში ერთხელ და ბოლოს სულ დაიკარგა...

საშურა დარჩია პირში სიგარეტგაჩრილი გასცქეროდა ქუჩას. ელოდა ან სჯეროდა, უცნობი უეჭველად გამოჩნდებოდა, საჩვენებელ და შუა თითს ჯერ შეატყუპებდა, მიუშვერდა და მერე გაშლიდა.

უცნაური მუშტარი არა და არ ჩანდა. დარჩია ნერვიულობდა, ჯიხურში ვერ ეტეოდა. გაჭირვებით გამოღოდებოდა გარეთ, ჯიხურის ირგვლივ დაჩლაკუნობდა და სიგარეტს სიგარეტზე ნთქავდა.

ერთ ხუსხიან დილით ჯიხურისკენ მომავალი ბერეტიანი კაცი დაინახა, ისე გაუხარდა, ცალ ფეხზე დადგა, გადაიწია, ჭრილში თავი გაატია, დაუძახა, ხელი ჩამოართვა, მოიკითხა.

დარჩია მის გამხდარ, გაცრეცილ სახეს, ჩათეთქვილ ტუჩებს უცქერდა და გულისტკივილით ასკვნიდა, ნამეტანი უთვალყურეფებიაო.

მერე დაფაცურდა... წელში გამოყვანილი ჭიქები მოიძია, არყის ბოთლს წაეტანა და ის-ის იყო, უნდა დაესხა, რომ... მისკენ მიშვერილი ცალი თითი, საჩვენებელი თითი დაინახა და გაშრა... მკერდში გულმა კი არა, ეკლესიის დედა ზარმა დაიგუგუნა, ეგონა, სხეული გა-

ფაბიან ჯვიტარიძე
ნოველები

მოანგრიათ, ხელი შეიმვლია... მუხლის ზემოთ გადაჭრილმა ფეხმაც იგრძნო რადაც, აცახცახდა... გაჭირვებით დაასხა ირაყი, სველი თვალები ბერეტიანს მიაშტერა და ჩაიხლჩინა:

— მოკვდა, ბატონო, თქვენი მეგობარი?

ბერეტიანმა ხელის კანკალით ასწია ჭიქა, ლოცვა წაუმძღვარა და... ბოლოდ გადაჰკრა.

მერე საშური დარჩის უეცარი ერთხანს, თავადაც შეუნამდა თვალები და ძლივს გასაგონად ამოიხეხინა:

— ის ცოცხალია, ბატონო, მხოლოდ მე... მე ციროზი აღმომაჩნდა.

გვიანი შემოდგომის ცივი დილა იყო.

ეტლის კოფოზე შერჩენილი ბოხოხი

პირველი ეტლის კოფოზე, მეეტლეს გვერდით, შავი ბოხოხი იდო, თვით ეტლში, რბილ სავარძელზე ჩამომსხდარ, ლოყებდაბერილ მედუდუკეთა წინ, კახურქუდიანი ბიჭი იჯდა.

ეტლს შავი ცხენები მიაქროლებდნენ.

მედუდუკენი წყნარად უკრავდნენ, წყნარად ატაკაცუნებდა დოლზე სამ თითს კახურქუდიანი ბიჭი, თვალები ებლანტებოდა, ეტყობოდა, დიდიხნის უძინარი იყო.

უსურვილოდ ჰბერავდნენ ყამიშებში მედუდუკენი, ძილი იმათ ჩაწითლებულ თვალებშიც იზლაზნებოდა, მაგრამ ვიღაცის რიდით არ წყდებოდა ჰანგი, კვნესოდნენ დუდუკები.

მეორე ეტლში ქიშმირის ხალათ-გალიფესა და გეტრებში გამოწკვართული ბუშული ჯაიანი იჯდა. ლამაზი კაცი იყო, შავ-შავი, ცინცხალი თვალები ჰქონდა, შავქოჩორა, შავკოკორა ულვაშები, ოღონდ ესაა, საშუალო ტანისა გახლდათ, არც მხარბეჭიანი ეთქმოდა, არც წარმოსადეგი და მაინც კარგი ვაჟკაცაიო, იტყოდით ერთი შეხედვით.

მოქეიფეც იყო, დარდიმანდიც, კეთილიც და გულუხვიც, ცოლ-შვილს, უფრო შვილების სიყვეყმე მოყვარული, თუმცა ახლა შინისაკენ მათი ნახვის ნატვრით არ მიერეკებოდა მეეტლეს.

გოჭოურის აღმართზე ჩაცხრნენ ცხენები, ეტლი ხოხრებს რომ გაუსწორდა, ბუშულიამ იმ მხარეს გაჰკრა თვალი, სადაც ღია ხრამში, გაბაშვილის გორასა და მთავარ ქუჩას შუა მართლაც ხორხვივით გართხმულიყო დახორკლილი ბილიკი.

ხორხების გავლით იმოკლებდნენ გზას გოჭოურლები, მთავარი ქუჩით იშვიათად თუ ვინმე ჩავიდოდა წითელ ხიდამდე.

ვიღაც ხნიერი, მხრებში წაბრილი, ხელჯოხინი ახმახი მოღოღავდა თუ უფრო მოხოხავდა ხორხებში, ხმელი, გაფშეკილი თითების ბრჩხილებით ჩახერგილ ქვებს ეკიდებოდა და ხვნეშით მიათრევდა ხანდაზმულ სხეულს.

სხვა დროს წამითაც არ შეყოვნდებოდა ბუშულია, ეტლიდან ჩამოხტებოდა, მოხუცს ხელს წაახმარდა, ხორხებიდან ამოიყვანდა, ეტლში ჩაისვამდა და იმ დღეს მასთან ლხინში დაადამებდა.

ეს სხვა დროს...

ახლა მოხუცისათვის არა სცხელოდა ბუშულია ჯაიანს, თავად მას მოსდებოდა ხანძარი, თავად მისი გულ-ღვიძლი შიშხინებდა ნაკვერჩხლებზე.

ქალიშვილი მოგტაცესო!

სიტყვამ ცხელ ტყვიად გაიარა გულში, გასწვა და გავიდა.

ქალიშვილი მოგტაცესო!

— არა, აჰ! ვინ გაბედადა!

ხუმრობს, უთუოდ ხუმრობს კოწო გარაყანიძე, განა ტყუილად შეარქვეს ხუმარა — ქეიფის, დროსტარების, ლხინის და ხუმრობისათვის გაჩენილს?

ხუმრობს, ბატონო!

გარაყანიძის ჩაპუტულ თვალებში სახეიროს ვერაფერს ამოიკითხავ, ვერც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ჩაყოლებულ ულაშებში დაინახავ შეხვილფებულ ღიმილს.

ხუმრობს ეგ ოხერი და გადარეული, ალარ ეყო საღორიის ტყეში სამი დღეღამის გადაბმული ქეიფი, გოჭოურაზე აბრძანება და ჯაიანების დიდ ეზოში გაჩავრდება მოსურვება...

ტყუილი ითქვა თუ მართალი, ღონინ მორჩა!

— ჰეი, ეტლები!

კოწო გარაყანიძემ ტუჩზე იკბინა, ინანა, ასე ერთბაშად არ უნდა მიმეხალებინა, უნდა შემეშვიდებინა, კაი სიტყვით თავი შემეხვია, და მაშინ... მაშინ ერთად აგრიალდებოდნენ ჯაიანებში, სადაც ალბათ შიშის კანკალით ელიან ოჯახის უფროსის გამოჩენას... იქ უსათუოდ ჩარბილდებოდა გულკეთილი ბუჭულია...

იქნებ!

ღმერთმა ნუ ჰქნას, რევოლვერი ბუდით გალიფეზზე ჰკიდია, ხოლო სროლა?!

— ეტლები მზად გახლავან, ბატონო ბუჭულია!

შავცხენებიან მეეტლეს ბოხოხი ესროლა, თეთრცხენებიანში თავად ჩაჯდა, შინისკენო, მსუბუქად უბიძგა მეეტლეს.

საღორიის ტყეს არ იქნებოდნენ გამომცდარნი, როცა კოწო გარაყანიძე და მისი მეგობრები ეტლში ჩაცვივდნენ და ბუჭულიას უკან გამოუდგნენ.

●

შვილებში გამორჩევით უფროსი ქალიშვილი, გაიანე უყვარდა ბუჭულიას, იქნებ იმიტომაც, რომ გაიანე იშვიათი, თითქმის განუმეორებელი სილამაზის გოგონა იყო. ნეტავი შენს დედასო, ჩაულაპარაკებდნენ სკოლისაკენ ბაკუნ-ბაკუნით მიმავალს და პუნტულა ლოყებზე ჰკოცნიდნენ.

გაიანე იზრდებოდა, სისხლით, ხორცითა და მადლით ივსებოდა, ყოველწუთიერად იშლებოდა და იფურჩქნებოდა.

ხლება ხოლმე, — გასაოცარი სილამაზისაა გოგონა ბავშვობაში, მაგრამ მერე და მერე იმ ლამაზ, პირმშვენიერ მზეთუნახავისაგან სრულიად ჩვეულებრივი ქალიშვილი დგება.

გაიანეს განგებამ სილამაზეც უხვად შეუნარჩუნა და ასლტილი ტანიც.

გაიზარდა, გასრულდა, სხეულის ყოველი ნაკვთიდან გამობრწყინნა ჯიშმა.

ერთხელ დედასთან ერთად წოვილ ხიდზე რომ გადიოდა, ვიღაც გალეულგაფშეკილმა, ულვაშებაწკეპილმა ბიჭმა ამკარად გააგონა:

— მონასტრის კედლიდან გადმოსული ფრესკა ხარ, შენ გენაცვალეო და თავი დახარა.

გელათში ექსკურსიას გაჰყვა, ცალი ყურითაც არ მოუსმენია მასწავლებლისათვის — გელათის მონასტრისა და დიდი დავით აღმაშენებლის ისტორიას რომ უამბობდა მეათეკლასელებს. გაიანე კედლებს ათვალიერებდა, გულდაგულ ეძებდა ლამაზი, ხატივით ლამაზი ქალის ფრესკას. ვერ იპოვა და ის ყმაწვილიც მაშინვე მიივიწყა.

მეორედაც წოვილ ხიდზე შეხვდნენ ერთმანეთს. გეგონებოდათ, ბიჭი განგებ იყო ჩასაფრებული და გაიანეს ელოდათ.

გაიანე ამხანაგებთან ერთად მოდიოდა, ულვაშებაწკეპილი ბიჭი შორიდანვე დაინახა. ისიც ამხანაგებში იდგა. და უცებ გადაწყვიტა: მისკენ არ გაეხედა, უბრად ჩაევლო.

— ლამაზო! — მოესმა, მაშინვე იცნო იმ ყმაწვილის ხმა, მოიხედა...

— რატომ მაინცადამაინც შენ მოიხედე, გენაცვალე?

— ლამაზი მე ვარ!

—შენ ლამაზი კი არა, ულამაზესი ფრესკა ხარ, შემოგევლე, — ბიჭი მათრახივით დაიკვნეწა.

„ეტყობა არასოდეს ყოფილა მონასტერში“, — გაიფიქრა გაიანემ და წავიდა.

ყმაწვილი წამოეწია.

ამხანაგი გოგონები დაწინაურებული-

ლავრენ კვიცარიძე
ნოველები

ყვნენ, გაიანეს ერთი ორჯერ მოუხედეს და სიცილ-კისკისით გაიქცნენ.

შინ საღამოხანს მივიდა გაბრუებული, გაფითრებული, ბედნიერი.

იმ ყმაწვილმა სიყვარული ფიცად თქვა და გაიანემაც ირწმუნა ის ფიცი. საკოცნელადაც არ წამოწეული, ხელიც არ ჩაუკიდნია, არც უტრაბაბნია. გივი კახიანი ვარო, არაფრის მქონეო, კინოში რომ დაგპატიჟო, ამის ფულიც არ გამაჩნიაო, უთხრა.

ფრესკა ორჯერ ახსენა და გაიანემ უთხრა, თუ მესამედაც წამოგცდა ეგ სიტყვა, ვეღარ დამეწევიო.

ხორხებით ავიდნენ გოჭოურაზე, პაემანის დრო და ადგილი დანიშნეს.

პირველ პაემანზე განგებ დააგვიანა, მერე ათი-თხუთმეტი წუთით დაგვიანებით მისვლა დააკანონა, დიდ სიამოვნებასა და სიამაყეს გრძნობდა, როცა სულ ერთსა და იმავე შარვალ-ხალათში ჩაცმულ გივის ხესთან ატუზულს დაინახავდა.

— მოგიტაცებო! — უთხრა ერთხელ გივომ, თან შიშით შეხედა, ვაითუ ვაწყენინე და მიფრინოსო.

— მამაჩემს თუ იცნობო? — თავის მხრივ ჰკითხა გაიანემ.

გივომ ამოოხრა.

გაიანემაც თავი დაუქნია.

ბუჭულია ჯაიანს ქალიშვილის მოტაცებას ვერავინ გაუბედავდა.

თვითონ ქალიშვილი?

ერთხელ „ჯინაზების“ სახლთან, ჯაიანების ჩიხში დიდხანს იჩურჩულეს, რაღაცა გეგმა შეთხზეს და დაამტკიცეს...

მეორე დღეს მამამისის ახალთახალი კოსტიუმი თავის პერანგითა და ჯერაც ჩაუცმელი ტუფლებით გაიანემ გივის მიუტანა, მაგრამ გივომ ჩაიცინა მხოლოდ და საჩუქარზე უარი თქვა.

ბოლო პაემანზე ამხანაგებთან ერთად ზუსტად გამოცხადდა, გაიანეც ამჯერად დათქმულ დროს მოვიდა, ბიჭები შემოეხვივნენ, მიუსალმეს, წინასწარ გამზადებულ სარდიონა კარანაძის ეტლში ჩასვეს და გააქანეს.

მეეტლეს გასამრჯელო გადაეხადა, გადაუხადა, ესეც გათვალისწინებული იყო.

●

ბუჭულია ეტლიდან ჩვეულებრივ არ ჩამომხტარა, მძიმედ ჩამოვიდა, მცირე აღმართიც ასევე მძიმედ აიარა, ნიგვზის ძირას მოღიმარ მეეტლესა და ახლობლებს წარბი არ გაუმართა, მისალმების მაგვერ მკაცრად იკითხა:

— სად არის?

გული ჩაწყდა და ღიმილი სახეზე დაეყინა მეეტლეს, იგი ქმრის განაწყენებას და იქნებ უფრო მეტსაც კი ელოდა... მაგრამ მისი კეთილი და თბილი გულის იმედიც ჰქონდა, სჯეროდა, ბუჭულია გაიანეს არამც და არამც არ გასწირავდა, ეგებ გულშიც ჩაეკრა და დიდი-დიდი ყური აეწია.

ამ იმედითა და თითქმის რწმენით გაამზადეს სუფრა, მაგრამ ბუჭულიას სახეზე წყენა კი არა, რისხვა ეხატა, ეს კი კარგს არაფერს მოასწავებდა.

— სად არის?!

მეეტლესთან ერთად ახლობლებიც გაქვავებულიყვნენ, ენა ჩავარდნოდათ, კრინტის დაძვრას ვერავინ ბედავდა.

— აქა ვარ, მამიკო! — შუშაბანდის ღია კარში ჩარჩოში ჩასმული ხატივით გამოჩნდა გაიანე. — აქა ვარ, მაპატიე!.. — კიბეზე ჩამოფრინდა, მამისაკენ წაცქრიალდა, მაგრამ ბუჭულიამ ხელის შემართვით შეაჩერა, ახლო არ მიუშვა.

— სად არის?! — ხმას აუწია.

შუშაბანდიდან ახლა სიძე თუ სასიძო გამოვიდა, კიბეს ნელა ჩამოპყვა და გაიანეს გვერდით ამოუდგა.

ბუჭულია არ შერხეულა.

— ვინა ხარ?

— გივი ვარ, ბატონო, კახიანი.

— ვინ არის? — ცოლს შეუბღვირა.

მეეტლე სდუმდა, ახლობლები გაწყვიტეს, გაშლილ-გაწკრიალებული მაგიდა გამოაჩინეს.

ჯაიანების ჩიხში მესამე ეტლიც შემოვარდა, კოწო გარაყანიძე თავისი მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოზრებით აღმართს შემოჰყვნენ. წინა ეტლში მოყურყუტე მედუდუკენი და მედოლე წამოიმძღვარეს.

სტუმრები შორიახლო შეჩერდნენ, კოწო თითის წვერებზე აიწია, აიწვართა და ისე მოავლო თვალი იქაურობას.

უმალ მიხვდა, დაძაბული წუთისათვის მოესწრო.

— ჯიქა! — სახეზე მიტკლის ფერი დასდებოდა ბუჭულიას, თვალი ისე უპარპალებდა, გეგონებოდათ, ანთებულ სახთელს ვიღაც სულს უბერავს და აცახცახებსო.

გარაყანიძემ წელში გამოკვანწული ღვინის ჭიქა მაღლა რომ შეისროლა, ბუჭულია ჯაიანის ძარღვებში იფეთქა ვარმაზ ჯაიანის სისხლმა, ბუდეზე ხელი გაიკრა, ელვის უსწრაფესად იძრო რევოლვერი...

ღვინის ჭიქა ჰაერშივე დაიმსხვრა.

— ჯამი! — დაიბრიალა.

ახლა ფაიფურის ჭიელრმა ჯამი მოართვა გარაყანიძემ. ბუჭულიამ რევოლვრიანი ხელი ერთი ნაბდის გაშლა ბალახით დაფარული მიწისაკენ გაიშვირა.

— დაამზე!

გარაყანიძემ ჯამი ბალახებში ჩაამხო.

მედუდუკეებმა საცეკვაო დაიკვნესეს, ამჯერად ორივე ხელი ფრთხილად შემოჰკრა დოლს კახურქუდიანმა ბიჭმა.

წყნარი საცეკვაო ჰანგი მოეფინა გორას.

ბუჭულია ჯაიანმა ჯერ ცოლს შეხედა, მერე შვილს.

გულმა რეჩხი უყო მეუღლეს, ელდა ეცა, მხოლოდ იმ წამს გახდა მისთვის ნათელი თუ რატომ გამართა ეს წყობა მოდგენა ქმარმა.

კოწო გარაყანიძემაც იგრძნო რაღაც გაუთვალისწინებელის მოახლოება, სცადა ჩარევა, ამაოდ. ბუჭულიამ ახლოს არავინ გაიკარა, იდგა ქვასავით ცივი და ულმობელი, რისხვით აბრიალებდა თვალებს, ხან ცოლს შეჰყურებდა, ხან მოსწრებულ ქალიშვილს.

— ბალახებში ჩამხობილი ფაიფურის ჯამის ფსკერზე უნდა შედგეს გაიანე და იცეკვოს...

და თუ ჯერაც... თუ ჯერაც ქალწულია, ჯამი არ დაიმსხვრევა, — უჩურჩულა გაფითრებულმა გარაყანიძემ მეგობრებს.

თეთრ კაბაში, თეთრად გაფთქიალებული გაიანე ჯამისაკენ ისე წაგოგმანდა, მართლა გაიფიქრებდით, მონასტრის კედლიდან თამარის ფრესკა ჩამობრძანებულაო.

ოჯახის დიასახლისს მკვდრის ფერი დასდებოდა, იდგა ცოცახალ-მკვდარი, უფრო მკვდარი, ვინემ ცოცახალი, დარწმუნებული, რომ უკანასკნელად უცქერია შვილს, ბრაფრას შეცვლა კი არ შეეძლო.

გოგმანით მოდიოდა ჯამისაკენ გაიანე ჯიანი.

აჰა, ისიც, ბალახებში ჩამხობილი ნაღმი.

გვივს მოუხედა, ნაღვლიანად გაუღიმა, მერე ჩამოქნილი ფეხის წვერი ჯამის ფსკერზე შეაპარა, შედგა, ნელა აიწია და გაიმართა...

ჯამი გატყდა და ტყვიაც გავარდა.

კოწო გარაყანიძემ შუბლგახვრეტილი მეგობარი ბალახზე მიაწვინა.

ბებერი ცაცხვის სიკვდილი

ასწლოვანი ცაცხვებით, ჭაღრებითა და ნაძვებით დახუნძლულ-დამძიმებული, საგანგებოდ დაკვალულ-დაბილიკებული და ყვავილებით განებივრებული ბაღი ქალაქის მშვენება იყ

ბაღის კიდეზე ისე როგორ ჩაიგლეფნენ იქაურები, მისი სიგრძე-სიგანე არ გადაეზომათ.

სულ სავსე იყო ბაღი ხალხით.

დავით კვიცარიძე
ნოველები

მზეთ მოსილნი საამდღისო ჰირვა-რამზე ბეჭობდნენ...

უფრო ხნიერნი ისხდნენ და დამჭკნარ-დაკვარჩხული თითებით ქარვის კრიალოსანივით მარცვლავდნენ ფიქრებს.

სხვანი და სხვანი დადიოდნენ, დასეირნობდნენ, ერთობოდნენ.

შუაზე გაპობილი საზამთროს მსგავსი ნიყარით ნახევრად გადახურულ ესტრადაზე უკრავდა სამხედრო ორკესტრი.

ერთ დღეს ყველაფერი გაჭრა, ბაღში სიცოცხლე ჩაკვდა და ჩასამარდა.

ომი დაიწყო.

ვილა ახსოვდა ცაცხვები და ყვავილები, სადღა იყო სამხედრო ორკესტრი. ქუჩიდან ქუჩაზე გზის შესამოკლებლად თუ გადაჭრიდა ვინმე ბაღს, თორემ დღე ისე ჩათავდებოდა, კაცი შვილი არ შეიხედავდა შიგ.

ომის ჭირი ბაღსაც თანდათან აპატრიოტებდა და ანაჩაგებდა.

ზამთარში წაიქცა რამდენიმე ხე, ერთმა მეორე წაიყოლა, ჩალეწა და ჩაწვინა.

ეს იყო პირველი ზარი, მაგრამ მისი რეკა არავის გაუგონია.

ომი იყო.

მერე მაისი.

ის მაისი...

მოცოცხლდა ბაღი, თუმცა კაცის ხელი აქ არაფერს შეხებია, კაცის ხელს ბაღში არფერი გაუთბია. კაცის ხელს ბაღისთვის არც ეცალა.

კაცის ხელი ჩამოქცეული ოჯახის ჭერს ეყენა ბიჯგად.

იდგნენ ბაღში ხეები, უსიცოცხლონი, საცოდავად გაძარცული ხეები.

მიწას აღარ აჩნდა გზა-ბილიკი, მაგრამ მოვიდნენ ადამიანები და ქუჩიდან ქუჩაზე გზის შესამოკლებელი ბილიკიც გაიტეკეს.

ერთნი რომ იმ ბილიკით მიდიოდნენ და მოდიოდნენ, მეორენი ისე, უმისამართოდ არჩევდნენ ბორიალს, მესამენი კი...

კაცს კაცის გაყოლა თუ დასჩემდა, ხვევად აქცევს. არ იცის, ვინაა ან სადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდის წინმავალი და მაინც მისდევს.

გაიტეკეს და დაიკვანწა ბილიკები ბაღში.

ერთი ზეზეულად გამოფუტურობული ცაცხვი, ჯერ კიდევ რომ ემჩნეოდა სიმწვანე მის შემხმარ ტოტებს, შემცივნებული ბერიკაცივით მიყუჟულიყო ბაღის შორეულ კუთხეში.

ცაცხვის ძირას საღებავაქერცლილი სკამიც იდგა.

ბებერი ცაცხვი და გაქუცული სკამი ერთგვარ სიმყუდროვეს ჰქმნიდნენ.

საღამო ხანს ბაღში თუ შეივლიდით და იმ ცაცხვისკენაც ინებებდით გახედვას, უსათუოდ შენიშნავდით სამხედრო პლაშჩიან ახალგაზრდას, ადრეული ჭაღარით, ყურის ძირიდან რომ შერეოდა თმას.

ლეიტენანტი იყო. საოფიცრო ნასამხრეები ნაყვავილარივით ანნდა კოჭებამდე დაშვებული პლაშჩს, იჯდა, გაზეთის ნახევში გახვეულ თუთუნს ეწეოდა.

სუსტი ქარი პლაშჩის მარცხენა ხახელის ისე არხევდა, როგორც ბავშვი არხევს ხელში ძალად შეჩეჩებულ პაწია დროშას.

წარბს ქვემოთ, საფეთქელთან, ორ პაწაწკინტელა ღარად მიყვებოდა ნაიარევი და შეთეთრებულ თმაში ისე იკარგებოდა, როგორც საცალფეხო ბილიკები შედიან და იკარგებიან ტყეში.

იარას ოდნავ, სულ ოდნავ დაეპატარაებინა მარცხენა თვალი.

ლეიტენანტს ხელში შეყვითლებული, ყდაგაცვეთილი წიგნი ეჭირა.

დროდადრო ჯიბიდან სათუთუნეს ამოიღებდა, ნიკაპის მოშველებით გახსნიდა, პაპიროსებად შეხვეულ თუთუნს მოსწვდება.

იჯდა, კითხულობდა, თუთუნს ეწეოდა, ფიქრობდა.

ლეიტენანტი პირველად მასავით ნამარ, გამოხუნებულ-გამოჯიჯილაყებულ შინელიანმა კაცმა შენიშნა, მივიდა და საკუთარი ხელით გამოჩორკნილი, მახთრკეთ გაბესკნილი ბროწეულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისხელა ყალიონი მიუშვირა, ცეცხლი მომიკიდეო.

ჩამოჯდა.

— გვარიანად გიომნია! — შეათვალიერა. მოეჩვენა, რომ ლეიტენანტმა თავი დაუქნია.

— რომელ ფრონტზე?

ლეიტენანტს არც მიუხედავს.

შინელიანი ადგა, წავიდა და ბოდიში ბატონო, რომ გაიგონა, აღარ შემობრუნებულა, ხელი ჩაიქნია, მიგიხვდიო.

მერე ორ ქალიშვილს აუტყდა ბაღში წრიალი...

ლეიტენანტი რომ გამოჩნდებოდა, ნახევარ, ჰა და ჰა, ერთ საათში ისინიც შემოეკრიალდებოდნენ ბაღში და, რა თქმა უნდა, შორეული კუთხისაკენაც გასცინარნებდნენ.

ერთხელ შეჩერდნენ, ლეიტენანტს მოუბოდიშეს და ჩამოსხდნენ.

ლეიტენანტი ისედაც სკამის კიდეზე იჯდა, სადღა უნდა ჩაწეულიყო, მოიხედა და თუთუნის ნამწვავი გვერდშეჭყლეტილ ურნაში ჩაადო.

ქალიშვილებმა შეწყვეტილი მუსაიფი განაახლეს. ერთი დიდის ამბით ჰყვებოდა თუ როგორ შეხვდნენ ინსტიტუტში ომიდან დაბრუნებულ სტუდენტს, მეთაურს, ორდენოსანს.

ლეიტენანტი უნებურად ისმენდა მათ საუბარს, კმაყოფილიც იყო, ქალიშვილები უფრო სერიოზულნი ჩანდნენ, ვიდრე მოეჩვენა.

—თქვენც ხომ გაქვთ ორდენები? — ჰკითხა ერთმა.

რა უპასუხოს?

გადასწყოს პლაშჩი და მკერდი მიუშვიროს?

თავი დაუქნია.

— გაიცანით, ჩემი მეგობარია, მესამე კურსის სტუდენტი, — წარუდგინა ქალიშვილმა ამხანაგი.

— ნელი! — თქვა მეორემ.

მე ციცინო მქვია, — თქვა პირველმა და ვაჟის გამოწვდილ ხელს ისე შეეხო, თითქოს სპილოს ხორთუმს შეხებოდეს.

ცივი იყო ლეიტენანტის ხელი, ცივი, უგრძნობი, გაუძლურებული...

— არჩილი! — თქვა მან.

...მერე გახშირდა შეხვედრები, ბებერ ცაცხვთან მოდიოდნენ ქალიშვილები, სადაც უკვე იჯდა არჩილი, ოღნავ წამოიწევდა და თავის დაკვრით ესალმებოდა მათ.

— თქვენ ყოველთვის აღტაცებით კითხულობთ წიგნს — უთხრა ერთხელ ციცინომ.

— აღტაცებით? — გაუკვირდა არჩილს.

— ჰო, გატაცებით კი არა, აღტაცებით და ეს გემჩნევათ.

— არა, — მიუგო არჩილმა, — აღტაცებით ვერ ვკითხულობ, აღტაცების მოლოდინია რომ მაღელვებს და ალბათ შეუძლებელიცაა ამის დაფარვა. თუმცა არც მიცდია, — თქვა და ღიმილი ისე გამოსწურა საკუთარ სახეს, როგორც ბროწეულს გამოსწურავენ სოფლის ქალები.

ვერ ჩაითრიეს, საუბარში ვერ აიყოლიეს, თუმცა უტევდნენ და ეძალებოდნენ, ისიც პასუხობდა, მაგრამ სიტყვას, სათქმელს წინასწარ მოდრეკდა და არამც და არამც არ გაათბობდა.

იერიში გრძელდებოდა, განსაკუთრებით ციცინო აქტიურობდა, მას ყოველთვის მოჰქონდა ახალი ამბები და გატაცებით ყვებოდა.

— ბიცოლა მყავს, ნიკარაძის ქალი, ძველი გიმნაზიელი, განათლებული, ყველა სიკეთით შემკული. ქმარი ადრე გარდაეცვალა და ორ შვილს შეეწირა.

უმცროსი ომში დაიღუპა, უფროსი ნაჭრილობევი, თითქმის ხეიბარი... — წამოსცდა, ენა გატკვირა და არჩილს შიშით გახედა, ეს რა წამოვროშეო.

ლეიტენანტი გარინდულ-გაბუსუნებული ისმენდა, ალბათ ისმენდა. ციცინომ განაგრძო: — დაბრუნდა ომიდან უფროსი ვაჟი, იმ დღესვე მოინახულა ნათესავნი, მეგობარნი, ახლობელნი.

ზოგს მიუსამძიმრა, ზოგს იმედი მისცა, — შავ ქაღალდს არაფერი დაეჯერება, შვილი დღეს თუ არა, ხვალ კარზე მოგადგებათო...

მერე სიყვარული, ომში წასვლის წინ დათქმული სიტყვა და ფიციც გახსენა. მიიძ-მოიძია და გადაირია. ჯიქურ მიეჭრა, ღიპიან ქმარს ცხვირწინ აალაა სამი თვის შერთული მეუღლე. შინ დედას მიჰვარა და უთხრა: — დღეიდან ეს გოგო ჩემი ცოლი იქნებაო.

ნიეარაძის ქალმა ჯერ სახედატალულ, სახეშეშუპებულ, დამფრთხალ და დაბნეულ გოგოს, შეხედა, მერე შვილს მიუბრუნდა: ობლობაში გაგზარდე, მაგრამ გამონაცვალი... გამონაცვალი — დამარცვლა, — პერანგიც არ ჩამიცვია შენთვისო.

ციცინო და არჩილი ერთმანეთს შეაჩერდნენ.

გაგრძელდა წამი.

მეტი ვეღარაფერი მოახერხა და სათუთუნე ამოიღო, ციცინო ეცა, ჩამოართვა, გახსნა და გაწყობილი პაპიროსი დარდიმანდულად დაიჭირა ორი თითითა არჩილმა ასანთი მიაწოდა, ციცინომ მოუკიდა, გაამოლა, არ დაუხველებია.

და მაინც ეს არ იყო მთავარი, მთავარი, ნელიმ შენიშნა...

ციცინომ მოკიდებული პაპიროსი არჩილს გადასცა და მან... უზომო ქინთ, უზომო მოწყურებით მოქაჩა და კვამლს სიცოცხლე ამოაყალა.

მერე დღეს ლეიტენანტს კატეგორიულად მოთხოვეს, საბრძოლო ეპიზოდი გაიხსენე და მოგვიყვეო.

მათ წინ ბებერი ცაცხვის ჩრდილი გაწვართულიყო.

ჩრდილი მიწას ელაციცებოდა, იკლაკნებოდა, ირხეოდა.

ასე ირხეოდა და იკლაკნებოდა ლეიტენანტის გონებაში გერმანელთა მურამწვანე კიტელები.

და დაიწყო, ოდნავ ყლრიალა, რაღაცნაირად გასაოცდავებული ხმა ჰქონდა. როცა ლაპარაკობდა, საფეთქელთან ორი პწწინა ღარი უცახცახებდა.

— **მეექვსეჯერ მოვიგერიეთ...** მერე **იერშიც ვცადეთ... სანახევროდ გაწყვეტ**

ELIBRARY.GEORGIAN.GE

პოლკი... ნაბრძანები გვქონდა, ჩვენს წინ გაწოლილი ხევი არ დაგვეთმო, ეცემოდნენ ჩვენები, ზოგნი იქ, ზოგნი ხაზზე, ზოგნი აქეთ, ცოტა მოშორებით, სადაც ექთნები მძიმედ დაჭრილებს ექმნ ანდრო გელოვანთან მიგვათრევდნენ.

გელოვანი იქვე კვეთდა და კერავდა დაგლეჯილ ჯარისკაცებს.

გაწყდნენ ექთნები.

სახედასისხლულ, თავშებინტულ ექიმს თავად გამოჰყავდა დაჭრილები ჯოჯოხეთიდან, ჯერ ბინტთ უხვევდა ჭრილობებს, მერე პერანგი შემოიხია, ხალათიც ზედ მიაყოლა და ფარაჯამოხურული ისევ ხევისაკენ გახოხდა.

და როცა ორი ჯარისკაციც თითქმის გამოიტან სამშვიდოობის, კენესა მოესმა, კვნესა და ვაი დედა!

ქართველი ბიჭი იცლებოდა სისხლისაგან, თავდებოდა.

— მიშველე, ბატონო! — შესტირა ბიჭმა.

— ნუ გეშინია, ახლავე, ამწუთში, ამწუთში შეგიხვევ, ახლავე... მაგრამ რით? მაგრამ როგორ? მაგრამ რანაირად?

წამიერი ყოყმანი და, უცებ შებინტულ თავზე იტაცა ხელი, სწრაფად შემოიხსნა სისხლიანი ბინტი და ბიჭს ჭრილობა შეუხვია.

●

...ერთხელ ციცინო მარტო შემოვიდა ბაღში, შორიდანვე შენიშნა არჩილმა. ქალიშვილს თეთრი, კოპლებიანი კოფთა და წითელქობაშემოვლებული ქვედაკაბა ეცვა.

ანგელოზს ჰგავდა.

უფრო ნაღვლიანი და ფიქრიანიც ეჩვენა...

რაღაცნაირი მოწიწებით დაელაპარაკნენ ერთმანეთს და გაჩუმდნენ.

აუტანელი გახდა დუმილი, არჩილი ბებერი ცაცხვის შემხმარ კენწეროს უცქერდა, უცებ მოიხედა და შეისწორა...

ციცინო დაყინებით მისჩერებოდა მისი პლაშჩის მარცხენა სახელოს.

ამ დღეს მეტი ალარაფერი თქმულა.

გავიდა სამი დღე, ციცინო ალარ გამოჩენილა.

არჩილი იჯდა და მხოლოდ ერთი მიმართულებით იცქირებოდა.

ციცინო არ ჩანდა, ნელი სულ დაიკარგა.

ყველაფერი ცხადი იყო და ნათელი. თუთუნის კვამლი ითხოვა გულმა, მაგრამ ხელს... მაგრამ ხელს... პლაშჩის ცარიელი სახელო ჩაებღუჯა...

...მეოთხე დღეს გამოჩნდა, სწორედ იმ ჭიშკარში შემოვიდა, საიდანაც მოელოდა.

„ღმერთო ჩემო, გამოჩნდა!“

ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა, არჩილი თვალს არ აშორებდა და რამდენადაც უფრო ახლოვდებოდა, იმდენად უფრო ხვდებოდა, გრძნობდა...

მოვა და ეტყვის...

არა, ჯერ ღიმილით მოუბოდიშებს, ალარ მცალიაო!

სესიები დამეწყოო.

არ გეწყინოსო...

ამი რას ელოდი?

ამა რა გეკუთვნოდა?

ციცინო კი...

სამი ღამეა მის თვალს რული არ წაჰკარებია.

სამი ღამეა ედავება, ეკამათება და ებრძვის თავისსავე ორეულს, დიდებულ გრძნობას რომ დასცინის და დაჰხითხითებს.

აჯობა და მაინც ვერ გამოეტანა ვერ გამოეცხადა ლეიტენანტს, ვერ აუწყა... რა?

გუშინ სამჯერ შემოუარა ბაღს, სამჯერ შეიხედა მყუდრო კუთხეში...

დღეს გადაწყდა...

მაისის ამ დიდებულ საღამოს მოვიდა რათა აუწყოს...

დიახ, თვითონვე აუწყებს და ვერც ვერავინ დაძრახავს ამ სითამამისთვის.

ცივი იყო ლეიტენანტის ხელი, ცივი, უგრძნობი და დაუძლურებული...

— არჩილ! მიყვარხარ! მართლა მიყვარხარ, არჩილ! — შეჰღიმა.

ერთმანეთს შეაშტერდნენ.

გაგრძელდა წამი...

მზერა გათბა და განაღვლიანდა, მეორე თანდათან დაიკარგა სითბო და ციცინომ დაინახა ცივი და გასაცოდავებული თვალები.

— არა! — ხმადაბლა თქვა ლეიტენანტმა და მთლად გაულიგვდა მზერა.

ქვითინი წასკდა ქალაშვილს და სახეზე აიფარა ხელები.

ლეიტენანტი დაიხარა, სკამქვეშიდან ყავარჯენი გამოიღო, მოიმარჯვა და წავიდა.

ფეხის ხმამ... პროთეზის თუ ყავარჯნის ყრუ ღრჭიალმა გამოაფხიზლა ციცინო. თავი ასწია და... გაშტერდა.

მაისის წყნარი საღამო ისე ჩათავდა, ნიავი რომ ნიავია, არ დაუქროლია.

ამა რამ წაიქცია ბევრი ცაცხვი?

მიხეილ ყვარელაშვილი

ნათელი მომავლის ზეიმი

ჩვენ დავიბადეთ უდიდესი რევოლუციის წინა დღეებში: დავიბადეთ და თან დაგვყვა ცოდნის წყურვილი, მოუხვენარი, მაძიებელი სული და მტკიცე ხასიათი. ჩვენ ვიზრდებოდით კომუნისტური სულისკვეთებით. გაჯრებული, შეურყეველი იყო ჩვენი მიზანი: — გვეშენებინა კომუნიზმი. თვითეულმა ჩვენთაგანმა იცოდა რასაც ეს‌ახურებოდა და ამის რწმენა გვინერვიდა ხვალინდელი დღის იმედს.

„ხპარტაკიონ" დაიწყო ჩვენი ხიბრძოლი ნათლიმა. რევოლუცია, ხამოქალაქო ომი, ინტერვენცია, ინდუსტრია და საკოლმეურნეო მწარეგლობა, დიდი ხამამული ომი, აღდგენითი პერიოდი, განვითარებული სოციალიზმის ქვეყნის დდეკანდელი ხაზრუნავი — ჩვენი ცხოვრების ყველა ამ მნიშვნელოვან ეტაპზე გამარჯვებისა და საკუთარი ხიმართლის რწმენა გვინიდებდა ძნელ გზას.

ბევრი დიმილი გაიცრიდა ხახეზე, ბევრ ჩვენს თანამებრძოლს შერჩა ჭრილობა, მაგრამ კომკავშირი არა და არ შემდრკალი ამ ხამოცი წლის მანძილზე. და დღეს ეს წლები ეგვარგუნებენენ, აგრძელებენ ეოფილი ხპარტაკელების, მათ თანამოხაკმეთა საინტერესო ცხოვრების გზის.

დღეს როცა რეხპუბლიკაში მიმდინარეობს მორალურ ფასეულობათა ინტენსიური გადაფასება, ხოციალხტური ხაზოგადოებისათვის შეუფერებელ ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა, ჩვენ, კომკავშირული მოძრაობის ვეტერანებს, სიმამაცე გრძნობით ვევავხებს ახალგაზრდობის საბრძოლო განწყობილებაში ჩვენი გამოცდილების კვალის, თაობათა მამაშვილური დამოკიდებულების ნაყოფის ასე თვალსაჩინოდ დანახვა.

ჩვენ უფროსი თაობის წარმომადგენლები, დღევანდელ ახალგაზრდობაში ვხედავთ გონებრივად და სულიერად, ფიზიკურად და ზნეობრივად მტკიცე კომკავშირელებს და ამიტომაც მოვეხალმები — ჩვენი ქვეყნის ხამოდო ძალას და სიმბოლურად მინდა გადავცე თაობათა ესტაფეტა, როგორც უკეთესი მომავლის ხაწინდარი.

ხაქართველოს ლენინური კომკავშირი თავისი არსებობის 60 წლისთავს ზეიმობს. ესაა შრომის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ხელოვნების, მსოფლიოში ყველაზე დიოკრატიული კონსტიტუციის აბრწყინვალე გამარჯვების, წმენდობისა და ახალგაზრდობის ნაოფელი მომავლის ზეიმი.

კომკავშირული მოძრაობის ვეტერანების ხახელით, მინდა გადმოგცეთ ჩვენი ხურვილები: ოვავით პატიოსანი მოქალაქენი, ერთგული მეგობრები, უშიშარი, უანგარო, პრინციპიული და განათლებული ადამიანები. დიე, ეოფილიეავთ ღირსეული პატრონი ამ დიდი განძისა, რასაც ხაშშოლელ ჭვეინ, ვკვლავიც ერთგულად ვეტარებინოთ კომკავშირელის მაღალი ხახელი!

დიდი ლენინის ორდენს გილოცავ

ლენინის ორდენოსან
საქართველოს კომკავშირს

ბარიკადები... ცას ცეცხლი დაღავს...
თავისუფლება ბილიკებს მოსდევს...
ვიგონებ პირველ გაფრენილ ტალღას
და მოგილოცავ ლენინის ორდენს!

ძველის ნგრევა და შენება ახლის,
ზღვა იმედები ღარიბულ ოდებს...
ვიგონებ პირველ უროს და ხახნისს
და მოგილოცავ ლენინის ორდენს!

შეჯიბრებია ხუთწლედი ხუთწლედს,
მინდვრები მინდვრებს, კორდები
კორდებს...
ვიგონებ პირველ ჭაბუკურ უჯრედს
და მოგილოცავ ლენინის ორდენს!

სინათლესავით გადადის ვაშა,
დე, სიხარული სულ ასე ქროდეს...
ვიგონებ პირველ სიამის გაშლას
და მოგილოცავ ლენინის ორდენს!

გამცემლიძედ და რუხაძედ იქეც,
მტერს შენი წინსვლა შეშურდა
ოდეს...
ომგადახდილო არწივო, გიცქერ
და მოგილოცავ ლენინის ორდენს!

სადაც რწმენა და სიყვარულია,
იქ, მკლავსაც დოვლათ-ბარაქა
მოსდევს...
მაგ შენი გარჯის ქება მწყურია
და მოგილოცავ ლენინის ორდენს!

ჰიმნი სიჭაბუკეს

ლენინურ კომკავშირს

მზის ჩქერალები იღვრება ციდან,
ეს მერამდენედ მოდის აპრილი...
ეს მერამდენედ ციდა მარცვლიდან
ამოგიზგიზდა შუქად ყვავილი.
ეს მერამდენედ ფიქრი აზვირთდა
გააქვს ოცნება სულ რია-რია...
ქარმა აპრილის დილა გარითმა
თუ გაზაფხულის დღის შრიალია?!
დგას სიჭაბუკე, როგორც სიმღერა,
მძლავრი ჰანგები ღრუბლებს
ერთვიან, —
მე ასე მესმის
მე ასე მჯერა
„სიჭაბუკე და ლექსი ერთია“.

* * *

შენ გაგიმარჯოს,
მძლე სიჭაბუკევ!...
შენს მარად ცისფერს მივესალმები,
შენ მზის სხივებით დაგასაჩუქრეს
დაგყვა სურნელი იასამნების.
შენ მზის ღიმილის შუქი გათოვდა
ხან მთვარის შუქი სიდარბაისლის.
ამ დღეებს ჰქვიათ მარად ვარდობა
ამ დღეებს ჰქვიათ მარად მაისი.
ჰგევხარ მზის შუქზე ანთებულ
ყვავილს
ვითვლით ბავშვობის თამამ
ნაბიჯებს,
ყოველი დილა იმედად ყვავის,

ყველა ოცნებას ცა ანარინჯეებს.
შენ ინსფერი ზღვები გიზიდავს,
ღელვათაღელვა არდაოსების,
შენ ხარ იმედი,
შენ ხარ იმედი!...
ათას ფიქრის და ათას ოცნების.
. . .
შენ დაიბადე დიდ ქარიშხალში —
ახალ დღეების დიდი ბალადა
ლენინის შუქმა გზა გაგინათა
ფოლადის ხელმა გაგაფოლადა.
...და გზა გიჩვენა დიდმა ბელადმა,
შენ ყველა ლექსის სულში ღვიოდი,
ეს შენ იყავი სახრჩობელადან
„კვლავ გამარჯვებას“ რომ
გაჰკიოდი.
ცა იყო სავსე დენთის სურნელით
შენ მაინც მაღლა მიაბიჯებდი,
შენ ასჯერ დაგწვეს,
ასჯერ გაწამეს,
შენ არ კვდებოდი,
შენ იმარჯვებდი.
. . .
ყოველ ახალი დღის დაბადების
ყველა ფერხულში კვლავ შენ
მეგულვი, —
შენ, სიჭაბუკევ, გელის რამდენი
კვლავ შერკინება ათას ენგურის.
შენ თვით იყავი ყოველი ლექსი,
როგორც რითმები რითმების
მოსდევენ,

ასე ემრავლოს,...
ასე ემრავლოს!...
მკერდზე მრავალჯერ ასხმულ
ორდენებს.
კვლავ არიგებდე მზესა და ღიმილს
მუდამ გმირობის საქმეს სჭედავდე,—
მწამს ასე ვივლი,...
მწამს ასე ვივლი!...
გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.
. . .
დღეს ამ დიდებას მზეს
ვადღეგრძელებ
მარად გაზაფხულს... დღის
სიჭაბუკევ,
შენ შემოიტან პირველ ენძელებს
და შეაჩქროლებ მწვანე ალუჩებს...
შენ ხარ მდინარის ახლად აშვება
მოგაქვს ხალისი დაუშრეტელი,
შენ კარგად იცი უკან დარჩება
ხვალ, უშორესი თეთრი წერტილი.
ხმაამოწვდილი სიმღერა გშვენის,
დამსხვერულია შენი დუმილი...
მე მჯერა შენი,
მე მჯერა შენი,
მე მესმის შენი სისხლის დუღილი.
...და ოცნებათა არ ჩანს ნაპირი,
როცა კაშკაშა ცა მოირთვება, —
შენ ხარ მაისი,
შენ ხარ აპრილის
თეთრი კვირტების ამოზვირთება.

აკაკი სიხარულიძე

კომკავშირის თანატოლი პირველი ყამირელი

— ჩვენ, ყველა უდიდესი სიხარულით შეეგებდით საქართველოს კომკავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოებას. მატონო იოსებ, თქვენე, ისევე როგორც ლენინური კომკავშირი ექვს ათეულ წელს ითვლით. რას უსურვებდით საქართველოს ახალგაზრდობას?

— ამ, მრავალჭირნახული ახალის გადასახედიდან ყველაფერი ისე მოჩანს, როგორც ხელის გულზე: წაგებული ბრძოლებიც და ჭახთან ერთად სისხლში გაყლეპული დროშებიც, ვასილ ჩაპაევი, ბუდიონი, ამბრაზურას გადაფარებული მატროსოვი, მფრინავი პოკრიშკინი, გულზვიადი ჩკალოვი, სხვათა მიწებს შეწირული ირინე სხირტლაძე და ფორე მოსულიშვილი.

მფერიდნენ, შინმოუსვლელი კომკავშირელი პიონერები ლენინებში და მოთხრობებში. ახლელნენ თავდაზს.

დღეს ყველაფერი, რაც შორეული იყო, ახლოს მოვიდა და ხელშესახებია. ეს ის თაობა გაზდადა, რომელიც ეუოოვანოდ ამოუდგა ბხარში ყველაფერს ახალს, რევოლუციურს, ახალგაზრდულს, კომკავშირულს.

გ. ტაბიძე, ა. ქუჩიშვილი, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი — იმ დროისთვის ახალგაზრდებად ითვლებოდნენ. ყველა ისინი რევოლუციის პირველ სხივებს შეეგებნენ: შეეგებნენ მაშინ, როცა რევოლუციისშემდგომ ახალ ქართულ პოეზიას სიცოცხლით სავსე, მშექარე ხმა სჭირდებოდა.

კომკავშირი საერთოდ ის სკოლაა, სადაც ახალგაზრდა შემოქმედთა იდეურ-ესთეტიკური მრწამსი, მებრძოლი სული და მაღალი მორალი ყალიბდება. მე მინდა სულითა და გულით მივულოცო სკკრთველოს ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირს უმაღლესი ჯილდო. დიდება ჩვენს პატრიოტ და ზნეშაღალ ახალგაზრდობას. დიე, წამებულ მგრძოთა ულცდეთ სიცოცხლე უნათებდეს მთ გზას სწავლისა და შემოქმედებითი შრომისაკენ.

— ბატონო ილიეს, როგორც ცნობილია, თქვენ ყ-ქირის ერთ-ერთი პიონერიც ბრძანდებით. იქნება გაუზიაროთ მკითხველს თქვენი მოიგონებანი?

მე ვამაყობ, რომ ვარ პირველი ყამირელი, ნამდვილად ვამაყობ.

1954 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან წავიდნენ ყაზახეთში, ყამირზე. ნახევები მიწების ასათვისებლად, მახნოვს, ძერჟინსკის სახელობის კლუბში პირველ ქართველ ყამირელებს ვაცილებდით. მე მთ სიტყვითა და ლექსით მივმართე და დავპარაკი, რომ ჩავიდოდა ყამირზე, რათა მენახა მათი შემართება. რამოდენიმე კვირის შემდეგ მარილაც გავემგზავრე ყაზახეთში.

იმ ხანად ყაზახეთში მწერალთა კავშირის II ყრილობა უნდა რატარებულიყო, სწორედ ის ყრილობა, რომელზეც ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი წერს თავის სტატიაში „ყამირი".

ამ ყრილობაზე სხვა რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად სიტყვით გამოვედი. ყრილობის დამთავრების შემდეგ ალმა-ათიდან გავემგზავრე ჩემი თანამემამულეების — ქართველი ყამირელების სანახავად — აქტიუბინსკის ოლქში. საკმაოდ დიდი გზაა ალმა-ათიდან აქტიუბინსკამდე. ამ გზის ბოლო ნაწილი ავერ ბუსებულ-ბეტპაკ-დალაზე. ამ გზის ბოლო ნაწილი ავერ ბუსებულ-ბეტპაკ-დალაზე შემდეგ მატარებელით. გზადაგზა ვხედავდი, როგორ იფეთქებდა ფეტქდოდა ბელი, უკაცრიელი ტრაფალები. აქა-იქ ვეფშერები კარგებს, ეკიბოთან შეჭიდებული პირველი ბრიგადები.

თითქმის სამი თვე დაყოვნი აქტიუბინსკის ოლქში საკრთველოდან წარგზავნილებთან. გაეხარდათ ჩემი ჩასვლა: პირველი კაცი ეოფოფნარ, დაგვპირდი და ჩამოხვედითო. მე მათ ვუკითხავდი ლექსებს, ვეხმარებოდი კლუბ მუშაობაში.

სოფელში ვარ დაბადებული, ვაზის ძირში მდგარა ჩემი აკვანი, ვაზის ძირებთან ბავშვობა, ამიტომ სინანულითა ვადალაზე არ უნდა გამეჩერებოდა. სწორედ ამ სოფლიერმა წრთობამ ბმიმე პირობების დაძლევა გამაადვილა. ტრაილ მინდორში ჩვენ თვითონ ვამზადებდით საპლეს, ჩვენ თვითონ ვეკიმავდით კარგებს და ყაზახური შემოდგომის პირველ ხუსხსაც იქ შევაფარეთ თავი.

სწორედ ყაზახეთში ეოფნისას, მწერალთა II ყრილობაზე, და შემდეგაც ყამირი მიწების ათვისებისას, პირადად შეეხვედი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს, ვეიდოდეთ, თუ როგორ იდგა იგი დიდი ხაზეილშეფილი მოძრაობის — ყამირის ათვისებისათვის ბრძოლის სათავეებთან. თუ რა შეეძლია ხალხთა მეგობრობას, თვალნათელი მაგალითია პირველ მეეყამირეთა: რუსების, უკრაინელების, ყაზახების, ქართველების და საბჭოთა ხალხის სხვა წარჩინებულებისა ერთობლივი, ნაყოფი.

სწორედ აქ, ყაზახეთის ამ ტრამალებზე დავწერე ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ლექსი, — „დახსეხე, ბიჭო, იქნებ პაპა იყოს შენი". სწორედ იქ, იმ ტრაქტორთან ვიდექი, რომელსაც ტრაქტორის გუთანმა ადამიანის ძვლები ამოყარა. ეს ამავე წუთში ამ ფაქრმა გამიელვა თავში: იქნებ, ეს კაცი, ვისაც ეს ძვლები ეკუთვნოდა, უსაბრძოლოდ გამოქცეული, ყაზახეთის ტრამალებს შეხიზნული ჩვენი წინაპარია-მეთქი. იმ ტრაქტორზე ჩემი თანამემამულე გამხუაშვილი იჯდა. იმ დორდადან ჩვენ დიდი მეგობრ ვართ ერთმანეთი.

და ბოლოს, მე მინდა, როგორც ყოველთვის, ახლაც, მადლობა მოვახსენო პარტიასა და მთავრობას, ჩემ თანამემამულეებს, რამეთუ მათ მიერია, ჩემი ხალხის მიერაა ოვიდეული ჩემი ლექსიც და ყველაფერი ის, რაც კი რამ კარგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეუ ნადირაძე

შენ, დამარხულო ცისფეროვნებავ!

გალადა

რევაზ მარგიანს

სვანეთიდან,
თეთნულდიდან,
უშბას კლდოვანეთიდან,
ულრან ტყიდან,
ზვიად უფსკრულეთიდან
ამოვარდნილს
მრისხანებით
ქარებსა და გრიგალს
ყურს ვუგდებდი
ზოგჯერ ლხენით,
ზოგჯერ ფიქრიანი...
გულს სწვდებოდა
მათი ხმები
დამატკბობი სმენის,
და ბალადად იქცეოდა
წარსულ დროთა დღენი...
ზაფხული იყო,
იყო მზეობა,
ჰქონდათ ფურცლობა ვარდებს!
ვარდების ლოცვა,
ვარდთა სურნელი,
ვარდების სუნთქვა,
მზით გათანგული,
ნელ ადიოდა ცამდე!!
შენ იყავ ჩემთან,
ვიდექით ერთად
ამ უნეტარეს წვაში.
სერაფიმების ბალღებთან,
ღმერთთან
ახლოს ვიყავით მაშინ!
ჩვენს შორის სიტყვა
არ თქმულა მაშინ,
რა უნდა ეთქვა სიტყვას?!
ვხედავდით მხოლოდ
ელვარე ცაში
მზესა და
ხხივთა სეტყვას!
ვხედავდით,
მახსოვს,
ვარდების გულში
ცვარ-იაგუნდებს ჩაკრულს,
და,
სერაფიმის
თითებით ნაქსოვს,
ცისფეროვნებას,
ვგრძნობდით
ჩვენს სულში ჩარგულს!..
იყო მზეობა,
იყო ზაფხული,
ჰქონდათ ფურცლობა ვარდებს,
ვარდების ლოცვა,
ვარდთა სურნელი,
ვარდების სუნთქვა
მზით გათანგული
ნელ ადიოდა ცამდე!
მაგრამ, გრიგალმა
ჩაახშო ხარბად
ვარდის
ფურცლობის
დღენი,
და ცხრა მთას იქით
გათხარეს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალბათ,
შენთვის
სამარე ბნელი!..
და ცხრა მთას იქით,
წყვდიად —
ბნელეთში, —
სად უდაბნოა
მწველი, —
გადააყარეს
მიწა,
ჩამარხეს,
არ შეიცოდეს,
მიწაში
ჩაფლეს
ცისფეროვნებაც ჩემი!..
იქ,
შენ,
უჩემოდ,
ისვენებ მარტოდ,
წვიმა კაეშანს
განდობს,
ქართა გოდებას
და გლოვას
ისმენ,
გრიგალთა
გმინვაც
გაკრთობს!
და ისე,
როგორც ბავშვს,
ოდნავ,
წუთით
ღამით მითვლემილს მკლავზე, —
შენ,
ჩამარხულო ცისფეროვნებავ,
თოვლის ფანტელი გართობს.

მე დავრჩი მარტოდ,
უშენოდ,
მარტოდ,
ვუსმენ ქარ-ბუქის კვნესას.
მე მხოლოდ ქართა
ვაებას ვნატრობ,
მე მხოლოდ

გრიგალს
კაეშანს
ვანდობ, —
საფლავს რომ უვლის შენსას!!
მე ვიცი მაინც:
შორის — შორეთში, —
სად უდაბნოა მწველი, —
შენც ისევ უსმენ
გოდებას ქარში,
ისევე უსმენ
ქარ-ბუქის კვნესას,
და, როგორც ბავშვი,
ო, როგორც ბავშვი,
კვლავ
თოვლის
ფანტელს ელი!..
მაგრამ,
ვერ ხედავ
ბნელ სამარეთში
ვარდის ფურცლობის დღესა,
ჯვარზე
გასალტულს
ცისფეროვნებას,
ჯვარზე
გასალტულს
სიყვარულს ჩემსას!!

სვანეთიდან,
თეთნულდიდან,
უშბას კლდოვანეთიდან,
ულრან ტყიდან,
ზვიად უფსკრულეთიდან
ამოვარდნილს
მრისხანეებით,
ქარებსა და გრიგალს
ყურს ვუგდებდი
ზოგჯერ ლხენით,
ზოგჯერ ფიქრიანი.
გულს სწვდებოდა
მათი ხმები
დამატკბობი სმენის,
და ბალადად იქცეოდა
წარსულ დროთა დღენი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ქირია

ფერადი ბალიში

რომანი

ოთხშაბათს გაზეთი დაისტამბა. რა-მდენიმე ეგზემპლარი იყიდა. გულში თბილი ტალღები უვლიდა. ისევ და ისევ ათვალიერებდა სათაურის თავზე შავი შრიფტით დაბეჭდილ სახელსა და გვარს: ჯ უ მ ა ბ ე დ ი ა. პირველი მერცხალი იყო და იმიტომ ხარობდა, თორემ მომავალში, როცა დიდების ზენიზტე მოექცეოდა, ღიმილით გაიხსენებდა ამ უცოდველ ილუზიებს. დღეს კი დილიდანვე თავბრუდახვეული იყო. ეჩვენებოდა, რომ გამვლელნი აღტაცებულ ძზერას ესროდნენ. „ნეტა სად მოახერხეს დილაუთენია წყითხვა“, — ფიქრობდა. მერე თანდათან გამოფხიზლდა. მიხვდა, მისი სტატიისათვის არავის ცხელოდა.

კაბინეტში ჩაიკეტა. გაზეთი მაგიდაზე დააფინა, თვითონ რბილ სავარძელში მოკალათდა და ისე ნებიერობდა. მოლოცვები, თბილი სიტყვები ჰაერში ეკიდა, სასიამოვნო მუსიკალური პასაჟებივით სულს უთრთოლებდა.

და უცებ, წამიერ, მისი დახუჭული თვალების წინ, გონების ვრცელ სცენაზე შემოიჭრა თითქმის მივიწყებული და სინდისს მიღმა გადამალული ჩვენება: ძზიანი სივრცე კასკადს მიღმა, ნაზ ტირიფებთან... ჯინსიანი და თეთრპერანგიანი ჭაბუკი... სისხლით შეფერილი პერანგი... ტატო!.. გახსენება მტკივნეული და ულმობელი იყო. აქამდე თითქოს არც არსებობდა ეს სახელი, არ არსებობდა მისი სიკვდილის ფაქტიც. ყოველივე სიზმარი იყო, ჯუმა ბედია კი უდანაშაულო გახლდათ ყველასა და ყველაფრის წინაშე... ახლა კი.. ერთადერთმა სიტყვამ ააფორიაქა მისი სული, ჩააქრო სხივი, შავი უფსკრული გაამეფა...

ჯუმა ბედიამ სიმწრისაგან ტუჩი ჩაიკვნიტა, გაზეთი მოკუეჭა და კუთხისაკენ მოისროლა... თავბრუდამხვევი სიდამწვრის სუნი დაგუბდა. ხრჩოლავდა მისი სული და ჰაერი აღარ ეყო. ფანჯარას მივარდა, ღრმად ჩაისუნთქა.

მერე ტელეფონს მისწვდა, ნომერი აკრიფა.

— ალო, გისმენთ!

იმ ბოლოს მოუთმენლად ელოდნენ პასუხს. ჯუმა ბედიას ყურმილი ჩუმად ეჭირა, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

— ალო, ვინ ოხერი ხარ?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 3, 4.

„გამოჯამრთელებულა, მადლობა ღმერთს!“ — შვებით ამოისუნთქა.

ერთხანს ტელეფონში მხოლოდ სუნთქვა ისმოდა, მერე გაბზარულმა ხმამ წაიჩურჩულა:

— შენნ ხარ, ჰო?... იმ დღეს ხომ მიმიყვანე ინფარქტამდე. ლაჩარი რომ არ იყო, ხმას ამოიღებდი..

ჯუმა ბედიამ ყურმილი ფრთხილად დადო. გარინდებული მიაშტერდა მოპირდაპირე კედელს. რაღაც უსასოობა დაეუფლა, ფიქრი კი, არც ავი და არც კარგი აღარ ეკარებოდა.

კარზე დააკაკუნეს. ჭაბუკი ძლივ-ძლივობით გამოდიოდა ბნელი უფსკრულიდან, ცდილობდა თავი დაეღწია კოშმარული ჩვენებებისაგან.

კაკუნი განმეორდა და კარის ღრიჭოში კრიტიკის ლომმა შემოყო წამახული ფანქრის მსგავსი თავი.

— ჰეი, მუზა ხომ არ გეწვია? ერთი საათია, კარს მუშტებით ვამტვრევ!

— შემოდი!

— აქ შენთან სტუმარია, ჟურნალ „პეგასიდან“ მოგაკითხეს!

ჯუმა ბედიას ფერი ეცვალა. გაშეშებული იდგა და ისე იცდიდა, თითქოს იმ კარში მინოტაგრი მაინც უნდა შემოსულიყო. „საიდან გაიგეს? როგორ მიხვდნენ, რომ ტელეფონით ვიანგლე? — აწრიალდა ფიქრი, — სახალხოდ უნდა შემარცხვინონ, გამათახსირონ...“

ლიტმუშაკი კვინტილიანე შემოვარდა, ჯუმა ბედიას გამოწვდილ ხელს ეცა. დაზაფრული მასპინძელი ცდილობდა ხელი გამოეგლიჯა, სტუმარი კი ენერგიულად ანჯღრევდა და რაღაცას ალტაცებული ჭაანებდა.

— ასე უნდა დავიწყება? აქეთ უნდა გეძებოთ, შე საიდან მოსულო და სად მიმავალო! მთელი ქალაქი ავაწრიალე, ქვეყანა შევყარე!..

— რა დავაშავე ისეთი, ხალხო? — წამოიკნავლა ჯუმა ბედიამ და სავარძელში ულონოდ ჩაეშვა.

— ბედი გქონია, ძმაო, ძაღლის ბედი გქონია! სამახარობლო მეკუთვნის, ამას არ უნდა ჯანჯალი, ამას უნდა ჯონჯოლი, ხა-ხა, ერთი ყუთი შამპანური. ...ლიტ-რიმ კრინტსაც არ დავძრავ!... — ... მუშაკი ფანქრის რაფას ჩამოეყრდნო, ნაფაზი დაარტყა, თუმცა კაბინეტი ისედაც ქარხნის მილს ჰგავდა.

— ეგება, ერთი ყუთი კი არა, სამიც დავდგა, გაიჩნია, რისთვის, — ჯუმა ბედიას გული საგულეში ჩაუდგა, შიში, ბნელი განცდები გადაავიწყდა, სასიხარულო ამბის მოლოდინში ბავშვივით აცუტდა.

— პირდაპირ იქიდან მოვდივარ!.. ხომ გიგიონე, რა თქვა, სამი ყუთიო?— კრიტიკის ლომს მიუბრუნდა კვინტილიანე, — იქიდან მოვდივარ-მეთქი, არა ვთქვი? კოლეგიის სხდომა გვქონდა. ჯუმა ბედია გამოვიყვანოთო ასპარეზზე... უახლოეს ნომერში ვიხილავთ ახალგაზრდა გენიოსის ნამოლვაწარს...

ჯუმა ბედიას გულში ეშმამ ჩაუყო ხელი, კლანჭები მოუჭირა. ასეთი ბედნიერება ძნელი წარმოსადგენი ყოფილა. თავი შეიკავა, მაგიდაზე არ შემხტარა, დავლური არ დაუვლია, „ვაშა“ არ უძახნია. წყნარად იკითხა:

— ხომ არ ამამსხარავებთ?

— აჰ, არ იკადრო მაგი, — გამოცოცხლდა კრიტიკის ლომი, რომელიც აქამდე ზურგით კედელ მიყრდნობოდა და ნელი ტაატით ტანს წინ და უკან აქანავებდა.

— ნაღდია და ესაა! — ფანჯრის რაფაზე შესკუპდა ლიტმუშაკი კვინტილიანე, ცალი ფეხი სავარძლის ზურგზე შედგა, — მე ხომ თავიდანვე ვთქვი, ნაღდია-მეთქი. ზოგიერთი არ მეთანხმებოდა, მაგრამ ჩემმა აზრმა გაიმარჯვა. ბატონმა გივიმ, ხომ იცით, ბოლო დროს შეუძლოდ იყო, ვიღაცამ რაღაც უხიმინჯრა, ბატონმა გივიმ ჯუმა ბედიას სახელი ჩვენს აქტივში ჩაიწერებაო, სიტყვასიტყვეთ...

— რახან ასეა, მადლობის მეტი რა მეთქმის, — წამოდგა ჯუმა ბედია, — ამ საქმეს მარტოსაც მოუხდება დასვე-

---

ჯემალ ჭირია
მარადი მხედარი

ლება, ბედიებმა არ იციან უკან დახევა!

— ოჰ, შენი ჭირიმე, ვიცოდი, რანაირი ბიბეიც იყავი! — კრიტიკის ლომმა ხელები მოიფშვნიტა. — ჩვენებს დავუძახო? ბიბეები ცოდვანი არიან, ერთი კვირაა, არაფერი დაგვიჭეეი!

— დაუძახე ვისაც გინდა!

კრიტიკის ლომი ჩიტივით გაფრინდა.

— მე არ ვსვამ, ღვიძლი მაწუხებს, მაგრამ ამ კაი ამბავს ვერ დაეკარგდები. — ლიტმუშაკმა მორიგი პაპიროსი გაიჩეო კბილებში, — ჰო, მართლა, პატარა საქმეც მქონდა, ამდენ ლაპარაკში კინაღამ გადამავიწყდა. ერთი სამფორმიანი წიგნი მოვიტანე თქვენთან, ბარემ მეორე წელი უთავდება. დირექტორი მეუბნებოდა, გაისადო, გეგმაო...

— ვუშველით რამეს!

— ჩვენს რედაქტორს, ბატონ გივის, შენი იმედი აქვს. მაგისი რჩეული უკვე წარმოებაშია. მიმიხედეო, შემოგითვალა. ხომ იცი, გულით ავადმყოფია, მაგისი წყენინება არ იქნება!

ჯუმა ბედიამ თავი დაუქნია. ალმაცერად გადახედა ტელეფონს. შავ რეოლვერს ჰგავდა შავი ტელეფონი...

●

„დასველებაზე“ ათიოდე კაცმა მოიყარა თავი. ბატონი გივიც მობრძანდა. სახე გაფითრებოდა, უპეები ჩაშავებოდა. ცხადია, ღვინოს დალევას ვერ შეიძლებდა. ბევრი ეღრიჯა ჯუმა ბედია და ხთრი ვერ გაუტეხა. ბორკომის მეტს ნურაფერს დამაძალებთო, შეეპირა. ჯუმა ბედია მის პირდაპირ იჯდა. თავს უხერხულად გრძნობდა. რამდენჯერმე დაიჭირა რედაქტორის ეჭვიანი მზერა. ხმაზე ხომ არ მცნობსო, გულღვიძლი ეწვოდა, აცივ-აცხელებდა. ამიტომაც ზომაზე მეტს მხიარულობდა, ხმაურობდა, მღეროდა, ცეკვავდა. აიკლო რესტორანი. ზოგჯერ ხვდებოდა, ვაჭარბებო. გაყუჩდებოდა. თვალს შეავლებდა ბატონ გივის, ისევ ხომ არ ეჭვიანობსო... ბატონი გივი კი მორიგ ანეკდოტს ყვებოდა. ათიოდე წუთს გაჩუმდებოდა, სხვებსაც აცლიდა ლაპარაკობას, მანამდე ახალ ანეკდოტს მოიგონებდა და ყველას გააცინებდა... ჯუმა ბედიას ღვინო მოეკიდა. ახლა დარწმუნებული იყო, ბატონი გივი მცნობსო და კუჭში ჩაღვრილი ღვინო სულში შხამად ამოსდიოდა. „კიდევ ერთი ინფარქტი და მოგველება ბოლო!“ — დაირხა ზარი მთვრალ ტვინში. არც სინდისის ქენჯნა გამოუწვეია, არც აღშფოთება. ტვინი უხერხდა, გული კი გასცეგბოდა და არავის არაფერს ამატებდა.

ჩაჯინდა, გინდა თუ არა სამშობლოს სადღეგრძელო დაგვილიეთო.

ბატონი გივი, ცხადია, ფხიზელი იყო, ღვინო უყვარდა და ისედაც ძლივს ითმენდა.

— თავიდანვე ხომ ვთქვი, ვერ დავლევ-მეთქი, — სუსტად იცავდა თავს, — თქვენც კარგად იცით, ორი დღე ძლივსაა, რაც გამოვეწერე საავადმყოფოდან....

— მაგი არაფერი! თქვენისთანა ვაუკაცს სამი-ოთხი ჭიქა რას დააკლებს? ინფარქტი ახლა ვის არ ემართება? ექიმებმა არაფერი იციან. ვეკაცმა მათ ყურიც არ უნდა ათხოვოს...

სხვებიც საკმაოდ გამოტყვრნენ ამ დროისათვის, ყველაფერი ეიოლვებოდათ და ჯუმა ბედიას აჰყვნენ.

ბატონმა გივიმ ჭიქა დაცალა. მეორეც მიაყოლა, სანამ ვარ ვარო, და ყანწიც ზედ დაურთო.

აგრემც ბოლო მოგვდებაო, — გულგრილად ფიქრობდა ჯუმა ბედია.

რედაქტორს გული აუჩვილდა. ანეკდოტები გადააგიწყდა. ყველას ეხვეოდა, კოცნიდა, „ელასიკოსის“ ტიტულებს არიგებდა.

რესტორნიდან გვიან გამოვიდნენ. ერთი თვის ჯამაგირი დატოვა ჯუმა ბედიამ, მაგრამ არ ენანებოდა. ფული კი არ იყო მთავარი. ყველას პირზე კოცნით გამოემშვიდობა. რედაქტორი ტაქსით შინ წაიკვანა. კიბეზე აიცილა. ცოლმა შეიცხადა, ინფარქტიანი კაცი ვინ დამითროო. ჯუმა ბედიამ თავი იმართლა, ბევრი ვეხვეწე, ნუ სვამთ-მეთქი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან კი აიჩემაო. რედაქტორის პატარა ბაფშვს მოეფერა: დედა, ლა კალგი ხალო, და კმაყოფილი შინისკენ გამოეშურა.

ქუჩები უკვე დაცარიელებულიყო. იშვიათი გამვლელის ფეხის ხმა შორეული ექოსავით გაისმოდა. ქუჩის ნათურები სუსტად ბჟუტავდა. ჯუმა ბედია ხმადაბლა ღიღინებდა. ღვინო უფრო და უფრო ეკიდებოდა. ტვინში ბურანი ედგა, მუხლებში ძალა მოაკლდა. თანდათან ეუფლებოდა მთვრალი სევდა. ცარიელი ქალაქი, ცარიელი ქუჩები... მეეზოვეების ჭიმკრები ჩაეკეტათ, მობინადრეებს კარ-ფანჯრები ჩაეგმანათ და ცხოვრობდნენ თავიანთ თბილ, მყუდრო ბინებში, როგორც აბრეშუმის ჭია პარკში. მარტო ჯუმა ბედია იყო კარში გაგდებული. მას არავინ ელოდა, არავის უყვარდა, არავინ უწილადებდა სითბოს. ამოდენა ქალაქში კაციც არ მოიძებნებოდა, ვინც კარს გაუღებდა, შეითბობდა და წმინდა, ამაღლებულ მეგობრობასა და სიყვარულს შესთავაზებდა. მარტო დარჩა ჯუმა ბედია, სულ მარტო... ცრემლი მოერია, ფეხები ეწანდებოდა, ბარბაცებდა და წყეთს წინანდელი ღიღინი ქვითინით შეეცვალა. მზია გაახსენდა და ამან უფრო აატირა... მხოლოდ მზიას შეეძლო წმინდა სიყვარული, სუფთა, უმწიკვლო მეგობრობა, მას ძალუძდა გაეფანტა ჭაბუკისათვის მარტოობით გამოწვეული კეშანი.. ოღონდ ჯუმა ბედიასა და მზიას შორის წამომიმართა ტატოს საფლავი და ჯუმა ბედიამ არ იცოდა, როგორ წარეშალა იგი... „მზია, მზია...“ — ხმადაბლა მოსთქვამდა მთვრალი ჯუმა ბედია და ხან კედელს მიასკდებოდა, ხან ხეებს, რომელნიც შუაღამისას დასეირნობდნენ ტროტუარებზე და თვალებში ვერ იხედებოდნენ...

გზაჯვარედინზე გოგონამ გადაიარა.

— მზია! — გასძახა ჯუმა ბედიამ და თავი შეიმაგრა.

გოგონამ შეშფოთებით მოიხედა. ღამეული ნეონის შუქზე მხოლოდ თვალები აუკიაფდა, სახეს კი მოყვითალო ფერი გადაეკრა და ჯუმა ბედიას მოაგონა ჯადოპლად ლამაზი ეჩვენა, თუმცა მზია არ იყო.

ფეხდაფეხ მიჰყვა, თან ბოდიშობდა, გაუთავებლად ლუღლუღებდა.

გოგონა შეშინდა, ფეხს აუჩქარა, მერე კი გაიქცა. ჯუმა ბედიაც აჩქარდა, ოღონდ მუხლებში იმდენი ძალა არ ჰქონდა და ვერ ეწეოდა.

— მოიცადე, შენი ჭირიმე, მოიცადე!.. — ეგონა, ჩუმად ვუხმობო, მისი ხმა კი მდუმარე ქუჩაში სროლასავით ისმოდა.

ვნება ეუფლებოდა და სიგიჟემდე მისული არც ფიქრობდა ვის მისდევდა, ან თუ დაეწეოდა, რა უნდა მოემოქმედა.

გოგონა უცებ გაქრა, თითქოს მიწამ პირი უყოო. ჯუმა ბედია უახლოდ ტოტრტმანებდა ერთ ადგილზე. უზარმაზარი სახლის წინ იდგა, ძრავალი სადარბაზო ჰქონდა სახლს და თვალი ვერ მოჰკრა, თუ რომელში გაუჩინარდა გაქცეული.

კვლავ შინისაკენ დაადგა გზას. ვნებაშელილი იყო და ჟინით შეპყრობილს ახლა მაცაცუნა მოაგონდა. მისი შიშველი ნაკვთები წარმოუდგა თვალწინ. გონება დაუბნელდა. არც იცოდა სწორად მიდიოდა თუ არა. წაიბორძიკა და კინალამ ტროტუარს დასაკდა. აკაციას წაეწყდა, იმას ჩაეხვია. „მაკაცუნა, მაკაცუნა!...“ — ღმუოდა და აკაციის უტყვ ტანს ეკაჯგურებოდა...

●

მოლოკვები და გუნდრუკის კმევა მალე მობეზრდა. ყველას მოსწონდა მისი სტატია, ყოველ შემთხვევაში, ყველა ასე ეუბნებოდა. მარტო კაბუტიამ მიახალა უემურად. რადგან ნაბახუსევზე თავი სტკიოდა:

— რა გაკვირეთ საქმე, ასეთ ბუხჰალტერიას მეც მივაჩთლახებ!

— ბრიყვი ხარ, არაფერი გესმის! —

ჯემალ ქირია
ნარკვევი მხედარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აენთო ჯუმა ბედია. მალე დაადგიწყდა ძმის შენიშვნა. კვლავ ტკბებოდა წარმატებით. ხანდახან თუ იხსენებდა თავის ჯაჯგურს აკაციასთან და სირცხვილის ალმური უკლიდა სახეზე. კიდევ კარგი, არავის შეუნიშნავს.

შეეჩვია ქების მოსმენას. ზედმეტად ტკბილმა ხომ მოყიარეება იცის. თუ ვინმე გაახსენებდა „რიცხვნიშნობას“, სახელისა და დიდებისაგან დაღლილი ადამიანის გამომეტყველებით თავს ოდნავ დააქნევდა და ამოიხვნეშებდა, აქაოდა, მე არაფერად ვაგდებ ჩემს ნაშრომს, თქვენ რაღა შეგიჩნდათო. ამით იმის თქმა უნდოდა, ეს რაა, ამიერიდან რომ გავაკეთებ, ის ნახეთო. მართლაც უნდოდა დაეწერა ორაოდე სტატია ან ნარკვევი. დაბეჭდვა არ გაუჭირდებოდა. პირდაპირ გაზეთის ან ჟურნალის რედაქტორთან შევიდოდა, ხელს გაუწოდებდა და რიხით ეტყოდა: „ჯუმა ბედია!.. ჩემი სახელი თქვენ არაფერს გეუბნებათ?.. მე ავტორი გახლავართ „რიცხვნშნობისა“, რომელმაც ეგზომ დიდი გამოხმაურება პოვა საზოგადოებაში!“ სამწუხაროდ, არ იცოდა, რაზე ეწერა და ოხრავდა, ეს რა უპრობლემო საუკუნეში დავიბადეო...

კვირის თავზე ამინდი შეიცვალა. გადაუღებლად წვიმდა. კაცს ქუჩაში ცხვირის გამოყოფა დაეზარებოდა და ამ დროს დარეკეს. ყურმილში პირველად არ იტყოდა სიტყვას. ეშნოდა, „პეგასის“ რედაქტორმა არ დამირეკოსო. ხმაზე მიხვდებოდა, ვინაც გაუხადა საქმე საინფარტტოდ. ამიტომაც გაწვალდა და საბოლოოდ შეჯავრდა ბატონი გივი. „უგემოვნო მეანეკდოტეს“, „პროფანს“ ეძახდა, ცხადია, გუნებაში... ჯუმა ბედიამ ყურმილი აიღო და ჩაახველა. ლიტმუშაკი კვინტილიანე რეკავდა, შენი მოთხრობების ანაბეჭდები მზადაა, თუ გსურს ჩაიკითხეო. „გამოვიველი ნაშუადღევს“, — დაჰპირდა ჯუმა ბედია.

ათიოდე დღე და მოთხრობები დღის სინათლეს იხილავდნენ. ვერ გარკვეულიყო, უხაროდა ეს ამბავი, თუ არც ისე. უკანასკნელი წლები ერთიანად ყვავ ან დაუწერია. იმედს ბინაც არ კარგავდა, რაიმე გენიალურს მოვიფიქრებო, ოღონდ გენიალური აზრი არ ეტადებოდა, დრო კი მიდიოდა და მიდიოდა... კვლავ „რიცხვნიშნობა“ გახსენდა. უკრიდან ამოიღო გაზეთის ერთი ეგზემპლარი და გადაშალა.

დიდხანს უყურა ლამაზი ქართული ასოებით გამოყვანილ სახელსა და გვარს. ვერაფერი იგრძნო, ვერც სიხარულის თრთოლვა, ვერც წუხელი, ერთი სიმიც არ დარხეულა სულის სიღრმეში.. მართლა ინტერესებდა ვითომ ეს პრობლემა? კითხვა დაიწყო და პირველსავე ფრაზამ სირცხვილისაგან სახე აუწვა... თავს ძალა დატანა, დაძაბული ყურადღებით კითხულობდა. თანდათან უხერხულობის მწკავე გრძნობა დაეუფლა. ასეთი გრძნობა ესტუმრება კაცს, როცა ვიღაცა ყრუ, ჩახლეჩილი ხმით ცნობილი საოპერო არიის მღერას დაიწყებს... სისულელე და არაფრისმქმელი იყო ყოველი ფრაზა, პრობლემა კი ძალით შეკოწიწებული... „მაშ, რად მაქებენ, რად მეფერებიან? — გამწარებულმა გაზეთი მობღუჯა, ნაფლეთებად აქცია, სანაგვეში გადაუძახა, — დამცინი ხომ, ბესო ბანძელაძე? ყველანი დამცინით, არა? მამასხარავებო, ხომ?...“ ფიქრობდა და სული კვლავ ბოროტებით ევსებოდა. მხოლოდ ძმა ყოფილი პირრუთვნელი, ღვიძლი ძმა. „ტატო რომ ყოფილიყო?“ — გაუელვა ანაზღადდ, ცივმა ოფლმა დაასხა. „ახია, ახია ჩემზე! — შუბლზე ხელები შემოწყო და გაილესა, — ახია, ახია ჩემზე!..“

„წავალ „პეგასში“ და ჩემს მოთხრობებს ამოვაგდებინებ... ისინი უფრო შემარცხვენენ!“ — მტკიცედ გადაწყვიტა.

წვიმას გადაეღო, ნიავი სუსტი ტოტებიდან წვეთებს ბერტყავდა.

ავტობუსებს ჩვეულებრივ თავს არიდებდა. ახლა ეს არ გახსენებია, უკვე დაძრულს შეახტა და წინ გაძვრა.

— შეუკეთებელ მანქანებს უშვებენ

ხაზზე, — ჩაიბუზღუნა ვიღაცამ, — გეგონება, ცეცხლი უკიდიაო...

— რა ამბავია, — ფაშფაშა დედაკაცმა ვარდისფერი ცხვირსახოცი აიფარა ცხვირზე.

ჯუმა ბედიას გულზე მოხვდა, გუნება გაუფუჭდა. ავტობუსიდან ჩამოსვლა დააპირა და ამ დროს მაცაცუნას ზურგი იცნო. გოგონა ჩადიოდა. ჯუმა ბედიაც ფეხდაფეხ მიჰყვა და მიეწია.

— ესმა, გამარჯობა! — მკლავზე ხელი სტაცა.

მაცაცუნამ გაკვირვებით მოჰხედა, წარბები აწკიპა, მკლავი განზე წაიღო, რათა ჯაპეიის ხელი მოეშორებინა.

თვალს არ დაუჯერა ჯუმა ბედიამ. ასეთ გასაოცარ მეტამორფოზას ვერც კი წარმოიდგენდა. ხომ არ შევცდიო, შეკოჟმანდა. გოგო, ვისი მკლავიც თამამად ჩაებღუჭა, მაცაცუნა იყო და არც იყო. გოგოს ნაკვთებში მზიან მშვენიერ ნაკვთებს პოულობდა და ეს შეხამება დაამბრძავებელ სიმშვენიერეს ანიჭებდა ამ ცით მოვლენილ არსებას.

— აჰ, ჯუმა, როგორ შემაშინეთ! — გულცივად თქვა გოგომ და გზა განაგრძო.

— ესმა, მოიცადე! რა დაგემართა!— წამოიწია ვაჟი და უჩვეულო მორიდებით გაჰყვა გვერდით.

მაცაცუნას ხმა არ გაუცია. ყელმოღერებული მიდიოდა. ხორბლისფერ ღაწვებზე სიწითლე მოსდებოდა და ეს ფერი ძვირფასი თოჯინის ოსტატურად შერჩეულ ფერს ჰგავდა.

— ესმა, ხმა გამე!.. თუ არ გინდა, მითხარი და გაგშორდები! როდის იყო ასისრეზე გეკიდებოდი?!

მაცაცუნა შედგა. ცივი ღიმილით ახედ-დახედა ჯუმა ბედიას, ზურგი უსიტყვოდ შეაქცია და გაშორდა.

თავგზაარეული ვაჟი ადგილზე დარჩა. შორიდან უყურებდა, რა დიდებულად მიარხევდა მაცაცუნა მოხდენილ მხრებსა და თეძოებს.

ცოფი გულში ჩაიმწყვდია, დენთით სავსე კასრს დაემსგავსა.

„ქუჩის ქალი! გამყიდველი! მოლალატე!..“ — ილანძღებოდა გზადაგზა. გუნებაში ათასნაირ სასჯელს იგონებდა და მაცაცუნასათვის. ინკვიზიციის დილეგების ყველა წამება გაიხსენა, კმაყოფილი მაინც არ იყო.

„პეგასის“ რედაქტორთან ძველი ძმაკაცივით შევიდა. ბატონ გივის თვალები მეხივით ჩასცეროდა. „დიდხანს ვერ გასტანს, — გადაწყვიტა ჯუმა ბედიამ, — ვაითუ მიხვდა და გამომიჭირა, მაშინ ყველაფერი დაიღუპება“. ნანობდა იმ სიანგლუზე, თუმცა ბატონ გივის ეჭვის ნატამალიც არ ეტყობოდა.

ჯუმა ბედიამ ანაბეჭდები წამოიღო. მადლიერებისაგან სულ თაფლად იღვრებოდა და იატაკს თავს ურტყამდა. საკმარისი იყო ენახა გრაგნილზე დაბეჭდილი ტექსტი, უმალ დაავიწყდა წეღანდელი გადაწყვეტილება, არ გამოვაქვეყნებო...

კაბინეტში ჩაიკეტა, დიდხანს კითხულობდა და ასწორებდა კორექტურას. ხან აღტაცებაში მოდიოდა საკუთარი ნიჭიერებით, ხან კი გულმდუღარედ მოისროდა, რადგან, რაც იქ ეწერა, არაროაობა იყო... წუთის შემდეგ მუხლებზე დაფორთხავდა და კრეფდა იატაკზე გაბნეულ ფურცლებს.

ეჭვებმა შეაწუხეს, „პეგასელებიც“ ხომ არ მამასხარავებენო. ტელეფონს დახედა. იმ რეგოლვერსა ჰგავდა, რომლიდანაც ტატოს ესროლა.

ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა. გულს ბაგაბუგი გაუდიოდა.

— გისმენთ!.. ალო, გისმენთ! — მოესმა უკვე ჩვეული ხმა.

— შენ ჯერ კიდე ცოცხალი ხარ? ერთი ინფარქტი არ გეყო, არა? — ხრინწიანი ხმით ჩასჩხავლა.

— რა გინდა, რა გინდა, რა გინდა?! — ისტერიულად იკივლა ყურმილში ხმამ და უცებ ჩურჩულით დაამთავრა, —რა გინდა, რას გადამეკიდე?.. — მერე ზუმერის სწრაფი სიგნალები გაისმა.

ჯემალ ჭირია
მარადი მხედარი

ჯუმა ბედიას ხელი გაუშვია. ყურმილი ფრთხილად დადო, თითქოს ხელყუმბარა ყოფილიყოს და შეიძლება აფეთქებულიყო.

ფიქრი არაფერზე უნდოდა. ნელა ადგა, ფეხაკრეფით გავიდა კაბინეტიდან და კარი გაიკეტა...

●

მოთხრობები დაიბეჭდა. ჟურნალი „პეგასი“ ვერ იქნა, ვერ გასაღდა. კიოსკებში მთელი თვე ეყარა. ჯუმა ბედია ყოველდღე თითო ცალს ყიდულობდა, ჯიბეში გაიჩრიდა, თანაც ისე, რომ ჟურნალის სახელწოდება კარგად გამოჩენილიყო. სამსახურში საწერ მაგიდაზე გადაწლიდა, ეფერებოდა საკუთარი სახელისა და გვარის ანაბეჭდებს. კითხვით კი არ კითხულობდა, რატომღაც ვერ ბედავდა. მთელი დღე მეტს არაფერს აკეთებდა. ნაცნობებიც და უცნობებიც, რომელთაც ათასი სათხოვარი ჰქონდათ განყოფილების გამგესთან, მოჰკრავდნენ თვალს გადაშლილ ჟურნალს და ძალაუნებურად, იქნებ ჩვენი საქმეც წინ წაივიდოთო, თავის მოქონვას იწყებდნენ, ავტორს არწმუნებდნენ, მსგავსი რამ დიდი ხანია არ წაგვიკითხავსო. ჯუმა ბედია სერიოზული სიფათით ერთ-ორ ადგილს გადახსნავდა, აქაოდა არ მომწონსო, რაც თავმდაბლობად ეთვლებოდა.

— რა ვიცი, რა ვიცი... — წუწუნებდა ქვეყნის გასაგონად, — ბევრი ნაკლი აქვს ჩემს მოთხრობებს. რა ვქნა, საჟურნალო ვარიანტია. წიგნისათვის დავხვეწავ და ის იქნება... ეს მაინც განლილი ეტაპია, დღეს მე სხვა რამე მიტაცებს. მასშტაბური რომანი უნდა დავწერო, ვრცელი ეპოპეა, ტეტრალოგია და არანაკლებ... მთელი ჩვენი ცხოვრება უნდა ავსახო გლობალურად. ეს საუკუნე, აი, ასე მიდევს ხელისგულზე, აბა!...

ასეთი გრანდიოზული გეგმა ყოველ მსმენელს თრგუნავდა და პატივისცემის გრძნობით მსჭვალავდა. მის ჩანაფიქრზე ნაირ-ნაირი ჭორი ვრცელდებოდა. ისინიც კი, ვისაც მისი მოთხრობები არაფრად ეპატივცა, ვეღარ ბედავდნენ აზრის გამოთქმას.

მითქმა-მოთქმა ჯუმა ბედიას ყურამდეც აღწევდა და დღე განცხრომაში იღლოდა. საღამოს კი, კვირაში ერთხელ მაინც, ავტომატიდან ურეკავდა „პეგასის“ რედაქტორს: „კვლავ ცოცხალი ხარ? არ ჩაძაღლდი? ინფარქტმა არ მოგიღო ბოლო?..“ შედეგზე არ ფიქრობდა. ორი-სამი დღის შემდეგ მიაკითხავდა „პეგასის“ რედაქციას, სადაც საკმარისად გაშინაურდა. ინკედოტებს თამამად ყვებოდა. ჭადრაკს თამაშობდა შაურიანზე და ყველასთან იგებდა, გარდა რედაქტორისა, რომელსაც ათასნაირი თითლიბაზობით ხიბლავდა. ორი შაურის მოგებით გაბედნიერებული ბატონი გივი შესჩჩიოდა, ვიღაცა უსინდისო არ მასვენებს, ტელეფონით მირეკავს და მემოქმედებაო.

— მტერი მყავს, ბატონო, მტერი! ვიცი მე, ვინც არის! მე მითხრის ორმოს და თვითონვე ჩავარდება შიგ!.. — შუბლზე მოისვამდა ხელს, ბოლო დროს შაკიკი მოუხშირდა.

— ყოველ კაცურ კაცსა ჰყავს მტერი. თქვენი ბარიკადაა თქვენი თანამდებობა, უნდა გაუძლოთ მტრის შემოტევას!

— მე კი ვუძლებ, მაგრამ ეს ოხერი გული... — „პეგასის“ რედაქტორი მკერდზე მიიდებდა ჭაღის და ჯუმა ბედიას ეცოდებოდა კიდეც.

საღამოობით ფეხით დასეირნობდა. „ეს ჩემი რაკეთონია, — ეტყოდა გზად შეყრილ ნაცნობთ, — რა ექნა, ძალიან ვიღლები, ლიტერატურული შრომა თავგანწირვას მოითხოვს!“

შინ დაბრუნების წინ, როგორც წესი, გადაეყრებოდა ვინმე ჭკუით ბეგნიერს, რომელსაც ოღონდ დაბეჭდილი ტექსტი უჩვენე, ეგონება ღვთიურ ჭეშმარიტებას ეზიარაო. წარწერით აჩუქებდა ჯიბეში ტარებისაგან გაქონილ ჟურნალს, ჩემს უძვირფასეს მეგობარსა და დამფასებელს, ავტორისაგანო...

სამსახურში სიტყვას ხომ უბატონოდ ვერავინ უბედავდა, შინ მეზობლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მოწიწებით ექცეოდნენ. აქაოდა, ჩვენს სახლში მწერალი ცხოვრობსო, თანაც „ცნობილიო“, მთელ ქალაქში გაფანტულ ნათესავ-მეგობრებში ესლა ჰქონდათ სალაპარაკო. საქმე იქამდე მივიდა, მომჩივანნი ხალხი აკითხავდა, ცნობილი კაცი ხარ, დაგვეხმარეო... ჯუმა ბედია თავს უკანტურებდა, თუ შეგძელი, ძალას არ დავიშურებო, — პირდებოდა და არაფერს აკეთებდა, აბა, სადა სცალოდა ასეთი წვრილმანებისათვის.

ზოგჯერ კაჭუჭია მოენატრებოდა, ძმური სიყვარულის შემოტევები ისევე იშვიათად მოსდიოდა, როგორც შაკიკი, ბუნებით ხომ ჯანმრთელი იყო, ხალხის თვალში მოსიყვარულე ძმის როლს თამაშობდა. კარზე დაუკაკუნებდა. კაჭუჭია აივანზე გამოდიოდა და იქ საუბრობდნენ. შინ ერთხელაც არ შეუწვევია უფროსი ძმა. რატომღაც დამფრთხალი ჩანდა, ძმას გადაუკრა, ეგება გავბედო და ცოლი შევიროთო. ეტყობა, ცუდ საქმეში ჩაეკვრა ფეხი. ჯუმა ბედიას თვის შეწუხება შეეზარა და არ ჩასძიებია.

ეზოში ბავშვებს კანფეტებს ურიგებდა. ქალაქელი ბავშვების თავგასული სითამამე და აუტანელი ჟრიამული ეჯავრებოდა. ამას ფარავდა. ვითომდა პატარებზე ვგიჟდებიო, ტურტლიან ლოყებზე კოცნიდა, მერე ჩუმად იწმენდდა ტუჩებს. ბავშვებს მისი სიდამწვრის სუნი აწუხებდათ და გაურბოდნენ; სუნიანი მოდისო, — ერთმანეთს გადაუჩურჩულებდნენ და მიმოიფანტებოდნენ. მის ნაჩუქარ კანფეტებს კი ჩუმად ურნაში ყრიდნენ.

შაბათ-კვირაობით საქმე არაფერი ჰქონდა. ძილისა და უსაქმურობისაგან დაღლილი, მთავარ პროსპექტზე მიდიოდა გასასეირნებლად. რუსთაველის პროსპექტი უყვარსო რომ ითქვას, უჩვეულო ამაში არაფერია, ოღონდ ჯუმა ბედიას იგი რაღაცნაირად მტკივნეულად იზიდავდა. ლენინის მოედნიდან რუსთაველის ძეგლამდე გავლას ხუთ-ექვს საათს უნდებოდა. ყველა გზეთის კიოსკში თავს შეჰყოფდა, ეკითხა ყოველ ჯიხურთან ჰიქას დაცლილდა; მუზეუმთან მეტხანს ტრიალებდა, ეგებ ვინმემ შემამჩნიოსო (მერე იმასაც ამბობდნენ, დღე და ღამე მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში იკარგებიდაო); კინოთეატრ „რუსთაველთან“ ვინმე ნაცნობს გამოიჭერდა, ლიტერატურის კარდინალურ პრობლემებზე გამართავდა მსჯელობას და, რასაკვირველია, ქართულ კინოს ზედ მიალანძღავდა. გალერეაში თუ გამოფენა იყო, აუცილებლად შეივლიდა. თუმცა ფერწერა ძილსა გვრიდა, მაინც რეპლიკებს ისროდა ფერზე, კომპოზიციაზე, მანერაზე, სკოლებზე და ასე შემდეგ. ერთი საათი რუსთაველის თეატრთან დადგებოდა, მეორე კი ოპერასთან. არც იქ დადიოდა და არც იქ, მაგრამ იმდენჯერ უნახავთ ამ შენობების წინ, თეატრალის სახელი დაუმკვიდრდა. „აჰ, თეატრი ჩემი სისუსტეა, — იტყოდა ნაცნობთა წრეში, — თუ მოვიცალე, ტრაგედია უნდა შევთხზა... ღმერთო, რატომ არა ვარ მუსიკოსი, ისეთ ოპერას დავწერდი...“ მერე იძახდნენ, ჯუმა ბედია ტრაგედიას წერსო... არც წერგნის მაღაზიებს აკლებდა ყურადღებას, საათობით ფურცლავდა ახალ წიგნებს. გამყიდველებთან ისე გაშინაურდა, არც არასოდეს ყიდულობდა რამეს, პირველ კლიენტად კი ითვლებოდა. რესტორნებს თავს არიდებდა, დღეს რომ დავლიო, ხვალინდელი დღეც გამიცდება და ამდენ დროს ვერ დავკარგავო. დემონსტრაციულად ჯდებოდა კაფე „ნარგიზში“ და მიირთმევდა ბლინებს, ხაჭიმწვარს და ორ ჭიქა მაგარ, უშაქრო ჩაის...

თანდათან ყველა მიეჩვია. ზურგიდან ესმოდა ჩურჩული: „ნუთუ არ იცნობთ?.. ეს ხომ ჯუმა ბედიაა“. ისიც იფერებდა სახელს, თუმცა ეცოტავებოდა. გამვლელთ თვალებში შეჰყურებდა, ვინმე ხომ არ მომესალმებაო. ვინც ოდნავ თავს დაუქნევდა, უმალვე

ჯეჯილ ქირია
მარადი მზედარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშა სალმით პასუხობდა. იმდენ სალამს ამბობდა, რომ ბოლოს თვითონაც ირწმუნა თავისი პოპულარობა...

პროსპექტის ბოლოს რომ გავიდოდა, ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

დიდების ნაყოფს იმკიდა ბედნიერი ჯუმა ბედია... ასედაც ესმოდა ყოველ ნაბიჯზე: „გაიცანით, ბედნიერი ჯუმა ბედია!“

ასე და ამგვარად ამაღლდა იგი... ერთხელ შინ მარტო ბრუნდებოდა. იმ საღამოს ერთ-ერთი სკოლის პიონერებთან მოუწყვეს შეხვედრა. იმდენი აქებ და ადიდეს, გული მთლად გაულხვა, სიხარულით ცას ეწებებოდა. ბედნიერებით მთვრალს სიმღერა მოუნდა და ცოტათი წაუღიღინა.

გვიანი იყო. ოშვიათი გამვლელი გზას უთმობდა, ან მთლად მოპირდაპირე ტროტუარზე გადადიოდა. „მთვრალი ვგონივარ!“ — უფრო გამხიარულდა ჯუმა ბედია და ხმასაც მოუმატა: „ოდელია, ფილოვ-ფელა, ოდელია, რანუნი...“ — გაიძახოდა მოურიდებლად და მართლაც ნაბახუსევს დამსგავსებოდა.

ტროტუარი ვეიწროვდა და შუა ქუჩას დაადგა. შუქნიშნის ქვეშ გაჩერდა, ხითხითი იუტყდა, თითებს ხრიდა და მოგებულ-წაგებას ანგარიშობდა. კარიერის ჭერამდე შორს იყო, მაღალი კიბე უნდა ავევლო ჯერაც. „მითხრობებს წიგნად გამოვცემ... რეცენზიების საქმეს ჩავაწყობ... აქეთ დისერტაციას მივაჩალთლახებ... კანდიდატობა... დოცენტობა... დოქტორობა... პროფესურა... თანამდებობები... მაღლა... მაღლა...“ — ეს ბოლო სიტყვები ხმამაღლა თქვა, რეჩიტატივით. „პირველი საფეხური განვლილია, კარგი სამსახური მაქვს, მაგრამ ჩემი ნიჭის პატრონისათვის... ცოტაა.. „პეგასი“ თუ გავხედე, აი, ღირსეული ასპარეზი!..“

აზრის ლოგიკა აქ გაუწყდა. ცხადი იყო, ბატონ გივის მასზე მეტი წონა და ავტორიტეტი ჰქონდა, ფიქრად არავის მოუვიდოდა თანამდებობიდან მისი მოხსნა... „უნდა მოახერხო!“ — უბრძანა თავს.

ტელეფონის ჯიხურში შევიდა. ორკაპიკიანი არ ჰქონდა, ორშაურიანი არ დაიშურა. დიდხანს ესმოდა გრძელი სიგნალი. იმედი გაუწყდა და ამ დროს ქალის ნამძინარევმა ხმამ ჩაიბუზღუნა:

— ვინა ხართ? რა მოხდა ამ შუაღამისას?

— ჩემი გივიკო შინ არის? — დედაკაცის ხმაზე მოუქცია ჯუმა ბედიამ.

— ვინ ბრძანდებით?

— მისი პირველი ცოლი!

ყურმილი დუმილი ჩამოვარდა. მერე ვიღაცის ჩხეები და კინკლაობა ისმოდა ცოტა ხახს, ოღონდ სიტყვების გარჩევა ჭირდა. ბოლოს გივის გაღიზიანებული ხმა გაისმა:

— ვინ რეკავს?

ჯუმა ბედიამ ხმა კვლავ შეიცვალა:

— რას აკეთებდით, ბატონო გივი?

— რას ვაკეთებდი და ვიწექი, გენაცვალე!

— კუბოში, ბატონო გივი?

იმ ბოლოს უცნაური ხმა გაისმა. კაცი ვერ გაიგებდა, ხრიალებდა ვიღაცა, კვნესოდა თუ რაღაცის თქმას აპირებდა. ტელეფონმა გაიჩხაკუნა, გამოირთო.

ჯუმა ბედია ახითხითდა. დიდხანს იცინოდა, ისტერიულად. ჯიხურის დამტვერილ მინაზე საკუთარ ლანდს შეჰყურებდა და მასთან ერთად იცინოდა. ჰზარავდა სიცილისაგან ორად გახეული სახე და ცოტცოტაობით შიში შეეპარა.

უცვე ხმა ჩაუწყდა. ვიღაცა იდგა ჯიხურის გარეთ. სახე მინაზე მიედო და ფართოდ გახელილი თვალები მისთვის მიეპყრო. დაღვრემილი სახე ეცნაურა ჯუმა ბედიას. სადღაც აქამდე ენახა ჯინსში ჩაცმული, თეთრპერანგიანი ჭაბუკი. სისხლის უზარმაზარი ლაქა ემჩნეოდა პერანგს.

ყელში ბურთი გაეჩხირა, გამოხეთქა ჯიხურის მინის კარი და თავზარდაცემულმა შინისკენ მოკურცხლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტელეფონმა დაიზრიალა. ჯუმა ბედია შლეგივით წამოიჭრა და ისევ ჩაჯდა სავარძელში ჩასძინებოდა. საათზე დაიხედა. სულ ნახევარი საათი ეძინა, მაგრამ ისე ღრმად, თითქოს წუთისოფელს გამოსალმებოდა. ვინ იცის, რამდენი რეკა ტელეფონმა, სანამ ძილს დაეფეთხობდა. ყურმილი აიღო. უკვე გვიანი იყო. ვიღაცას იმედი გაუწყდა.

ეშმაკმა შეაშველა ხელი. ყურმილი მაინც ხელში ეჭირა და არ დაუდვია. დაზეპირებული ნომერი აკრიფა. სულს სიღრმეში იქნებ უნდოდა ტელეფონს ემტყუნა. გაბმულ სიგნალს მიუგდო ყური. არავინ იღებდა ყურმილს. ალბათ შინ არ იქნებიანო, შეგებით ამოისუნთქა და ამ დროს გაიჩხაკუნა, ქალის დაღლილმა ხმამ წარმოთქვა:

— ალო.

ჯუმა ბედია სინდისმა შეაწუხა წამიერ. უმალვე ჩაიხშო და შეცვლილი ხმით იკითხა:

— ბატონი გივი შინ ბრძანდება?

— ბატონ გივის დამბლა დაეცა... — ძლივს უპასუხა ხმამ, მცირე დუმილის შემდეგ კი თითქმის ჩურჩულით დაუმატა, — თქვენ დაღუპეთ... მითხარით მაინც, რა დაგიშავათ?

ჯუმა ბედია თითქოს სისხლისაგან დაიწრიტა და ყურმილი მოწყვეტით დაადგა. უფრო იმან შეძრა, რომ ქალის ხმაში საყვედურის ნატამალიც არ იგრძნობოდა. „ცუდი ვარ, ცუდი...“ — მუშტი მოკუმა და გახურებული შუბლით დაეყრდნო. მეორე წამს კი აბორგდა მისი სული: „ახია მაგაზე, ახია!.. რად წაეპოტინა საჩემო ადგილს, რად გადამიდგა გზაზე!..“

„შენ დაღუპე, შენ დაღუპე!..“ — ჩასძახოდა მშვიდი ხმა და აცოფებდა, დორბლს აყრევინებდა. მოეჩვენა, რომ ფანჯარაზე ვიღაცამ მოკაკუნა. კისერი მოეღრიცა და ისე გაუშვმდა. არავინ იყო. ან ვინ უნდა ყოფილიყო, ვინ ამოაღწევდა ამ სიმაღლეზე. მაინც შიში დაეუფლა და დერეფანში გავარდა.

მდივანმა წინანდებურად გაუღიმა.

— შეფი კაბინეტშია?

— საუბრობს!

დირექტორს არ უყვარდა, როცა საუბრის დროს ხელს უშლიდნენ. შეშფოთებულ ჯუმა ბედიას თავი ვერ მოეთოკა და დირექტორის გუნება-განწყობას არაფრად დაგიდევდათ.

— ახალი ამბავი გეცოდინებათ!

— შენ თუ იმ საბრალო გივიზე გინდა მითხრა, წუხელ გავიგე, — გულგრილად თქვა დირექტორმა, თან შაქარმოყვრილი ხაჭოს ჭამა განაგრძო. ცდილობდა კოვზიდან შაქარი არ გადმოსცვენოდა.

შემოსულისათვის სკამი არ შეუთავაზებია. ჯუმა ბედიამ თვითონ გამოსწია, ზედ დაეტყაპა და გულუბრყვილო სიფათი მიაპყრო დირექტორს.

ასე ისხდნენ ათიოდე წუთს. დირექტორი არ ჩქარობდა. ჯუმა ბედია კი უეიდესი ყურადღებით აღევნებდა თვალს საუზმის ეგზომ დახვეწილ პროცედურას. ბოლოს დირექტორმა მცირედ დაიმორცხვა, კინაღამ ნამეცი გადასცდა, უცოდველი მზერა მიაპყრო ხელქვეითს.

— ისაუზმე?

— რას ფიქრობთ ამ ამბავთან დაკავშირებით? — კითხვა შეუბრუნა ჯუმა ბედიამ.

— რა უნდა ვიფიქრო? კაცს გული სტკიოდა, ინფარქტი ხუმრობაა? დამბლაც ხომ იქვეა ჩასაფრებული... ეჰ, ყოველივე ეს ბუნებრივია ჩვენი ასაკის ადამიანისათვის, — დირექტორს მადაც წაუხდა, გუნებაც. — ჭორი დადის, ვიღაცა სამარეს უთხრიდაო...

ჯუმა ბედიას თავი არ გაუცია, მშვიდად იყდა. დირექტორმა ეტვიანად შეავლო თვალი. აღარაფერი უკითხავს, კვლავ ხაჭოს მიუბრუნდა, ოღონდ ისე უმადოდ ღეჭავდა, თითქოს ხაჭო კი არა, რეზინის ლანჩები ყოფილიყოს.

— აწი რედაქტორად ვერ იმუშავებს, — ამოიხვნეშა ჯუმა ბედიამ.

— ვერა, — თავი გააქნია დირექ-

ტორმა, თან პიჯაზე ჩამოვარდნილი ნამეცეი ორი თითით აიღო და კოხტად მოპრუწულ პირში გადაუძახა.

— აბა, დაიწყებდა ბატალიები მაგისი ადგილისათვის.

— ალბათ, — ისევ დაუმოწმა დირექტორმა, — მაგრამ მე რა?.. აგერ ვზივარ ჩემს სავარძელში მშვენივრად...

— სამაგიეროდ მე არ ვზივარ საჩემო სავარძელში!

დირექტორმა ერთხანს ჩუმად უყურა, ხმის ამოღება დააყოვნა. ჯუმა ბედია თანდათან ფიცხდებოდა, ოღონდ დირექტორის ნამეტან გაღიზიანებას ერიდებოდა.

— მე მეგონა, მაშინ იხუმრე, — გულწრფელი გაოცებით თქვა დირექტორმა.

— რა დროს ხუმრობაა, ბატონო...

— მაგრამ მე რა შემიძლია?

— როგორც გინდათ, — ჯუმა ბედიამ წამოიწია, მაინცდამაინც არ აჩქარებული, — თუ გსურთ გყავდეთ ჩემისთანა თანამშრომელი, აგერა ვარ... კაცი, რომელმაც ყოველთვის ყველაფერი იცის, ეს მე ვარ! — საჩვენებელი თითი მკერდზე იტაკა და დამარცვლა, — ყოველთვის ყველაფერი!

— კარგი რა, ჯუმა, რა ისეთი დიდი კაცი მე მნახე, სხვათა ბედი განვაგო...

— ეგ როგორც გენებოთ, — გაიწყვეტინა ჯუმა ბედიამ, — სხვათა შორის, ხომ წაიკითხეთ ახალგაზრდა კრიტიკოსის ჯანო ჩიკინტილაძის წერილი ჩემს მოთხრობებზე?

— მე მაინც რას მატყუებ, შვილოსა, იმ ჯანო ჩიკინტილაძესთან საქმე ჩაწყვე და... ჩიკინტილაძესთან კი არა, ღმერთთან ჩამიწყვია, ჯელი რომ ვიყავი.

— ჰოდა, ახლაც ხელგაწიფებათ!

— ეშმაკი ხარ, ჯუმა ბედია, ეშმაკი! — თითი დაუქნია დირექტორმა, — მარა ცოლიანი ბიჭი უნდა იყო. მარტოხელა კაცს, ხომ იცი, ნაკლები ნდობა აქვს, რესპექტაბელობა აკლია...

— ერთი თვეში დავქორწინდები!

— ჰო? კაი, კაი, დამასვენე აწი!

ჯუმა ბედია კარს მიღწეულა, როცა დირექტორმა ბოლო სიტყვა მიაძახა, გულზე გასახეთქი.

— ის მაინც ინახულე, ჯუმა, ის ცოდვით სავსე გოგო. არა ხარ მასთან მართალი, კაი კაცი არა ხარ შენ!

ჯუმა ბედიამ კბილები გაიღრჭიალა... ერთი საათის შემდეგ მაინც საავადმყოფოში იყო.

პალატაში ძლივს შეაღწია.

ავადმყოფი დაჩიავებული მოეჩვენა. საკმაოდ სახიერი კაცი, ბატონი გივი, ახლა საწოლს არ ემჩნეოდა. სახის კანი ყვრიმალებს გადაჰკვროდა. თვალები ღრმა ფოსოებიდან ისე იყურებოდნენ, როგორც ბუ მღვიმიდან.

— თავს როგორა გრძნობთ, ბატონო გივი? — ზრდილობისათვის შეეკითხა.

— ღუ-ღუ-ღუ... — დუღს ხრიალი ამოაყოლა ავადმყოფმა და განაწამები მზერა აარიდა.

ჯუმა ბედია გაშრა. მიხვდა, ავადმყოფმა ყველაფერი იცოდა, მაგრამ დამბლადაცემულს არ შეეძლო შური ეძია...

საავადმყოფოდან რომ ბრუნდებოდა, ფიქრში ერეკებოდა საკუთარ თავს: „სწრაფად, სწრაფად!.. რომ გამოჯანმრთელდეს, ხომ დაიღუპე, ქვეყანას მოსდებს!... ცოლს შევირთავ, გავრეფავ ტორდები, კრინტს ჩავაწყვეტინებ...“

ყველაფერი უცბად გადაწყვიტა. მზიას გამოჯანმრთელებას ვერ დაელოდებოდა, ან კი გამოჯანმრთელდებოდა? გული დაეთრგუნა. მაცაცუნას საძებრად ქვეყანა შეყარა. უნივერსიტეტის კორპუსები დაიარა. თანაკურსელებმა, დღეს თვალი არ მოგვიკრავსო. სულაც რომ არ მოელოდა, მაშინ წაანწყდა. პირველი კორპუსის კიბეზე იდგა და ორ ბიჭთან ლაზღანდარობდა. თმა ხელახლა შეეღება, ახლებურად დაეყენებინა, ქუთუთოები შავი ფანქრით მოეთხუპნა და თოჯინის დამსგავსებოდა. მშვენიერი ნაკვთები, მზიას სახის ნაკვთები, მაინც ვერ გაეფუჭებინა. ეს მსგავსება მზიასთან ახელებდა ჯუმა ბედიას. ის, რაც მზიას სიფშვნილეს ამ-

ელავნებდა, მაცაცუნასთან სისხლს უმღვრევდა ჭაბუკს.

ჯუმა ბედია მოურიდებლად ჩადგა ბიჭებში. უნდოდა მოულოდნელი და ექსცენტრული გამოჩენით დაებინა გოგო, მაგრამ მაცაცუნას არც გაჰკვირვებია, უცნობ ბიჭს მკლავზე ჩამოეკიდა, აეტმასნა, თანაც თვალებს აჟუჟუნებდა.

— აჰ, ბატონო ჯუმა, თქვენ თურმე მთელი დღე მეძებდით! რა მოხდა ისეთი? კურსის გოგოები გაგიგიეებიან!..

ჯუმა ბედიას აღშფოთებისაგან სუნთქვა შეეკრა. პასუხი უცბად ვერ მოისაზრა, უხეშად სტაცა მკლავზე ხელი და ბიჭს მოაშორა.

— ისე მელაპარაკები, წერას აუტანხარ! წ�მოდი ახლავე!

ბიჭები აიმრიზნენ. ჯუმა ბედიას მათთვის ყურადღება არ მიუქცევია, გოგო თითქმის ძალით ჩამოიყვანა კიბეზე.

მაცაცუნა თუმცა დაფრთხა, ისტერიკს მაინც არ იტეხდა.

— ხომ არ დაეჩვევ, ჯუმა ბედია, ბინაში ჩემს ტარიბას? არ გამოგივა, იცოდე, შენებურად!

— თუ არ გამომივა, იმასაც ენახავთ! — გულღრძოდ შეეპასუხა.

მხოლოდ კიბის ბოლოს წამოეწია ბიჭის ხმა:

— მეგობარო, ერთი წუთით! — ყმაწვილს რაინდულმა გრძნობებმა ხმა ამოაღებინეს. მეორე ბიჭიც ნაცემიეთ იდგა და აქეთ იყურებოდა.

— რა იყო, გენაცვალე?! — მუქარით შეეკითხა ჯუმა ბედია. უკვე იცოდა, უხეშობით უფრო ადვილად გააღწევდა ფონს.

ბიჭი შემკთალი უყურებდა, რაღაცის თქმა დააპირა. ჯუმა ბედიამ დემონსტრაციულად შეაქცია ზურგი და მაცაცუნა თან გაიტაცა.

— ესენია შენი ძმაკაცები?.. ლაწირაკები!

— რა გინდა, ბავშვებია... — მაცაცუნას ხმაში, მუდარა. გაისმა.

ჯუმა ბედიამ პასუხი არ აღირსა.

უნივერსიტეტის ბაღში შეგიდნენ.. ბეღურა ჩამოჯდა წყაროს კიბეზე. საქმიანად აიტაცა წვეთი, თავი ბაღლა აიღო, მოახლოებულ ახალგაზრდებს ეჭვიანად შეხედა და შეიფრთხიალა.

ჯუმა ბედია მოლბა. მაცაცუნაც დამშვიდდა.

— მე არ მცალია, არ წამოვალ... თუ რამე გინდოდა...

ჯუმა ბედია ხის მორზე ჩამოჯდა. გოგო არ მოუპატიჟებია. თავდახრილი იჯდა და მხოლოდ მაცაცუნას ბლაგვცხვირა ფეხსაცმელს ხედავდა. მზია მოაგონდა და ამ გახსენებამ გულის იარა გაუშიშვლა. ის კვდებოდა, ის თანდათან ქრებოდა ყველასათვის უცნობი ავადმყოფობით და ამქვეყნად ტოვებდა გულმოკლულ ჯუმა ბედიას.. სიცოცხლე მაინც საჭირო იყო. წინ დიდი საქმეები მოელოდა და გული უნდა მოეთოკა.

— ესმა, — ხმადაბლა თქვა და მაცაცუნას მღელვარებისაგან სახე მოექცა, წითლად აუფეთვდა, — ესმა...

სმენა უკვე გადაეჩვია ალერსიან ხმას და მაცაცუნა მთორახის შხუილს უფრო მოელოდა. დაიბნა, ძარღვებში კვლავ ის უჩვეულო, ყოვლისმომცველი ვნება ჩაეღვარა და წამიდან წამზე ღონე ეცლებოდა. ამ ჭაბუკს კი, ვინ იცის, რა სატანჯველი მოემზადებინა კიდევ მისთვის.

— ესმა, უნდა გიხოვო... მე და შენ დღესვე წავიდეთ ქორწინების სახლში... საბუთები შევიტანოთ, ჩემი გოგო...

მაცაცუნას ბაგე აუკანკალდა. თვალები ცრემლებით აეესო. უცებ მუხლებზე დაიშვა ჯუმა ბედიას წრნაშე და ხელები მაჯებზე სტაცა.

— რატომ დამცინი, რატომ?! რა დამიშავებია შენთვის?!

ჯუმა ბედია დაიბნა წამიერ. გაკვირვებით შეხედა მოტირალს. ირგვლივაც მიმოიხედა, მოსეირნეების ყურადღება იგრძნო და გოგოს მხრებში ჩაეჭიდა, წამოაყენა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— გონს მოდი! ვინ დაგცინის?! ახლავე წავიდეთ, თუ პასპორტი თანა გაქვს!

მაცაცუნამ მკერდზე ხელი ჰკრა, მოიშორა.

— არა!

— რა არა? — ვერ გაიგო ჯუმა ბედიამ.

— არა-მეთქი, არ მინდიხარ, მძულხარ, როგორ ვერ გაიგე, მძულხარ!...

— ესმა!

— გაწყდა თქვენი სინისლა, ბედიებო, გაწყდა!..

— გაჩუმდი!

— ვრცხვენია? არავინ გაიგოს?... ბატონო მწერალო, ბატონო მეცნიერო, რედაქტორო! რაში მჭირდები?! მამაკაცი არა ხარ!...

ჯუმა ბედია გაფითრდა, ხელი ასწია.

— დამარტყი! ყველამ ნახოს, რა ვაჟკაცია ხარ, დამარტყი!

ჯუმა ბედიამ ტუჩი ჩაიკვნიტა, ერჩივნა, მიწა გახეთქოდა.

—მორჩი ისტერიკას, გეთაყვა, — შეეცადა მოელბო.

— ხელის გარტყმასაც ვერ ბედავ, რა ვაჟკაცი ხარ?!

მთომნინების ფიალა აევსო. ხელკავი გაუყარა, ძალით გაიყოლია გვერდით, თან სახეზე ღიმილი აისახა, ვითომდა, რაც მოხდა, ხუმრობა იყოო.

მაცაცუნას ღონე გამოელია, სუსტ წინააღმდეგობას უწევდა, ჩუმად ტიროდა... წამწამებიდან ჩამორეცხილმა საღებავმა სახე მოუთხუპნა. ჯუმა ბედიამ გაქაქანებული ცხვირსახოცი მიაწოდა. მაცაცუნამ სახე აარიდა. ვაჟმა მზრუნველად მოსწმინდა პირი და ცხვირიც... მაშინ კი ხმამაღლა აქვითინდა განიარაღებული გოგო. ემწარა ეს უჩვეულო ალერსი...

ასე ჩაიყვანა კიბეზე, მერე ვარაზისხვეით დაეშვნენ გმირთა მოედანზე. იქ ტაქსი გააჩერა და ორიოდე წუთში ჭრიბოედოვის ძეგლთან გაჩდნენ...

ჟურნალ „პეგასის“ რედაქცია ისეთ შენობაში იყო მოთავსებული, შორიდან პართენონს მოგაგონებდათ. მძლავრ კოლონადას ეჭირა გირლიანდებით მოჭარგული მძიმე კარნიზი. შესასვლელთან ორი დატანჯული ატლანტი იდგა. კუნთებდაბერილებს ბეტონისაგან ჩამოსხმული გადაშლილი წიგნისათვის შეედგათ მხრები.

აქედან იწყებოდა სპარადო კიბე, რომელიც არსაით არ უხვევდა და ისე ადიოდა მესამე სართულზე. საფეხურები ისეთი პრიალა მარმარილოსი გახლდათ, გამოუცდელ კაცს უთუოდ ფეხი დაუცდებოდა. იქიდან ჩამოგორებულს კი იმვიათად თუ შერჩებოდა მთელი ნეკი.

ჯუმა ბედია შავი „ვოლგიდან“ მანამდე არ ჩამობრძანდა, სანამ მძღოლმა მანქანას არ შემოუარა, კარი გამოუღო და ქუდმოხდილი აისვეტა.

ძლივს გამოეტია. თუმცა წონით ბოლო დროს არ შეცვლილა, სიამაყე ხომ წონას მატებს ადამიანს. დინჯად, დარბაისლურად გადაკვეთა ხალხმრავალი ტროტუარი.

— ბატონო რედაქტორო!

კიბის პირველ საფეხურზე ლიტმუშაკი კვინტილიანე იდგა. ჯუმა ბედიამ იგი ისე შეათვალიერა, თითქოს უხარისხო სათვალეში იცქირებოდა. დაჩიავებული ეჩვენა. წინათ, როდესაც ჯუმა ბედია დამწყები ავტორი იყო, ლიტმუშაკი კვინტილიანე უფრო მაღალი და ბეჭებგბრტყელი ჩანდა. მერე ჯუმა ბედია პოეზიის განყოფილების გამგე გახდა ცნობილ გამომცემლობაში და ლიტმუშაკი ჩემზე მაღალი არ ყოფილაო, გაიფიქრა. ახლა კი მხრებამდეც ვერ წვდებოდა. ჯუმა ბედიას არ ესიამოვნა ასეთი ცვლილება, თათი ზიზღით ჩააწოდა, ლიტმუშაკი კვინტილიანე ორივე ხელით დააცხრა მის ულონო ხელს.

— ბედნიერი ვართ, ბატონო ჯუმა! თქვენი მეთაურობით ჩვენი ჟურნალი არნახულ სიმაღლეებს მიაღწევს!

ეს კი გულზე მოეფონა ჯუმა ბედიას, ზიზღი გაუხელა.

— ლიფტი აქეთ არის, ბატონო რედაქტორო, კიბეზე დაიღლებით!

ჯუმა ბედიამ მხარზე ხელი მოუთათუნა. ახლა უკვე მოსწონდა. ჯუმა ბედიას გვერდით მართლაც ცეროდენა ჩანდა. მხრებში მოხრილიყო, ზურგი კუზივით ამობურცოდა, ისე იხრებოდა, თითქმის მარმარილოს საფეხურს უკაკუნებდა შუბლს... დიახაც, ჯუმა ბედია თავის ხელქვეითებში ვერ მოითმენდა თავისუნ მაღალს.

— კიბე მირჩევნია, — წაიდუდუნა და ერთხელაც მოუთათუნა მხარზე ხელი. ლიტბუშაკი კვინტილიანე სიამოვნებისაგან გაინაბა. ორივე ხელი შეაშველა რედაქტორს, ფეხი არ დაუცდეს და არ დავიღუპოთო. ასე ანარეკლივით მიჰყვებოდა დღეიდან რედაქტორის ბურჯი, მისი საყრდენი...

ჯუმა ბედიას მხრები ფართოდ და ლაღად გაეშალა, ფილტვები ჰაერით ავსო, რათა უფრო წარმოსადეგი და ბრგე გამოჩენილიყო. დინჯად ადიოდა მარმარილოს ბრწყინვალე კიბეზე, რომელსაც იგი რედაქტორის რბილ სავარძლამდე მიჰყავდა...

3 ა ნ ო (ი (((

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილებას, ყველა თეორიას. კვლავ და კვლავ იბადებოდა მის სულში მარადიული კითხვა: ბოროტი იყო ყოველი თუ კეთილი?...

უტყვი ვარსკვლავეთი, — ათასნაირი ცხოველებით, გმირებით, ლეგენდებით დასახლებული ღამეული ზეცა მუდამ სიკვდილზე და სიცოცხლეზე აფიქრებდა მზეჭაბუკ ბედიას... შემოდგომის ერთ თბილ საღამოს ჭილობზე იწვა თავის ეზოში. მაშინ პატარა იყო, რაღაც ზღაპარს კითხულობდა. ალბათ დაიღალა, მოითენთა, ძილმა წასძლია და როცა გამოეღვიძა, ციდან ფერადი ფანტელებივით ცვიოდნენ ვარსკვლავები და თვითონაც მიცურავდა უსაზღვრო სივრცეში... მაშინ ატირდა პატარა მზეჭაბუკი, შეშინდა... დედის ხმა მოესმა, ბავშვი ხომ არ დაიკამო, მოირბინა, მის თავთან დაიხარა. სიბნელეში არც ჩანდა, მაგრამ დედის ხელებს თბილი სურნელი ასდიოდა...

შედეგ კი, უკვე სიყმაწვილეში, ასტრონომიის მასწავლებელმა უჩვენა ღამეული ცა და ჩამოუთვალა: ეს დიდი დათვიანი, ის — პატარა, აგერ პოლარული ვარსკვლავი კაშკაშებსო. მთელი ზოოპარკია ცაზეო. თუ გნებავთ ფოცხვერი ეგერაალ, პატარა ლომიც და ჩვეულებრივი ლომიც ზედ ჰორიზონტთან ჩანსო. მწევრებიც, არწივიც და დედოფალიცო, აგერა მენახირეო... არ დაიჯერა! დაიმახსოვრა, ასე რომ ერქვათ, მაგრამ ყოველ თანავარსკვლავედს სხვა სახელს უძებნიდა; თავისი ძმების, დედის, მამის, მეგობრების სახელებს არქმევდა. დიდი დათვის ვარსკვლავ მიცარს ფაციკოს ეძახდა და ნასიამოვნები გოგონა კისკისებდა და კისკისებდა... თუმცა ანდრომედა მოსწონდა, ბერენიკეს თმებიც... პერსევსს ითმენდა, როგორც მეტოქეს...

ახლა თავზეკით მთელი სამყარო გადმომხობოდა და ალარ სურდა ადამიანთა სახელები ეწოდებინა მოციმციმე ვარსკვლავთათვის. მისთვის ზეცა ისევ ის უბიწო ცხოველებით დასახლდა, რომელთა განდევნას სიყმაწვილის ჟამს ცდილობდა... დიდი დათვი გისწორებდა, მომეწყდეფენი ნამდვილი დათვივით იქნებედა ტორს, ოღონდ ვერავის ვერაფერს ავნებდა, პატარა დათუნია დედასავან მიგვანგვალებდა, თუმცა გველეშაპის ვარსკვლავედისა ეშინოდა, გვერდს ვერ უქცევდა... მწევრებს დიდი დათვის კვალი აეღოთ, იქნებ პატარა ლომისა, რომელიც შიშნეულად გარბოდა ცის კიდეზე უშფოთველად წამოწოლილი ცხოველთა მეფისაკენ... ფოცხვერი ალბათ ყირაფს ჩასაფრებოდა... არწივი უთვალთვალებდა გველს, დელფინს, არ იცოდა, რომელს დასცემოდა თავზე... გველისმჭამელი გველს ასდევნებოდა და ეჯა, მილიარდი წლები გრძელდება უსასრულო სრბოლა...

ანაზდად გამოერკვა. ვარსკვლავეთით მოჯადოებულს ჩასთვლემოდა. სამყაროო ვერ იცნო. თეთრ სივრცეში ვარდებოდა. დასავლეთის ცისკიდურზე აკათქათებულმა მნათობმა ქვეყანა თეთრად გადასუდრა და ამ სითეთრეში, როგორც თვალუწვდენელ ჰოსპიტალში, მიცურავდა გულით დაკოდილი მზეჭაბუკ ბედია; ჩქარი ნიავის ფრთებზე მიექანებოდა მნათობისაკენ...

მთვარე დაბრძანდა სამეფო ტახტზე და მიანაცვა, ჩაეკრო ვარსკვლავები. კაშკაშა სხივმა გასასპეტაკა ღრუბელთა დაუსრულებელი ქარავანები, რომელთაც აქაიქ არანაკლებ სპეტაკ მთათა თოვლიანი მწვერვალები არღვევდნენ.

კვლავ ამოტივტივდა აკვიატებული აზრი: ბოროტი იყო ყოველი თუ კეთილი?.. პასუხი არ მოდიოდა!

ცხოვრებით გალაღებული, კარგად დანაყრებული ობივატელის სახეს ჰგავდა გაბადრული მთვარე, ლენინური ღიმილით დაჰყურებდა ყველას და ყველაფერს... მაგრამ, დაეკვირდა მზეჭაბუკ ბედია და, სახედაღარული, მარადიულობისაგან დაღლილი, მტკრიანი, გადახრუკული ბერიკაცი წრმოოუდგა თვალწინ... ვრცელი უდაბნოები, კლდეები, უფსკრულები, რომელთაც ზღვების, მდინარეების, ოკეანეების სახელები ჰქვიოთ... ნაყვავილარივით მიმოფანტუ-

ლი კრატერები, სადაც მარადიული სიკვდილი სუფევს... სიცრუე იყო ყოველგვე, რადგან წვეთი წყალიც არ მოიძებებოდა ზღვასა და ოკეანეში, ერთი ვარდიც არ ჰყვაოდა მთათა კალთებზე, ნიავიც არასოდეს დაიქროლებდა ხეობებსა და უფსკრულებში...

სახედაღარული, დაღლილი მთვარე მიცურავდა ზეცაზე, თოვლივით ქათქათა, ცივ სხივებს ჰფენდა გარემოს, რომლის ცენტრი მზეჭაბუკ ბედია იყო...

შესცივდა. დიდი ხანია სცოდა, იმ წუთიდან, როცა ქალაქს განშორდა. აქამდე არ გრძნობდა ამას, ახლა კი მიხვდა, სიცივე თვით სულში შემოსულიყო...

მთვარე კი ზიდზედ აქრობდა ვარსკვლავებს, როგორც ბეჯითი კამერდინერი მარადიული სასახლის უთვალავ სანთლებს.

დაქანცული მზეჭაბუკ ბედია ძილს ებრძოდა. ბუერაში ეგდე ცას მოწყვეტილიყო, ან ღრუბლებიდან დაშნასავით ამოშვერილ მწვერვალებს შეხეთქებოდა, ანდა, ვინ იცის, სად წაიღებდა ეს ცივი ქარი, თავის ფრთებზე რომ მიაქროლებდა. იქნებ არც ჰქონდა ამ ქარს დასაბამი, ასე ქროდა დღიდან დედამიწის დაბადებისა. ვერასოდეს დაადწევდა თავს მის ცივ ხვევნას... მწუხარე ფიქრი ძილში ჩაჰყვა მზეჭაბუკ ბედიას... ეგონა, ფხიზლად მივფრინავ თეთრად გაცრეცილ ცაზეო. თვალი კი უკვე დაეხუჭა, სიხმარში ხედავდა ბუმბერაზის მოჭრილ თავს — მთვარეს, რომელსაც მთელი ზეცა ეკავა, მისი დაღარული სახე კი მარადიული ტკივილებისაგან ალოკალიფსური ხმით ჰკიოდა.

შეძრწუნდა მზეჭაბუკ ბედია. მიხვდა, რომ მისი საკუთარი გული ჰკიოდა ასე. მარადიული ტანჯვისათვის მოვლენოდა იგიც ქვეყნიერებას...

გამოფხიზლდა.

ის სამყაროს გუმბათქვეშ, მოცისფრო სფეროში მიფრინავდა. ირსად ჩანდა წამებული მთვარე, ვარსკვლავები კი სათითაოდ ქრებოდნენ. ქვევით გაუურსულიყო უკიდეგანო ზღვა და ჩაეფინა შფოთით უსმენდა შორეული ეტლის გრიალს; მეწამული ცისკიდურის მიღმა ფრთა აეტყორცნა ამომავალ მზეს.

შემობრუნდა მზეჭაბუკ ბედია, გაეცა მრუმე ნაპირს და მის მიღმა გაშლილ ქვეყანას, სადაც უთვალავი ქალაქი და სოფელი მიმობნეულიყო... ვრცელ კოლხეთს ზღუდედ შემორტყმოდა თოვლიანი, მზის სხივებზე აელვარებული მარადი კავკასიონი...

●

თვე გავიდა, მერე მეორეც. მზეჭაბუკ ბედია ყოველ ცისმარე ჩაის პლატიკიაში მიდიოდა და საღამომდე იქ რჩებოდა. არც უქმე იცოდა, არც დღესასწაული. გზაში არავის დაელაპარაკებოდა, იქ კი ყველასაგან განმარტოებული შეუსვენებლად მუშაობდა. საათიც არ უნდოდა კალთის გავსებას. ხუთიოდე წუთი ფარდულამდე მის მიტანას და დაცლას ჭირდებოდა და ისევ განაგრძობდა კრეფას... მის მოძრაობაში იყო რაღაც აჩემებული, არაბუნებრივი... პირველად მამა შეეხვეწა, ცოტა მაინც შეისვენო, მზეჭაბუკმა პირქუშად შეხედა და არაფერი თქვა. ბოდიო ბედიას ხმა ჩაუწყდა და მას შემდეგ უხმოდ, ერთგვარი შიშით უყურებდა შვილს....

ამინდი საგანგებო იდგა, ორი თვე ღრუბლის ფთილა არ გამოჩენილა ცაზე. თუმცა სიცხემ იკლო, ჩანდა ზამთარს დადგომა არ ეწერა. მზეჭაბუკი ნეტარებდა. არ დაბრუნებულა წინანდელი გელუბარყვილო, ბავშვური სილღე, მაგრამ თავს სულ სხვანაირად გრძნობდა, ჩვეულ და ამავე დროს უჩვეულო სამყაროში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მის დასაწყნარებლად შეექმნათ: ცხოვრობდა მინის გამჭვირვალე სფეროში. ერთი მხრივ, ხასხასა მწვანე დედამიწა ერტყა, მისი პლანტაციებით, ქარსაცავი ზოლებით, ბაღ-ვე-

ჯემალ ჟირია
მარადი მზედარე

ნახებით, თუნუქის წითელი სახურავებით, მეორე მხრივ კი — ზევიდან, ცისფერი მინის უზარმაზარი ხუფი ეხურა... ყველაფერი გამშვირვალე და ბუნდოვანი იყო ამ სამყაროში. ფერები სულში ეღვრებოდა, ჰაერში ეკიდა რაღაც უთქმელი ბგერები, მზისა და ყვავილთა სურნელება... მეხსიერება კი... მეხსიერება გადაიკეტა იმ დღეს, როდესაც პირველი ყლორტი მოწყვეტა ჩაის ბუჩქზე.

მხოლოდ საღამოობით ეუფლებოდა გაურკვეველი მღელვარება, თვითონაც არ იცოდა, რატომ, შინისკენ ფეხებს ძლივს მითრევედა. დილას თუ არავის ემშვიდობებოდა, არც საღამოს ამბობდა სალამს. ელოდა, როდის მოიწევედნენ ტაბლასთან. გვიანობამდე რჩებოდა სამზადში, უჭირდა ოდის კიბეზე ასვლა. მერე ჩაწვებოდა ლოგინში, თავზე წამოიხურავდა საბანს და თითქოს ჭიანჭველების ჯარი შემოესიაო, აფუთფუთდებოდა ექვი, რომელსაც ძალუმად დევნნდა... მეზობელი ოთახიდან მთელი ღამე შემოდიოდა სულით ავადმყოფი ჩათუ-ბების გიჟური ჩვენებები... აცხოველებდა მზეპაბუკის ფიქრსაც, ახსენებდა ქალაქს, ძმებს, ტატოს, მზიას, ყველას, ვის დავიწყებასაც ცდილობდა...

ას წელს გადაცილებული ჩათუ-ბების გაბავშვება არავის უკვირდა... ოდროდ კი იყო შორეულ გზაზე დადგომისა. მზეპაბუკს უყვარდა ბებია და ამიტომაც იმეტებდა. არ შეეძლო იმის ყურება, თუ როგორ ბავშვდებოდა დედაბერი, როგორ მალავდა ჯიბეში კანფეტებსა და შავ ხურდას, როგორ წუწუნებდა უაზროდ... არ შეეძლო მოესმინა უფროსების თუნდაც უბოროტო ხუმრობა დედაბრის ჭაუდამთხეველობაზე... ეს ქალი უკვე არ იყო ჩათუ-ბები, მის მიხრწნილ გვამში სხვა სული ჩასახლდა, დაშინებული, დაკნინებული, სიგიჟის სენით შეპყრობილი...

ღამე კი მიიზლაზნებოდა, არ თავდებოდა... სახლი ბნელს მოეცვა. ჩუმდებოდა ბაყაყი, ჩუმდებოდა ჭრიჭინავნელა, ალარ ყეფდნენ ძაღლები, ალარ ისმოდა საქონლის ფშვინვა, არც ქათმების ყიტყიტები... ქურდის დრო დგებოდა... ალარ ახსოვდა როდის იძირებოდა ძილში, როდის გამოდიოდა ძილქუშიდან... ეგონა, სულ არ მიძინიაო. ამასობაში იყივლებდა მამალი, გაიცრიცებოდა ბინდი, გამოიკვეთებოდა საგნები, ფანჯრის მიღმა კი ჩანდა ერთი და ივგეტატი, დილის ნამით დამძიმებული ფოთლებით... იატაკზე შიშველი ფეხებით გაიფლატუნებდა ბოდღონ ბედია, აკრუსუნდებოდა თათუშა, ეზარებოდა თბილი ლოგინის დატოვება... პერანგის ამარა მზეპაბუკი გამოვიდოდა იივანზე, ერთი გადახედავდა მზით გაბრწყინებულ, ცვრით ნაბან ქვეყანას და კალათას დაავლებდა ხელს...

მერე ჩაის კრეფის სეზონი დამთავრდა...

ერთ საღამოს, ჩუმი ვახშმის შემდეგ წამოკრიფა თავისი ლოგინი და ბოძკინტებზე შეჭედარ ნალიანში შეძვრა. მოსავალი ჯერ დაბინავებული არ ჰქონდათ. კუთხეში შარშანდელი სამინდი ეყარა; ჭერზე შარშანდელი პილპილის, ნივრის, ხახვის, ზაფრანის კონები ეკიდა და სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა. აქ დაიგო ლოგინი. კარს ურდულის მაგიერ ძალაყინი გაუყარა და წამოგორდა.

„ვაიმე, მთლად დამეღუპა შვილი!“— მკერდზე მჯიღი იკრა თათუშამ. ქმარმა დაუცაცხანა, რისი გეშინია, წინათაც ხომ ხშირად უთევია იქ ღამეო.

მზეპაბუკი კი იწვა სრულ სიბნელეში, პირველყოფილ მდუმარებაში, რომელსაც სოფლის შორეული ხმები თუ არღვევდა.

ვერც კი გაიგო, როდის ჩაეძინა...

სიწყნარემ გამოაღვიძა. არაჩვეულებრივი სიწყნარე იდგა. თვალზე ხელი მოისვა, თანდათან შეეჩვია სიბნელეს. გაიხსენა, რომ თავის საწოლში არ წევს. უჩვეულო ძდუმარებამ შიში მოჰგვარა.

გასუსული იწვა საბანში, განძრევას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრთხოდა. თანდათან რაღაც მღვრიე ტალღა შემოიჭრა წმინდა მდუმარებაში, ააშფოთა. მოეჩვენა, რომ მის გვერდით ვიღაცა ბუტბუტებდა. სუნთქვა შეეკრა, თავი წამოსწია. ბუტბუტი აშკარად მოესმა, ოღონდ გარედან.

სობანი ფრთხილად მოიგდო მხრებზე და კედლთან მიცოცდა, ძელებს შორის საჰაეროდ დატოვებულ ჭრილში გაიხედა.

გარეთაც ბნელოდა. მაინც შეიძლებოდა ეზო-ბაღის გრაგნილის ან ოდასახლის სახურავის შავი სილუეტის გარჩევა. გუმანითაც ხედებოდა, სად რა იყო და ამიტომ ეგონა, ვხედავო. შიშისაგან თმა აებურძგნა. იქვე, ნალიის ძირას თეთრი ლაქა ჩანდა, მისგან მოისმოდა ყრუ, გაუგებარი დუდღუნი.

თეთრი ლაქა ნელი მოძრაობით ტრიალებდა, მერე დაიძრა, ეზოში იფარფატა. რაც უფრო შორს მიდიოდა, მით უფრო სუსტად ისმოდა გაუგებარი ბუტბუტი. მალე სიბნელეს შეერია, თუმცა მზეკაბუკს ეჩვენებოდა, რომ ხედავდა ტრიფოლიატის კუთხეში.

უცბად ეზოს ბოლოს გაისმა მკახე სიცილი და უმალვე ჩაქრა. მზეკაბუკს გულმა ბრაგუნი დაიწყო, სისხლი სცემდა საფეთქლებში, სუნთქვა შეეკრა. ხელი მოაფათური, სადმე წალდი ხომ არ აგდიოო. შემოსასვლელი ერთხელაც შეამოწმა, ძალაყინი უფრო გაამაგრა.

თეთრი ლაქა კვლავ მობრუნდა, — მოფარფატებდა და რაღაცას ბუტბუტებდა. სუსტად დაეტაკა ბოძს, რომელზეც ნალია იდგა, დაეჯაჯგურა. ოთხივე ბოძი მაგრად იყო ჩარჭობილი, ვერ მოერია, ისევ გიჟახუპანა უსამოვნოდ. მეორე ბოძს დაეპიდა, მერე მესამეს, მეოთხეს...

„კიბეს ვერ ამჩნევს“, — ოფლმა დასცხა ყმაწვილს.

თეთრი ლაქა მცირე ხანს ბუტკუტუნებდა რაღაც გაუგებარს, უახროს, გიჟურს. შემდეგ ეზოს შორეულ კუთხეს მიაშურა და დაიკარგა. მისმა გაუჩინარებამ მზეკაბუკი ვერ დაამშვიდა. ძილი საბოლოოდ დაუფრთხა. იჯდა სათვალთვალო ადგილზე და ფრანგულად ათვალიერებდა ეზოს.

მამლის ყივილზე ირიჟრაჟა. წასთვლიმა, ძილი მოეძალა. კედელთან მიკუნტულს ეძინა.. ეზოს გამოცოცხლება არ გაუგონია. ბოდღო ბედიამ ქაბარში წალდი გაირჯო, ფიჩხის მოსაგებლად წავიდა ახლო ტყეში, თათუშა დილის საქმეებს შეუდგა... მზეკ აიწია. ბავშვს გავალვიძებო, იფიქრა, მაგრამ პირქუში მზეკაბუკი უკვე ჩამოდიოდა ნალიის კიბეზე...

უხმოდ დაუქნია თავი დედას. გული არაფერზე მიუდიოდა. ძარღვებში სიზანტე ჩაუდგა. მისი ზოზინა აზრი წუხანდელ მოჩვენებას დასტრიალებდა. ისევ და ისევ უბრუნდებოდა, შიშსა და ცნობისწადილს უღვივებდა.

მოეჩვენა, რომ ჩათუ-ბები დაძრწოდა ღამეულ ეზოში...

ნავახშმეს ისევ ნალიაში აძვრა. კარი საგანგებოდ გაამაგრა რკინის ძალაყინით, ლოგინზე გაუხდელი წამოწვა. ბნელი ღამე იყო. მზეკაბუკს არ ეძინებოდა. თვალახელილი მისჩერებოდა სიბნელეს, ყურს უგდებდა სოფლის ხმებს. სადღაც მანქანა აგუგუნდა, ვიღაცის გადალაპარაკება მოისმა, მეგობრნი ჭიკყინებდა; ბორანზე მანქანა თუ გადაპყავდა. შხეოდა ენგური. ქაბამს გამოეღვიძა, ფრთა აბათქუნა, მიწუნარდა. ბურჯამ ჩაიღრინა, ერთი შეპყეფა, მერე საცოდავი წკმუტუნი აღმოხდა და ისიც გაჩუმდა.

მდუმარება ჩამოვარდა. იშვიათად თუ გაიფაჩუნებდა სმინდი, ან ნიავი გაიქროლებდა, ტოტებს შეარხევდა. მზეკაბუკი უმალვე თავს წამოსწევდა, მიაყურადებდა... რული მაინც მოაწვა. დიდხანს ებრძოდა ძილს, ხან ჩაიძირებოდა, ხანაც ამოტივტივდებოდა. ეჩვენებოდა, რომ ვიღაცა ეპარებოდა, თვალს გაახელდა და ისევ ბუთაწში იძირებოდა.

უკვე აღარ იცოდა, სიზმარში იყო

თუ ცხადში. რაღაც თეთრი, ფუმფუღა ფარფატებდა თვალწინ. გრძნობდა ნივრის, პილპილის, ზაფრანის მძაფრ სუნს... დაავიწყდა სად იყო, ვერ ხვდებოდა, რა ემართებოდა.

გამთენიისას გამოფხიზლდა. თავი სტკიოდა, გაოფლიანებულს პერანგი ტანზე უსიამოვნად ეწებებოდა...

●

ორი-სამი ღამე მოჩვენება ისევ ეცხადებოდა... მერე თითქოს შეწყდა ღამეული ზმანებები. ცხოვრება ჩვეულებრივი გზით წავიდა. ენგური სულ უფრო და უფრო კლებულობდა. სიცრცეც პატარავდებოდა, რუხი ნაპირები შიშველდებოდა.

ღამღამობით უკვე ციოდა.

კვირის დასასრულს ძილი ისევ დაერღვა. აშკარა ბუტბუტი შემოესმა. მასში იგრძნობოდა რაღაც ბოროტი, დაუნდობელი. არა უნებური, წამიერი სიფიცხით გამოწვეული, არამედ ძველთაძველი, გულში ღრმად ნატარები, ნალოლიავები...

თეთრი ლანდი მიუახლოვდა კიბეს. აჭრაჭუნდა ლატანის თხელი საფეხურები. ვიღაც ფრთხილად ჩაეჭიდა კარს, დაეჭაჭგურა. ძალაყინი მაგრად იყო სახელურში ჩამაგრებული, მაგრამ მზეუბუკს შიში სულ უფრო იპყრობდა და ხელ-ფეხს ცივი ტყვეთ უკრთებდა.

— რა მოხდა, ჩათუ-ბები, რატომ არ ვძინავს!? — წამოიძახა თავისდაუნებურად.

კარს მიღმა ხმაური შეწყდა. დუმილი დასადგურდა. იფიქრა, მომეჩვენაო. კიბე მსუბუქად აჭრაჭუნდა. თეთრი ლანდი ქვევით ეშვებოდა.

მზეუბუკ ბედია ლოგინში ჩავარდა და საბანი თავზე წამოიხურა... შეცივდა, დასცხა, კვლავ შეცივდა... ცუდად ხდებოდა... ყველაფერი გაქრა... როცა გონს მოეგო, ოდაში იწვა, და თავზე ექიმი ადგა...

●

ნადიაკვნარის ცოლყოფილი თავისი ფეხით მოვიდა. მზეუბუკ ბედია ლოგინში იწვა, თავი მაღალ სასთუმალზე მიედო და ღია კარით ეზოს გასცქეროდა. ოთახის კუთხეში ტელევიზორი იდგა, დილიდან გვიან ღამემდე ჩართული იყო. ყმაწვილი ერთნაირი გულგრილობით უყურებდა ყველა გადაცემას... უფრო მეტად კი ეზოს უთვალთვალებდა გაურკვეველი მოლოდინით. თურმე ნადიაკვნარის ცოლყოფილის მოსვლას ელოდა. ამას მაშინ მიხვდა, როცა დედაბერმა ჭიშკარი შემოაღო. ბავშვობის დროიდან არც ენახა ქვრივი, მაგრამ ჭიშკარმა რომ გაიღრჭიალა, უმალვე იცნო. სახე პატარა, ჩაქმის ყელივით შავი და დაჭმუჭნილი ჰქონდა. ტანად ერთი ციდაც არ იქნებოდა და იმ სიმაღლეც ეკარგებოდა, რადგან ხელჯოხს იყო ჩამოყრდნობილი. ყველას ერთნაირად უღიმოდა უკბილო ღრძილებით. ამით თითქოს ამბობდა. ერთი საცოდავი დედაბერი ვარ, არავის არაფერს ვეშავებო, დაშავებით კი ვის არ უშავებდა. მთელი სოფლის ჭორი მძივივით აესხა, ყველაზე ყველაფერი იცოდა და ენაზე არაფერი უჩერდებოდა. თავისი დრო და მოსწრება იმით გაჰქონდა, დღე ერთი იყო, მეზობლებთან სამჯერ სადილობდა ცინცხალი ჭორის ხარჯზე, რომელიც დიდის გულმოდგინებით დაჰქონდა კარიდან კარზე. ამას ისე მიეჩვივნენ, რომ სოფელი თავს ვალდებულად რაცხდა შეენახა აბეზარი დედაბერი.

ტელევიზორში ჰოკეის მატჩს გადმოსცემდნენ. მრავალთათასიანი ბრბო ღრიალებდა: „შაიბა, შაიბა!...“ ძველი რაინდებივით მოუხეშავ ტანსაცმელში ჩაჯავშნული ჰოკეისტები გმირებივით სცემდნენ ჯოხებს და მსაჯთა ყოველ სტვენას ტრიბუნაზე აუტანელი ზრიალი მოსდევდა. ჰოკეი არ აინტერესებდა. მაინც უყურებდა და ცდილობდა ამოეხსნა თუნდაც ერთი ამოცანა ათასიდან, რომელიც მისი გონების თვალსაწიერზე

ტრიალებდა: „ვინ არიან ესენი? რანი არიან? რა ამოძრავებთ? რა ასულდგმულებთ? რას ნიშნავს ეს ჯანსაღი, ოპტიმისტური ყიჟინა მარადიულობის ოლიმპოდან დანახული?..“ კითხვებს. რა გამოლევდა. მარტივი პასუხი არ არსებობდა.

ეზოში ამ დროს თათუშა და ნადიაკვნარის ცოლყოფილი ბოდიშებით, თავპატიჟიით, ურთიერთმოკითხვებით ერთმანეთს აწამებდნენ და თვალთმაქცობის სუნი სდიოდა სიტყვაზე დასმულ ყოველ მახვილს.

— კანტორისაკენ მივდიოდი პენციის ასაღებად და ქონია შემხვდა, ბარდლას შინაბერი. ამან მითხრა, ბიჭი ლონგინად ჩაუვარდათო. ავმა თვალმა თუ გათვალა-მეთქი და აქეთ გადმოვუხვიე... — ყოველ სიტყვას უხიაგ ხითხითს მოაყოლებდა დედაბერი.

— ვერ გადავიხდი შენს პატივისცემას, — ფაციფიცობდა თათუშა, — ახლანდელმა ექიმებმა არაფერი იციან, შენი ჭირიმე. ნევრასტენიაო, ის ჭირიანი თვითონაა ნევრასტენიკი...

— გათვალულია, ნამდვილად გათვალული.

ესეც „ჩვენი საუკუნე“ იყო... მზეჭაბუკი კედლისკენ გადაბრუნდა და თავი მოიმძინარა.

ტელევიზორში ბრბო ისევ ღრიალებდა: „შაიბა, შაიბა!..“

— ჩასძინებია, დედიკო ენაცვალოს, — წაიწურჩულა თათუშამ.

— მოიცა, შევუღლოცო, ხვალ-ზეგ გაუხედავი კვიცივით იკუნტრუშებს... — ჩუმად ხითხითებდა დედაბერი. თავს დასტრიალებდა მწოლიარეს, ჭაობისა და ხავსის სურნელებით ავსებდა ოთახს.

ჩიფჩიფებდა შელოცვას, იმეორებდა გაუგებარ სიტყვებს, აბრაკადაბრას, რომლის აზრი იქნება თვითონაც არ ესმოდა, სულში კი უწყვეტად ხითხითებდა მისი ნამდვილი, დედაბერული „მე“.

„აპა, ეს შეტევაც დამთავრდა და „შინნიკმა“... — სულმოუთქმელად იგლეჯდა ხმის სიმებს დიქტორი — ფეხბურთელ ოვაცია შეწყდა.

ოთახში არავინ იყო, ტელეეკრანზე მულტფილმს უჩვენებდნენ, ზღაპარს ზარმაცე ბიჭუნაზე, რომელიც შემდეგ ბეჯითი გახდა.

მზეჭაბუკ ბედიამ თვალი დახუჭა და მართლაც მიიძინა...

●

იმ საღამოს, როცა საბოლოოდ გადაწყვიტა ნადიაკვნარის ცოლყოფილთან წასვლა, ბოიღო და თათუშა ოთახში დიდხანს არ დარჩენილან. მზეჭაბუკმა თვალები მილულა. იფიქრეს, ნამეტანი გადაიღალაო, ტელევიზორი გამორთეს და ოთახიდან გავიდნენ.

მზეჭაბუკი ჩუმად იწვა სობელეში, ყურს უგდებდა მეზობელ ოთახში დედისა და მამის ჩურჩულს, ელოდა, როდის დაიძინებდნენ.

სრული მდუმარება დასადგურდა მთვარიანი ღამე იყო, ვერცხლისფერი ოთხკუთხედი ნოხივით ეფინა იატაკზე.

უხმაუროდ ჩაიცვა. ფანჯარა გამოაღო. ბაღიდან გრილი ჰაერი შემოიჭრა, სახეზე მოელამუნა, გამოაფხიზლა. საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, ჩაფიქრდა. სად მიდიოდა, რისთვის, რა უნდა ეკითხა იმ უკბილო დედაბერისათვის? ან რა ეკოდინებოდა ჭორის მეტი? რას ეძებს თავად მზეჭაბუკი, რისი ცოდნა სწყურია, რა საიდუმლო უნდა გაარკვიოს? ეგებ არც არსებობს საიდუმლო ტატოს მკვლელობით დარღვეული წონასწორობა ვერ აღიდგინა და ყველას არარსებულ ბოროტებას მიაწერს...

„მაინც უნდა გაარკვევს, — ჯიუტად ჩაიდუდუნა, — ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაარკვევ... თორემ ძნელია ასე!“

ფანჯრიდან გადაიჭრა, ბაღის თავზე გასცქერა. თან წამოწწია წამიერი, შიშიანი ფიქრი, „ესეც ნევრასტენიაა?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრილმა სიომ გუნება გადაუხალისა, ბმეუნამ თანდათან გადაუარა. ზე აიარა და იქიდან დასცქეროდა სოფელს... ცა წვრილი ვარსკლავებით იყო მოფენილი, მთვარე კი ვარკალებდა თვალისმომჭრელად და მთელ სივრცეს რაღაც უცნაური, არაამქვეყნიურად ბრქყვიალა ფერებში ხვევდა. თეთრი, გამქვირვალე მტვერი ეფინებოდა შავ სახლებს, ეზოებს, ბაღებს, ყანებს...

მზეუბატუკ ბედიამ დაიცხრო წამიერი აღტყინება, სწრაფად დაეშვა, რათა ვინმე ძილგატეხილს თვალი არ ეკიდა მისთვის. ყანა-ყანა გასწია, მაღალი სიმინდის თავთავებს ეხებოდა თითქმის. სველი ჩალის სურნელით გაივსო ღამეული ჰაერი.

სწრაფად გადაქროლა სოფლის ნაცნობ უბნებს, ტყეს...

უცებ აღმოჩნდა პატარა, ვიწრო ეზოში, რომლის ორივე მხარეს ჭაობი შავად ზიმზიმებდა და ბაყაყების უწყვეტი კრუალი მოისმოდა.

ჯარგვალის დირეესთან დაეშვა. კვამლის სუნი ტანიერებდა, ალბათ შუაცეცხლიდან მოდიოდა. არ სძინებიაო, გაიფიქრა.

დაკაკუნება უნდოდა. გაწვდილი ხელი ჰაერში შეტრიალ, კარი გაღებული დახვდა.

— შემოდი, ვინცა ხარ! — დედაბრის ჩახლეჩილმა ხმამ შეაკრთო.

— ბნელა, — წაიღუღღუნა.

— ახლავე ცეცხლს ავანთებ, — სიბნელეში ვიღაცა დაფაცურდა. იქ, სადაც შუაცეცხლი უნდა ყოფილიყო, ნაპერწკლები აცვივდა. „ცეცხლი გაუხვევია“, — დასაკვნა მზეუბატუკმა.

დედაბერმა კერიის ბურბუშელა მიაყარა. ცეცხლი რომ აბრიალდა, იქიდან კოუბის მოუკიდა და იქვე დადგა, მიწატკეპნილ იატაკზე. მაშინღა მოიხედა.

— შემოდიხარ?

მზეუბატუკს შიშისა შერცხვა, თავს ძალა დაატანა, დირეს გადაბიჯა. დედაბერს გაკვირვება არ დასტყობია. იქნებ ელოდა კიდეც.

— დაჯექი!

ჯორკოზე ჩამოჯდა. დედაბერმა მას პირდაპირ ჩაცუცქდა. მზეუბატუკს გაახსენდა, ბავშვობაში როგორ ჰზარავდა ეს ქალიცა და მისი განმარტოებული ჯარგვალიც. ცნობისმოყვარეობა ახლაც აწუხებდა, ოღონდ თავის მობრუნებას ვერ ბედავდა. ამ ადგილიდან კი შავად მოლაპლაპე ძელებსღა ხედავდა.

— თქვი! — დედაბერი თვალებში მიაცივდა. მზეუბატუკ ბედია წამიდან წამზე ელოდა, როდის ატეხდა ნადიაკვნარის ცოლყოფილი ხითხითს, მაგრამ მასპინძლის მხერა წურბელასავით მისწებებოდა და მზეუბატუკმა სახე აარიდა.

— ბებიაჩემისა და ტყაში მაფას ამბავი უნდა მიამბო, — თქვა და თუმნიანი, სხვა ადგილი რომ ვერ ნახა, კოჭობს ამოუდო.

დედაბერმა თვალი მიადევნა, ჩაიხითხითა...

●

ამბავი ძველი იყო, თუმცა ნადიაკვნარის ცოლყოფილს კარგად დაამახსოვრდა. რომ გეკითხათ, როდინდელიაო, ხელს ჩაიქნევდა, ალბათ ადამსა და ევას აქეთ არ მოახდარაო. ეგეც ყველაფერი ზღაპარი იყო, უთუოდ ასეც იქნებოდა, მაგრამ ტყეილ-მართალი ერთმანეთში აიღესა და მზეუბატუკ ბედია ამის გარკვევას ცდილობდა.

— ახალგაზრდებს მაინც არაფრისა გკვრათ, ჰი-ჰი-ჰი, — წამდაუწუმ ხითხითებდა ნადიაკვნარის ცოლყოფილი,— სარკეში საკუთარ დრუნჩებს რომ უყურებთ, გგონიათ, სულ მაგეთები იქნებით?.. ჩვენი უკბილო, დაკმუჭნილი სახეები გეზიზღებათ. ალბათ, ფიქრობ, დედის მეცლიდან ასეთი შეუხედავი დავიბადე...

მზეუბატუკმა ძალდატანებით გაუღიმა, შეუცეცხლისა და ჭრაქის შუქზე შეათვალიერა. დედაბერი ბინძური საცვლებისამარა იჯდა. მხრებზე ნაფლეთებად ქცეული შალი მოეხურა. სიღარიბის გამო კი არა, ცხოვრების წესის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამო იყო ეგრე, — იმთავითვე მიხვდა ყმაწვილი და ზიზღი ყელში მოეჯარნა...

...თოქვსმეტისა რომ შესრულდა, გოგო კი არა, ცეცხლი იყო. მშობლებს ჯაჭვებით ებათ, თორემ მამაკაცს რომ ჩამოვევლო, შარაზე გაეკიდებოდა და ქვეშ გაგებებოდა. ამას ჩვენ ვერ მოვიცლითო და გადაბერებულ ნადიაკვნარს შეაჩეჩეს. ნადიაკვნარი შეძღებულ კაცად ითვლებოდა, არ აშიშვილებდა, ტანისამოსს არ აკლებდა, ოღონდ პირველ ღამეს ვვერდით რომ მიუწვა, ახალგაზრდა ცოლს ვერ მოერია. ეფერებდა, აშოშმინებდა, ქალი კი უფრო ხელდებოდა და დილაადრიან, დაღლილი და განადგურებული, კვლავ ისეთივე, როგორიც აკენიდან ადგა, ქმარს გაექცა... უკანვე მოჰგვარეს... ნადიაკვნარმა, უფრო სირცხვილის გამო, მთარახით სცემა და საწოლის ფეხს მიაჯაჭვა. კაცი კაცად არ ვარგოდა და ამით რას უშველიდა...

ასეთ წამებაში წელიწადი გავიდა... მეზობლის თვალი ვერაფერს ხედავდა, სამზადიდან კვამლი ამოდიოდა. სტუმარს მასპინძლობდნენ. მოსავალი ბეღელს ავსებდა. ვალს დროზე იხდიდნენ. სასესხებელს არავის უჭირდნენ. მაგრამ ჯოჯოხეთის ცეცხლი სულში ტრიალებდა და თავის მოკვლა ერჩივნა ასე ცხოვრებას.

ერთ დღეს მგელზე ამხეიდრებული კაცი შემოჯირითდა სოფლის შუკაში. ვინც კი თვალი შეასწრო, თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. ატყდა წივილ-კივილი, თავს უშველეთ, გუჯმახანი მოდისო! ელდანაცემთა ხმას შეერთო მგლის ყმუილი, გუჯმახანის ხარხარი, დარაბების რახარუხი... კვამლი ავარდა გზის გასწვრივ, მოიხრუკა ფოთლები, დანახშირდა შუკისპირა ღობეწნული...

გამოერკვა ნადიაკვნარის დიასახლისი. ეზოს გვიდა იმ წუთს. ცოცხი მიაგდო, წინსაფარი და თავმაღიც მიაყოლა. უჩვეულო, ზარდამცემმა ყმეილმა და ყიჟინამ ქოუანტელი მოჰგვარა, მიმგრალი ვნება გაუღვიძა, ორღობეში გამოვიდა.

პირდაპირ მისკენ მოჰქროდა მგელზე ამხეიდრებული, წოწოლა კაცი.

ქალმა ხელი აუწია ჯადოქარს, გაუცინა, მოიხმო.

„შესტუმრეთო, ბატონო!“

გუჯმახანმა მგელი შეაყოვნა, გაოცდა, ელამი თვალები მოჭუტა.

„დიაცო, სიკვდილს არ უფრთხი?“

„ჩემი საცოდავი სიცოცხლე რად გინდა, ბატონო, ჩემი თავი და სარეცელი ჯ შენთვის დამითმია!“

„ოჰო, ოჰო, მშვენიერი დიაცი ხარ, მშვენიერი!“ — ეზოში ჩამოხტა გუჯმახანი.

მგელი ბოსელში შეუშვა ნადიაკვნარის ახალგაზრდა ცოლმა, იქ ძროხა ება, მეწველი.

მხედარს წარუძღვა ოდისაკენ.

მამაკაცისაგან ისეთი მცხუნვარება მოდიოდა, ეგონა, გახურებული ღუმელიაო და ვნებისაგან გათანგული დიაცი სარეცლისკენ მიისწრაფოდა.

რასაც ჩაუვლიდნენ, ყოველივე უმალ ნახშირდებოდა. ისლითხურეულ ნალიას რომ გაუარეს, ისლის სახურავს ცეცხლი აჰყვა, ტკაცატკუცი აუტეხა, გომურზე და საქათმეზე გადავიდა, იქიდან თავლაზე და სამზადიც ამათ მიჰყვა.

წარბიც არ შეურხევია ახალგაზრდა დიასახლისს. ვნება მიერეკებოდა და მასთან ერთად ქვეყნიერებაც რომ დაღუპულიყო, უკან არ დაიხევდა.

კიბეს აჰყვა გუჯმახანი. სადაც ფეხს ადგამდა, დანახშირებული ნაფეხურები ანნდებოდა. გამხმარ ფიცრებს ნაპერწკლები სცვიოდა. ფანჯარაში მინა ჩამოიფშვნა ზრიალით.

სარეცელთან შედგა დიაცი, სამოსი განძარცვა და ცეცხლი შეხვდა ცეცხლს.

აკვლდა ვნებისაგან გახელებული, ყიჟინა დასცა გუჯმახანმა. შეგუბდა სიდამწვრის სუნი. ალმა მოლოკა კედლები, ალმა აჰყვა, სახურავზე ავარდა...

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

ამ დროს მოადგა ნადიაკვნარი თავის გატიალებულ სახლ-კარს.

„ავავი!..“ — თავპირზე მუშტი იცა საბრალომ.

„ვინ არის?“ — წარბები შეჰყარა გუჯმახანმა.

„ძალად ქმარია ჩემი!“ — შესჩივლა დიაცმა.

„იქცეს გოგრად!“ — ბრძანა გუჯმახანმა.

ჰოდა, საბრალო ნადიაკვნარი კიბიდან ჩაგორდა. შესანიშნავი გოგრა იყო. იმ სიმსხო, მტერს თვალი დაუდგებოდა. მთელი თვე ეგდო კიბესთან. მერე მეზობლის ღორი შემოპარულა და შეუჭამია..

— ჰი-ჰი-ჰი... — დიდხანს ქირქილებდა ლუდაბერი, — მას შემდეგ მეძახიან ცოლყოფილს, ჰი-ჰი-ჰი...

...იმ დღიდან სოფელმა აითვალისწინა. არავის უნდოდა კარის მეზობლობა ჯადოქრის შეყვარებულთან. ჩუმჩუმად ჩაქოლვასაც უპირებდნენ, მაგრამ გუჯმახანის შიშით ცახე ყვავი ვერ გაფრინდებოდა და ვინ გაბედავდა პირველი ქვის სროლას. თვითონ არ მოისურვა იქ დარჩენა. ნახანძრალი მიატოვა. ამ ჭაობში დაიდო ბინა, სოფლის განპირას. ჯარგვალი აიშენა საკუთარი ხელით, დაჯდა კერიის პირას და დაელოდა მგლის მხედარს.

არაერთხელ გაუგონია შემზარავი კივილი ჭაობებიან სოფელს. ეს გუჯმახანი ღრეობდა ნადიაკვნარის ცოლყოფილთან; დაფეთებულ მონადირეებს არაერთხელ უნახავთ მგელზე ამხედრებული გუჯმახანი, რომელსაც კალთაში თავისი ვნებიანი სატრფო ესვა. ოღონდაც წყალს პირში იგუბებდნენ, რადგან ამბის მომტანის ოჯახი და საქონელი ერთ კვირაში წყდებოდა ავმისაგან.

და, აჰა, გუჯმახანმა შემოისვა მიჯნური, ტაბაკონზე წაიყვანა, ჭინკათა თავყრილობაზე. ვერ მოასწრო ქალმა მგლის ზურგიდან ჩამოხტომა, ვიღაცა გამოუვარდა ჯადოქართა ფერხულიდან.

„ამაზე გამცვალე, გუჯმახან?!“ — იკივლა გაბოროტებით, ანჩხლად, თქმაში სწვდა და დაბთრია ნადიაკვნარის ცოლყოფილი.

„ვინც გაიმარჯვებს, ის შემრჩება!“ — ბრძანა გუჯმახანმა.

თუმცა ნადიაკვნარის ცოლყოფილს ღონე ერჩოდა, მაგრამ ჯადოქარს ჯადოქრობა ემარჯვებოდა და მალე წამოაჩოქა, მიწას დასცა, ყელში ხელი წაუჭირა.

„ოღონდ ნუ მომკლავ და შენი მოახლე გავხდები!“ — შესთხოვა ნადიაკვნარის ცოლყოფილმა.

ჯადოქარმა ხელი უშვა, მე ქალბატონი და შენ მოახლეო — უბრძანა.

ამიერიდან ასე ცხოვრობდნენ. ერთგულად ემსახურებოდა თავის ქალბატონს და მხოლოდ მაშინ, როდესაც გუჯმახანს დაიმარტოხელებდა, ლოგინში ჩაუწვებოდა, იცხრობდა გიჟურ ვნებას. ჯადოქრის თვალს აბა რას გამოაპარებდა, ყველაფერს ხვდებოდა და სასჯელად სამი დღე და სამი ღამე ფეხებით ჰკიდებდა მაღალი თხმელის წვერზე...

— ჰი-ჰი-ჰი... — ქირქილებდა უკბილო დედაბერი, — ქარი დაუბერავდა და ანკესზე ჩამოკიდებული თევზივით ავსხმარტალდებოდი, ჰი-ჰი-ჰი..

— თქვენ ცრუობთ, მასხარად მიგდებთ! — ბრაზი მოაწვა მზეკაბუკს.

დედაბერმა მუხლები მოიქექა, გამხმარ წვივებზე ფრჩხილები დაუსვა, ისე მოიფხანა, სისხლიანი ზოლები დაჩნდა. ქირქილი არც შეუწყვეტია.

— დაგპატიჟე?.. მეკითხები და რაც ვიცი, ისას გიყვები!.. ტყუილი და მართალი თვითონ გასსაჯე!..

— კი მარა, ჩათუ-ბები რა შუაშია?

— ჰი-ჰი-ჰი... — მთლად გადაფიჩინდა მასპინძელი, მისი უკბილო პირი თაგვის სოროს დაეშსგავსა, — ვერ ხვდები?... ჩემი ქალბატონი ბებიაშენი იყო, ჰი-ჰი-ჰი...

— ერთი სიტყვაც არ მჯერა თქვენი!

— როგორც გენებოს! ეჰ, ძილის დროა აწი, ბაყაყებიც კი გაჩუმდნენ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— განაგრძეთ, განაგრძეთ!.. — აჩქარდა მზეჭაბუკი.

...დრო მიდიოდა. ხეზე ჩამოკიდებას თუ არ ჩავთვლით, ცხოვრებას არაფერი უშავდა. მაგრამ საიდანღაც გამოჩნდა ტყაში მაფა.

ნადიაკვნარის ცოლყოფილი სილამაზით ხომ სოფელში გამოირჩეოდა, მისი ქალბატონი ბევრად სჯობდა მას, ტყაში მაფაზე ულამაზესი კი არც შეიძლებოდა ვინმე დაბადებულიყო, ამას თვით უფალი არ დაუშვებდა.

ჰოდა, გუჯმახანმა ის რომ დაინახა, მთლად გადაირია. ჯერ პირისპირ შეებრძოლა, ვერაფერი დააკლო, რადგან თვით ჯგრაგი მფარველობდა ქალს, მაღალ მყინვარებში რომ ცხოვრობს. რა ხრიკი არ მოუგონა, ვერაფერი ავნო. ბოლოს ვაშლი ძიუგდო და ამით აცდუნა.

მშვენიერი, უბიწო ტყაში მაფა დაფეხმძიმდა.

მაშინ ესტუმრა ქალბატონსა და მის მოახლეს ჭუჭყიანი ჭაობის ბატონი — შური, ამაზრზენი არსება, რომელიც მუდამ იქ გაჩნდება, სადაც ბილწ ვნებას აქვს ადგილი. ესტუმრა და მათს გულებში დაიდო ბინა, შინაურულად მოკალთდა.

კარგად გაუგეს ერთმანეთს ქალბატონმა და მოახლემ. მყუდრო და ბნელ ტევრში ითათბირეს, ტყაში მაფა თუ დაჯაბნეთ, გუჯმახანს სარეცელი ორივემ თანაბრად გაეიყოთო.

სამი დღე და სამი ღამე იხეტიალეს ტყე-ღრე, სანამ ტყაში მაფას კვალს მიაგნებდნენ.

ჭყონის ძირას მარტო წამოწოლილიყო შშვენიერი ასული, უბიწოდ ჩასახულ შვილს მეშვიდე თვე ატარებდა უკვე. ღონემიხდილი ისვენებდა ჩეროში.

დაჰკივლეს ჯადოქარმა და ნადიაკვნარის ცოლყოფილმა, წამოხტომა არ აცალეს. ატყდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. შემზარავი კივილი კარგა ხანს ესმოდათ სოფელში. დამფრთხალი სოფლელები შუკებში გამოცვიდნენ. არავინ იცოდა, რა ხდებოდა იქ და ვერც ვერავინ ბედავდა ამბის მოსატანად წასვლას.

ხელჩართული ბრძოლისაგან ბიწა ზაზნარებდა, ხეები ილეწებოდა, ქვა სკდებოდა. ორი მომხვდური ყელში მიესწვდომოდა ტყაში მაფას და დაუნდობლად ახრჩობდნენ. ტყაში მაფა სადაც წაატანდა ხელს, მტრის ახალგაზრდა სხეული იშრიტებოდა, ძაბუნდებოდა, ბერდებოდა.

ბოლოს, როდესაც ბრძოლა დამთავრდა, მომაკვდავი ტყაში მაფა დაეცა გადაჯეგილ მდელოზე. შვიდთვიანი ჩვილი ღნაოდა მის ფერხთით (კიდევ კარგი — შვიდთვიანი, ცხრა თვე რომ ეტარებინა, მისი შვილი თვით ღმერთს დაეჭიდებოდა ცაზე... ჰი-ჰი). ჩათუ და ნადიაკვნარის ცოლყოფილი, მიხრწნილ დედაბრებად ქცეულნი, ღამის სიბნელეს აეფარნენ და ისე მილასლასდნენ შინ...

— ჰი-ჰი-ჰი... — ისევ ქირქილებდა დედაბერი, თუმცა სასაცილოს ვერაფერს ამბობდა, — ასე და ამგვარად, ფენაცვალე, ასე და ამგვარად... ჰი-ჰი-ჰი...

— მერე? — მოუთმენლად ჰკითხა მზეჭაბუკმა.

— დანარჩენი ბებიაშენს მოჰკითხე...

— თქვენ ვერ მეტყვით?

— მეტს ვერას ვეტყვი!.. იჩქარე, მალე ისიც ვერ ვეტყვის... ნამეტანი კი შეეჩჩით ამ სიცოცხლეს... ჰი-ჰი-ჰი...

— დედაბერმა უცბად შეწყვიტა ქირქილი, თვალები ბოროტად გაკვესა და წაისისინა — გეყოფა, ამბაწვილო, წადი ახლა! ერთი თუმნის გულისათვის დილამდე ხომ არ გინდა მაყურყუტტო?

გაოგნებული მიდიოდა შინისაკენ. მიდიოდა, რადგან დაავიწყდა, რომ ფრენა შეეძლო. მაშინღა მოეცა გონს, ორღობეში ბომბორა ძაღლი რომ გადმოუტყა ღაფღაფით.

უმალვე ზე აიჭრა, ორიოდე წამში

ჯეჯელ ქირია
მარაფი მეეფარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ფანჯრასთან გაჩნდა. ოთახში ბნელოდა. რატომღაც შიშით შეიხედა. იქნებ მის არყოფნაში ვინმე შეეპარა და ახლა დადარაჯებულია? ნეტა რას ვეფერთხოო, თავი გაიკიცხა. შინ შესრიალდა, საწოლზე ჩამოჯდა. „სასულელია, — ჭოუმანობდა, — ნევრასტენიკი გავხდი. იმ გადაღრმეებულმა ფული დამცინცლა და ზღაპრებით გამოძიტაურა...“ მოუნდა ახლავე შესულიყო ბებიასთან, გაეღვიძებინა, ეთქვა გულისხმადები, ოღონდ დაავიწყდა, ბებია რომ ბოლო დროს ჭკუაზე არ იყო.

კარი შეაღო და შეიხედა. სიბნელეში ჩქამი არ ისმოდა. კვლავ შიში აუფუთფუთდა. გული ძალუმად უცემდა. იქ, სადაც ბებიას საწოლი უნდა ყოფილიყო, ნახტომისათვის გამზადებული რაღაც თეთრი არსება ზიმზიმებდა. მზეკაბუკმა ვერც წინ გადადგა ნაბიჯი, უკან დახევისაკენ შეეშინდა. ხელი გაიწვდინა. კართან ახლოს ჩამრთველს მისწვდა და ნათურა აანთო.

საწოლზე ბებია იჯდა. შიშველი, გაჩხინკული ფეხები იატაკზე დაედგა. ხელებით მუხლებს დაყრდნობოდა და წინ წამოწეულიყო, თითქოს წამოხტომას აპირებსო. სახე საშინელი ჰქონდა. კბილები ზიზღით დაეკრიჭა, გადმოკარკლული, ცივი თვალები შემოსულს მტრულად მისჩერებოდნენ.

თავზარი დაეცა მზეკაბუკ ბედიას, წამით ენა დაება... სწრაფად გავარდა უკან, დედ-მამის ოთახში შეეჭრა და ილრიალა:

— დედიკო, ბაბაია, ჩათუ-ბები მოკვდა!

●

დიდ ბუხარში ცეცხლი გუგუნებს. გოგონები დროგამოშვებით შიგ ფუჩეჩს ყრიან. წამით ცეცხლი მინავლდება, მერე აბრიალდება. აბარჩხალდება. „დიდუ, ოდა არ დამიწვათ, თქვე არგასაწყვეტლებო!“ — ჩხუბობს თათუშა. ბოღღო ბედია გარეთ გარბის, ყავარზე ბუხრის მილიდან საშიში ნაპერწკლები ხომ არ ცვივაო. ზედადგარზე უზარმაზარი ქვაბი დგას, შიგ კვახი და სმინდი იხარშება. კვახი ისეთი მაგარი აღმოჩნდა, ნაჯახით ძლივს გაჩეხეს და წყალში ქვასავით ჩაიძირა. სმინდი კი, ძალიან ჭყინტი არ ეთქმის, მაგრამ არც დაიწუნება... სასტუმრო დარბაზს თითქმის ჭერამდე უწევს ფუჩეჩიანი სმინდი. მეზობლის გოგო-ბიჭები სმინდის ზვინზე სხედან, ტაროს ფურჩქნიან, კალათებში ყრიან, ლაზღანდარობენ, ჭყინტს ცალკე აგდებენ, მოსახარშად, დაჭიანებულს ცალკე, ღორის გამოსასყიდლად. ფოჩებისაგან წვერულვაშს იკეთებენ, ერთმანეთს ამასხარავებენ... არის ერთი ტკარცალი და მხიარულება... რომელიმე გათამამებულ ჯეელს, დაუკრეფავენ რომ მიძვრება ვითომდა შემთხვევით, ყვავილ-ნვავილით დაესვეიან გოგოები, ფუჩეჩში ჩამარხავენ... „დიდუ, სახლი არ დამინგრიოთ, თქვე არგასაწყვეტლებო!“ — სიცილს ძლივს იკავებს თათუშა.

ბიჭები უწმაწურ ანეკდოტებს ყვებიან, გოგოები ყურებში თითებს იკობენ. სიმღერასაც წამოიწყებდნენ, ოღონდ ვერ ბედავენ. ჩათუ-ბებს ორმოცი ახლახან გათავდა. „იმღერეთ, შვილებო, თუ გემღერებათ!“ — ნება დართო ბოდღომ. მაინც ვერავინ ბედავს დაწყებას... ბიჭებს თავისი სათათბირო გაუხსნიათ. „ვაჰ, წიე, იცი, რა ფეხბურთია? ესპანეთიდან გადმოსცემენ!... ეგება ტელევიზორი ჩაგვირთონ, ა?“ ჩათუ-ბების გარდაცვალების შემდეგ ტელევიზორი არავის ჩაურთავს. იქნება ვინმემ გაბედოს, ყურში ჩაეწვეთოს მასპინძლებს ბიჭების სურვილი.

მზეკაბუკ ბედია განდგომილივითა.. საერთო მხიარულებაში მონაწილეობას არ ღებულობს, თუმცა ძველებურად არაა მოქმედებული, ცოტა გახალისდა კიდეც. მოსწრებულ ხუმრობაზე ეღიმება ხოლმე... სავსე კალათები ბეჯითად დაავსეს ნალიაში და იქ ცლის. კალათა ძმიმეა, ჭარბებზე ბებერა დაჩნდა, დაბამბულ ნაჭერს იდებს კალათქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალამეს რომ გადასცილდა, ბოდღო ბედიამ ბიჭებისათვის ჭაჭის არაყი ჩამოატარა, გოგოებისათვის — შინაური ღვინორი, თათუშას ნოსტატარი.

ვიდაცამ ისევ ტელევიზორი ახსენა. გოგოებმა იწივლეს, არ გვინდა ფეხბურთიო. მზეჭაბუკმა ერთი ბიჭი დაიხმარა და შემოტანა, კუთხეში დადგა. „ოღონდ ტარო არ მოახვედროთ, არ ჩამიმტვრიოთ!“ — იხვეწებოდა თათუშა.

ფეხბურთის მატჩი ნახევრად დამთავრებული იყო. უცხოური გუნდები ითამაშობდნენ, იმ წამსვე „ჩვენიდან“ და „იმათიდან“ გაჰყვეს... „უუურე!.. პა-პა!.. ეგ რეფმა ვხედავ!.. მიდი!.. ყოჩაღ!.. დეგენერატი!.. მეკარეც ეგაა, რა, საპონენიკია!..“ — სულ ერთი იყო, ვინ იგებდა, ვინ აგებდა, ოდაშიც და ტელეეკრანზეც გამაყრუებელი ღრიანცელი იდგა...

დაიღალნენ... კვახიც მობეზრდათ, ჭყინტი სიმინდიც, ხუნტრუციც...

მიწუნარდნენ.

გარეთან ნელი სტვენა მოისმა.

— ჩათუ-ბეპის სულმა მოგვაკითხა! — იყვირა ვიღაც ლაზღანდარამ, თვითონაც დაფრთხა. გოგოები აწივლდნენ... თეთრად შესუდრული არსება წამოიმართა კარში.

სიმინდის ტაროები მიაყარეს.

ბოდღო ბედია აღმოჩნდა. თეთრი ზეწარი გადაიძრო და „არ მომკლათო“, ხელები ასწია.

გამოცოცხლდნენ... ერთმა მკვდარი სული ახსენა, მეორემ ოჩოკოჩი, ტყაში მაფა...

გულში გაკენწლა მზეჭაბუკ ბედიას. კუთხეში მიჯდა თავისთვის და ჩუმად უსმენდა. ნადიაკენარის ცოლყოფილის ნაამბობი არ სჯეროდა, თუმცა ამ ამბავში იგრძნობოდა რაღაც იდუმალი, შემაძრწუნებელი. ყურს უგდებდა ახალგაზრდების ლაზღანდარობას და ამჩნევდა, რომ შიში ეუფლებოდა თანდათან. აქ არავის სჯეროდა არსებობა ირეალურისა, იმქვეყნიურისა. შიში მაინც კრთოდა. გოგონები უმწეოდ აფაეხულებდნენ თვალებს, იზაფრენრობდნენ, ზოგი იხვეწებოდა: „კაი რა, გაჩუმდით, რა მოგივიდათ?.. ნუ ყვებით, რა!..“ ბიჭები ნაძალადეკი სიმამაცით ბაქნობდნენ, აგდებულად იცინოდნენ.

— ერთხელ ჩვენს ტყეში, სატურიას სერზე ოჩოკოჩი ვნახე, ვეებერთელა, საშინელი. თითს მიქნევდა, მიხმობდა... ელდა მეცა და მოვკურცხლე... ორი დღე მუნჯივით ვიყავი, ხმის ამოღება არ შემეძლო...

— ტყაში მაფა რომ მანახა, ამბობენ, ისეთი ლამაზიაო...

— ახლა სად არის ტყაში მაფა. რაც მანქანები შემოვიდა, დაფრთხა, ღურღუთს მისცა თავი. წინათ კი ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებოდა თურმე...

— მართალია, ბოდღო ბიძიაც უნახავსო? — წამოძახა უცებ წრიპა გოგომ კუთხიდან.

ყველამ ყური ცქვიტა. მზეჭაბუკი. რომელსაც აქამდე სახეზე გულგრილობა ეხატა, შეირხა. კვლავ აწრიალდა ეჭვის ჭია სულში, კვლავ დაებადა უამრავი კითხვა...

ბოდღო ბედია ბუხართან იჯდა, ჩიბუხს ექაჩებოდა. ცეცხლი მინავლდა, შეუჩუჩხუნა, დროის მოსაგებად, ასე მოერჩენა მზეჭაბუკს.

— ბოდღო ბიძია, მოგვიყევი, რა!

— რა მოგიყვეთ, ჭირიმია, ტყაში მაფა არ ვიცი მე... — ხმა გაებზარა, თავი არ აუწევია, მზერა დამალა. მზეჭაბუკს სურდა თვალებში ჩაეხედა, სიმარილე ამოეკითხა. „ტყაში მაფა, ეჰ, ტყაში მაფა...“ — ფიქრის ნაფლეთი მოესმა და დედას შეხედა.

თათუშა მალულად უთვალთვალებდა შვილს, შეშფოთება დაეტყო. მზეჭაბუკის მზერას რომ წააწყდა, ნაძალადევად გაეხუმრა ქმარს:

— შენი ენა გლუპავს, შე საცოდავო. სიმთვრალეში მოატყუე ალბათ ვინმე, ხმა გაგივიცელს!

მზეჭაბუკს გულზე შემოაწვა. ასთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანი ურწყული — ეკვი ფუთფუთებდა სულში და უჭირდა აღგზნება დაეცხრო, ვეფხვგრიალობის ნიღაბი ჩამოეფარებინა... ყველა მის მოტყუებას ცდილობდა, გზა-კვალს უბნევდნენ, ბნელში ჰყავდათ. ვიღაც უჩინარი ძალით ართმევდა მის წილ სიმართლეს, სიცოცხლეზე უფრო ძვირფასსა და მნიშვნელოვანს... მზეკაპუკ ბედიამ თავი განძარცულად იგრძნო.

„ვინ ვარ მე?“ — პირველად იკითხა და პასუხი ვერ გასცა. ეკვს საფუძველი ამ კითხვაში ჰქონდა და როცა პასუხი დაიძებნებოდა, მაშინღა განთადებოდა გონება, იქნებ სიკეთეს ემძლავრა ბოროტებაზე, სინათლეს ბნელზე...

გრძელდებოდა ყაყანი, სიცილი, ლაზღანდარობა... თანდათან გაიზარდა ნალიაში ტარო, ფუჩეჩი და ნაგავი დარჩა ბარტო. ბუხარში ცეცხლი ჩაიშრიტა, ქვაბში ღორ თუთუხებებდა წყალი... დაღლილი მეზობლები თითო-თითოდ ემშვიდობებოდნენ მასპინძლებს... საცაა გათენდებოდა...

მზეკაპუკ ბედიას ჰაერი არ ეყო, აივანზე გავიდა. სიგრილე სველ ტილოსავით შემოეტმასნა, გააყრჟოლა... იდგა ერთხანს, ბნელში იყურებოდა. ღამე იცრიცებოდა. თეთრი ნისლი მიიზლაზნებოდა ორღობეში, ედებოდა ხეთა გაბარჯღულ ტოტებს, ფუმფფული ქულები ბასაპენტ ბამბასავით ეხვეოდა... აწკაპუნდა ტოტებზე დაკიდებული წვეთები... რაღაც იდუმალი ედებოდა ქვეყანას და შიშს ჰგვრიდა აივანზე გადმომდგარ ყმაწვილს.

ნისლის ფთილა შეეხო, დასწინწკლა. შესცივდა, თითქოს სველი ხელი ჩაუყო საყელოში ვიღაცამ.

მიხვდა, რომ გადაიღალა. ბეჭები სტკიოდა. ოთახში შებრუნდა, საწოლზე დაეგდო. თვალი დახუჭა თუ არა, მძიმე ბურაწში ჩაიძირა, მოსწყდა ყოველივე ამქვეყნიურს. ალბათ დიდხანს გასტანა ძილქუშმა, დღე ღამეს ცვლიდა, ღამეს—დღე, ის კი ისევ და ისევ გაუნძრევლად იწვა ზურგზე და ეგეგ ცოცხალიც არ იყო უკვე. მერე უცებ გამოფრკვა. ოფლში გახვიეულიყო და პერანგი ზურგზე მისწებებოდა.

მეზობელი ოთახიდან ჩოჩქოლი მოისმოდა. დარჩენილი სტუმრები გარიჟრაგს ელოდნენ და ჭაპის არყით თავს იქცევდნენ.

„რამდენ ხანს ვიწექი? ათი წუთი, ათი საათი, ათი დღე...“

გონება თანდათან ეწმინდებოდა და იქ, ვით ყამირზე, კვლავ ითესებოდა ეჭვის თესლი.

ცხელოდა. ფანჯარას მისწვდა და გამოაღო. გრილმა, ნესტიანმა ჰაერმა შემოაღწია, ხილისა და ნეშოს სუნი შემოჰპყვა... ესიამოვნა.

— დედა, — ხმადაბლა დაუძახა.

რატომღაც მოეჩვენა, რომ თათუშა აქამდეც კარს უკან იდგა და ჭუჭრუტანიდან თვალს ადევნებდა.

— დედა! — ხმას აუწია.

მეზობელ ოთახში ბოდიო ბედია რაღაცას ყვებოდა და სტუმრები სიცილისაგან იკაჭებოდნენ.

კართან ვიღაცა დაფაცურდა.

„ალბათ ვგიჟდები“, — შიში კენწლავდა მზეკაპუკს, გული სწრაფად უცემდა, სისხლი საფეთქლებზე უკაკუნებდა.

— დედა!

თათუშა შემოვიდა, შუქი აანთო.

— აქა ვარ, დედა შემოგვევლოს, ჩემო გულის დარდო... — ხმადაბლა შეეპასუხა. მის ხმაშიც შიში კრთოდა.

— აქ მო, დედა!

თათუშა ყოყმანით მიუახლოვდა, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, შუბლზე ხელი დაადო, მოეფერა.

მზეკაპუკმა ხელზე ხელი სტაცა და კბილი დაუჭირა.

თათუშამ ამოიკვნესა, მოთმენა სცადა, მაგრამ ეშწარა, თვალცრემლიანმა წამოიძახა:

— ვაიმე, შვილო, მოგიკვდეს ჩემი თავი, რა დამიშავებია?

მზეკაპუკმა უკან გადაიწია, თვალებში ჩაჰხედა.

— მითხარი სიმართლე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არ. მესმის, შვილო, რას მეკითხები...

— მითხარი სიმართლე!

თათუშამ სახეზე ხელი აიფარა, ატირდა. მზეჭაბუკს გული ერთი მუჭა გაუხდა. თავს სძლია და დაყინებით გაიმეორა:

— მითხარი სიმართლე, მითხარი, მითხარი!

— ამ ძუძუთი გამიზრდიხარ, შვილო...

— ცხრა თვე მუცლით არ გიტარებივარ?! — ყმაწვილის თავზე წისქვილის ბორბალი დატრიალდა.

— შენი ძმების აკვანში გამიზრდიხარ, შვილო...

— ცხრა თვე მუცლით არ გიტარებივარ?! — გაიმეორა გამეხებულმა მზეჭაბუკ ბედიამ.

— ღამეები თეთრად მითევია, იავნანა მიმღერია, შვილო...

— მაშ, ცხრა თვე მუცლით არ გიტარებივარ?! — გიყივით აიჩემა მზეჭაბუკ ბედიამ.

გაფიცხებული, აცახცახებული ფეხზე წამოხტა, კედელს ზურგით აეკრა.

— რა ვქნა, მე უბედურმა, რა ვქნა? — მკერდზე მჯიღი დაიკრა თათუშამ, ღაწვი ჩამოიხოჯა.

მზეჭაბუკ ბედია თითქოს დამშვიდდა, ხელები უღონოდ ჩამოჰყარა, ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა და რამდენჯერმე წუნარად გაიმეორა:

— თქვენ, ყველანი, ყველანი, მატყუარები ხართ!..

— ვაიმე, თუ გინდა მომკალი, შვილო!.. — ხელი გაუწოდა თათუშამ, შესთხოვა.

მზეჭაბუკ ბედიამ დედის ხელი აირიდა, სახეში არ შეუხედია, შებრუნდა და ფანჯარაში გადაეშვა...

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურმან ლებანიძე

ახალი წიგნიდან

●

ყოველთვის, როცა ამ ბეჩავ ქვიტკირს
ვათვალიერებ (მეასედ თითქმის!),
არ შეიძლება არ გაჩნდეს კითხვა
და უძლური ხარ წინაშე კითხვის:

თუ უფლის ნება არ გაჩნდა ზოგში,
რა გამოარჩევს კაცს კაცთა ჯოგში
და რამ დაწერა ის, რაც არ მჯერა
რომ დაიწერა ამ ჯურღმულ ქოხში!!

რამ, რამ აქცია კელაპტრად კვარი,
უბრალო ქუჩი — მართლა ყვავილად,
რაზიკაშვილის საწყალი გვარი
სახელთან ლუკა — ვაჟა ფშაველად!!

●

— გამრავლდა შაშვი (ჩინელივით!) ქალაქის ბაღში...
ეგ იმიტომ, რომ
აქ არ დასდევს
კაცი თუ ბავშვი...

— მე დავინახე კვიპაროსის კენწერო ცაში:
ღამის ხუთიდან
დილის ცხრამდე
გალობდა შაშვი...

— ეგ ძაან კარგი, რომ ხელს უწყობს ქალაქის ხალხი,
მაგრამ
სოფლად რომ გადაშენდა —
არ არის კარგი!..

— როგორ!! სოფელში გადაშენდა ნამდვილად შაშვი!!
— თვითონ სოფელი გადაშენდა...
სოფელთან — ბავშვიც!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვეები დღის და
დღეები მიხტის —
უახლოვდება
პოეტი სიკვდილს.

ეგ — არაფერი!
ვინ არის იგი, —
ვისთვის შეცვლილა
ბუნების რიგი!!

ერთხანს ვუშინჯე
კიდევაც კბილი
სიკვდილს — ვერ იყო
ძილივით ტკბილი...

კი, ორჯერ-სამჯერ
კინაღამ მოვკვდი,
მაგრამ რაკიღა
კვლავ ხიდზე მოვხვდი,

ვუახლოვდები
რაკიღა სამოცს
(სხვა საპატიო
მიზეზთა გამოც!),

მე გადავწყვიტე
სიკვდილი გვიან!

კი, იმნაირი
ქარები ჰქრიან,

მე უნდა ვნახო
მზე, მთვარის სასძლო —
ამ საუკუნის
ბოლომდე გავძლო!

ამ საუკუნის
თოვლები ვალხო —
იმ საუკუნის
გორები ვნახო!

მე უნდა ვნახო:
კეთილს და ბოროტს
ვის რა მიეზღვის
ბოლოს და ბოლოს...

ვნახო სინათლე
მშობელი ხალხის,
ოცდამეერთის
დაესწრო დილას —

ათასწლეულის
დაწყებას ახლის —
და მერმე მოვკვდე
მშვიდად და ტკბილად!

●

თავს არ გაჩვენებ ლომად და გმირად,
თავს არ გაწონებ ამით:
მარტო ვარ ხშირად, მარტო ვარ ხშირად,
ხშირად —
მარტო ვარ ღამით.

მაგრამ, იცოდე, ვინც შენთვის ფხიზლობს,
როცა უგუნურს გძინავს,
ის შენთვის ფხიზლობს, ის კარგად გიცნობს
და შენს მაგივრად
გმინავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთერ თათარაძეს

თათარაიძის
პატარა ქალო,
შენ შენი გული
პოეზიის ცეცხლს მიეც უშრეტს,
თავდავიწყებით
შენ შენსას ჰგალობ...
იზარდე, შვილო,
ესახლე ჩვენს ბედკრულ თუშეთს!

ჩიტუნას ჰგავხარ
პაწაწუნას, რომელიც სჭყივის
და გაჩქარებით
ათასნაირ ტკბილ ხმას გამოსცემს;
ტირილ-წუხილთან
სიხარულიც შენს ხმაში სჭვივის,
გაოცებულხარ, —
გაოცება შენი გვაოცებს...

შენ არ გეწყინოს,
არ თქვა: რჩევა ადვილად ითქმის!
მე შენ ერთს გკადრებ,
არას გეტყვი მრავალსართულად:
შიგდაშიგ, შვილო,
ეგ ყვავილი თუშური სიტყვის!
სთქვი უფრო ნათლად,
ცოტა უფრო მთავარ-ქართულად!

სხვა რა გირჩიო!!
გახარებას ლექსით გვპირდები...
„ჩემ დედო!“ უთხარ
დედას მთავარს, ვინც შენ შეგიგრძნო;
ხომ მოგვეწონა
დაქსოვილი შენგნით ჩითები,
ხომ მოგეფერა
საქართველო, როგორც შეიძლო!!

თავდავიწყებით,
შენ შენსას ჰგალობ...
მადლი შენს გამჩენს,
შენს მშობელ თუშეთს!
თათარაიძის
პატარა ქალო,
გვირილას შენსას
ბერიკაცი იმედით უყვრეტს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოგი თოთიბაძე



კიმი
ტაბატაძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

დილის პინდში ვერის ხიდზე მოვხვდით,
    თოვდა, თოვდა... რა კარგია თოვა...
გადამიდგა და ბოდიშის მოხდით
    გამაჩერა, სიგარეტი მთხოვა.

მივაწოდე, — გაიხარა კაცმა;
    მოვუკიდეთ, — მთვრალი ვარო, მითხრა;
ვავაბოლეთ, — გულის ფსკერზე დათბა,
    სთქვა მადლობა, რა დროაო, მკითხა.

მე ვუთხარი, — ხუთი იყო დილის,
    ხიდზე დავრჩი, ის გავიდა გალმა;
უცბად რაღაც შეუძახა თბილისს
    და ღილინით ვერის შეღმართს აჰყვა...

თოვდა, თოვდა, სიგარეტი გვქონდა...
    თოვდა, თოვდა... რა კარგია თოვა...
რა კარგია — რა ბევრი და ცოტა:
    კაცმა ღერი სიგარეტი მთხოვა.

სინათლეს ვაქრობ...

    დაძინებამდის მე უნდა ვნახო
    და ჩავიყოლო სიზმარშიც თანა:
    მთებში გაჭრილი პატარა ახო,
    ტყეში გაჭრილი პატარა ყანა.

    სინათლეს ვაქრობ, ქრისტესის ახლო
    ბალამწარები ტყისპირას დგანან...
    მთებში გაჭრილა პატარა ახო,
    ტყეში გაჭრილა პატარა ყანა...

    ოჰ, გმადლობ, ჩემო ბავშვობის
                ბაღო,
    ჩემი ბავშვობის უტკბესო ხანავ —
    მთებში გაჭრილო პატარა ახოვ,
    ტყეში გაჭრილო პატარა ყანავ!

გადაიარა არმიამ ულელტეხილი ბერხინიდან,
    ყუბანის შავეთს
    მივალთ მარუხის
    შავეთით...
გადავიარეთ თოვლ-ჭყაპში ულელტეხილი და
    ღამის ოთხია —
    გარიაჩი-კლიუჩში
    ჩავედით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადავათრიეთ: თუჯი, რკინა და რვალი,
    გადავათრიეთ,
    გადავათრიეთ,
    საჭურველი,

გადავათრიეთ: სული, ხორცი და ძვალი
    და ჰა, ფიცრული,
    ღამისსათევი
    სასურველი!

ღირს მილიარდი — ახლა მიგდება ძილად,
    დაღლილი თავის
    რაზეც მოგხვდება,
    დადება!
მაგრამ ეს კაცი — სიკვდილს მოგყიდის ძვირად,
    ბრძანებს ზემდეგი
    საჩქაროდ
    ცეცხლის დანთებას.

თოვლში კოცონი გადაანათებს არეს..
    ახალს რას გვეტყვის
    შენი წყეული
    ენა-პირი!!
— „დაიხადეთო! — ახლა ხელახლა ბრძანებს, —
    დაიხადეთო,
    დაიხადეთო
    ყველაფერი!“

„გამოვრეკოთო თავშესაფრიდან ვერაგები!
    ვაიძულოთო
    მკბენარი
    პაპანაქებით...
შეაბრუნეთო შიგნინაკერზე პერანგები!
    ალს მიაფიცხეთ
    პერანგის
    ამხანაგები!..“

დაბერილია ცეცხლით მხურვალე საცვლები,
    გახარებული
    ჯარისკაცები
    ყლივიან.
ტკაცა! — ფეთქდებიან სალდათის სისხლით მაძღრები
    და დგაფადგუფით
    მოლურჯო ალში
    ცვივიან....

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოცდაჩვიდმეტი წელიწადია გასული,
კიდევ კარგი, რომ
სიზმარია და
ძილია, —
გამახსენდება, თამაშად მოჩანს წარსული —
რაც ჩავლილია,
მწარეც რომ იყოს,
ტკბილია:

ტრიალ ტრამალში დედიშობილა ვდგავართ,
ყინვა ჭრიალებს,
ცეცხლი გვინთია,
ვიყინებით,
ვართ სალდათები — სხვა არაფერი არ ვართ —
ომში შესვლის წინ,
ბრძანებისამებრ
ვიხილებით.

მოგონებათ ზღვა იძვრის,
ფარდა აიზიდება,
თვალწინ მერი ჩხაიძის
ხატი გამიბრწყინდება.

როგორ ჩაჰქრა ვარსკვლავი!
ღმერთო, თასში რა იყო!!
არა, რა გულსაკლავი
საიდუმლო წაიღო!

წლები ომის ბღავილით,
სიკვდილების მოსწრებით,
პოეზიის ყვავილით
და მომავლის ოცნებით!..

ის ოცნება დავმარხეთ —
ვართ სიკვდილით წრთობილი —
რა დაია დავკარგეთ,
რა ცისფერი დობილი!

იქ, სვანეთის უბანში,
უტკბეს ჭერქვეშ ვხარობდით,
ლექსი გვედო უბეში,
დებთან მივიჩქარით.

იყო გრძნობა გულწრფელი,
ცის ბილიკით მსვლელობა,
ჯერეთ ყრმა და ურყვნელი
პოეტების სერობა.

ენა იტყვის ადვილად:
სიბერემდის მოვედით —
ვართ ნაკლებნი ნამდვილად
ერთი კარგი პოეტით...

რად, რის გამო შხამს სვამდა!!
არსით ჩანდა მიზეზი!
ვიდექ, ეჭვი მტანჯავდა,
იწვა — უფაქიზესი...

ეოკონებათ ზღვა იძვრის,
ფარდა აიზიდება,
ბეჭზე მერი ჩხაიძის
კუბო დამიმძიმდება...

ოჰ, სირცხვილი დამახრჩობს:
მახსოვს ქუჩა თამარის —
ბორცვი, ბორცვი არ მახსოვს,
მერი,
შენი სამარის!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტარდაგებულს ყიდულობს
    გლეხი
    ცელს და
    ნაჯახს,
პურს ქარხნისას ჰკითხულობს,
ცოტას კიდეც დიდგულობს,
    კიდეც
    თვალებს
    ქაჩავს.

შაქარს წყალში აზავებს,
    სვამს
    ქიმიურ
    მაჭარს,
სვამს და კიდეც გაძალებს —
შხამს გაძალებს საზარელს —
    შაქარ-
    წყალს და
    ჭაჭას.

გლოლას — ხარი დათვლილა,
    სორს —
    საერთოდ
    არ ჩანს,
სოფლის დღეები დათვლილა,
უღელი არ გათლილა,
ტაბიკი არ გათლილა
    ოც წელიწადს
    რაჭას...

. . .

მეზვრევ, მეხრევ, მყნობელო,
დრო დაგჭყივის
    „ჰაიტ!“
მარჩენალო ყოფილო,
აწ დაგვარჩენ
    რაით?!
საით, საით, სოფელო,
საით, საით, მშობელო,
    თუ კაცი ხარ,
    საით?!

ვით შეიძლება — ხომალდმა ჩვენმა
ამ ქარიშხლებში ზღვები გაკვეთოს!!
    ერმა და ბერმა,
    ერმა და ბერმა —
ყველამ თავისი საქმე აკეთოს!

გუთანს ჩაჰკიდოს მარჯვენი მხვნელმა,
ბელტი ბელტოს და ოფლი აღვენთოს!
    სწავლულის გონმა,
    მშენებლის ხელმა
გადაგვარების გზები ჩაკეტოს!

თავი აიღოს ხელმწიფემ ბრძენმა,
აწმყო კორდიდან მყობადს გახედოს!
    პოეტმა ქველმა,
    პოეტმა წრფელმა
გასაბედავი თვისი გაბედოს!

მითვლილი ვიქნეთ ხმალჩაგებულად —
მომავლის რწმენით გული აღენთოს...
    წყნარად, უსიტყვოდ,
    თავჩაღებულად
ყველამ თავისი საქმე აკეთოს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

გალიაში რომ გაგზარდე...

ეზეკიმ კარგა ხანს უყურა ქაღალდებში თავჩარგული დირექტორს, მერე კედელზე გაკრული ლოზუნგები ათვალიერა და ესეც რომ მოსწყინდა, ყრუდ ჩაახველა.

სავლე ყორყოლიანმა თავი ასწია, ერთხანს უაზროდ შესცქეროდა მოსულს, ახალი გაზეთები მიუჩოჩა და ქაღალდებს დაუბრუნდა.

— დამიძახე? — სიჩუმე სტუმარმა დაარღვია.

— იჯექი ერთ წუთს. ამას ჩავამთავრებ, სანქმე მაქვს შენთან, — სავლეს თავი არ აუწევია.

ეზეკი შესცქეროდა ვეებერთელა მაგიდასთან მიყუნცულ კაცს, რომელსაც ამოწეულ მუხლზე ორივე ხელი შემოეხვია და ხანდახან თითქოს მხოლოდ იმისთვის წამოიქსუტუნებდა, ქანდაკება რომ არ ჰგონებოდათ.

ასეთი ახსოვს სტუდენტობაშიც. ტანმორჩილი, კაფანდარა, წაკულუმბურებული ცხვირ-პირით. ვეებერთელა სათვალე მაშინაც წამდაუწუმ უვარდებოდა, ქოჩორი შეთხელებია მხოლოდ, სავლეს განთქმული წითელი ქოჩორი. მეხამრიდივით სიმაღლეზე რომ იდგა ყოველთვის და სისხლგამშრალი პატრონი ვერც მარჯვნივ გადააწევნდა და ვერც მარცხნივ. მომტყდარა, მოთვინიერებულა, მორბილებულა „რიეა სავლეს“ ქოჩორი. ცოტა არ იყოს, შეშავებული კიდეც სიბერისკენ.

მასპინძელმა კითხვა დაამთავრა, ხელები ნიკაპქვეშ ამოიდო და ეზეკის მიაჩერდა, მოსულიც თვალებში შესცქეროდა და ახლა მინისაგან გადიდებული წაქისფერი თვალების მეტს ვერაფერს ხედავდა.

— ეზეკი, რა ამბავია შენს თავს? — ეუცხოვა ეს ხმა სტუმარს, სავლე თითქოსდა სხვისი ხმით ესიტყვებოდა.

— არ ვიცი? — კითხვა შეუბრუნა ეზეკიმ, თუმცა, როგორ არ იცოდა, წმენინვრად იცოდა, რისთვის უხმო დირექტორმა.

— ეზეკი, ჩვენ სერიოზულად უნდა მოვილაპარაკოთ. — სავლემ მაგიდას შემოუარა და წინ დაუჯდა.

— კი, ბატონო.

— არ გინდა, არ გჭირდება ეს ამბავი, ეზეკი, შენ, არ არის ახლა იმის დრო.

— რისი დრო? — ეზეკიმ გაიფიქრა, მთლად ხომ არ გავიაბდლე თავიო.

— ვილაპარაკოთ გულახდილად, თუ ძმა ხარ. მიამიტობის თამაში მინდა ახლა მეე?

— პირდაპირ მითხარი, რაშია საქმე და მეც პირდაპირ გაგცემ პასუხს.

— საამქროს კრებაზე გამოსულხარ, — პაუზის შემდეგ ამოღერღა სავლემ.

— გამოვედი.

— მერე? — სავლემ სიგარეტს თავი მოუსრისა და ასანთი გაატკაცუნა.

— რა მერე?

— სწორად მოიქეცი?

ეზეკინა. — ორმოცდაათი წლის კაცი ვარ, სავლე, მე და. პირველად ვთქვი სიმართლე.

— როგორ ამბობ მაგას, არ გრცხვენია მაინც? აბა დაფიქრდი. ორმოცდაათი წლის კაცი აქამდე სიცრუით ვცხოვრობდიო, ეს გინდოდა გეთქვა? მერე არ იმასხარავებ შენს თავს ამით, წყალში არ ყრი მთელს შენს ნამოქმედარს? არის ახლა ამის საჭიროება?

— სავლე, სწორად გამიგე, თუ ძმა ხარ, მე ვიდაცას კი არ ვბაძავ, რასაც ჩემი სინდისი მკარნახობს, იმას ვაკეთებ.

— თავი დავანებოთ იმას, რომ მართალი არა ხარ. როგორ ფიქრობ, დაგვიანებული არ არის? ახლა რომ აკვინტიღდი, შენ არ იყავი მთელი ცხოვრება ამას, ამას და ამას ტაშს რომ უკრავდიო, არ გეტყვიან? ახლა რა ბზიკმა გიკბინაო, არ გეტყვიან? მთელს შენს ცხოვრებას არ დაგიდებენ მაგალითად?

— ვინ მეტყვის?

— ვისაც ახლა ვითომ ექომაგები, ვისთვისაც ახლა გმირობანას თამაშობ.

— მე არაფერს არ ვთამაშობ, კიდევ გიმეორებ, სავლე ჩემო. მეტი ვეღარ გავუძელი, ზოგი შეიძლება ისე მოკვდეს, ერთხელაც არ წამოსცდეს სიმართლე.

სავლემ იგრძნო, რომ იმ „ზოგიდან“ დირექტორამდე ერთი ნაბიჯი იყო და ხმას დაუყვავა.

— ჩემზე სულ აღარ ფიქრობ?

— შენ რა გიჭირს?

— არ იცი ვითომ. შენ ერთი უფროსი გყავარ, ბიჭო, მე, — შენი კურსის ამხანაგი და მე ათასი უფროსი მყავს.

— ნუ მამადლი, თუ ძმა ხარ. შენ თვითონ რომ არ გდომებოდა დირექტორობა, კალთას არავინ დაგახეევდა, ნუ გეშინია.

— მაგას არ გეუბნები. ვინც შენ საამქროს კრებაზე ტაშს გიკრავდა, სწორედ იმან დაგასმინა ჩემთან და ის წაიღებს ამბავს ზევითაც.

— ატაროს და იყოს. მე ჩემი გული ვიცი, ამ სიმართლეს გულში შენც ეთანხმები და ზევითაც ბევრი მიჭერს მხარს.

— მით უმეტეს, ეზეკი, თუ თვითონვე იცი, ახალს რომ არაფერს ამბობ და ჩვენც მაგ აზრის ვართ, რატომ იგდებ თავს საფრთხეში და რატომ გვაგდებ უხერხულ დღეში?

— რა მოგვივიდო, რაშია საქმე? იქცევა ქვეყანა? რამ შეგაშინათ ასე. როდის იყო ეზეკი ბარდაველიძის სიტყვა ასე გაშინებდათ? ვიტყვი ხვალ ჩემს სიტყვას. მერე გამოვლენ და გამაკრიტიკებენ. შეჯამებ შენ კრებას, იტყვი, ცდება, ამხანაგებო, ეზეკი ბარდაველიძეო. დაიწერება ოქმი და გათავდა. შეიძლება უკეთესიც იყოს. ამხელა კრებაზე ერთს განსხვავებული აზრი ჰქონიაო, იტყვიან. სირცხვილია, სავლე, ამდენი წლის განმავლობაში ყველა ერთნაირად ვფიქრობდეთ, ერთნაირად მოგვწონდეს, ერთნაირად გვიხარდეს.

— რატომ გინდა წამოგესიოს ჩემიანად ეს ამდენი კაცი და არ ხარ მართალიო, გიძახონ?!

ეზეკიმ გაზეთი გაშალა, სათაურებს თვალით გადაურბინა და ოთხად გაიკეცა.

— შენ ჩემი დარდი კი არ გაწუხებს, იმის გეშინია, რომ მართალი ვარ.

— დავუშვათ, ასეა.

— არც იმის ჯავრი გკლავს, რომ საყვედურს გეტყვიან, საამქროს უფროსი წონამასწარა გყოლიაო.

— ჩემს თავს არ დავეძებ. აზრი რომ ჰქონდეს სასწორზე შენ შედგომას, პირველი მე გამოგყვებოდი.

— არ გინდა ახლა ჩემთან თხა თხაზე ნაკლების ქარაგმა. შენ ვერ გამომყვებოდი.

— რატომ, გგონია, შენ იფიქრე პირველად იმაზე, რაც საამქროს კრებაზე გითქვამს?!

— სულაც არ მგონია, შენ მაღლა ხარ და ჩემზე უკეთ ხედავ, რაც ხდება მაგრამ... ხომ გაგიგონია, „ქოფაკმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძალიმაც კი ვერ ბრძანა იცის, მაგრამ ცხვირში ეკალი ეჯავრებაო“.

— მაგით რა გინდა თქვა?

— შენ შენს სკამს გაუფრთხილდები.

— ეშმაკს წაუღია სკამი. მე შენ გიფრთხილდები, ეზეკი, და... — სავლემ ღრმად ჩაისუნთქა, — ჩემ თავსაც.

— ჩემი გაფრთხილებისთვის დიდი მადლობა. ნუ ვეშინია, ბოლოს და ბოლოს მომხსნი და ეგ იქნება.

— შენს ცოლ-შვილს რა პასუხი გავცე?

— დღეს მშიერი არავინ მოკვდება. გულის გასივებით კი ბევრი კვდება, იცოდე.

სავლე წამოდგა, ფანჯარასთან ზურგშექცევით დადგა, მერე ნერვულად დაუბრუნდა თავის დირექტორულ სკამს და თქვა:

— ეზეკი, ხვალ არ გამოხვალ შენ კრებაზე.

— მაგის პირობას ვერ მოგცემ. — პასუხი არ დააყოვნა საამქროს უფროსმა.

— ეზეკი, შოლტი ისე უნდა მოიქნიო, რომ შენვე არ მოგხვდეს.

— სწორედ მაგ სიფრთხილემ და შიშმა დაგვამონავა და დაგვაცვდენა ჩვენ.

— დაფიქრდი, ეზეკი, ცეცხლს ეთამაშები.

— მე საკმაოდ ვიფიქრე. მეტი აღარ შემიძლია. ხომ შეიძლება, მეტი აღარ შემეძლოს?!

— გითხრა, რამ შეგასხა ფრთები და რამ წაგათამამა?

— აბა? — ეზეკიმ თითები თითებში გაუყარა.

— ჩემმა დირექტორობამ. იცი, რომ მოყვარხარ და უკანასკნელ წუთამდე დაგიცავ.

— პირიქით, შენმა დირექტორობამ დიდხანს მაგუბებინა პირში წყალი.

— იცი, რისი იმედი გაქვს?

— რისი.

— შენ გგონია, იშუალებს მთელი კრება და ეზეკი მართალია! მართალიაო! ხელში აგიტაცებს. შენც არ მომიკვდე, ტაშსაც არავინ დაგიკრავს, ხალხი ისევ დამფრთხალი, რომ შენს მხარდასაჭერად არავინ გამოვა.

— ვიცი.

— მარტო დარჩები, იცოდე.

— შეიძლება დღეს მარტო დავრჩე, მაგრამ თავის გულში ყველას ეცოდინება, მართალი რომ ვიყავი და ამ ეტაპზე ესეც საკმარისია.

— ეზეკი, — სავლე უკანასკნელ იმედს ჩაებღაუჭა.

— გისმენ.

— შენთვის ხომ არაფერი მითხოვია. გაიხსენე ახა, ამ ოცი წლის განმავლობაში კარგის მეტი რამე გამიკეთებია?

— ??

— ნუ გამოხვალ ხვალ კრებაზე, სულ ნუ მოხვალ. ვითომ არ იცოდი. ვითომ ეს კრება არც ყოფილა.

! — ჩემი თავი შემძულდება, ასე რომ მოვიქცე და დრო რომ გავა, შენც შეგზიზღდები.

— დამიჯერე, ეზეკი, არაა ვაკაცობა, რასაც შენ აკეთებ.

— მერე ვინ გითხრა, რომ ვაკაცობაზე ვდებ თავს? სავლე, რატომ არ გინდა გაიგო. დავიღალე, სხვანაირად აღარ შემიძლია.

— ახლა თუ ჯოხი ჩემზე გადატყდება, არც შენ დაგისვამენ ხვალ თავზე ხელს. დაფიქრდი კარგად და თითზე საკბენად არ გაიხადო საქმე.

ეზეკი წამოდგა, სკამი მაგიდისკენ შესწია და სავლეს დაღლილი ღიმილით გაუღიმა.

— ბაბუაჩემი იტყოდა: ვირს რომ საპალნე მოუნდება, წისქვილში შეიხედავსო.

სავლემ ხელკავი გამოსდო და კართან ერთხელ კიდევ შეაჩერა.

— მჭონდეს შენი იმედი?

— ყველაფერში.

— სიტყვა სიტყვაა, არ გამოხვალ ხვალ კრებაზე.

ეზეკის შეეცოდა ეს კაცი. საამქროს უფროსს შუბლზე ცივმა ოფლმა დასხა.

— არ ვიცი, საკვლ. ახლა ვერაფერს გეტყვი. ყოველ შემთხვევაში, მე შენთვის სიტყვა არ მოძიცია. ძე ჩემი გზა მაქვს და ნუ გადამიდგები წინ, თუ ძმა ხარ.

ეზეკი რომ გავიდა, დირექტორი დიდხანს იდგა კართან, მერე ნელა, კატის ნაბიჯით გაიარა თავისი კაბინეტი და სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა.

●

კრება დასასრულს უახლოვდება.

ჯერჯერობით ყველაფერი მშვიდად მიდის.

წინასწარ გაფრთხილებული მოკამათენი სწორედ ისე გამოდიან, როგორც უნდა გამოდიოდნენ. ცალკეული უბნების შრომით მიღწევებზე ლაპარაკობენ, ხაზს უსვამენ თავიანთ წვლილს საერთო-სახალხო აღმავლობაში და ბოლოს თვითკრიტიკის წესით, ორიოდე უმნიშვნელო შენიშვნასაც მოაყოლებენ.

კრებამ კარგა ხანია ინტერესი დაკარგა „კამათისადმი“. ორ-ორად და სამ-სამად თავთავიანთ საქმეზე ლაპარაკობენ. კლუბში მილიონი ფუტკრის ზუზუნი ისმის.

ერთადერთი კაცია დარბაზში, რომელსაც მთელი კრების მანძილზე კესერი არ გაუტოკვებია. თავაღებული ზის მეოთხე რიგში (მარჯვნიდან მეშვიდე) და ყურადღებით უსმენს გამომსვლელთ. ეს კაცი ეზეკი გახლავთ.

დირექტორი ხანდახან შიშით გაიხედავს მისკენ, მაგრამ საამქროს უფროსის გაქვავებულ სახეზე ვერაფერს ატყობს.

„არ გამოვა. რასაკვირველია, არ გამოვა. ალბათ საამქროს კრებაზე გამოსვლასაც ნანობს. მეც კარგად ველაპარაკე. ასე უნდა, უნდა ჩაფიქრო კაცი. გუშინდამ აწონ-დაწონა ალბათ ყველაფერი და მიხვდა, რომ სისულელეა, რასაც ფიქრობს. ჩემი დარდიც რომ არ ჰქონდეს, თავისი ცოლ-შვილის ხათრი ხომ ექნება. თავის მომავალზეც ფიქრობს. ასე ადვილი არაა გაპედვა. ჩვენ ათასი ჯაჭვით ვართ მიბმული ჩვენს ყოველდღიურობაზე. ეტყობა, ეზეკის სურდა ყურადღება მიექცია და მიიქცია კიდეც. თავისი მიზანი შეასრულა, ხალხი აალაპარაკა. ხალხს თავი შეახსენა. მისთვის ესეც საკმარისია. ცნობილია ჩვენთვის ეს ხერხი — ეს უმარტივესი ავანტიურული ნაბიჯია, რომ ანგარიშს გიწევდნენ და შენი რიდი ჰქონდეთ.

დაფიქრდა ალბათ წუხელ და დაასკვნა, რომ მარტოა. იცის, ჩიტი ცალი ფრთით რომ ვერ გაფრინდება. იქნებ არც აპირებდა დღეს კრებაზე გამოსვლას და ზედმეტი სიფრთხილე გამოვიჩინე? არა, არა, სიფრთხილეს თავი არა სტკივა, მაინც, რაც უნდა იყოს, საკუთარ გულში ჩავახედე. ცოტა დავაშინე კიდეც მგონი. ესეც საჭირო იყო“...

თავმჯდომარე წამოდგა და გამოაცხადა:

— ამხანაგებო, კამათში ჩაწერილი იყო ცხრა ამხანაგი. გამოვიდა ცხრა. არის წინადადება შეწყდეს კამათი!

თავმჯდომარის ამ წინადადებას კრება სიამოვნებით დაეთანხმა.

და უეცრად დარბაზი შეჩოჩქოლდა, დირექტორს ელდა ეცა და ყურმა შუილი დაუწყო.

„ახლა რაღა დროსია, კრება უკვე დამთავრდა, რაღა დროს სიტყვაა, გაგიჟდა?!“.

ეზეკამ ღრმად ჩაისუნთქა და გასუსულ დარბაზს თვალი მოავლო:

— თუ შეიძლება, სიტყვა მაქვს განცხადებისათვის.

ახლა ყველაფერი თავიდან დაიწყება.

ალალი

ᲨᲘᲜ მითხრა, კი ალარ მახსოვს, მგონი, შენ მითხარი: მთელი ცხოვრება ყველასთან მართალი თუ ილაპარაკე, შენზე საწყალი არავინ იქნება დედიაზეო. ხანდახან სიცრუეც უხდება საქმესო. რა ვიცი, შენი ჭირიმე, მე არ გიმიმდის მაგ ჭკუაზე სიარული. მაშინ ტყუილსაც ისე უნდა ხმარობდე ხანჯლად, როგორც მართალს. მთელი ცხოვრება ბეწვის ხიდზე უნდა იარო და ან გაგიმართლებს, ან არა. ათასნაირი უნარის კაცი იბადება ამ ქვეყანაზე. ზოგიერთი უდაბნოში ქეიშას გაყიდის და ზოგის ბამბაც ჩხრიალებს. წარმოიდგინე, ერთ მშვენიერ დღეს ყველანი გულწრფელნი ვიყოთ, ყველამ სიმართლით გავზომოთ და გავეჩრათ. პირში ვუთხრათ ერთმანეთს, ვისაც რა ეკუთვნის, მტრისას, ქვეყანა აირევა. ადამიანს ძილი და მოსვენება დაეკარგება. მეორედ მოსვლა რასაც ჰქვია, ის დადგება სწორედ. რამდენი საუკუნე დაჭირდა გამოქვაბულის კაცს, თავის ვრძნობების შენიღბვა და ტყეული რომ ესწავლა. სიცრუე კულტურული ადამიანის თვისებაა, თორემ ველური. გამიგონია, რომ მოკლა, ტყეულს ვერ ვეტყვისო. არ შეუძლია, მის ტვინში არაა სიცრუის ადგილი და რა გინდა უთხრა. მე ან ძალიან ადრე ვარ დაბადებული, ან ძალიან გვიან. არ დამიჯერებ, არ გამომდის, სხვა ვიფიქრო და სხვა ვილაპარაკო. იმწუთას შემეტყობა, არ ვიცი, იმ ჩემი ცოდვით სავსე მამაჩემმა გამზარდა ასე თუ ასეთად გავჩნდი ქვეყანაზე. ასე მგონია, თუ რამე ვიეშმაკე, მთელი დუნია გაიგებს-მეთქი, ახლა გამიჩნდა ეშვის ჭია, თორემ ყოველთვის ყველასი მჯეროდა. რანაირად შეიძლება-მეთქი, ვამბობდი, კაცი თვალებში გიყურებდეს და გატყუებდეს-მეთქი. ისე, გულუბრყვილოდ და სულელად მოგნათლავენ, თორემ, კაცი ის უნდა იყო, რაც ხარ. რატომ უნდა ითვლებოდეს ნამეტანი გულწრფელობა სიშტერედ? ერთ პატარა ამბავს მოგიყვები, ერთხელ ვიცრუე ჩემს ცხოვრებაში და რა დამემართა: მწყრის ხეზე შეჯდომისა არ იყოს. მოგეწონე რაღაც ამ ხალხში და გიყვები, თორემ რა მოსაყოლია. შენ მაინც არ დამცინო თუ ძმა ხარ.

საქართველო მიწისძვრა რომ მოხდა, ჩვენი საპროექტო ინსტიტუტიდან მე მიმავლინეს. მართალი დიდი საქმე გაკეთდა მაშინ. მთელი ქვეყნიდან დაიძრნენ სპეციალისტები, რომ ამ უძველესი და კოშწია ქალაქისათვის ეშველათ. ნახეკრად დანგრეულ სასტუმროში ვცხოვრობდით. ვის არ შეხვდებოდით ჩამოსულთაგან — მშენებელი ინჟინერი, არქიტექტორი, სეისმოლოგები ხომ იყვნენ და იყვნენ, ექიმი, ბუღალტერი, კალატოზი თუ დურგალი. ერთი სიტყვით, ვის როგორ შეეძლო, ისე გაუწოდა საქართველს ხელი.

ჰო, ჩემო ბატონო და, მე აბანოს დაპროექტება დამავალეს. არ დამიჯერებ და, მართლა გულით მოვეკიდე. მინდოდა, ისეთი აბანო გამეკეთებინა, თან აღმოსავლურიც ყოფილიყო და მიწისძვრისთვისაც გაეძლო. სასტუმროში ვიჯექი და დღე და ღამეს ვასწორებდი. ჩვენი კაცის სიგლახის ამბავი მოგეხსენება, სამ დღეს რომ მოწყდება ცოლ-შვილს, სამოთხეშიც რომ იყოს, შინისკენ მოუწევს გული. თანაც ამ უსახლკაროდ დარჩენილ ხალხს რომ ვხედავდი, ისე მეგონა, არც ჩვენს ქალაქს ადგას კი დღე-მეთქი და მთელი ღამე, რა ჯანდაბამ შემაყვარა არ ვიცი, დანგრეული ლომბარდი მეჩვენებოდა. ვითომ მიწისძვრა მომხდარა ქუთაისში, ლომბარდი დაუშვია ძირს, გარბი-გამორბის ხალხი. ვინც რას წაეწევა, მოჰკიდებს ხელს და მიაქვს. არ გრცხვენათ!? — ვყვირი სიზმარში, — სად მიგაქვთ ეს სხვისი ქონება! კაცმა ლომ-

რევაზ მიშველაძე
ნოველები

ბარდში იმიტომ მიიტანა, რომ უუპირდა. ასე უნდა დაეცეთ და დაგლახავდეთ-მეთქი? — ვინ მისმენს. მიაქვს და მიაქვს ხალხს მთელი ლომბარდი. ა, ამნაირ სიზმარს ვხედავდი ყოველლამე. სიზმარიც რომ უბედური ვიცი, კაცური რამე დამსიზმრებოდა, კაცურ საქმეზე მეგლიჯა სიზმარში ნერვები. ლომბარდს გადაუშენდა მომგონი. არ გამიხდა საპატრონო და სათავეცემო ორი ათასი კილომეტრიდან?

მოკლედ, ღამე ამნაირ სიზმარს ვხედავ, დღე ამანოს პროექტზე ვმუშაობ და, რა დაგიმალო, თვალი გაქცევიაზე მიეირავს. მითხრეს, ჩაგვაბარე ეს პროექტი და გაგიშვებთო. რა დასამალია და, ცოტა არ იყოს, მიწისძერისაც ქე მეშინია. რომ გიმეოროს? ჭკუა დაუშლის თუ რაი. შუა ოთახში ვწვებიდი, ასე მასწავლეს, თუ მთლად არ დაინგრა ქვეყანა, ვინც შუა ოთახში წევს, გადარჩებაო. კაცმა კაცის ძვირი რატომ თქვაო. როგორ არ ვთქვა, თუ კაცი ხარ, ერთმა ჟურნალისტმა რომ თავი შეირცხვინა მაშინ. ქალაქი ნახევრად დანგრეულია, ტრანსპორტი არ მოძრაობს, სინათლე არ არის, ხალხი ქალაქგარეთ კარვებში ცხოვრობს და საღამოს გაზეთში წაიკითხავდი: — მიწისძვრამ საქართა უმნიშვნელოდ დაზიანაო, მშრომელთა სურვილით აღმასკომმა ნება დართო მოქალაქეებს ქალაქგარეთ კარვებში იცხოვრონო. ეს კიდევ არაფერი, ახლა გეტყვი სასწაულს: კაცმა რომ თქვას, სასიამოვნოკია ზაფხულის ცხელ დღეებში ქალაქგარეთ გრილ კარავში ცხოვრებაო. აბა ეს სისულელე არ არის? რა მოგვიდა, შე კაი კაცო, თქვი მართალი. ვის უხეევ თვალს: შენი ბრალი ხომ არ არის — ქალაქი მიწისძვრამ დაიზიანა. სტიქიას რაღას ერიდები? რატომ გინდა, შენთვის სტიქია კეთილთვისებიანი იყოს და სხვისთვის უბედურების მომტანი. ქალაქგარეთ კარავში ცხოვრება კაია ექსკურსიაზე რომ ხარ ორი დღით წასული, თორემ როცა სახლი დანგრეული გაქვს, მომაკვდავი სიღედრი შეზლონგზე გიწევს, შენი საყვარელი ბებია უგზოუკვლოდ გადაიკარგა და ტაბურეტის სკამზე პირსაც იპარსავ და სადილობ კიდეც — მე მგონია (არ ვიცი, შეიძლება ვცდები), სასიამოვნო და გადასარევი ასეთ ყოფაში არაფერი უნდა იყოს.

რაღა გავაგრძელო, ოთხი დღის ჩამოსული ვარ საქართველოში და ასე, ახალშელამებულზე, ვიღაცამ დამიკაკუნა. ვის გავახსენდი, მე ვთქვი, ამ უცხო ქალაქში. გავაღე, წვრილთვალებიანი და ბრტყელსახიანი კაფანდარა კაცი დგას. მაგათ წლები ძნელად ეტყობათ, მაგრამ, ჩემი ჭკუით, ასე, ორმოცის უნდა იყოს. თეთრ კბილებს აელვებს და და დამტკრეულ რუსულს ლაპარაკობს.

— ქართველი ბრძანდებით?

თავი დავუქნიე.

— თუ შეიძლება, შემოვალ ცოტა ხანს.—თან ისე უხერხულად და საწყლად გაიღიმა, გეგონება, ისეთი რამ მთხოვა, რის შესრულებასაც ჩემი ნახევარი ქონება მაინც დასჭირდებოდა.

— მობრძანდით.

მადლობა გადამიხადა. კუთხეშივე კონწიალა სკამზე ჩამოაჯდა და ერთხელ კიდევ გამიღიმა. ერთი გლახა თვისება გვაქვს, თუ დაუპატიჟებლად ვინმემ მოგვაკითხა და ისიც ასე შორს, ჩვენ გეგონია მაინცდამაინც არაყზეა მოსული. ამ გუმანმა ბევრჯერ სწორად მიმახვედრა, მაგრამ ახლა შემარცხვინა. ქუთაისიდან წაღებული აწწული არაყი მქონდა. მე თვითონ არაყი წამლადაც არ მინდა, ასე შემოვა ვიღაცა და დაკალეგინებ-მეთქი. გავუვსე ჩაის ჭიქა და გავუწოდე უგაშჩაიტეს-მეთქი. შენ არ მომიკვდე, არ დალია. წვეთს არ ვსვამო, არც არაყს, არც ღვინოს, ვერაფრით ვერ მივეჩვევე, გემოს ვერ ვატანო. რა ასმევს ხალხს ამ საძაგლობას, ზოგიერთს სული რომ მისდის შიგო. ჭიქა დავდგი და ცნობისმოყვარე ბავშვივით მივაჩერდი. რაზე შემოვიდა, რა უნდა აბა, თუ არაყს არ სვამს — ვფიქრობ. ასე მაქვს ტვინი უკუღმართად აწყობილი, თორემ რა მოხდა. კაცს კაცთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსაიფი უნდა და შემოვიდა. მაინც-დამაინც საქმეზე უნდა შემოსულიყო? შემრცხვა, სიმართლე გითხრა, შემოსვლისთანავე არაყი რომ ვაჯახე. არ ვართ, არა, უცხო კაცთან ყოველთვის სწორი. მანსური მქვიაო, ყაზანელი თათარი ვარო, კალატოზი. თქვენსავით მეც მივლინებაში ვარ და ამ რიგზე თქვენგან მესამე, № 321 ოთახში ვცხოვრობო. ჩემი ოთახი № 318 იყო.

ერთი სიტყვით, იმ ღამეს კაი გვიანობამდე ვიმუსაიფეთ. თავისი მითხრა, მე ჩემი ვუთხარი. მშვენიერი მოსაუბრე კაცი ჩანდა, სხვათაშორის. მეორე დღეს, ისე ექვს საათზე მომიკაკუნა და კარებშივე მკითხა, ბულბულის გალობა თუ გიყვართო.

ჩემთვის ასეთი შეკითხვა არავის დაუსვამს. საერთოდ, არ მგონია, მოიძებნოს საღმე კაცი, რომელიც ხელიდან გაუშვებს მისი მუსიკალურობის და რომანტიკულობის დამტკიცებას საშუალებას და განაცხადებს, ბულბულის გალობას ვერ ვიტანო.

ვგიჟდები-მეთქი.

აბა, რაკი თქვენც გყვარებიათო, აქ ახლოს პარკია. პარკის ბოლოში ჭალაა, რომელსაც ბულბულების ჭალას ეძახიან, წამოდი, თუ კაცი ხარ და, ერთად დავტკბეთ ბულბულის გალობითო.

რას ეტყვი. კაცი ბულბულების ჭალაში გეპატიჟება... მივატოვე ჩემი პროექტი და გავყევი.

კალატოზი უძახე შენ, ხელები იმ ოჯახაშენებულს ნიჩბებივით ჰქონდა, მაგრამ ბულბულის გალობის გიჟი ყოფილა, ვიფიქრებდი ოდესმე? ორი საათი გატრუნული იჯდა მორზე და უსმენდა. მეც მსიამოვნებდა, რად უნდა ლაპარაკი, მაგრამ ორი საათის მოსასმენი არაფერი მგონია ბულბულის გალობაში. მით უმეტეს, რომ სულ ოთხნაირი მელოდია აქვს ბულბულს და გაფუჭებული პატეფონივით იმეორებს ერთსა და იმავეს. მ ი ნდ ე ნ ად ბულბულის გალობამ კი არ გამოაცა, არამედ სიმშვიდემ, რიგვლივ რომ იდგა. ჭალაში ისეთი სიწყნარე იყო და იმგვარი იღლია სუფეოდა, თითქოს მიწისძვრა ანდა წვიმაც არასოდეს მოსულიყოს. — შემოგარეწში.

ყოველდ დათქმულივით მაკითხავს ექვს საათზე მანსური და ბულბულების ჭალაში მივყავარ. პატივს გცემს კაცი, უნდა რაღაცით გასიამოვნოს, რა სჯობია ამას, მაგრამ ჩემი სქემე, გითხარი, მისი არ იყოს, სხვანაირადაა. ბულბულის მოსასმენად მცალია? პროექტი საჩქაროდ უნდა დავამთავრო და მოვიესვა სახლში, დანგრეული ლომბარდი ღამით მოსვენებას არ მაძლევს.

დღე თათბირებზე ვართ, საღამოსკენ გამოვიქცევი სახლში და მოვიმარჯვებ თუ არა სახაზავს, მანსური დამიკაკუნებს. ბულბულის გალობა ყელში ამომივიდა, მაგრამ რაკი შევტოპე, უკან ვეღარ ვიხევ, მრცხვენია.

ბოლოს გადავწყვიტე, ყელს შევიხვევ და რომ მოვა, ვეტყვი, ავად გავხდი და დღეს უჩემოდ მოგიწევს ბულბულთა კონცერტის მოსმენა-მეთქი.

ასეც მოვიქეცი.

კარი რომ გავუღე და ყელშეხვეული დამინახა, წახდა კაცი, ფერი ეცვალა; რა მოგივიდა, გუშინ მშვენივრად იყავი და ასე უცებ რა ქნა გეცოო.

მგონი ანგინა მაქვს-მეთქი.

ხელი მომკიდა, სკამზე დამსვა, სინათლე აანთო, პირი გააღეო, მთხოვა და ყელში ჩამხედა, ნათური ოდნავ ბჟუტავდა და ვერაფერი დაინახა, შეწუხდა, თავი გადაქნია.

შენთვის მუშაობა არ შეიძლება, წამოწექი, ახლავე მოვალო, — მითხრა და სახაზავი მოწყობილობა აალაგა.

რა მიშავს, წადი, ჩემი გულისთვის საქმეს ნუ მოცდები, მაინცდამაინც არ მტკივა, წავიმუშავებ და გამიკლის-მეთქი.

როგორ გეკადრება, ანგინას ნუ ეხუმრები შენო, დასაწყისში არაფერია, მერე იცის გამწარებაო. — დაადგო სიტყვა და გაიქ[illegible]

ხუთ[illegible]ში მობრუნდა, საკმელის

რევაზ ინანიშვილი
ნოველები

სოდა და სტრეპტოციდი შემომირბენინა. ერთი კოვზი სოდა ერთ ჭიქა აღუღებულ წყალში გახსენი და გამოივლეო. სტრეპტოციდი დაღეჭე და პირში ცოტა ხანს გვონდესო.

სასტუმროში აღუღებული წყალი არ აღმოჩნდა, გაიქცა და რესტორნიდან მოარბენინა.

ციბრუტივით ტრიალებსო რომ იტყვიან, ისე იქცევი.

ასე დედა არ მოგიკლის, მე რომ მან მომიარა.

მეგონა, ჩემს ავადმყოფობას უცდიდა თავისი კიაკაცობა რომ გამოეჩინა-მეთქი.

დაწექი და საბანი დაიფარეო, — მეხვეწება, მე ჭირვეული ბავშვივით ვჯიუტობ, ასე მირჩევნია-მეთქი.

ერთი გავარდნა კიდევ გავარდა და რომ დაბრუნდა, მუჭი სავსე ჰქონდა ტაბლეტებით.

ჯერ ეს დალიე, მერე ეს და მერე ესო.

შავ დღეში ჩავვარდი.

წამლით გაჭყეპვა მინდა ამ საღ-სალამათ კაცს? აბაზანაში შევედი და ორი ამი წყალში ჩავუშვი, რამდენიმე ტაბლეტს ბალიშქვეშ მოვუძებნე ადგილი.

არ გაუვლია ნახევარ საათს, მნახველებმა იწყეს დენა.

როგორაა ჩვენი ავადმყოფიო, ხომ არაფერი გვირდებათო, ერთმა თქვა, გაცივებული იქნებით და მდოგვის საფენები მოგიხდებათო.

მანსური კარგი ჭირისუფალივით რქცევა. მნახველებს კარს ულებავ-ულებავ აწოდებს, მადლობას უხდის.

ეს რა ვქენი, რომ კლოუნადა გავითამაშე, რა ეშველება ამ საქმეს.

ჯერ რვა საათიც არ არის, ჩემი მკურნალობა თუ ასე პროგრესულად წარმართა, შეიძლება ხვალ დილით საავადმყოფოში ამოვყო თავი.

მნახველები რომ გაიცალა, მანსურმა საათზე დაიხედა, გავვარდები, ექიმს მოვიყვან, ახლა სამსახურიდან მოსული იქნებაო.

სიტყვით რომ ვერა გავაწყე, ლოგინიდან წამოვიტი, ყელსახვევი მოვიგლიჯე, ფეხზე ჩავიცვი და მანსურს კატეგორიულად განვუცხადე, ბულბულების ჭალაში წავიდეთ-მეთქი.

პირდაღებული მომჩერებოდა.

რას უდგეხარ, წავიდეთ, დაღამდება. ველარ მივუსწრებთ-მეთქი.

თავი გააქნია, შენთვის ახლა არაფრით არ შეიძლება, გაცივდებიო.

ვდგავარ და ვეხვეწები. რას არ დავპირდი, ოღონდ წამყოლოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმე, ერთი პირობით — ყელი მაინც შემახვევინა.

სამი-ოთხი დღე კიდევ მეკითხებოდნენ მეზობლები, ყელი როგორა გაქვთო, მერე, რაკი ზეზე მხედავდნენ, დამშვიდნენ და შეკითხვები შეწყვიტეს.

ბულბულების ჭალაში კი კვლავინდებურად დავდიოდით მე და მანსური.

ტ ვ ი რ თ ი

ვუძღვნი რევაზ თაბუკაშვილს

— ეს რა არის?! — ავსტრია-უნგრეთის სამეფოს მოხელემ, ყელშეხვეულმა, ხმა-ცხვირიანად მკლე ჩინოვნიკმა შინით უკან დაიხია, როცა ოთხმა გიგანტმა ზანგმა სასწორზე ხვნეშით შემოდგა უშველებელი სპილენძის კუბო.

— კუბოა. — ღიმილით მიუგო რამაზ თაყაშვილმა და ნათქვამი უფრო დამაჯერებელი რომ გამოსულიყო, კუბოზე თითები აათამაშა.

სამეფოს მოხელემ პენსნე დაიმაგრა და არაჩვეულებრივ ტვირთს გარს შემოუარა. დიდხანს და ბუტბუტით კეთილობდა მარჯვენა მხარეს სპილენძზე ამოტვიფრულ იტალიურ წარწერას: „მამუკა უფლისაშვილი — 1545-1597“. თავაზიან მგზავრს პასპორტი ხელში შეატოვა და უკანმოუხედავად გაიქცა.

ფრაკის ბოლოები სასაცილოდ ეყო-

ფოდა შუაზე, ფეხებს განზე დგამდა და შორიდან პინგვინს წაადგება.

მალე ლაქიამ საბაჟოს დეპარტამენტის ჩუქურთმიანი კარი გააღო და რამაზოსკენ ექვსიოდე შავმანტიიანი მამაკაცი წამოვიდა.

რომ მოახლოვდნენ, ჯგუფს ერთი გამოეყო, ქუსლები გაატკაცუნა და საფეთქლთან ორი თითის მიტანით სტუმარს მიესალმა.

— მაქვს პატივი მოგესალმოთ, საბაჟოს უფროსი ჰანც კანცვერბერგი.

დანარჩენები უკუდგნენ და თავები დახარეს.

— მიიღეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა, მოწყალეო ხელმწიფევ, — საბაჟოს უფროსმა ხელი მაგრად ჩამოართვა. რამაზმა მადლობა გადაუხადა და, მიუხედავად იმისა, რომ აქ დადგენილი ცერემონიალის მიხედვით, მისგან ზედმეტი სითამამე იყო — უფროსის ამალასაც ჩამოუარა და „გმადლობთ, ჩემო ბატონო, გმადლობთ, შენი ჭირიმეს“ ბუტბუტით ყველას ჩამოართვა ხელი.

— ნება მიბოძეთ გკითხოთ, კაკვასიაში მიბრძანდებით? — საბაჟოს უფროსს რბილი, ხორხისმიერი ხმა ჰქონდა.

— დიახ.

— ჩემს ცნობისმოყვარეობას მხოლოდ ერთი მიზეზი აქვს: გზაში ერთ კვირას მაინც იქნებით, მიცვალებული ხომ კარგად არის მოვლილი, უბრალოდ რომ ვთქვათ, ბალზამირებულია თუ არა?

— ვერ გეტყვით, კუბო არ გამიხსნია, — რამაზმა საბაჟოს მოხელეს თვალებში შეხედა.

— ?!

— განსვენებული, სულ მცირე, სამასი წლის მკვდარი მაინც არის.

— გასაგებია,—საბაჟოს მოხელეს სახეზე ძარღვიც არ შეტოკებია, თუმცა ერთი სული ჰქონდა გ.ეგო, რა იყო ეს სამასი წლის მკვდარი ამ საშუალო ტანის, მკვირცხლთვალება, პირმრგვალი მამაკაცისათვის, ან რა მოსაზრებით შეეწუხებინა ნეშტი ამხელა გზაზე ჯაჯგურად.

—თუ თქვენში რაიმე ეჭვს იწვევს ჩემი ტვირთი, შეგიძლიათ გახსნათ სარკოფაგი, — სიჩუმე რამაზ თაყაშვილმა დაარღვია, მაგრამ მაშინვე ინანა, ჰანს კანცვერბერგს აღელვება მხოლოდ ხმის ათრთოლებაში შეეტყო.

— თქვენ ხუმრობთ, ბატონო მგზავრო. მართალია, ავსტრია-უნგრეთს მკაცრი სასაზღვრო წესების სახელმწიფოდ თვლიან, მაგრამ ჯერ იქამდე არ მივსულვართ, მიცვალებული გავჩხრიკოთ.

საბაჟოს უფროსმა თეთრი ხელთათმნები გაიკეთა და მოაჯირს მიყრდნობილ ოთხ გოლიათ ზანგს საჩვენებელი თითის მოკეცვით უხმო.

— გთხოვთ, — კანცვერბერგმა რამაზი წინ ჩაიყვანა და პროცესია მატარებლისკენ დაიძრა.

რამაზ თაყაშვილი ხელდაკრეფით მიჰყვებოდა კუბოს და ზურგს უკან საბაჟოს თანამშრომლების ფრთხილ, მოხზომილ ნაბიჯებს გრძნობდა.

კუბო საფოსტო ვაგონში შეაცურეს, ჭირისუფალი თავის კუპემდე მიაცილეს, ერთხელ კიდევ ჩამოართვეს ხელი რუსეთის იმპერიის მოქალაქეს და მატარებლის დაძვრის მოლოდინში ქვემოთ, ვაგონის ფანჯრებთან დადგნენ.

ეს კი მეტისმეტი იყო. რამაზს უნდოდა ეთქვა, წაბრძანდით, არაა საჭირო, არ ვარ ღირსი ამდენი პატივისცემისო, მაგრამ ეშინოდა სამგზავრო ეთიკეტის ზუსტად დამცველ ავსტრიელთათვის ამითაც არ ეწყენინებინა. მატარებელი რომ დაიძრა, მარჯვენა ხელი გაარხია და მადლობის ნიშნად ერთ-ორი ჰაერივანი კოცნაც გაუგზავნა საბაჟოს უფროსობას, რაზეც მასპინძელთა გაოცებულ მზერას წაადყდა და თავისი თავი დატუქსა—ეს ჰაეროვანი კოცნა ნამეტანი მაუბრალოებს და როგორმე უნდა მოვიშალოო.

ცუდად ეძინა.

რევაზ მიშველაძე
ნოველები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არც ვაგონის ჭრიალმა დააძინა და არც იმაზე ფიქრმა, რომ მალე თავის ქვეყანაში ჩავიდოდა და არ იცოდა, როგორ შეხდავდნენ მის ნაბიჯს, სწორად გაუგებდნენ თუ არა.

როგორც კი ნარზე პიროლმა ამოტრიალდებოდა და გულზე ხელებს დაიკრეფდა, ეჩვენებოდა, რომ მამუკა უფლისაშვილიც ასე იწვა ახლა სპილენძის ჭერმეტლულ კუბოში და ისევ მუცელზე წვებოდა, რომ უსიამოვნო შედარებისაგან გათავისუფლებულიყო.

მატარებელმა იმპერიის საზღვარს რომ მიაკვლია, ახალგათენებული იყო.

„მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მიერ დამტკიცებული საბაჟოს წესების მიხედვით მგზავრებს ეკრძალებათ ვაგონიდან უნებართვოდ ჩამოსვლა!“ — მუხრუჭების ღრჭიალში ძლივს გაარჩია რამაზმა.

ერთსაათიანი მომქანცველი ლოდინის შემდეგ კუპეში ულვაშებგაწკეპილმა პორუჩიკმა შემოჰყო თავი.

— ბატონი თაყაშვილი?!

— დიახ, — რამაზმა ლოყებს ხელები მოაცილა და წამოდგა.

— თქვენი ბარგი სულ ეს არის?! — პორუჩიკმა ტყავის ყვითელ ჩემოდანზე მიუთითა.

— არა, თან კუბო მიმაქვს, — ყურები გაუწითლდა რამაზს.

— ვიცით, ვიცით. გთხოვთ წამობრძანდეთ, — პორუჩიკმა ზემოდანს ხელი დაავლო, შეტრიალდა და გაიქცა.

ბაქანზე კაცებშეული არ ჰაჭანებდა.

საბაჟოს მაღალჭერიან ოთახში შესვლისას რამაზმა ჯერ კუბოს და ჩემოდანს დაადგა თვალი, მერე სმენაზე გაჭიმულ ნაცნობ პორუჩიკს შეხედა და ის იყო სკამზე დაეშვა, რომ სწრაფი ნაბიჯის ხმა მოესმა და იძულებული გახდა, წამომდგარიყო.

კაბინეტში უკისრო, ვირთხისცხვირპირა ჩინოვნიკი შემოგრიალდა, ზურგზე ხელებშემოწყობილმა შემოუტრბინა კუბოს და რამაზს წინ დაუდგა ლაჩტის მოთმამშესავით ფეხებგაშლილმა და გადასახტომად შემართული.

— თქვენი წოდება?!

საბაჟოს მოხელეს ცივი, ყიყინა ხმა ჰქონდა.

— ტახტის აზნაური, — რამაზს გაეცინა. — საგანგებო მინდობილობათა მესაბეჭ რანგის მოხელე ამჟამად.

— საქმიანობა?!

— კომერსანტი გახლავართ. ევროპაში ფოტოსაქმის ლიტერატურის და ფოტოაპარატების შესაძენად ვიყავი წასული.

— ეროვნება?! — ხელისუფლების წარმომადგენელი სიცხიანივით ისროდა სიტყვებს, ვეგონებოდათ, მგზავრის პასუხი არც კი აინტერესებსო.

— ქართველი. — მიუგო რამაზმა და არწიესლერმიანი პასპორტი კუბოზე დადო, — იმპერიის სრულუფლებიანი მოქალაქე.

— დაგეტოვეთ! — უკისრო მოხელე პორუჩიკს მიუბრუნდა და როცა ეს უკანასკნელი ფეხების ბაკუნით გავიდა, თვალების ეშმაკური წკურვით მიუახლოდა კომერსანტს.

— კიდევ კარგი, რომ ჩემი მორიგეობის დროს მოხვდით, თორემ შეიძლებოდა ეს საქმე ცუდად დამთავრებულიყო, — პასპორტი ხელისგულზე გაატყაპუნა — რისკიანი ხალხი ხართ. ნუთუ ვერ ხვდებით, რომ კუბო ვერაფერი კონსპირაციაა კონტრაბანდის გადმოსატანად?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ არა თუ თქვენს მონა-მორჩილს, ჩემი გვარის ვერცერთ წარმომადგენელს ვერ იხილავთ ვაჭრეულა-კონტრაბანდისტის როლში, — რამაზ თაყაშვილი წელში გაიმართა.

საბაჟოს მოხელეს აშკარად შეეტყო, რომ ეწყინა. არც მგზავრის ამაყი კილო მოეწონა და არც იმის შესაძლებლობა, რომ კუბოში მართლა შეიძლებოდა მიცვალებული ყოფილიყო.

— გაფრთხილებთ, სანამ ამ ოთახში მესამე პირი არ არის, შეგვიძლია ერთმანეთს ვენდოთ, როცა ჩხრეკას დავიწყებთ, თუნდაც უმნიშვნელო საბა-

ქო ცუღლუტობისთვის უმკაცრესად დაისჯებით.

— მესმის.

ჩინოვნიკმა მაგიდასთან მიირბინა და ზარი ააჟღარუნა.

ჩხრეკა დიდხანს გაგრძელდა.

ჯერ რამაზი დააყენეს ოთახის შუაგულში და სთხოვეს ყველაფერი გაეხადა.

კვართ-საწმერთულის ამარა, ფეხშიშველი იდგა ცივ იატაკზე ტახტის აზნაური და მაგიდის გასწვრივ, კედელზე, ვიტტეს ლამაზ პორტრეტს შესცქეროდა.

რომ იტყვიან, საფისტონე ჯიბიანად გაჩხრიკეს, ლანჩასაც კი უტყაპუნეს ჩაქუჩი.

მერე ჩემოდანი გადმოაპირქვავეს და საეკვო იქაც რომ ვერაფერი იპოვეს, გულდაწყვეტილმა პორუჩიკმა ხელები გაიფერთხა და უბრძანა, ჩაეცვა და ჩემოდანიც ჩაელაგებინა.

ჯერი კუბოზე მიდგა .

ფანჯარას მიმდგარ რამაზს დიდხანს ესმოდა სპილენძის ზარის რეკვა. კუბოს მოხვედრილი ჩაქუჩის ექო დიდხანს წრიალებდა ოთახში და, საჰაერო სარკმლიდან გამძვარული, შორს, ჰორიზონტთან, თეთრი ეკლესიის გუმბათზე იშლებოდა.

ერთადერთხელ მოიხედა და ასეთ სურათს წააწყდა: საბაჟოს ვითრხისთავა უფროსი ტაბურეტზე შემდგარიყო და თავაზდილ კუბიში ლუპით იხედებოდა.

რამაზი შეზარა ამ სანახაობამ. მიცვალებულის წინაშე თავი დამნაშავედ იგრძნო, ცივ მინას შუბლით მიეყრდნო და სანამ არ უხმეს, არ შემობრუნებულა.

— ვინ არის განსვენებული?! — საბაჟოს მოხელე ბატის ფრთას ჩუქურთმიან სამელნეში წამდაუწუმ ასველებდა და რაოაცას წერდა.

— მეთექვსმეტე საუკუნის ქართველი მოღვაწეა, მამუკა უფლისაშვილი, — მშვიდად მიუგო რამაზმა.

— სად იყო დამარხული?

— ვენეციაში.

— რატომ?

რამაზმა შეკითხვა ვერ გაიგო.

— როგორ მოხვდა-მეთქი ვენეციაში?

— ვერ გეტყვით. მე პირადად მისი ბიოგრაფიიდან ცოტა რამ ვიცი. საეკლესიო გამოკვლევებს და საგალობლებს წერდა. სიმარილე გითხრათ, არც ვიცოდი, თუ რტალიაში იყო დამარხული. ერთ მისიონერს შემოხვევით წამოცდა, აქ, სხვათაშორის, ბოკაჩიოს მეოთხე წყალ-ქუჩაზე ქართველი კაცის საფლავიაო. დავინტერესდი, ხუთი დღე ველოდე ზღვის უკუქცევას. წყალმა რომ დაიკლო, ჯვარი გამოჩნდა. ჯვარზე, ქვემოთ ფირფიტა იყო გაკრული და „მამუკა უფლისაშვილი“ ეწერა. მამუკა უფლისაშვილის სახელი ყველა ჩემმა თანამემამულემ იცის. რაკი სამშობლოში მისი გადასვენების განზრახვა ჩავიდე გულში, არ მოვეშვი. ჩემი საქმეები განზე გადავდე და შევეხე. ნებართვის მისაღებად რომის პაპთან მისვლაც დამჭირდა. ბოლოს, როგორც ხედავთ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

— რა ნათესაური კავშირი გაქვთ მიცვალებულთან?! — ეტყობოდა, რამაზის მიერ მოთხრობილმა ამბავმა საბაჟოს მოხელე სრულიადაც არ დააინტერესა.

— მე... — რამაზმა ხელისგული მოისრისა, — არაფერი.

— მაშ რა მიზნით მოასვენებთ ცხედარს?

— უბრალოდ, ქართველი კაცია და...

— როგორ! — იმპერიის საზღვრის დამცველი ფეხზე წამოდგა. — დადიხართ ასე ევროპაში ქართველები და თუ საღმე ქართველის საფლავს ნახავთ, ამოთხრით და სამშობლოში მიარბენინებთ? კარგი გართობაა, ჩემმა მზემ!

— ეს უბრალო ქართველი არ გახლავთ, — რამაზს სიბრაზისაგან პირი გაუშრა — დიდი ქართველი მამულიშვილი და მეცნიერია.

— მით უმეტეს! შენ გგონია, დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივი ეცი მიწიდან რომ ამოთხარე?!— ვირთხისთვალებამ გაცინება სცადა და წინ გამოშვერილი სამი კბილი შემზარავად გამოაჩინა. — ვენეციაში დამარხვა ხუმრობა საქმე ხომ არ გგონია? ვინ მოგცათ ნება მიცვალებულის წინაშე ასეთი მკრეხელობა ჩაიდინოთ? საქართველოში დამარხვა რომ სდომებოდა, თვითონ იზრუნებდა ამაზე სიცოცხლეში. არ მიატოვებდა თქვენს ქვეყანას და ვენეციაში არ ამოჰყოფდა თავს. დამიხვდეთ ამას! ახალი პროფესიის კაცი — მკვდრების შემგროვებელი!

რამაზ თაყაშვილი მიხვდა, რომ საბაჟოს მოხელე შარზე იყო და გაჩუმება არჩია. სწორედ ამ სიჩუმემ გაჯრა. ვირთხის ნათესავმა წერა დაამთავრა, ვერცხლის ბუდეში ჩადებული კვერისხელა ბეჭედი დააძრო, ქაღალდს სამ ადგილას გაუტკაცუნა და ოთახიდან გასვლისას ქართველ კომერსანტს ყბის კანკალით აუწყა:

— არა, არა! თქვენ თქვენსას არ მოიშლით, თქვენ თქვენსას არ მოიშლით. ჩემი საქმე რომ იყოს, ჩემი საქმე რომ იყოს!.. — შეჩერდა, ხელი ჩაიქნია და სწრაფი ნაბიჯით გაყუნცულდა ოთახიდან.

1902 წლის 16 თებერვალი იდგა.

●

საუწყებო საქმეთა ვიცე-გუბერნატორს რაუშ ფონ ტრაუბენბერგს დილიდანვე მოეშხამა გუნება. როცა თანაშემწემ მოახსენა, კვლავ რამაზ თაყაშვილი გეახლათ და აუდიენციას დაბეჯითებით მოითხოვსო, ხელები გაასავსავა და ჩინოვნიკს მუდარით სავსე თვალები შეანათა.

— უთხარით, რომ არა ვარ.

თანაშემწეს გაეცინა.

— იცის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ეტლიდან გადმოსვლისას დაგინახათ. დღესაც აქ დაადგამებს. იქნებ აჯობებს, მიიღოთ და მოიშოროთ.

„მიიღოთ, მამა გიცხონდება, შენთვის აღვილი სათქმელია!“

იცის, როგორ არ იცის ვიცე-გუბერნატორმა რა საქმეზეა მოსულიდ[illegible] ვილი. მთელი ქალაქი მამუკა უფლისაშვილის ჩამოსვენებაზე ლაპარაკობს. სამი დღეა ემალება ქალაქის თავის ამხანაგი ამ უცნაურ მთხოვნელს. ასეთი მძიმე დღე ჯერ არ დადგომია. ხუთი წელია თბილისში მუშაობს და ასეთ შემთხვევას ჯერ არ წაწყდომია. ყველაფერი დაუზუსტეს — ეროვნული მოღვაწე ყოფილა, მწიგნობარი და პატრიოტი, მერე? რა შუაშია რაუშ ფონ ტრაუბერბერგი? რაღა მან უნდა გადაწყვიტოს ეს საჩოთირო საქმე? მიწერს მერე ვიღაც იმპერატორის კანცელარიას ამ ამბავს და კარგად მეყოლე! სამასი წლის მკვდარს უნდა გადაყოლო შენი კარიერა, ტრაუბენბერგო? არა და სანამ უნდა გადაუდოს აუდიენცია? ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მიიღოს?

— სთხოვეთ. — ვიცე-გუბერნატორმა თანაშემწეს მწყარალად შეხედა. შენგან მჭირს, რაც მჭირსო, თითქოს უნდოდა ეთქვა.

კარი რომ გაიღო, ტრაუბენბერგი წამოდგა და კომერსანტისკენ ხელგაშლილი წვიდა.

— ოო, მობრძანდით, ბატონო თაყაშვილო. თქვენ ახლა ყველაზე სასურველი სტუმარი ბრძანდებით. მაპატიეთ, რომ გალოდინეთ. თანაშემწემ დროულად არ მომახსენა. დაბრძანდით, მგზავრობამ ხომ არ დაგღალათ?

მამა არ შეხვდება ასე დიდი ხნის უნახავ შვილს.

გაბადრული თაყაშვილი უხერხულობის გასაფანტავად ხელებს მუხლებზე ისვამდა, გაეგონა. ვიცე-გუბერნატორი თვალომაქციაო, მაგრამ თუ ამხელა მელა იყო, არ ეგონა.

— ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაგვახარეთ. თქვენ ნამდვილი გმირი ხართ. ჩვენი დღეების გმირი. სამასი წლის შემდეგ მამუკა უფლისაშვილს თავისი სამშობლოს მიწა მიიბარებს. ეს ხომ ზღაპრის ახდომას ჰგავს. ეს ხომ ჩვენი დიდი ხნის ოცნება იყო. გაგიჭირდათ საფლავის მიღება?

რამაზმა გაიფიქრა, ამან თუ ასე

ილაპარაკა, ისე გამიტყუებს კარებისკენ, რომ სიტყვას არ ჩამაგდებინებსო და საქმეზე გადავიდა.

— ჩემი გაწვალება რა ანგარიშში ჩასაგდებია, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ჩემს ადგილზე ყველა ასე მოიქცეოდა. ახლა თქვენი შეწევნით, ამ ძვირფას ნივთს სათანადო პატივისცემა და დაკრძალვა უნდა.

ვიცე-გუბერნატორს არ ესიამოვნა, რომ ასე ჩქარა ალავერდს მისკენ გადავიდნენ.

— რასაკვირველია, რასაკვირველია... კერძოდ რა გაქვთ მხედველობაში?

— ორი მთავარი საკითხი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ: საიდან გამოვასვენოთ და სად დაკრძალოს.

— მე რა შუაში ვარ? — ეს უკვე აღარ იყო ტრაუბენბერგისეული ეშმაკობით ნათქვამი. ვიცე-გუბერნატორმა წყენა ვერ დამალა და წამოდგა, თუმც იქვე სცადა ავიაიდ წამოსროლილი სიტყვის გამოსწორება—მე, რაც შემიძლია. ერთი სიტყვით, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი...

რამაზ თაყაშვილი მიხვდა, რომ გაიძვერა მოხელე ფონს ეძებდა და გზა გადაუჭრა:

— მოგეხსენებათ, დაკრძალვისა და ქორწინების საკითხები უშუალოდ თქვენს კომპეტენციაში შედის.

— საერთოდ კი... რასაკვირველია... მაგრამ ეს კერძო შემთხვევა გახლავთ... ეს უბრალო დაკრძალვა არ არის... სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო...

— ??

— როცა ასეთი საქმე გადაწყვიტეთ, უნდა შეგეთანხმებინათ, რომ იტყვიან, საქმის კურსში უნდა ყოფილიყო ქალაქის დეპარტამენტი. თქვენ ფაქტის წინაშე დაგვაყენეთ. ეს მთლად კარგი ვერ არის, — ვიცე-გუბერნატორი წყენას ვერ მალავდა.

— მართალი ბრძანდებით, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მაგრამ მე ხომ წინასწარ არ ვიცოდი. იქვე, იტალიაში შემთხვევით გავიგე. მოგეხსენებათ, შეთანხმების და მოთათბირების [illegible] იყო. ახლა, ავად თუ კარგად, საქმის ნახევარი გაკეთებულია. უკანდასახევი გზა არა გვაქვს—მიცვალებული მიწას უნდა მივაბარონთ.

— საქმეც ისაა, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ უკანდასახევი აღარ გვაქვს ამას სხვანაირი განსჯა-დაფიქრება უნდა. დაკრძალვამ საშიში ფორმები რომ მიიღოს?! ხალხს ისედაც ბუნტისკენ უჭირავს თვალი. წუმწუმის ალიც საკმარისია და დემონსტრაციად გადაიქცევა თქვენი ფეოლისაშვილის დაკრძალვა, მერე თქვენ განზე დადგებით, პასუხს კი მე მაგებინებენ.

ორივენი სდუმდნენ.

— დაყოვნება იქნებ უარესი იყოს ამ საქმისათვის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. გარწმუნებთ, დაკრძალვას საშიში მიმართულება არ მიეცემა. ქალაქი დაიტრიბს თავის წინაპარს. იქნებ უკეთესიც იყოს. სამასი წლის ცხედართან გამართული პანაშვიდი საეკვო პირებსაც კი სამოდგე დღით დაავიწყებს ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის საქმეს.

— თქვენ მხედველობიდან ერთი რამ გრჩებათ. სამაგიეროდ ეროვნულ გრძნობებს გაღვივებს. ნაციონალური დროშების ფრიალს მოჰყვებიან. არ გახსოვთ, რა ამაზრზენი ამბები მოჰყვა დავით ერისთავის ბალაგანს? მაშინაც ასე უმტკიცებდნენ, თურმე, გუბერნატორს, ეთნოგრაფიული სპექტაკლია, უმტკივნეულოდ ჩაიელესო.

რამაზი დარწმუნდა, რომ გამოქეცილ ვიცე-გუბერნატორს გზა-კვალი ვერ აუბნია და უკანასკნელ ხერხს მიმართა.

— დაყოვნება შეიძლება დამუტაველი აღმორნდეს-მეთქი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. მთელმა ქალაქმა იცის, რომ კუბო ჩემს სახლშია. მესამე დღეა, ყოველ საღამოს ჩემს ჯიშაართან უცნობებს ვხედავ. რაც დრო გადის, ემატება ხალხი. ჩემს სახლთან დემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნსტრაციის გამართვას სჯობს დაკრძალვას სახელმწიფოებრივი ხასიათი მოვცეთ. რომელიმე დაწესებულების შენობიდან გამოვასვენოთ. პოლიციასაც მეტი საშუალება ექნება წესრიგის დაცვის.

— თქვენ მაინც რომელ უწყებებზე ფიქრობთ? — ყრუდ იკითხა ვიცე-გუბერნატორმა.

— ყაფლან სარაჯოვის პანსიონატიდან, ან კეთილშობილთა საქველმოქმედო საკრებულოს შენობიდან გამოვასვენოთ, პოლიტიკისგან თავისუფალი უწყებებია.

ვიცე-პრეზიდენტი ფეხზე წამოდგა.

— ბატონო თაყაშვილო, უფლებას გაძლევთ თქვენი შეხედულებისაბერ იმოქმედოთო. ჩვენი საუბარი არ შემდგარა. თქვენ ჩემთან არ ყოფილხართ და არც არავითარი თანხმობა მომიცია. ასე აჯობებს. მე ამ საქმიდან განზე გადგები. თქვენ თვითონ მოელაპარაკეთ ყაფლან სარაჯოვს.

— მაგრამ ის უთქვენოდ, რასაკვირველია, არ გადაწყვეტს. ვერ გაბედავს.

— ეს უკვე სხვა საქმეა. როცა თვით რექტორი დააყენებს საკითხს ჩემს წინაშე, შევეცდები ხელი არ შევუშალო. ოღონდ ცერემონიალი არ უნდა გაშორდეს საეკლესიო მოღვაწის დაკრძალვის ფარგლებს. საშინა რეციდივების შემთხვევაში პირად პასუხისმგებლობას თქვენ გაკისრებთ.

— ვემსახურები იმპერიას! გმადლობთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. — რამაზ თაყაშვილი წამოდგა.

„ობერფლიდი ვინმე ხარ, მაგრამ არ გადგია კარგი დღე. სადაც შენი დაიკვეხნო, იქ ჩემიც არ დაგავიწყდეს. სამი დღე სისხლი გამიშრე, მაგრამ მაინც მოგიმწყვდიე კუთხეში. შენგან სწორედ ეს ნებართვა მინდოდა. აწი მე ვიცი“, ფიქრობდა კომერსანტი და ქალაქის დეპარტამენტის ნოხიან კიბეზე მისი ასაკისათვის საკმაოდ მჩატედ ჩამორბოდა.

ყაფლან სარაჯოვი, ტანდაბალი, ცისფერთვალება, უდროოდ გამელოტებული, ახალგაზრდა, მსუქანი კაცი რამაზ თაყაშვილს დერეფანში შეეგება. ცალ ხელში განიერი შავი ჩანთა ეპყრა, სოლო მეორეში — წიგნების შეკვრა. დაინახა თუ არა რამაზი, ტკივრთინენი ხელები მაღლა ასწია, მომიცადე ერთ წუთსო, სთხოვა, ფანჯრის რაფასთან მიირბინა, ბარგი ზედ დაწყო და კომერსანტისაკენ გამოფრინდა. ისე დიდხანს იკრავდა გულში ყაფლანი სტუმარს, რომ დერეფანში მათ ირგვლივ ცნობისმოყვარეთა წრე შეიკრა.

— შენთან ვარ სტუმრად! — ძლივს მოახერხა რამაზმა და ყურში ჩასძახა გულაჩუყებულ მასპინძელს.

— ამა ვისთან იქნები. მაგას ლაპარაკი უნდა? — ვიღაცას ფანჯრის რაფაზე მიუთითა, წელზე ხელი მოხვია და კაბინეტიდან წაიყვანა.

— ეს რა გაკეთე, რომ იცოდე. რა ბიჭი ხარ, რომ იცოდე. სადაც კი მოვხვდი ამ ბოლო დროს ოჯახებში, ყველგან შენს სადღეგრძელოს სვამენ. მეხარბება, ძმაო, შენი, — ყაფლანი სავარძელში ტანჯორიკით ტრიალებდა.

— შენი პანსიონატიდან უნდა გამოვასვენოთ, — რამაზმა სიხარულისგან ატროკებულ ყაფლას ქამანდიანი ესროლა.

სარაჯოვი გაქვავდა.

— ჩემი თავი გენაცვალოს, მაგრამ რატომ მაინცდამაინც აქედან? — ეს უკვე დამფრთხალი, გატეხილი კაცის ხმა იყო.

— სახელიანი დაწესებულებაა, ეროვნული.

— მაგ საკითხზე ცოტა დავფიქრდეთ, რამაზ ჩემო, — პანსიონატის გამგე შორიდან უცლიდა და რამაზი უკვე მიხვდა, რომ ამ კაცს უარის თქმა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, — არ ავჩქარდეთ და საქმე არ გავაფუჭოთ. იმ უწყებასთან, საიდანაც გამოვასვენებთ, რაღაც კავშირი ხომ უნდა ჰქონდეს.

რამაზი დარწმუნდა, რომ საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და, ცოტა არ იყოს, გაბრაზდა.

— როგორ? პანსიონატთან მამუკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლისაშვილს კაშირი არა აქვსო, შენ ამბობ, ყაფლანი ამბობ ამას?

— ახლა ასე თუ ვიმსჯელებთ, ვისაც ერთი სტატია დაეწერია, რაღაც კაშირი ყველასა აქვს ჩვენთან, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ჩვენი თანამშრომელი არ ყოფილა და არც ამ პანსიონატში მიუღია განათლება.

— რას გეტყვი, იცი? — რამაზი წამოდგა და შარვლის ჯიბეში ხელები ჩაიწყო,—არ შეიძლება, ძმაო, ასე. ასე აწყობილად და თავაუტაკივრად ნუ ცხოვრობთ. სირცხვილია. მაშინ გადადექი ამ პოსტიდან, თუ ერთი ბეწო გაბედულებაც არ გაგაჩნია დ. დაჯექი სახლში. შენა ჩრდილისაც გეშინია და კაცმა რომ გკითხოს, თავს დადებ შენი ქვეყნისთვის. ეს შენი პროფესორობა და მსოფლიო სახელი იმიტომ უხარია ქვეყანას, რომ რაღაცაში შეეწევი, რაღაცაში გამოადგები. ილიას თქმისა არ იყოს, ერთ-ორ გულმოსაფხან სიტყვაც მაინც ეტყვი, შე კაცო.

ყაფლანი დატუქსვას დიდი ხნის გადაჩვეული იყო და აიმრიზა.

— შენ შენსას მიერეკები და ახლა ჩემიც მოისმინე. რომ იცოდე, არც ეგრეა საქმე, შენ რომ ფიქრობ. შენ რა იცი, რას ვაკეთებ მე და რა ცეცხლში მაქვს თავი შეყოფილი ყოველდღე. შენ რა იცი, რა კბილებით მიჭირავს ჩვენი ენა ამ პანსიონატში. გაკეთებთ პატარა რაღაცას და მაშინვე გმირის ნთელს დაიდგამთ თავზე. რა ნახე ასეთი, შე კაი კაცო. ჭკუას რომ მარიგებ, შენი ნაფიცი მოწაფე ხომ არ გგონიარ? როგორ შეიძლება მამეკა უფლისაშვილის ამ კედლებიდან გამოსვენება. ათასი ბუნტოკშრიკი მყავს. იტყვის რომელიღაც თავგახურებული ახალგაზრდა რამეს და სულ დაგვიხურავენ ამ პანსიონატს. შენ გაეცი მერე ქართველ ერს პასუხი.

ისეთი ექსტაზით, ისე პათეტიკურად ლაპარაკობდა სარაჯოვი, უცხო კაციც ადვილად დაისკვნიდა, რომ ქართველი ერი ამ გამოგონილ მოღვაწეს ფეხებზე ეკიდა. *კარგად ბრძანდებოდეთო,* — სხვათაშორის დაუგდო და პანსიონატიდან გამგეს თავისი გრძელი მონოლოგი პირში შეატოვა.

მეორე დღეს რამაზ თაყაშვილს აუდიენცია ჰქონდა კეთილშობილთა საქველმოქმედო საკრებულოს მარშალთან. თავადი ნოშრევან ამილახვარი ოთხმოცს გადაშორებული, ყრუ მოხუცი სავარძელზე გადაწოლილიყო, გენერლის ბოჭყვიალა ქამარი ისე ღონივრად შემოეკრა, რომ სულს ძლივს ითქვამდა, ყბებსმიჭერილ მაღალ საყელოში წამდაუწუმ ორ თითს იყოფდა, რომ ჰაერი გადაეყლაპა.

ცუდ დღეში იყო გენერალი ნოშრევან ამილახვარი. იგი ტიროდა.

— პირველად რომ მითხრეს, ყურებს არ დავუჯერე. არ იქნება-მეთქი მართალი. ბატონო კომერსანტი, ამ სიბერეში ცოტა ურწმუნო გავხდი, მაპატიეთ, მე აღარც კი მეგონა, თუ ასეთი მამულიშვილები კიდევ არსებობდნენ. დღეს ყველას თავისი თავი უჭირს, რომელი ჭკუათმყოფელი წამოიღებდა-მეთქი კუბოს იტალიიდან, მაპატიეთ, ბატონო კომერსანტო (ამილახვარს რამაზის სახელი უკვე მესამედ დავავიწყდა), მე დღეს ბედნიერი კაცი ვარ. ნუთუ ეს მართალია. ნუთუ ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა. სასწაული ერი ვართ ჩვენ. აი, ნახავთ ისტორიის ამ მოსახვევსაც გავიელით და გალმა გავცურავთ. ნუთუ მამეკა უფლისაშვილს თავისი სამშობლოს მიწა მიიბარებს?! ეს... ეს.. ეს ხომ ჩემი საშვილიშვილო ოცნება იყო!

ამილახვარს სიტყვები აღარ ეყო, თვალებზე ჭრელი აბრეშუმის ცხვირსახოცი მიიფარა და ისევ ჭქვითინდა.

— თქვენო უმაღლესობავ, თქვენი შეწევნა სჭირდება ამ საქმის დაგვირგვინებას! — ჩასძახა რამაზმა მხრებაკანკალებულ თავადს.

— რა სჭირდება?! — მოხუცმა ყურს ხელი მიაფარა.

— დახმარება!

— არ დაიჯერებთ. — ამილახვარმა ჯერ გულისიბეზე დაირტყა ხელი და მერე მუხლებზე. — კაპიკის მოხერხებას არა ვართ, ჩვენი სალარო ასე ცარიელი არასოდეს ყოფილა.

— ფული არ გვინდა.

— რა არ გნებავთ? — მარშალმა ისევ მიიფარა ყურზე ხელი.

— ფული, თქვენი დასტური გვინდა.

— რაზე!?

— ამ შენობიდან უნდა გამოვასვენოთ.

— რა უნდა ჰქნათ?!

— აქედან უნდ გამოვასვენოთ. სამოქალაქო პანაშვიდი აქ უნდა გაიმართოს!

— ვისი!?

რამაზ თაყაშვილს ნერვები დაეწყდა.

— მამეკა უფლისაშვილის!

— აააა... ოოოო. — როგორც იქნა, გაიგო საქველმოქმედო საკრებულოს მარშალმა, მაგრამ ვაი ამ გაგებას! — არ გამოვა ეგ საქმე. თქვენ ახალგაზრდა კაცი ბრძანდებით. თქვენ არ იცით, ამას რა მოჰყვება. ძლივს წყალობის თვალით გამოხედა იმპერატორმა ჩვენკენ. ახლა, გაზაფხულზე ალექსანდრ მიხაილოვიჩს ველით ბორჯომში. მაგ საქმეს ვერ ვიზამ. ხლაფორთში თავს ვერ ჩავიგდებ. თქვენ არ იცით, ბატონო კომერსანტო, თქვენ ოცდათორმეტ წელს დაბადებულიც არ იყავით. ნუ გვიწყენთ, ჩვენ სხვანაირი ცხოვრება გვქონდა. თქვენც რომ გეხეხათ მეტეხის ყაზარმები, სხვანაირად ილაპარაკებდით. მე თვითონ ათი წლის ბიჭი ვიყავი, მაგრამ ჩემი უფროსი ძმა ქაიხოსრო ელიზბაროვიჩ ამილახვარი შეიწირეს. მისი საფლავიც კი დაგვეკარგა.

მარშალმა ისევ აიფარა ცხვირსახოცი და ტირილით გული რომ იჯერა, კომერსანტი მის კაბინეტში აღარ იყო.

„შენ მაინც რამ დაგაბეჩავა. შენ მაინც რისა გეშინია. შენ მაინც რამ დაგიბნელა ასე გონება. ცალი თვინ სამარეში გიდგას. ერთხელ მაინც მოეკეცი ვაჟკაცურად, ერთხელ მაინც გაიმართე წელში, შე უბედური. რაღა ჩინტემლაკებს ელი კიდევ, ხვალ და ზეგ ოთხი კაცის წასაღები ხარ. ამ შენს ალ. უკანასკნელ პარასკევში მაინც ყოფილ კაცი“. — ფიქრობდა გულამომჯდარი რამაზ თაყაშვილი და გალავინსკზე გამშრალი მიაბიჯებდა.

ამასობაში ერთი თვე გავიდა.

რამაზი ყოველდღე გადიოდა სახლიდან და საღამოთი პირდაღრეკილი ბრუნდებოდა.

მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ ფოტოსაქმის კომერსანტს ერთი თვე შინ ედგა კუბო მამეკა უფლისაშვილის ნეშტით და დამარხვის ნებართვისთვის ვერ მიეღწია.

ამის თაობაზე გაზეთებში ცნობაც დაიბეჭდა. მამეკა უფლისაშვილის დამარხვის ხელშეწყობი საზოგადოებაც შეიქმნა, მაგრამ აკმეს დასასრული არ უჩანდა. ადიოდა და ჩამოდიოდა რამაზი ქალაქის სხვადასხვა დეპარტამენტის კიბეებზე. მას ყველგან სიყვარულით ხვდებოდნენ, გულში იკრავდნენ, გმირად აცხადებდნენ, მაგრამ როგორც კი თაყაშვილი დაკრძალვაზე ჩამოაგდებდა სიტყვას, ყველანი თოფნაკრავივით გაურბოდნენ. არავინ აღმოჩნდა, რომ კატისთვის ეყვანი შეება.

და ბოლოს სასოწარკვეთილი კომერსანტი სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის პირველი მოადგილის და მეფისნაცვლის რწმუნებულის კარს მიადგა.

არ ეგონა თუ რწმუნებულთან მოხვედრა ასე ადვილი იყო. თითქოს მის მოსვლას ელოდნენო, თანაშემწეს გვარი უთხრა თუ არა, მოხელემ თავაზიანად მიაცილა მაღალ, ტყავგადაკრულ კარებამდე და გაოცებულ რამაზს ღიმილით აუწყა.

— შებრძანდით, რწმუნებული ელოდებათ.

თაყაშვილს გაეხარდა კიდეც, რომ რწმუნებულს მის დანახვაზე ხელები არ გაუშლია და გულში არ ჩაუკრავს, საქმიანი კაცი ჩანს, ამას მაინც გავაგებინებ ჩემს გასაჭირსო, გაუელვა რამაზს და შემოთავაზებულ სკამზე არც დამჯდარა, პირდაპირ დაიწყო:

— არ მინდოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. დამნაშავეს ვინ დავდივარ და ქვეყანაზე თავი ვერ გამომიყვია. იყო დამარხული კაცი ბშვენივრად, იტალიის მიწაში. არავინ აწუხებდა, არავინ ურღვევდა საუკუნო ძილს. მე მეგონა, კარგს ვაკეთებდი. მოვისისხლოფსა ორიოდ კაპიკი და მაშუკა უფლისაშვილის ნეშტი თბილისში ჩამოვასვენე. ერთი თვეა შინ მიდევს კუბო. ერთი თვეა ღამეები არ მძინავს, დილის ხუთ საათზე წამით ჩათვლემილს დამადგება მიცვალებული თავზე და ხელებგამოწვდილი მემუდარება: რა გინდოდა, რას მერჩოდი, ან შენი თავი რატომ ჩაიყენე ასეთ დღეში, ან მე რადაზე ამომაგდე მიწიდანაო. თქვენს იქით გზა არა მაქვს. ილაჯი გამიწყდა, მოთმინება დავკარგე.

მხარზე ხელის დადება იგრძნო და გაჩუმდა, ვერც კი შეამჩნია, როდის წამოდგა რწმუნებული და როდის მოვიდა მასთან.

— შეგიძლიათ არ გააგრძელოთ — სათათბიროს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს გაბზარული, ნერვული ხმა ჰქონდა, — ეს ყველაფერი უკვე ვიცი, ერთი თვეა ველი თქვენს მოსვლას. რატომღაც გვიან გაგახსენდით. გელაპარაკებით როგორც სახელმწიფო მოხელე და არც ჩემი ქვეყნისადმი სიყვარულის დამტკიცებით ვაპირებ თქვენი გულის აჩუყებას. იფიქრეთ, როგორც გსურდეთ, მაგრამ მეც მოსვენება დავკარგე ამ ერთი თვის განმავლობაში. არ გიხმეთ მხოლოდ იმიტომ, რომ მინდოდა თქვენ თვითონ გაგხსენებოდით და მოგეძებნეთ. ჩემი გაუხსენებლობა ძნელია, რადგანაც გაზეთები ყოველდღე მიხსენიებენ—რწმუნებულს გაეცინა, — ხან კარგად და ხან აუგად. არც მოძებნაა ძნელი. უფლება მომეცით ვიფიქრო, რომ აქამდე თქვენი მოუსვლელობა მხოლოდ და მხოლოდ თქვენდამი ჩემი უნდობლობით იყო გამოწვეული. გასაგებია, [illegible] ფიქრობთ, მე საკმაოდ დიდი თანამდებობა მიჭირავს იმპერატორის კარზე იმისათვის, რომ მამუკა უფლისაშვილის დაკრძალვაზე ვიფიქრო, ასე გადაწყვიტეთ თქვენ ყველამ. არ არის ასე, მოწყალეო ხელმწიფეე. ჩემი სამოქმედო სამსახური ხელს რიდი უშლის საქართველოს მომავალზე ჩემს ფიქრს. შეიძლება სხვადასხვა იყოს ჩვენი ქვეყნისათვის ჩვენი სამსახურის მასშტაბები და მის მომავალსაც სხვადასხვანაირად ვპერეტდეთ, მაგრამ დამერწმუნეთ, მე ჩემი ქვეყნის სიცოცხლისა და ბედნიერების სურვილით ვდგები ყოველ ცისმარე. ვიცი, თქვენთვის ახლა ძნელია ამის დაჯერება. ჩემი სიტყვები, ცოტა არ იყოს, მევე მეჩვენება პათეტიკურად. ერთი შენიშვნა მაინც უნდა მოგაცეთ: თქვენ თვითონ გამოიგონებთ იქ, ქვემოთ „პრობლემებს“ და თვითონვე ხართ გულმოსულნი. რა გინდოდათ მავანისა და მავანის კარს რომ აწვებოდით? განა არ იცით, არც ერთ მათგანს უჩემოდ ამ საქმის გადაწყვეტა არ შეეძლო? ჰოდა, ჩემგან დაგეწყოთ, ჩემო ძვირფასო, ვინ გაავრცელა ჭორი, თითქოს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილეს ასეთი საქმეებისათვის არ ეცალოს? განა ამგვარი წინადადებით მოსული რომელიმე თქვენთაგანისთვის აუდიენციაზე უარი მითქვამს?

კომერსანტი და მეფისნაცვლის რწმუნებული იმ ღამეს გვიანობამდე საუბრობდნენ.

...მამუკა უფლისაშვილის დაკრძალვაზე ზღვა ხალხი მოვიდა.

რევაზ მიშველაძე
ნოველები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღ ა ლ ა ქ ი

ყინულის თვალუწვდენელ მინდორზე ერთადერთი შავი წერტილი მოჩანს. თვალმა იქით გამიტყუა. ორი დღის წინ მინსკის ზღვა ლურჯად ლივლივებდა. გუშინ სალამითი მოუპირა ყინვამ და ნაპირები შეუთეთრა. არ მეგონა ერთ ღამეში ყინული თუ დაფარავდა ამოდენა წყალს. კაშკაშა მზეზე თვალსმომჭრელად ელვარეს თოვლი. ჰორიზონტზე ეულად მოჩანს ბუხისტოლა შავი წერტილი. რა უნდა იყოს? ჯერ გაუბედავად შევდგი მინდორზე ფეხი. ყინულის სიმაგრეში დასარწმუნებლად ერთი ორჯერ შევხტი კიდეც, მერე საყელო ავიწიე და წავედი.

გავლიათ ყინულის ზღვაზე?

თხელი ფიფქით დაფარულ ყინულზე ფეხი გისხლტებათ, ქარი ყურებში წვავს. სიცივემ კრიჭა შეგიკრათ, ირგვლივ გაქვავებული ტალღები და წყალქვეშა დინებებით ალაგ-ალაგ დახახუული ყინულის ველი ჩანს.

დაახლოებით ერთი კილომეტრი რომ გავიარე, შავი წერტილი ხის კუნძად მომეჩვენა და უკან დაბრუნებას ვაპირებდი, ცოტაც და, დავრწმუნდი, რომ ყინულზე კაცი იჯდა. ახლა ნათლად ვხედავ ბრეზენტის ზურგს, ხელებსაც ამოძრავებს. კი, ნამდვილად მეთევზეა.

თავზე რომ წავადექი, მხოლოდ მაშინ გამომხედა, სალამზე ისე უგემურად მიპასუხა, თითქოს გული ჰქონდა ცნობისმოყვარეთაგან გაწყალებული ამ უკაცრიელ ველზე.

— რაღაც ხასიათზე ვერა ხართ, არ მოდის? — ვკითხე და ჩვარგადაფარებულ ბადურასთან ჩავიმუხლე.

ბადურა თოვლზე გადმოაპირქვავა, ხუთიოდე ციცქნა სვია ასხმარტალდა ყინულზე.

— ა, ესაა ჩემი ნადავლი. არ ეკარება. ახალი ყინულია და არც ღირს ჯერ თევზაობა.

— ახალი ყინული?

— ჯერჯერობით სიღრმეებს არჩევს თევზი. მოშივდება და ამოვა. ანკესიც არ მივარგა. უნდა გამოვცვალო, დაჟანგულა.

თოვლზე რაღაცას ძებნა დაუწყო.

— სადღაც აქ დავადგე, ანკესი გამიტეხა ლოქომ. თევზი რომ გატეხავს, ის ანკესი ანკესია? ჟანგმა შეჭამა.

— რა იცით, რომ მაინცდამაინც ლოქომ გაგიტეხათ?

ამხედ-დამხედა, ეტყობა შემატყო, რომ თევზის ჭერისა ბევრი არა გამეგებოდა რა.

— ანკესს მხოლოდ ლოქო ტეხავს. თუ მომცრო ლოქოა, კბილებით დაუწყებს ჯაჯგურს. მაგარი კბილები-აქვს. სვია და ორაგული უკანმოუხედავად ყლაპავენ, ანკესი ლაყუჩების ნაცვლად ხშირად კუშში აღმოაჩნდებათ და თუ მუცელზე არ გაჭერი, ვერასდიდებით ვერ ამოაცლი.

ჰკეს რომ ამოხაპავს ჭერიდან ჩვენებური კაცი, ისე მოაშორა ჭურისთავისხელა ორმოებს ყინულის საბურველი. ხაპი გვერდზე მიაგდო, პლასტმასის ტარს დაწვდა, შიშველი ანკესი მიჩვენა და გაიცინა.

— თევზი რომ თევზია, ნახე, როგორ გაეშმაკდა? ანკესს როდი ყლაპავს, ჭიას ციცქნის და კარგად მეყოლე. ჩემს გარდა ყველამ რაღაც გამოსავალი ნახა. რაღაცა ბუღამს მიაგნო ცხოვრებაში.

ხითხითებს და მოყინულ თითებს მომპასიეს კოლოფში ავათურებს. ეტყობა, ჭიის მოხელთებას ცდილობს.

— სომეხი ხარ?

— ქართველი.

— იცი, რატომ გკითხე? — როგორც იქნა, ჩამოაცალა ანკესს ჭია და ხაპს დასწვდა, — ყინულის სარქველი ყოველწუთს თუ არ ავაცალე, გამაგრდება და სახათაბალო გახდება. ახლა რამდენი გრადუსი იქნება? რადიოსთვის ხომ არ მოგისმენია?

— მინსკში თხუთმეტიაო, ამ დილით გამოაცხადა.

— აქ მეტი იქნება. მინსკში თხუთმეტი როცაა, აქ თვრამეტი მაინც არის. თვრამეტი გრადუსი ამ გაშლილ ზღვაზე არაა ხუმრობა. მეც არა ვთქვი? მუხლმატეხა დამიწყო. მე რომ მუხლი ტეხას დამიწყებს, ყინვა თხუთმეტს გადაშორებულია.

ბადურას გაზეთი გადაფარა და ჩემკენ გამოაჩოჩა.

— დაბრძანდით.

— გმადლობთ, არა მიშავს, — თავპატიჟი გავიდე.

— დაჯექი, თორემ ქარი წაგვართმევს გაზეთს! — ბადურაზე დავეშვი და ყინულზე დაყრილი თეგზების მოგროვება დავიწყე.

— მინსკში პირველად ხართ?

— პირველად.

— ცუდ დროს კი ჩამოსულხართ. ახლა ძალიან ცივა, რა უნდა ნახოთ. ჩვენთან გაზაფხული იცის მშვენიერი. ახლა ყველაფერი მკვდარია, ყველაფერს სძინავს. მივლინებით ხართ?

— დიახ.

— მერე რაღა ამ „იუნოსტში“ გაჩერდით, ცენტრში სასტუმრო არ იყო?

— აქ მირჩევნია. მყუდროდ ვარ, სუფთა ჰაერზე.

— ეგ მართალია, — უეცრად თითქოს რაღაც გაახსენდაო, გამოცოცლდა, — რას ვეტყვით, იცით? იყიდეთ ხვალ ანკესები. მანეთნახევარი ღირს ასეთი, სამთავა. არაა ძვირი. გამოდით და ითვზაკეთ, დამიჯერეთ, ნაღდი საქმეა, გულს გადააყლაპ კაცი, ავი ფიქრებისაგან გათავისუფლდები.

უეცრად დადუმდა და ყინულს დაჩერდა.

ბრეზენტის კაპიშონი ნიკაპიანად შეუკრავს, მარტო ყინვისაგან შეწითლებული ლოყები და პაპუა ცხვირი მოუჩანს. ისედაც თეთრ წარბ-ულვაშზე ჭირხლი მოსდებია. ბრეზენტის მოსასხამს შიგნით დაბამბული შარვალ-სერთუკი მოუჩანს. ფეხებზე თექის უშველებელი ჩექმები აცვია.

— წეღან რატომ გკითხეთ, იცით, **სომეხი ხომ არ ტრაძანდებით-მეთქი?** ჩემთან სომეხი იბრძოდა ერთი. **მტკვარი** ამფრქვევე. მკრტიჩიანი. ოქრო ბიჭი იყო. მთელი ომი ერთად გავიარეთ კურსკიდან დრეზდენამდე. ჩვენ ბერლინში არ შევსულვართ.

— დაიღუპა?

— არა, ცოცხალია, ლილიანში ცხოვრობს, იყო ჩემთან ამას წინათ. მეც ჩავედი შარშან, დამპატიჟა. თან გადამყვა.

— ბერლინში არ შევსულვართო, ბრძანეთ...

— ჰო, ჩვენ დრეზდენში მოგვიწია ომის დასასრულმა. მერე ათი თვე ნიურნბერგში ვიდექით და ნიურნბერგიდან შინ გავგიშვეს.

ყინულწყალი ამოხაპა და კანდამსკდარი ხელები სახელოებში შემალა.

— ხელთათმანი რატომ არ გიკეთიათ?

— ვერ ვეგუები. ვერ ვიტან. ახალგაზრდობაშიც არ მიტარებია. ხელთათმანი როცა მაცვია, ასე მგონია, ხელები ჩემი არ არის-მეთქი.

ჩემს ცხვირწინ ორმოში ტოტტივა ათამაშდა. კაცი ანკესს დასწვდა და წამში შავზურვიანი ლოქო ასხმარტალდა ყინულზე. ორ მტკაველზე მეტი იქნებოდა,

— ოჰო, ჩავარდი ლამაზო? — ბავშვივით გაიხარა — რას იზამ, ასეთია ცხოვრება. — პირიდან ანკესი გამოაცალა და ყინულზე მოისროლა, — კარგი ფეხი გქონიათ, — ახლა მე მოშიბრუნდა. ანკესი ისევ გაჰწყო და ხელები დაიორთქლა.

— ის ჩემი ძმაკაცი, მკრტიჩიანი-მეთქი რომ გითხარით, შვიდჯერ დაიჭრა. ორჯერ მე მივთრიე ჰოსპიტალში, იცინოდა, აი, ვის არ ეშინოდა სიკვდილის. ახლა ვასკვნი, თურმე თუ სიკვდილსა არ გეშინია, არა გიშავს. მთავარია, სიკვდილის შიში დათრგუნო. ჩვენი ასეული ორღენოსანია. სხვათაშორის, ოცდაათნიღა დავრჩით. დათქმული

რევაზ მეშველიანი
ნოველები

გვაქვს და ყოველ წელიწადს ვიკრიბებით კურსკში. კურსკის ბრძოლაში ჩვენი ასეულიდან ორმოცდაათი დაიღუპა. შარშან და წელს არ წავსულვარ. მოსაწვევს და წერილს მიგზავნიან, მაგრამ არ მივდივარ. გული არ მიმიწევს და მომკალი...

— რატომ?

— იცით, რა? ჯერ ერთი, პირველად რომ შევიკრიბეთ 1968 წელს, მართალია, ერთმანეთს ჩავეხვიეთ და ვიტირეთ, მაგრამ კმაყოფილი არც მაშინ დავრჩენილვარ. ჩემი ტალიკ-ტალიკა ბიჭების ნაცვლად ბებრებს შევხვდი. დაბერებული ხალხი, კაცო. მე მათ არც ვიცნობდი. ისინი სულ სხვანი ყოფენ, მე კი ისევ იქა ვარ, იმ დღეებით ვცხოვრობ. ეს ყბადასვებული გამძღარი „ყოფილები“ გულს მტკენენ. მეორეც, ყოველ შეკრებაზე სიას წაგვიკითხავენ და გამოგვიცხადებენ, წინა შეკრებიდან ამ შეკრებამდე ჩვენს რიგებს ესა და ეს გამოაკლდაო. კარგი რა, დამანებე თავი. რას დამჩხავი ყვავივით. თითო-ოროლა ყოველ წელიწადს მიდის იმ ქვეყნად. ცეცხლის წვიმას გადაურჩა კაცი და აგერ თავის ლოგინში მშვიდად კვდება ინფარქტით, პიპერტონიით, კიბოთი. არ ვიცი, ბევრს სული მისდის, ზეიმზე ვიყავით, ამაყად გამოგიცხადებს. მე კი ამგვარი ზეიმშეხვედრები ნაღველს მიშლის და აღრენილი ვბრუნდები შინ. ქვეყანა ჭრელია, მე ეტყობა, ასეთი კაცი ვარ, ამგვარი გავჩნდი და რას იზამ!

— თქვენ დაჭრილი არა ხართ? — ვთქვი და მაშინვე ვოგრძენი, რომ უადგილო შეკითხვა დავუსვი.

— არა, ვერ მოგატყუებ. არ დავჭრილვარ, იღბალია თუ რა, ვერ გეტყვი, ისე, მე ხელობის კაცი ვიყავი და წინა ხაზზე ყოფნა მაინცდამაინც არ მიწევდა.

— რა ხელობის?

— პარიკმახერი გახლავართ. დღეზიის პარიკმახერი ვიყავი და ღმერთმა გადამარჩინა თუ ჩემმა ხელობამ, რა ვიცი, საღ-სალამათი კი დავბრუნდი სახლში.

— მაშინ იქ იყავით?

— როდის?

— ნიურნბერგის პროცესი რომ მიმდინარეობდა.

თვალები ეშმაკურად მოწკუპა, თითქოს ღიმილი უკანვე ჩააბრუნაო, მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გვისმენსო, მერე ამხედ-დამხედა და მკითხა:

— რა მოხელე კაცი ბრძანდებით?

— მასწავლებელი ვარ.

— რას ასწავლით?

— ლიტერატურას.

— სად?

— უნივერსიტეტში.

— თბილისში?

— დიახ.

— რატომ გკითხეთ, იცით? ერთ საიდუმლოს გაგანდობთ და, თუ კაცი ხარ, ჩვენს შორის დარჩეს. ეს ამბავი ჩემმა ახლობლებმაც არ იციან. არავის დაუშლია, არსად თქვაო, არავის უთქვამს, მაგრამ მე თვით მერცხვინებოდა ამ ამბის გამხელა. ახლა რაც სიბერეში შევდივარ, არ მასვენებს. არ დაგიმალავ, ერთ-ორს გავუმხილე. ზოგმა არც დაიჯერა, რა ვქნა ახლა, ღმერთმა სიკეთე მისცეს, არ დაიჯერებს და ნუ დაიჯერებს. რა ვაქაცური საქმე კი ეს არის, რომ მოვიტყუილო. მისმენთ?

თავი დავუქნიე.

— სამი დღის დაწყებული იყო ნიურნბერგის პროცესი. ჩვენი ასეული ღრაშტრასეზე იდგა. დაცვის სამსახურში ჩაგვაყენეს. მე პოსტი არ მიწევდა და შედარებით თავისუფლად ვგრძნობდი თავს. თუმცა საქმე თავზე საყრელად მქონდა. ომი დამთავრებული იყო და ჩვენი ბიჭების კოხტაპარწყობას საზღვარი არ ჰქონდა. ღამის ყოველდღე იპარსებოდნენ. დილის შვიდ საათზე გამაღვიძეს. სერჟანტი შემოვიდა; საპარადო ფორმა ჩაიცვი, ხელსაწყოება, რაც საუკეთესო გაქვს, წამოიღე, მანქანა გელოდება, დიდი ჩინის კაცის გაპარსვა მოგიწევსო. ათ წუთში მზად ვიყავი. სამართებელი არ მქონდა თუ რა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალთახალი გერმანული სამართებლებით სავსე მჭონდა ჩანთა. ბიეკი თუ სადმე დანგრეულ სპპარკამახეროს წაეწყდებოდნენ, მაკრატელ-სამართებლებს ჩეჩავენ მოარბენინებდნენ. ჩამავეს შავ „ემადიწში“ და გამაქანეს. რა ვიცი, სად მიგიყავართ. ჩემი საქმე გასაგებია. ვიღაც დიდი კაცი უნდა გავპარსო. სამხედრო პირებს არ უყვართ ტლიკინა და ცნობისმოყვარე კაცები. გრძელი დერეფანი რომ გავიარეთ, ლიფტით ქვემოთ ჩავეშვით. რკინის გისოსებიან კარზე და ყოველ ხუთ მეტრზე მდგარ ავტომატიან ჯარისკაცებზე შევატყვე, რომ სპპატიმროში მომიყვანეს. კომენდანტის ოთახში ხუთი კაცი დაგვხვდა, — ორი ჩემნაირი, ჩემოდნიანი პარიკმახერი. ერთ მათგანს ვიცნობდი, მეორე რუსი არ უნდა ყოფილიყო. კომენდანტი წამოდგა და ლამის ჩურჩულით გვითხრა: — სამხედრო ტყვეების გაპარსვა მოგიწევთ, მეგობრებო, თანაც საკმაოდ დიდ გვამებთან გექნებათ საქმე. იოლ დავალებას რომ გაძლევენ. ფსიქოლად იყავით. პროვოკაციის საშიშროებაც არსებობს. „კლიენტი“ ხელ რომ აამოძრავებს, თქვენ მაშინვე წყვეტთ პარსვას და სამართებელს უკან მალავთ. ოთახში, რა თქმა უნდა, მარტო არ იქნებით. მაგრამ, გიმეორებთ, ისინი ძველი გაიძვერები არიან და შარში არ გაეხვიოთ. ტყვის დაშავების შემთხვევაში სიცოცხლით აგებთ პასუხს. ნერვები ხომ წესრიგში გაქვთ? გაფრთხილებთ, თქვენთვის ისინი ამჯერად ჩვეულებრივი „კლიენტები“ არიან და სხვა არაფერი.

მე პაპენის და ნორირატის გაპარსვამ მომიწია. რომ არც ეთქვათ, მაინც ვიცნობდი ორივეს. პოლიტხელები ლექციების კითხვისას ჰიტლერელთა მთავარი მხეცების სურათებს ხშირად გვიჩვენებდნენ. ყველაზე მძიმე წუთები იყო ჩემს ცხოვრებაში. იმ დღემ გამანახევრა კაცი. ჯერ ერთი, ვღელავდი, არ წამართვას სამართებელი და ყელში არ გამოისვას-მეთქი, შუბლზე ოფლი წურწურით ჩამომდიოდა. ორ ერთ მათგანს ხმა არ ამოუღია. პაპენი შავწარბება, გამხდარი კაცი იყო. დოინჯშემოყრილი იჯდა და ჭერს შესცქეროდა. ხანდახან ნაბეჭდ ფურცელ სწვდა, ეესაკითხავდა, რაც შეეძლო. პარსვას რომ მოვიჩი და ოდეკოლონი ვასხურე, სახე დაიღმიჭა და ხელისგულები ერთმანეთს გაუსვა, მივუხვიე, კრეს ძთხოვდა. ნაინ-მეთქი, ბოდიში მოვუხადე, გაიღიმა და თითი დამიქნია. ნორირატი უფრო ამპარტავანი ჩანდა. არც კი განძრეულა. ნიკაპი შეეარღნილი ჰქონდა, ვერაფრით ვერ მივუდექი, ბოლოს გავბედე, მოვკიდე თმაში ხელი და თავი გადავუწიე. დამყვა. პარსვის შემდეგ მაკრატელი მოვიმარჯვე. კისერზე თმას შევუსწორებ-მეთქი, მაგრამ ხელი ამიქნია, არ მინდაო, არ გინდა და ნუ გინდა, ჯანდაბას შენი თავი-მეთქი.

ჩემი თავი რკინის ნერვების კაცად წარმომედგინა, მაგრამ კინაღამ შევრცხვი კაცი. ნორირატს რომ ვპარსავდი, ხატინი გამახსენდა. იცით ხატინი? რა თქმა უნდა, გეცოდინებათ. პატარა სოფელი იყო მინსკთან. 1943 წლის 22 მარტს გერმანელებმა მთელი სოფელი ერთ ფიცრულში შერეკეს. 149 კაცი, ქქედან 75 ბავშვი. ფიცრულს ცეცხლი წაუკიდეს და მანამ არ მოშორდნენ, სანამ ას ორმოცდაცხრა სიცოცხლე ფერფლად არ იქცა. განწირულთა კვიცი თურმე ცას სწვდებოდა. თუ ცეცხლმოდებული გარეთ გამოვარდებოდა, ჯალათები კონდახის ცემით უკანვე აბრუნებდნენ. მთელს სოფელში ერთადერთი კაცი გადარჩა — იოსიფ კამინსკი. ადრიანად ტყეში გასულიყო და გადარჩა.

სწორედ ხატინი გამახსენდა, ნორირატს რომ ვპარსავდი. სწორედ მაშინ მომიშვირა ლოყა მორჩილად ფაშისტმა ობერკანბალმა. თვალები დავხუჭე. ტუჩზე ვიკბინე. უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიბე და პარსვა რომ დავამ-

თავრე, თვალთ დამიბნელდა. აღარც კი მახსოვს, ხელი ჩამოვართვი თუ არა ჩემს უცხო „კლიენტებს“. ერთი კი დამამახსოვრდა, მათი მადლიერებით აღსავსე სახეები და თავაზიანად ნათქვამი „დანკე შოონ“.

რა მოსაყოლი იყო ახლა ეს, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ნათლად ვხედავ ყველაფერს. თითქოს გუშინ იყო. სიზზარშიც ხშირად ვხედავ ამ ბოლო დროს პაპენს და ნოირატს. სხედან ჩემს წინაშე საუკუნის დამწაფსავენი. მე მოთმინებით ვაქაფებ საპონს, კბილთაღრჩენითა და ხვნეშით ვპარსავ ორივეს და სწორედ მაშინ, სამართებელი რომ უნდა გამოვუსვა ყელში, სწორედ მაშინ მეღვიძება, მეღვიძება და ცივ ოფლში ვცურავ. მერე მთელი ღამე ვერ ვიძინებ. ვბორგავ. ძილქუშში ვარ. დილით თავის აწევა მიმძიმს. მთელი დღე უქეიფოდ ვგრძნობ თავს. თვალს მოვხუჭავ და ისევ შემოდიან ჩემთან წვერმოშვებული პაპენი და ნოირატი. მედიდურად სხდებიან სკამზე და ჭერს შესცქერიან. მე კი, ეს უკვე მეოთხედ ვდგები კედელთან, სამართებელს ქამარზე ვლესავ და ჯალათების პარსვას ვიწყებ. ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოთ ეს გრძნობა. ძნელია, ძნელი!

ახლა, დილიდან საღამომდე აქ რომ ვზიავარ, თქვენ გგონიათ, თეეზის გიჟი ვარ? თქვენც არ მომიკვდეთ. თეეზის მეუშტარი არასოდეს ვყოფილვარ. თეეზი კი არ მაინტერესებს, ეს სიჩუმე მიყვარს. ეს ყინვა და თოში, ეს გაშლილი ველი და პატარა საქმე ნერვებს მიმშვიდებს. ავი ფიქრებისაგან მათავისუფლებს. ასე უფრო მალე გადის დღე, უფრო მშვიდი ხდება ცხოვრება.

●

უკან ვბრუნდები...

ნაპირი ახლოს მოჩანს და სადაცაა ფეხს შევდგამ მიწაზე.

სადაცაა დასრულდება ყინულის ზღვა.

რომ მოვიხედო, დავინახავ ტრამალზე შავ წერტილს, გულჯავრიან მეთევზეს და კრიალა ცაში კვამლად ასულ მის უსაშველო დარდს.

მ ა ყ ვ ა ლ ა

გუდამაყარს რომ ჩამოვედი, გვარიანად მომშშივდა და თითქოს მიწამ პირი უყოო, ჩემს ჯიბეზე რესტორანი კი არა, პატარა ფარდულიც ვერსად დავლანდე, პირი რომ გამესეელებინა.

მოთმინება რომ გადამეწურა, სწორედ მაშინ, სოფელ სამებასთან საგზაო ნიშანზე დახატულ დანა-ჩანგალს მოვკარი თვალი და სიხარულისაგან გული შემიფრთხიალდა.

„არ გაუშვა“, დიდი ლურჯი ასოებით ეწერა რესტორნის ჩუქურთმიანი კიბის გასწვრივ გაკრულ აბრაზე. სახელი, ვერაფერს იტყვი, კარგი შეურჩევიათ.

მანქანა დავაყენე, ქურქი მოვისურე და რესტორნის კარი რომ შევაღე, ვუნება გამიფუქდა. კობა ვაშაძის ნახელავით ლამაზად მოხატულ-მოჭედილ დარბაზში კაცშვილი არ ჭაჭანებდა. მებუფეტე მოვძებნე და უცერემონიოდ ვკითხე:

— გაქვთ რამე?

— თოფ-იარაღზე და ტყვია-წამალზე მკედარი გყავართ ეს ისე, ამ რესტორნიდან ქუდზე კაცი გამოვალთ, თუ გაქირდა. — დაუფიქრებლად, ყოჩაღად მიპასუხა გამჩდარმა, სქელულვაში მებუფეტემ, თან ფართო ტუჩებში დარჩენილ ღიმილს ძლიეს ამაგრებდა.

მომეწონა მისი ხუმრობა, მაგრამ ქარაგმების თავი მაქვს ახლა მე?

— საჭმელს გეკითხები.

— ბატონო, საჭმელი ვვექნება, აბა, კი არ ვგლახაობთ ეს ამდენი ხალხი აქაა,—მინარეთის სარკმელივით ვიწრო

და თაღოვან ფანჯარასთან შექუჩული ოფიციანტებისკენ ხელი გაიშვირა.

— აბა შენ იცი, სად დაკვდე?

— დაბრძანდით, ბატონო, სადაც **თქვენ გიგეხარდებათ** და ამ წუთში მოგარომევთ ყველაფერს. თქვენ იმნაირი კაცი ჩანხართ, რომ თქვენი გულისთვის გაქცეულ ირემს მოეწყვალი. საქმეალო? ამ ჭუჭაზეა სწორედ კაკოია ფესტივენიმე, დახლში იდგეს და საქმელი არაფერი ჰქონდეს.

ელვის სისწაფით დაჭრა ყველი, მწვანილი და ჯონჯოლი ბლიმად, უმფოველად დაახვავა თეფშზე, მაცივრის კარი გამოაღო, გრძელ სინებს მორგებული კეკერა ფხალი და ნიგვზიანი ბადრიჯანი გამოიტანა. ისე ჩქარა და ლამაზად აკეთებდა ამას, რომ თვალი ვერ მოვწყვიტე. კარგია, კაცმა რომ თავისი საქმე ხუთი თითივით იცის.

— რამ მოკიყვანა იმერელი კაცი ამ მთაში, კაკო ბატონო?

— შე კაი კაცო, ხალხი „ვოლგის“ საყიდლად ალეარში მიდის და აქ ამოსვლას რა უნდოდა. საქართველოში შორი მანძილი არ არსებობს. ერთი ფეთრი გზაა ყველგან.

— ეგ კია მართალი.

— მე ბიჭები ვიცი, აქ რომ პატარა ხელი მოუჭირეს, მიატოვეს ყველაფერი და ისეთ ქალაქებში ბუფეტჩიკობენ ახლა, წერილი რომ სამ კვირაში ჩადის. რას დალევთ?

— კახური თუ გაქვს რამე.

გაეცინა.

— ჩემი გემოვნების ყოფილხართ თქვენც. კახურის გარდა არ ვსვამ მეც არაფერს. ღვინო თუ გინდა, კახური უნდა დალიო და დეგუსტაციაზე თუ ხარ შემოსული —ორ ჭიქას „ციცქას“ მოწრუპავ თუ „ცოლიკაურს“ სულ ერთია.

ბეჭედზე ჩამოცურებული ქუჩქი გავისწორე და დარბაზისკენ რომ შემოვტრიალდი, რესტორნის ეზოს გადაღმა, ხევის მხარეს ორ უშველებელ სანაგვე ყუთთან მოფუსფუსე ბებერ ქალს მოვკარი თვალი, შეეჩერდი და დავკვირდი: გრძელი ჩანთა უჭირავს, სანაგვე ყუთში ხელებს აფათურებს და რაღაცას ეძებს. სახოვაგე ჩანთა ნახევრამდე აუვსია. მეუფეტეს ხელი დაეუქნიე. დანა დაადგა და ქოირბინა.

— რას შვრება ეს ქალი?

— ბიჭო, ღვთისავარ! — სანამ მიპასუხებდა ღია კარს გასძახა, — მაყვალა ვერ მოვიცალეთ კიდო აქედან?! ხალხი ხართ, ბიჭო, თქვენ? ეს ერთი საქმე დაგავალეთ, რატომ მჭრით, ძმაო, თავს, რატომ ურევთ გულ-მუცელს რესტორანში შემოსულ ხალხს?!

ამდენს ვის ელაპარაკება-მეთქი და რომ მივიხედე, კარებში თეთრწინსაფრაფარებული ჭორფლიანი ბიჭი დავინახე. დგას და იღიმება:

— ამწუთში გავიდა აქედან, ორ თეფშ ხარჩო პირთამდე შაირგის. ზედან კომპოტიც დააყოლოს!

— რა უნდა ამა მეტი ამ უპატრონოს, რას იჩიჩქნება ამ ნაგავში!

— მაყვალას ამბავი არ იცი? ახლავე გავვარდები!

ბიჭი კარში რომ გაუჩინარდა, კაკო ფესტივენიმე მე მომიბრუნდა.

— ადამიანი, ბატონო, რომ მიეჩვევა სიგლახეს, მორჩა თურმე, მისი გადაჩვევა შეუძლებელი რამე ყოფილა. კაი ხანია მას აქეთ, რაც აქ ჩამოვედი და ამ ქალს მოვკარი თვალი. მე ამნაირი რამ ჩვენში არსად მინახავს, ვფიცავარ იმ სამ ბავშვს. ამას რას ვხედავ, მე ვთქვი, ადამიანი საშველს სანაგვე ყუთში ეძებს, ამას რას მოვესწარითქვა და თმა დამიდგა ყალყზე. გავიკითხ-გამოვიკითხე, მითხრეს, ერთი უპატრონო ქალია, ზევით სოფელში ცხოვრობს, მაყვალა ჰქვია, ამ ქვეყანაზე ხელისგამოწოდებელი აღარავინ დარჩა მაგ უბედურს და ასე ცოდვილობსო. დღეს შიმშილი: არავინ კვდება, ასე ვიცი მე და პატარა ქე დავტუქსე, ხომ იცი, აქაურები. არ გრცხვენიათ, მე ვუთხარი, ადამიანის ასე დაცემას უყურებთ-მეთ-

---

რევაზ მიშველაძე
ნოდელები

ქი? როგორც კი დაინახავთ აწი მაყვალას, მაშინვე დაუძახეთ, გაძღეთ, დაპურეთ და გაუშვით. არ დავინახო ადამიანისშვილი სანაგვეში იჩიჩქნებოდეს-მეთქი. ღვთის წინაშე. ცოდვას ვერ ვატყვი, დაინახავენ თუ არა ამ ტერიტორიაზე ჩვენი თანამშრომლები მაყვალას, მაშინვე რესტორანში სთხოვენ შემობრძანებას. ერთი და ორი კაცის უფასოდ ჭმეა თუ არ შეგვიძლია, რა რესტორანი ვართ მაშინ. თუმცა თხოვნა არც კი სჭირდება, თვითონ მოდის ყოველდღეთან რომ დადაყვე, სულ შემწვარ-მოხრაკული რომ აძლიო, ამოიღლიავებს მაინც ამ თავის ტომსიკას და სანაგვე ყუთებს ჩამოუვლის. არ მოიშალა ეს უბედური ჩვეულება, ხომ გიგიონეთ თქვენი ყურით, იმ ბიჭმა რომ თქვა, აწყუთას გავიდა აქედანო.

მაყვალასთან ღვთისავარმა მიირბინა, თითქმის ძალით მოაშორა სანაგვე ყუთებს და რესტორნის ჭიშკრისკენ წაიყვანა.

გუნება გამიფუჭდა, უგემურად ვისაღილე. ერთ ბოთლს დავლევ და ცოტა ხანს მანქანაში გამოვიძინებ-მეთქი, მაგრამ არ გამომივიდა, რული არ მომეკიდა. ერთხანს მაგნიტოფონი ჩავრთე, იქნებ სიმღერამ გულჯავრი გადამყაროს-მეთქი, რომ ვეღარ მოვისვენე. მანქანა დავკეტე და უფრთი ავუყევი აღმართს. ცოტა ხანში ესეც მომწყინდა, თავქვე დავეშვი და ისევ რესტორანს მივაკითხე. ისევ იმ უბედურ დედაბერზე ვფიქრობ. თუ არ გავიგე, ვინ არის და რა ქალია, აქედან წამსვლელი არა ვარ.

ამბის ამბავი კაცმა არ უნდა დაიჯეროსო, ნათქვამია. მე თვითონ ვესტუმრები. მებუფეტემ ჯერ ეჭვის თვალით შემომხედა, რომ არ დავიშალე, ღვთისავარს უხმო.

— შორს რაად იქნებიან, ახლოს არს, წყაროსთან მარჯანივ აიღეთ. სულ პირდაპირ იარეთ, საფიხვნოს მიადგებით, იქ ჩონ ბებრეს ახედან, იქ დაადენებთ მანქანას, იქედამ კილომეტრ აღარ **არის.**

— **ეგა ჩემი მანქანა? — მანქანისკენ** მივუთითე.

— რაიდ ვერ ავალს. გზები კარგია. აქედან სულ სამ კილომეტრ იქნების მაყვალიის სახლამდე!

თითქოს ახლა დაფიქრდაო, ამხედ-დამხედეს და ღიმილით მითხრა:

— მაყვალიასა ნათესავ ხარაა?

თავი გავაქნიე.

— სურათი უნდა გადაუღო? — ისევ გაეცინა. პასუხი აღარ გამიცია, კიბეზე დავეშვი და სანამ მანქანას დავძრავდი, კაკო ფუტკვენიძეს და ღვთისავარს თვალი არ მოუცილებიათ.

●

სოფელს რომ გამოვცდი, კარგა ხანს ვიარე, სანამ მაყვალას სახლამდე მივაღწევდი. ხევის პირას ცალკერძ დასახლებულა. მოგეხსენებათ მთიულური სოფელი, მიჯრით მიწყობილი სახლებით, არც სოფლის ერთ მუშტად ყოფნის მიზეზს გავახსენებ განსთლებულ მკითხველს. ვინ იყო ნეტავ ამ დედაბრის წინაპარი, თუმს რომ განდგომია და ცალკე გასულა. წინაპარი-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ძველთაძველი ქვიტკირის სახლი უდგას ფიქალით ნაშენი. ფიქალითვე შემორაგულ ეზოს ჭიშკარი არ ჰკიდია. მასპინძელო-მეთქი, დავიძახე თუ არა, ჩემკენ ოთხი ძაღლი გამოიქცა. დგანან და ზარმაცად მიყეფენ. ვატყობ, ჩემს შეშინებაზე უფრო პატრონისადმი ერთგულების დამტკიცება უნდათ. ჯერ მე გამომხედაენ, მერე შებრუნდებიან და სახლისკენ ყეფენ უგულოდ, უგემურად. სამ-ოთხჯერ დავიძახე, მაგრამ არავინ გამომეხმაურა. ძაღლებმა (ჩვეულებრივი მურა ძაღლები იყვნენ, ოჯახის ძაღლ რომ ეტყვიან ჩვენში), მეც რომ ვერ გადამაოქმევინეს განზრახვა და მაყვალასაც რომ ვერ გაგონეს, ყურები ჩამოყარეს, უკანასკნელად შემომვლეს თვალი, ავსულს არ უნდა ჰგავდესო, დაასკვნეს და ლაფაროში გაძუნძულდნენ.

კარგა ხანს ვიდექი, გაბრუნებას ვა-

პირებდი, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ ძლია. ეზოში შევედი და სახლს მივეახლოვდი. ძველ, გამეფვარტლულ კარზე ცხენის ნალი ეკიდა. სახლიდან ხმა მომესმა. გავბედე და კარს შევაწვეი. ჭრელაღილთ მოღიავდა და ძველ ქართულ დარბაზში, სადაც ჭერიდან სინათლის ჩქერი იღვრებოდა, გასაოცარი სურათი წარმოსდგა: დარბაზი სავსე იყო კატებითა და ძაღლებით. კნუტები, ლეკვები, დედა ძაღლები, ხატაური კატები და ფოცხვრისთვალება ხვადები. ამდენი ძაღლი და კატა გამოფენაზეც არ მინახავს. დარბაზის შუაგულში, კოთხოზე იჯდა დედაბერი, ჩანთიდან ამოღებული ნარჩენებით აპურებდა ცხოველებს და თანაც რაღაცას ტკბილად და გაუგებრად ეჩურჩულებოდა. აი, თურმე რა უნდოდა რესტორნის სანადგეში.

ჩავახველე. პატრონის გარდა, ყველამ მომაქცია ყურადღება, მაგრამ მათი ყურადღება მხოლოდ გამოხედვით დამთავრდა. აქაოდა, ჩვენ სერიოზული საქმით ვართ დაკავებული და, თუ კაცი ხარ, ხელს ნუ შეგვიშლიო.

„არის აქ ვინმე?!“ — რაც ძალა და ღონე მქონდა დავიყვირე. დედაბერმა ძაღლებისა და კატების სმენადქცევის გამო მომაქცია ყურადღება.

ნაოჭებადქეცული სახე, სხივჩამქრალი ბებრული თვალები. დიახ, თვალები ხომ ყველაზე ბოლოს ბერდება. მაყვალა თვალებიანად დაბერებულიყო. უპატიერ თავსაფარში ალაგ-ალაგ მოეჩანდა ჭუჭყისაგან გაყვითლებული, გაუხეშებული თმა. რომ ადგა და ჯორკო მომიჩოჩა, დავრწმუნდი, რომ წელში გამართვა მისთვის შეუძლებელი რამ იყო. ძაღლ-კატები მოიცილა, სალამზე არ მიპასუხა, სამზადში გავარდა და მაშინვე გამოტრიალდა. ხელებს გამეფრული ჩვრით იწმენდდა და თვალს არ მაცილებდა.

რამდენიმე უწყინარი ფრაზა კიდევ მოვახსენე და როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ყურში სრულებით არ ესმოდა, უბის წიგნაკი ამოვიღე და დავუწერე: „რად გინდათ ამდენი ძაღლი და კატა, ქალბატონო?“. ქალბატონ ამოვხედე და გავიწოდე გამომართვა, მაგრამ არ დაუხედავს, ხელის გამოწვდისთანავე მიპასუხა:

— კითხეა არ ვიცი.

ჩემს ცხოვრებაში ეს ერთი ქალიც გამოუცნობ არსებად დარჩებოდა, რომ თვითონვე არ ალაპარაკებულიყო:

„რაი გიკვირს, შვილოსანო? ჩემ სიბერე გიკვირან თუ ამ ძაღლ-კატამ შეგაფიქრიანასთ? ესენიც რომ არა მჰყავდნენ, ცოცხლივ სამარეში ვიქნებოდი. რაი არს სახლი უკაცოდ და მთაი უბალახოდ. ჩემ საბრუნავ ესენია. ზამთარში ესენი მითბობენ გაყინულ ძელებსა, ზაფხულში ესენი მაძლებინებენ უფსკერო დღეებსა. ჩემი ენა ესმითყე, ბღარტებივით მიჯერებენ. სხვაგან თუ მონახავ ძაღლებ და კატებ ასრე დან-ძმურად ჰყოფილიყვან? ერთიმეორეს არ აწყენინებენ. ასრე გამიზრდია და იმიტომ. ყველაფერი გაზრდაი ყოფილა. უბედური მაყვალაი გიჭი ნუ გეგონებავ. უცხოთ ჩანხართ, ეს ამბავ ნუ გაგიკვირდებინთ. ღმერთის ნებაი არს ყოლიფერნ. ამ ხელებმა შვიდ შვილ გაზარდის, არც ერთი არ შემარჩინის კაცმა და ღმერთმა, ღმერთმა და კაცმა, დაილოცოს ორთავეს სამართალი. ქმარი იმ ომში მომიკვდის. წავრიდა, აღარც წერილი, აღარც ხაბარი, უკანაც არ მაუხდავს. სამოცდაათი წელია მას უკან. ტყვიას რომ არ მიეკლა, ახლა თავის სიკვდილითაც მკვდარ იქნებოდის. სამ შვილ ამ ომში დაკაკარვის, მეოთხეს ცხენ დაუგორდა გუდამაყართან, კვირის თავზე მის ცოლ შშობიარობას გადაჰყვის. მეხუთე სახადმა ამოსწყვიტის ცოლ-ნაგრამიანად. მეექვსე ალპინისტებ გზას ასწავლიდის და სწავლებაჩი ისე გაერთვის, ყინულ ჩაუტყდის გერგეტის კალთაზედ. ოცდაათი წელია ვერავინ მაძიძებნის, ვინ მის დედას. ნაბოლარა ძმაკაცის ქორწილს გადაჰყვის. მას უკან ოც გზაფხულ იქნების, გაიგონებდით

რევაზ მიშველაძე
ნოდელეანი

კეწწლობაში დამბაჩით რომ კაცი მოჰკლოს. ხუმრობა-ხუმრობით მაჰკლესაო, გაზეთშიც დაიწერის. მე მის დაწერა რაიდ მენდომებოდის, ჩემ შვილ კი ვერავინ გამიცოცხლებდის.

ეგრე არა, შვილო, დასაბამითგან: ღმერთი კაცზე ნადირობდის, კაცი კაცზე ნადირობდის, სახადი კაცზე ნადირობდის, ფათერაკი კაცზე ნადირობდის — სიცოცხლის მტერი ყველაყაა. ჩემზედ დატრიალდის. ყოლოფერი. მარტო რომ დავრჩი, ერთი გზობა ვიფიქრე, ათას ობოლ და უპატრონო არს, ერთა ვისმე მივიყვან და გავზრდი-მეთქი. მაგრამ ვეღარ გავბედე, შემეშინდის. ამ სახლიდგან გატანილ კუბოებმა თვალი დამბიყენა.

ამ ძაღლებ და კატებ ვიყოლებ გულს. ესენი თითქოს ღვთისგან დაცულნი არიან. არც სახად ემართებათ, არც ერთმანეთს ხოკავენ. არც ლაშქარში ეცაცხიან და არც თემობაში. ესენი უფრო საიმედოდ მეჩვენებიან. სიკვდილთან თამაში მომბეზრდის. ჩკვერის ცქერა მომწყინდის. ადამიანებ მძულან. რაიდ და ყველანი სიკვდილისთვის შობილნი, ჭირისთვის შობილნი, ცრემლვისთვის შობილნი არიან. მაყვალაი გიყად არ ჩამოვალო, შვილოსა. მზის მადლმა, მართალს ვამბობ. ჩემ გამტყუნებენ, ეს ბენ ადვილია, ჩემ გასსჯაც ადვილ არს. ჩემს დღეში მყოფმა გამასამართლოს, მან იცის, რაი არს სიკვდილი“.

მეტი აღარაფერი უთქვამს. ყურთასმენა კიდეც რომ ჭქონოდა, რა უნდა მეკითხა, კაცმა რომ თქვას. ერთხანს მიყურა, მერე ზურგი შემოქცია, დარბაზის შუაგულისკენ წალასლასდა, ჩანთას ხელი დაავლო და ძაღლ-კატები ისევ შემოისია.

...თვალცრემლიანი ვეშვები ფასანაურისკენ. მაყვალას ნაამბობით ხომ თავი მისკდება, უფრო ის მაღიზიანებს, რომ მთელ ამხელა გზაზე თვალდან ვერ მოვიცილე ერთი სურათი: ჩვენს გვერდით სადარბაზოდან ხელკავით გამოსული უშვილო ცოლ-ქმარი. თეთრი, ფუმფფული, ბეწვხუჭუჭა ძაღლით ხელში. ვერავითარ კავშირს ამ სურათსა და მაყვალას ბედთან ვერ ვხედავ. მაინც თითქოსდა განგებამ მომისაჯაო, როცა მთიელი დედაბრის ტრაგედიაში აზრის ნათელ ბილიკებს ვიპოვი, ერთბაშად ყველაფერი იშლება და სადარბაზოდან ისევ გამოდის ცოლ-ქმარი სათუთად მოვლილი, თეთრი, ფუმფფული ხუჭუჭა ბეწვისგან თავპირშეჭმული ძაღლით ხელში.

გ ა ღ მ ა

ლიბანელ ჟურნალისტს **ტავილ ნიკოლას** ვუძღვნი

აივნიდან ლურჯად აფოფრილი, დინებებით დახაზული ზღვა მოჩანდა.

ქვევით, სიცხით დაუნჯებულ პლაჟზე მზეს მიფიცებული სხეულები ეყარნენ და ზღვის შრიალი რომ არა, ირგვლივ დაისადგურებდა მკვდრული, შემაშინებელი სიჩუმე.

აივანზე ორნი ისხდნენ — შავტუხა ჟურნალისტი ახმედ საფვარი და მისი ცოლი ამალია.

— არ ჩავიდეთ? — ჩუმად, თითქოს თავისივე ხმისა რცხვენიაო, ჩაილაპარაკა ქალმა.

— რაღაც არ მინდა, ამ დილით წყალში უსიამოვნოდ გამაყრეოლა, ეტყობა გავციოდი, შენ ჩადი.

ცოლმა არაფერი უპასუხა. ტრანზისტორს თითი ჩაჰკრა და მუხლებზე დაიდო.

„ყურადღება, ყურადღება! ლაპარაკობს ბეირუთი, ბეირუთი ლაპარაკობს!

დღეს ლიბანის უმაღლესმა სასამართ-

ლომ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ჟურნალისტ ჰამიდ ჯაჰილ ხუნიას, რომელსაც ბრალად ედება პრეზიდენტზე შეიარაღებული თავდასხმა და სისტემატურად მთავრობის საწინააღმდეგო სტატიების ბეჭდვა თავის გაზეთ „აალ ჰასურაში“.

განაჩენით უკმაყოფილო ელემენტებმა (სამოცამდე კაცი), რომლებიც თავს ეროვნულ-პატრიოტული ფრონტის მებრძოლებად ასაღებდნენ, შეანვრიეს სასამართლოს შენობის კარი და მოითხოვეს განაჩენის გაუქმება. სასამართლოს თავმჯდომარემ აუხსნა მათ, რომ განაჩენის სიმკაცრე პრეზიდენტის უშუალო განაწყენებამ გამოიწვია და რომ იგი შეეცდება მოესაუბროს იმპერატორს განაჩენის შერბილების თაობაზე.

დღეს, საღამოს რვა საათზე ბეირუთის პოლიციის დეპარტამენტს ცეცხლი დაუშინეს ეროვნულ-პატრიოტულ ფრონტის მებრძოლებმა. პოლიციელებმა თავდაცვის მიზნით გახსნეს სასასუხო ცეცხლი, რის შედეგადაც მოკლულია 6 თავდამსხმელი, დაჭრილია 14, ხოლო 30 კაცამდე დატუსაღებულია. წესრიგის დამცველთა შორის მსხვერპლი არ არის, პოლიციის შენობაც უვნებლად გადარჩა“.

უკანასკნელი ცნობების გადაცემა უეცრად შეწყდა და ეთერში გაბმული, ნაღვლიანი ლიბანური სიმღერა გაისმა. ვიღაც მღეროდა ცხრა მთას გაღმა გადაკარგულ სატრფოზე, კი არ მღეროდა, ტიროდა, სიმღერაში არ იყო იმედის მცირეოდენი ნაპერწკალიც.

— არ უნდა დაგეწყო, — თქვა ქალმა ისე, რომ ლურჯ ჰორიზონტზე გაქვავებული თეთრი კატარღისათვის თვალი არ მოუცილებია.

— რა? — ჰკითხა ქმარმა, მისკენ არც მოუხედავს.

— მთავრობის პწკენა.

— მე არაფერი არ დამიწყია, სხვათა შორის, შენ რომ „მთავრობის პწკენას“ ეძახი, ეგ ათასი წლის დაწყებულია და პიროვნების, სინდისის თავისუფლებისათვის ბრძოლა ჰქვია.

— რაკი ეგრეა, ცოტათი ფრთხილად უნდა გებრძოლა.

— მე ვწერდი.

— სამეცე მაგაშია.

— კაცი მე არ მომიკლავს და დეპარტამენტი არ ამიფეთქებია.

— საოცარი კაცი ხარ. — ცოლს გაეცინა, — დაგავიწყდა შენი ფელეტონები არჩევნებზე? აღარ გახსოვს, პრეზიდენტს რომ ლანძღვა-გინების საჯარო წერილი მისწერე?

— მართალი არ ვიყავი? ეს ხომ არ უნდა გეთქვა?

— ახმედ, რატომ გავიწყდება, რომ ორი სიმართლე ...ესებობს. შენ, შენის მხრივ, იქნებ მართალი იყავი, მაგრამ იმათაც ხომ აქვთ თავიანთი სიმართლე.

— სიმართლე მხოლოდ ერთია.

— საოცარია თქვენი სამქმე. მთავრობას ებრძვით და ყურში ხელს რომ მოგკიდებენ, აღშფოთებულნი ხართ, მთავრობის გადაგდება გვინდა და არ გვაცლიანო.

— თავიდან დავიწყოთ ახლა? — უხალისოდ გახედა ქმარმა.

— რა? — ცოლს ზღვისთვის თვალი არ მოუცილებია.

— გუშინწინდელი კამათი.

— მე აქ საკამათოოს ვერაფერს ვხედავ.

— ჰოდა, ჩუმად იყავი. ეს მარტო ლიბანში შეიძლება მოხდეს, რაც მე დამმპრთეს. განა შეიძლება, კაცს სდეგნიდე, რატომ არ გიყვარვარო? განა შეიძლება, კაცს თავისი შეხედულებებისთვის ციხეში სვამდე?

— არა ხარ მართალი, შენ შენი შეხედულებებისთვის არავინ გაპატიმრებდა, თუ შეინახავდი შენთვის ამ „შეხედულებებს“. მაგრამ, როცა გაზეთებში აშკარა პროტესტის ბეჭდვა დაიწყე, „ნება უნდა დაგერთოო“ მთავრობისთ-

---

რევაზ მიშველაძე
ნოველები

ვისაც, რომ ეშვის თვალით შეეხედა შენთვის.

— მე თოფი არ მისვრია და კიდევ ვეუბნები, მთავრობისთვის ტყორორი არ დამინაშნავს. ვწერდი, როგორც მეწერებოდა.

— გამარჯობა შენი! შენი და შენისთანების მოწოდებით ხომ არ მოხდა, დღეს ექვსი კაცი რომ მოკლეს, თორმეტი თუ თოთხმეტი დაჭრეს და ოცდაათი დაპატიმრეს?

ახმედი გაჩუმდა. ზღვა ნერვებისმომშლელად მშვიდი იყო.

— ეს კატარღა გუშინ საღამოსაც აქ იდგა. არ მოძრაობს, — ისე ხაზგასმით თქვა ცოლმა, თითქოს ზღვაში კატარღის დგომას მათთვის ახლა სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

— ისევნებს, — სერიოზულად უპასუხა ქმარმა.

ამალიას გაეცინა.

— ბერდები კაცი და რაც სტუდენტობისას იყავი, იგივე რჩები. დღესაც ვერ ვარჩევ, როდის ხუმრობ და როდის არა.

ისევ სიჩუმე. კაცმა თმაზე გადაუსვა ხელი თანამეცხედრეს და თვალებში ჩახედა.

— დაიღალე?

— მეტყობა? — ორჭოფული პასუხი იყო.

— ლაპარაკზე კი, ისე არა.

— არ იყო ჩვენგან ამდენი მსხვერპლი საჭირო. უფრო ჭკვიანურად უნდა გებრძოლა.

— შიშმა დაღუპა კაცობრიობა, შიში რომ არა, მსოფლიო ერთ კვირაში დაეწყობოდა.

— კარგი ერთი, გგონია, შენისთანა თავგახურებულები ბევრნი არიან? დედამიწაზე მცხოვრებ კაცთა აბსოლუტურ უმრავლესობას მშვიდი, წყნარი ცხოვრება უნდა ამ ორი დღის წუთისოფელში.

— მეც მშვიდი, წყნარი, თავისუფალი ცხოვრებისთვის ვიბრძვი.

— იბრძოდი...

— ახლაც ვიბრძვი! — ამ სიტყვებმა ქმარი გააოგნიანა, — ვიცოდი, რომ შენ ოდესღაც წამომძახებდი ამას!

— რას?

— ჩვენს ლტოლვილობას.

— ეს აუცილებელი იყო, ჩვენ უსათუოდ უნდა გამოვეცალეთ.

— არ იყო აუცილებელი, არა!

— მაშინ ჩვენი ცოდოც დაგეებოდა.

— ვისი თქვენი?

— ჩემი, ალის, როზეტასი,

— ბავშვებს ხელს არ ახლებდნენ.

— ჯერ არც უხლიათ, შარშანწინ არ იყო ილ-კასარის მეჩიჩთან ერთი ავტომობუსი ქალ-ბავშვიანად რომ დახოცეს და წყალში გადაყარეს?

— აბა როგორ გინდა, უმსხვერპლოდ ამხელა საქმეს ალლაჰიც ვერ გაკეთებს.

— თუ ამბოხების მოწყობა თავიდანვე გქონდა ფიქრად, ცოლი არ უნდა შეგეგრთო და ბავშვები არ უნდა გაგიჩინა. ჩვენ ისედაც დამნაშავენი ვართ მათს წინაშე.

— რატომ, განა აქ ცუდად გრძნობთ თავს?

— ხუთი წელია სამშობლო არ გვინახავს, ახმედ! — ქალის ხმაში ცრემლი რიალებდა.

— მერე? ცოტაც მოვითმინოთ და დავბრუნდებით. ხუთი წელი განა ასე დიდი დროა?

— ჩვენთვის არა, ბავშვებისათვის კი, ისინი ახლა ხდებიან მოქალაქეებად. ახლა სჭირდებათ ყველაზე მეტად ის, საიდანაც გამოვიქეცით, — სამშობლო.

— გახსოვს, რა ისტერიკა ატეხე, წამოსვლაზე უარი რომ გითხარი? ახლა მე მაბრალებ?

— შენ არაფერს გაბრალებ, ახმედ, ერთი დღეც არ შეიძლებოდა ჩვენი იქ დარჩენა, მე როგორ მეყურებინა შენს ჯუჯგში დამიზნებული ავტომატის ლულისთვის.

— ჰოდა, ახლა ნუ მაყვედრი, თუ ქალი ხარ.

— გაყვედრი? არასოდეს, მე მხო-

ლოდ იმას ვტირი, რომ როზეტას არაბული უკვე დაავიწყდა.

— რომ დავბრუნდებით, გაიხსენებს.

— როდის, ახმედ, როდის? შენ მეუბნებოდი, ერთ წელიწადში ყველაფერი ჩაწყნარდება და დავბრუნდებითო. ამ ლოდინში ხუთი წელი გავიდა.

ქმარი წამოდგა. მოაჯირს გადაეყრდნო, ერთხანს უცქერა ზღვას, მერე შემოტრიალდა. თვალი ცრემლით ჰქონდა სავსე.

— არ უნდა წამოვსულიყავით.

— რატომ? შენ აქედანაც ხომ იბრძვი.

— აქედან ბრძოლა სხვაა. ეს მაინც გაქცეულის ბრძოლაა. ჭიშკარს გარედან ყეფაა და ის მაღლი არ აქვს.

ცოლმა მკერდზე მიადო თავი და ჩალისფერი, სამხრეეთიანი კვართის ღილები შეუხსნა.

— მალე ყველაფერი ჩაწყნარდება და დავბრუნდებით.

— უჩვენოდ, ალბათ, არაფერიც არ ჩაწყნარდება. — ახმედი წელში გაიმართა და აივნის სვეტს კეფით მიეყრდნო.

ისევ სიჩუმე.

— წამოხვალ? — სხვისი ხმით, შორიდან იკითხა ქმარმა.

— ხვალვე, — ქალის პასუხში შიშიც ეღერდა და სიმტკიცეც.

სიმღერა შეწყდა და დიქტორი კვლავ ალაპარაკდა:

„დღეს საღამოს რვა საათზე ბეირუთის პოლიციის დეპარტამენტს ცეცხლი დაუშინეს ეროვნულ-პატრიოტული ფრონტის მებრძოლებმა. პოლიციელებმა თავდაცვის მიზნით გახსნეს საპასუხო ცეცხლი, რის შედეგადაც ... ...

აკაკი ჩხაიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოვის წლეგი

აპყრობილ ხელებს ჩამოაქვთ ზეცა
და ღვთისმშობლის წინ ცრემლები
წვეთავს,
თალხი და თალხი,
თალხი და თალხი,
უჭირს თვალს,
უჭირს შეჩვევა ფერთა.
ან როდის ეცვათ ვარდისფრად ნეტავ
საქართველოში ცოლსა და დედას.

●

სულ მაისის დღე ვიღას დგომია,
ერთხელ ვის გულს არ მჩნევია
წყლული,
მაგრამ ზამთარი ქარს გაპყოლია,
ამწვანებულა
ფიქრი და ხნული.

ყველაფერს,
რაიც იმედით მავსებს,
რაც ძვირფას განძად შემორჩა
ხსოვნას,
მოყოლებული
იმ დღიდან ასე
შენი თვალებით ვწონი და ვზომავ.

ყველა სიხარულს შენს ფიქრებს
ვაქსოვთ,
ყველა სურვილს და
ყველა მოლოდინს,
შენა ხარ ჩემთან
და არც კი მახსოვს
უშენოდ ქვეყნად როდის
ვცხოვრობდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თემურ არჯევანიძე

თოვლით ჩოტანილი სიხარული ა ნ უ ღილით გამართული სპექტაკლი

— ტიტუ!.. გაიღვიძე ბიჭო! შეხედე, თოვლში ჩამალული სოფელი! — გასძახა პელაგიამ თავის ოთხმოცდასამი წლის ბებერს, ელეფთერას.

ელეფთერამ თავზე წახურული სბანი ნელ-ნელა პირსახეზე ჩამოიცურა, თავი წამოსწია და ორთავ თვალი ჰატარი ბიჭივით დაჭყიტა.

— რავა პირმესს მამალივით დამყივი. ქალო! თოვლით მაკვირვებ ამ ხნის კაცს?!— და მძიმედ წამოიხლართნა. ფეხები წოლებში წაჰყო, ტანთ ძველი ლაბადა მოიხურა, ფახკარასთან მიჩოჩიალდა, ხმელი თითებით გაყინული მინა გაწმინდა და თოვლის სპურველში გახედულ სოფელს გახედა.

— ხომ გითხარი გუშინ, ვარლამ: გაძოფქვამდა იმ ნაჭევარ ტომარა სიმინდს და ამოიტანეთ! ეხლა ამ ორმეტრიან თოვლს შენ გაკვალავ, შენ ჩახვალ სოფელში და შენ ამოიტან?!

— რა მოგვიდა, ქალო! რა ყავავეთ დამჩხავი ამ დილაუთენია! რას ვუშველი ამხელა თოვლს ეხლი მე!

— ჯანდაბა: და დოზანა ხომ გიშველის, ამოვიხოცებით მშივრები!..

ელეფთერა ისევ ტახტს მიუბრუნდა, ჯერ კიდევ ჩაბუნებებულ სბანს შეუჩოჩდა, გაეხვია და გაუყურდა თბილ ლოგინს.

— ელეფთერა! დაწექი ისევ, კაცო?!— ოთახში შემოვარდა გაწიწმატებული პელაგია. ელეფთერამ გაუღიმა და ღიღინა ხმით უთხრა:

— მოვიფიქრე, ქალო!

— რა ჯანდაბა მოიფიქრე ისეთი, რომ სიცილის ფასად გიღირს?!

— რა და, გადი აივანზე, თმა გაიჩეჩე და იკივლე, გადასძახე მთელს სოფელს და შეატყობინე: მოკვდა! მოკვდა! ელეფთერა მოკვდაო! დამექცა ოჯახო!

უთენია ღილით, თოვლით გადაპენტილ ბურიის სოფელში, თანდეს ბორაზე, განძარტოებით მდგარ ოდაში ორი მოხუცი კულიანად იცინის, რადგან სიცილის მიზეზიც გასჩენიათ და სასაცილო შედეგსაც მოელიან.

რა თქმა უნდა, გადმოდგა პელაგია აივანზე, გაიჩეჩა თმა და ღილაუთენია აუწყა სოფელს ელეფთერას იმქვეყნად წასვლის ამბავი.

სოფელმა ხომ გაიღვიძა და გაიღვიძა, ადგა და ჰატარა ხომ ფეხზე დადგა, მაგრამ ეგ არაფერი. ყველა შეიარაღდა ბარებითა და ნიჩბებით და ეს ორმეტრიანი თოვლი ერთ საათში ელეფთერას ოდის კიბემდე გაკვალეს. სულიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოეთქვათ შრომით დაღლილ თანასოფელელებს და სამძიმრისათვის ემზადებოდნენ, რომ ლაბადაწამოსხმული, გაპატიოსნებული მიცვალებული გადმოდგა აივანზე და განაგრძო თავისი როლის თამაში:

— მადლობა მომიხსენებია, ჩემო საყვარელო მეუობლებო! სიცოცხლეშიც დამიმტკიცეთ და მიჩვენეთ თქვენი ერთგულება და სიყვარული. ვხედავ, როგორ მაფასებთ და გიყვარვართ, სიბერეშიც კი გამიკვლიეთ გზა დუნიისაკენ!

უთენია დილით, თოვლით გადაპენტილ გურიის სოფელში, თანდეს გორაზე, ელეფთერას ეზოში ბთელ სოფელს მოუყრია თავი. გადაგორებულან თოვლის ხვავებზე და გულიანად ხარხარებენ. უხარიათ, რომ არის ქვეყანაზე გურიის პატარა სოფელი. უხარიათ, რომ ეს სოფელი თოვლის სამანშია გახვეული და უხარიათ, რომ ამ სოფელში ცხოვრობენ ელეფთერები და პელაგიები.

გახსენებისათვის

ჩაბნელებულ ოთახში მდუმარებას დაუსადგურება. ჩამესმის ნაზი სუნთქვის ხმა.

საწოლში ვიღაც იზმორება.

თითებში მოქცეული ბუმბული სულის შებერვაზე ნარნარით პაერში აფარფატდება და მწვანე ბბაფურს დაასკუპდება.

მწვანე მდელოს წამოუქროლებს წყნარი ნიავი.

ფანჯრის იქით მშვიდად ცაფცაფებენ ფიფნა ფოთლები.

ნაღამურ თმაში ნაზი თითები დაბანაობენ.

ტუჩებთან ჩამოშლილ თმას სველი ენა აწვალებს.

მაგიდაზე თეთრფოჩებიანი სუფრა აფენია, მის ქვეშ ფისუნია კუდს აქიცინებს და ჯამზე დასხმულ რძეს სვლეპს. საწოლთან, ფინურ სკამხე მსუბუქი, გამჭვირვალე პერანგი ჰკიდია. ხოლო მის ქვეშ ქალის წინდები მოჩანს.

სარკესთან საწოლიდან ახლად წამომდგარი, მკერდზე თმაჩამობნეული იზმორება.

ბბაზანიდან ნაცნობი შიფშიფი გვესმის.

ნიავი ფანჯარასთან მსუბუქ ფარდას ანანავებს.

ბოსელთან ძროხა ნიკორა ხბოს ლოკავს. პატარა „ტანგოს“ თავისი ლეკვები ებლაზუნებიან. სამზარეულოში ფფის სუნი გაზზე იწვის.

ჭოჭოელა და ბავშვის ფაჩუჩები იატაკზე დაგოგმანებენ.

პერანგისამარა ჩვილი საწოლზე ბუქნავს და პაწუა გაბუშტული თითებით ხელუკუღმა ისრესს თვალებს.

სადღაც შორიდან კი მოისმის მამაკაცის ხრიალა ხმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან სანიკიძე

იხარე მტერო, დაიქეც ჭერო!

ვაჯტანგმა და კახეთის ახალმა მეფემ, კონსტანტინე მაამად ყული-ხანმა ურთიერთობა თავიდანვე მტრობით დაიწყეს.

ახლად დასაწყისი კონსტანტინე რომ ყაზახს მოვიდა, იქ ვახტანგის გაგზავნილი ბრძანება დახვდა: ყაზახში ჯარი უნდა შეგროვდეს და ქართლის მეფის განკარგულებას დაელოდოს.

რა უფლების ძალით იძლევა ამნაირ ბრძანებას ქართლის გამგებელი, — იკითხა კონსტანტინემ.

„ადრიბეჯანის სარდარის“ უფლებითო, — უპასუხეს ვახტანგის კაცებმა — აკი შაჰს ვახტანგი ზარბაიჯანის სამხედრო ხელისუფლად ჰყავს დანიშნული.

ეგ მე არ ვიცი, — ბრძანა კონსტანტინემ,— მწყალობელმა ყაენმა მე მარტო კახეთი კი არა, მასთან ყაზახიც მიბოძა, ერევანიც და შამშადილიც. ამიტომ თქვენს მეფეს მოახსენეთ, ყაზახზე დღეიდან ხელი ალარ ეკნეგაო.

ვახტანგმა, რომ ეს შეიტყო, ძალიან გაჯავრდა, მაგრამ მაშინ რუსთა შემოსვლის მოლოდინში იყო, ძმათაშორის შინაომლობასაც დაერიდა და კონსტანტინეს შეუთვალა — ერთმანეთს შევხვდეთ და შევრიგდეთო. კონსტანტინეც დათანხმდა და გადაწყდა შეხვედრა ხუანს, „ზავისა და სიმტკიცისათვის“.

ვახტანგი ხუანს მივიდა ჯარით, მაგრამ კონსტანტინე ალარ გამოცხადდა. თურმე იესეს და მისი „დასის“ ქართველელ თავადებს შეეთვალათ იდუმალ: გირჩევთ, არ მიხვიდე ხუანის პაემანს, თორემ ვახტანგი მოკვლას გიპირებსო.

კონსტანტინემ ტყუილისა და მართლის ქებნით თავი ალარ შეიწუხა, ხუანინის გზას გვერდი აუქცია, მტკვარი გადმოლახა, ყარაინა გაიარა და საგარეჯოში მივიდა.

საგარეჯოდან კონსტანტინემ ძმა — თეიმურაზი გაგზავნა ვახტანგთან ზავის ჩამოსაგდებად ხოლო სანამ თეიმურაზი დაბრუნდებოდა, მანამ კახეთის ახალი მეფე ჭირეულ ლეკებს შეურიგდა, მათგან ლაშქარიც დაიქირავა და თავისთან დაიყენა, „ვაგრდიასავით“.

თეიმურაზიც დაბრუნდა და ვახტანგისაგან პასუხიც ჩამოიტანა. თურმე ქართლის მეფე ძალიან წყნდა, კონსტანტინემ პირი როგორ მიშალა და ხუანის პაემანზე არ მოვიდაო. ახლა

ვაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1, 2, 3, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ მზად არის ვახტანგი, შეხვდეს კონსტანტინეს, რათა ქართლისა და კახეთის ძალები გაერთიანდნენ „საერთო მტრების“ წინააღმდეგო.

„საერთო მტრებში“, უწინარესად ყოვლისა, ლეკები იყვნენ საგულისხმიენი. მაგრამ კონსტანტინე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ-კახური ლაშქრით დაიხსენი ქვეყანა ლეკების შემოსეულებისგანო.

დარბაზმაც ხმა მისცა ალავერდელის სიტყვას.

კონსტანტინე აღარ გაძალიანებულა, ლაშქარი შემოიყარა და ტფილისსაკენ დაიძრა.

წინასწარ მალეშრობოდა აფრინა ტფილისის უიზიოლაშთა ციხისნის უფროსთან: ქართლი და ტფილისი შაჰ თამაზმა მე მიბოძა და თქვენც მანდედან მოეეხმარეთ ვახტანგ მეფის განადგურებაშიო.

შუადღისას თოფ-ზარბაზანთა გრიალმა წამოაგდო ფეხზე ვახტანგ მეფე და მაშინვე ეს მოახსენეს: ხაკრანთა ციხეზე ჯალეყეაულია და ალვალარშია კონსტანტინე მაჰმად ეუფლი ხანი შემოჭრილა კახთა მხედრობითო!

ხანჩრიოდად სათარად აღიკაზმა მეფე, ლაშქრის შეყრა უბრძანა ბაკარს, დედოფალი რუსუდანი გორში გაგზავნა სახლეულთან. მაშინვე ფაიქლიც აფრინა რაკან და იმერეთს, მეშველი ჯარების გამოსაუვანად.

ის იყო, გორისაკენ მიმავალი რუსუდანი მცხეთა-მუხრანის გზაზე გავიდა, რომ თეიმურაზმა, კონსტანტინეს დაჯალეებით, კახთა რაზმით არაგვი გადმოიარა და „მოპარვით“ მცხეთას დაეუფლა.

ალვალარიდან დაიწყო შემოტევა კონსტანტინემ. რამდენჯერმე სცადეს კახელებმა მარცხენა „ალდიოუბნიდან“ მტკვრის გადმოლოგვა, მაგრამ ყოველ ჩამოსვლაზე გაუხტებოდა ბაკარი ქართველთა ჯარით და მძაფრი წინააღმეგენთ უკუაკეცვდა მოიერიშე კახელთა რაზმებს.

უკანასკნელი შემოტევაც მოიგერია ბაკარმა, „ოიტნეს კახნი და მოსრნეს ოგინი, და დაიპარნა თვით (ალდიბ-უბანი) და დაადგინა მცველნი“.

მაშინ კონსტანტინემ უარესი მოოოტეგეთ მოინდომა: მოუგგზავლის მოგვბა: დამხმარე ძალად და ქართველეებთან ანგარიშის გასასწორებლადად მოუშმო განკის ხანს, ერეკნის ხანსა და ლეკებს!

მოიუწეველად მოდიოდნენ და მოწუვეთი რაღა იქნებოდა! სამივე მხრიდან წამოემართნენ ძარცვა-რბეული ენინი ატანილი ამრაგებისა და ელეუნის მხედრობანი.

იღბალზე რაკელელთა და იმერთა მეშველმა რაზმებმა ჩამოუსწრეს ტფილისში ვახტანგ მეფეს.

თელეთს მოადგნენ ლეკები.

ისევ ბაკარი წარგზავნა ვახტანგმა, ქართველთა ლაშქრით.

ლეკები დაიფარნეს ქართველებმა, მაგრამ კახთა და ლეკთა ჯარმა ტაბახმეელაზე დაამარცხა ვახტანგის ლაშქარი, რომელსაც მეთაურობდნენ ძმები მაჰმუკა და რევაზ ბარათაშვილები და ხახლთუხუცესი ვახტანგ ამილახორი. რევაზს ლეკებმა და კახელებმა „ჰკრეს ცხრა თოფი, გარნა ბანერი და ბანიკურნი“; ბრძოლაში დაიღუპა ვახტანგ ამილახორი.

გამარჯვებულნი ბრუნდებოდნენ კახ-ლეკნი ტაბახმეელადან.

გამარჯვებული ბრუნდებოდა ბაკარი და მისი რაზმი თელეთიდან.

და ზედ თაბორის მთაზე შეეჭეზნენ ერთმანეთს.

შეეჭეზნენ და ჩეზვა გაახურეს.

ქართველებმა „ოიტნეს კახ-ლეკნი და მოსრნეს მრავალნი“.

კონსტანტინესგან მოწყვეული ბანკის ხანი ალ შუალვერს მოსულიყო და აეოხრებინა იქაურობა.

ვახტანგმა თავისი ძე, ვახუშტი (შემდგომში დიდი ისტორიკოსი) ალრანეს ბანკის ხანთან შეახვედრად, იმერთა და რაკველთა ჯარით. მაუბტენენ ქართველებმა, მსმიენდ დაეზარალეს განკელები და მათზე აეოლილი ბორჩალოელები ელეკნი. ზწარე მარცხმორჩმეული ბანკის ხანი ალეკაელას ცახეში შეეარდა და შიგ ჩაეკეტა. ვახუშტი წოლას დადგა და იქ ემზადებოდა ალეკაელაზე ალრანმისთვის.

ქეციბალრთელელმა „ეორღანოვებმა“ კონსტანტინეს ეცნობეს ვახუშტის გამარჯვებისა და ბანკის ხანის მარცხის ამბავი.

ხანწრაფოდ წარგზავნა კონსტანტინემ კახთა და ლეკთა ლაშქარი, „ხანისა შეწეკნად“.

დილიდან მაზმუნრამდე გაგრძელდა ბრძოლა.

ლომიკეთ იბრძოდა ვახუშტი ბატონიშვილი.

ლომიკეთ იბრძოდნენ რაკველები და იმერლები.

გაიმარჯვეს.

„ოიტნეს კახ-ლეკნი და მოსწეკეინტეს სიმრავლეთ და მოეიდნენ ალეაფით ტფილისსს“.

ისევ გამოჩნდნენ ლეკები თელეთს.

ისევ გაუხტა ბაკარი, „მოსრნა და სხვანი შეიპყრნა სამასნი“ ლეკნი.

თელეთიდან გამარჯვებით მომავალ ბაკარსა და მის ლაშქარს კახთა, ლეკთა და ეიზილაშთა ერთიანი მხედრობა ჩაეკლა წინ.

ფიცხლივ შეებნენ ქართველებნი, — „მოსლვასავე ოიტნეს და მოსწეკეინტეს უმრავლესნი და სხვანი ლტოლვილნი“ — სიკვდილს გადარჩენილი კახნი, ლეკნი და ეიზილაშნი — ნეიდასაკენ შეეცვივდნენ და იქ ჩაეკეტნენ.

გამარჯვებული ბაკარი ისევ ტფილისსში ეახლა მამას.

ახლა მცხეთისთვის გაიხსნა ხელი ვახტანგმა. მცხეთიდან დ ე მ ე ტ რ ე ე ა ფ ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ი ტ ყ ო ნ ბ ე ბ ი ა ი ფ ლ ა ნ ა: მცხეთელებმა მიმწეკვიეს მათი ქალაქის დასაკერად და კახელთა გასადევნად; მეც მტკვარზე ხიდის გადება მო-

---

ლეკთან სანრაკიძე
ეჭარბაბაზე ხელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტრუნ ჯარის გადასაყვანად; ამიტომაც მობრძანდით ლაშქრით და მცხეთა თქვენს ხელთ იქნებაო.

ვახტანგმა ჯერ თავისი ძმა იესე გაგზავნა მცხეთის დასაუფლებლად.

გამოუტანეს მცხეთის გარეთ კახელები იესეს.

გაემარჯვა ქართველებს. ისევ შებრუნდნენ და ჩაიკეტნენ კახეთში ქალაქში.

იესემ გამარჯვება არად ჩაიგდო, მცხეთაზე იერიშები მიადგა და მუხრანს წავიდა, „თავის საუფლისწულში“.

ვახტანგ მეფემ ისევ „დიდსულოვნებითი“ დაითმინა ძმის მორიგი კადნიერება და ახლა ვახუშტი გაგზავნა ეკლესიი მეომრით მცხეთას...

დიდი ხუთშაბათი იდგა. კახელები ცისკრის ლოცვაზე წავიდნენ სვეტიცხოველში. როცა გალავნის კარებში კახთა ლაშქარი უკანასკნელი მეომრით შეიწრიტა, წინასწარ გაგზახებულმა ალიანეტ დეკანოზმა გარეთან კარები „გარდაალეტა“ და ვახუშტი ბატონიშვილს ნიშნები მისცა.

ქართველებში და რაჭელ-იმერნი სასწრაფოდ სვეტიცხოველს გარს შემოერტყნენ და შიგ მოწყვეფილ კახელებს დანებება მოსთხოვეს.

კახელებმა ჯერ შიგნიდან ხროლა ატეხეს, მაგრამ როცა ხასროლიც შემოელიათ და გულიც „დადაელიათ“, იარაღი დაჰყარეს.

თვითონ თეიმურაზი შემთხვევით გადარჩენოდა სირცხვილს: წინა დღით მცხეთიდან ტფილისს წასულიყო ქმასთან, კონსტანტინესთან სათათბიროდ.

ვახუშტიმ მცხეთა ჩაიბარა, წარჩინებულ კახელ მეთაურებს ზურგზე ხელები გაუკრა და ისე მიჰგვარა ტფილისში ბაშას.

„შეენენ ჯახს ბაღოსს ქმეწყვა“ მცხეთის დაკარგვისა და კახელ დარბაისლეთა დატყვევების გამო. გამწარებული წამოიჭრა ფილა-სიხანაზე, თუშები და ლეკები აიყოლია და თამრარს მიუხტა ანაზღაურებად. ქართველებსაც იმჯერად დათმეს თამარი.

ისევე გავიდა პრეოლად ბაკარი, ქართველთა და იმერ-რაჭველთა ჯარით.

შემოეგება კონსტანტინე, მაგრამ დამარცხდა და უკუიქცა. მისი მეომრები „მისლეაზეე ივლტოდენ და მოსწყვეტდნენ ქართველ-იმერნი“.

გაქცეულებმა ავლაბრის ხიდს მიაშურეს.

მაგრამ ვახტანგის მეზარბაზნეებმა დაასროლეს, ხიდს ზარბაზნები „ჯარეს“ და ძელის ხიდი ნაპხეტრეებად ჩაიქცა მტკვარში.

ბევრი ლეკი და კახელი მდინარეში ჩაიხრჩო. კონსტანტინემ გადარჩენილი ლაშქრის თანხლებით მტკვრის გასწვრივ, ქვემო წელისაკენ გაეუხლა.

ბაკარს შეეძლო გამოსდევნებოდა და შეეპყრო ბაჰმად-ულული-ხანი — ეგზომ ბოროტი ომის აშტები და ძმათა სისხლის დამაკეცევარი, — მაგრამ თავადებმა არასგზით არ დაანებეს გამოდევნება. მხოლოდ კახთა დროშები დაწყვეტილი დაიალფეს ქარცოლელებმა.

ვახტანგმა ხიდები აღადგინა და განამტკიცა. (მალე ესეც ძვირად დაუჯდება).

კონსტანტინე ბაჰმად-ულული-ხანს უკვე გაეწერა, — მტკვარზე ნავით გადასულიყო და ჯარ-ბელაქნისკენ გაქუსლა.

ხოლო თეიმურაზს ვეღარ მოესწრო გაქცევა და ცოხეში ჩარაზულმა შემოუთვალა სიმშვიდის — მაპატიე და შემინიგეო.

ვახტანგმა უარი უასუხა და ვახუშტი გაგზავნა ჯარით მარტყოფს, სადაც მაშინ იდგა თამარი — მისი ახული და თეიმურაზის მეუღლე. მეფის ბრძანებით თამარი ტფილისს წაიყვანეს, ხოლო მარტყოფი — რისთვის, კაცმა არ იცის — „ივანურ ჰაკეს ხი დაატყვევეს“.

სანამ ვახუშტი მარტყოფს „უფლიდა“, მანამ ვახტანგს ტფილისის ციხე ალყაში მოექცა.

ციხე „დამშვიდა ფრიად“.

თუ კონსტანტინე „ახალ სასწაულს“ არ მოახდენდა, ალბათ, დიდანს ვეღარ გაუძლებდა თეიმურაზი.

პასუხს ითხოვს იბრაჰიმ ფაშა

მოულოდნელად ახალი სტუმრები ეწვევნენ ვახტან მეფეს.

ოსმალო მოციქულები იყვნენ, არზრუმის ბეგლარბეგის — ი ბ რ ა ჰ ი მ ფ ა შ ა ს ა გ ან გამოგზავნილნი.

არზრუმის ფაშა ყარსში მოსულიყო და ერევნისა და აზერბაიჯანის დასალაშქრავად ემზადებოდა, მაგრამ ვახტანგ მეფისა ეფიერტეობდა, — ვითიუ, ქართველთა ხელმწიფემ თავისი „დელი გურკენთი“ ერევნის ქვეშევრდომთა მხარე დაიბერაო.

ამიტომ წარმოეგზავნა არზრუმელი ბეგლარბეგს მოციქულები ვახტანგთან: ოღონდ ერევნელ და აზერბაიჯანელ ეიზოლაშეს ნუ მიეშველები და პირობას გაძლევ, ჩვენი მბრძანებელი ზონთქარი ორაცხელი წულანთი აგაგხესნო.

ახლი „თხოვნა“ მოიტანეს ოსმალებმა ვახტანგის კარზე.

ყოველ შემთხვევაში, ჯერ ჯერობით ასე ჩანდა: ოსმალების თხოვნა „თხოვნას“ ჰგავდა და არა „მოთხოვნას“.

აქ კამოინში წერს ერთ მეტად საინტერესო ამბავზე. ხომალდ „არგოს" თანავრაკკლავედზე. დასტანია, რომ ქართველ პოეტებს და ზოგჯერ ასტრონომებსაც ავიწყდებათ რატომღაც ამ ფაქტის პოპულარიზაცია.

თქმულებამ კოლხეთ ოქროს ხაწმისზე სახელწოდება მიანიკ ცის ხომოს. ამით უნდა ვამაყობდეთ ჩვენ... მით უმეტეს, რომ არც თუ ისე ბევრი ვარსკვლავის სახელია დაკავშირებული საქართველოსთან.

Огонь похитил с неба, сын Яфета
Чтоб духу человека дать горенье,—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერს კამოინში.

აქ ბიბლიური იაფეტის ხსენება მრავალმხრივ არის საყურადღებო. ქართველები ბიბლიური ლეგენდით ნოეს ძენთან, იაფეთთან არიან დაკავშირებული. გავიხსენთ თუნდაც მარისეული მეტაფორული ტერმინი „იაფეტური ენები“.

კამოინში თავის პოემაში არაერთხელ ახსენებს იბერიას. ლაპარაკია პირენეის იბერიაზე, იბერიბერიაზე, რომლის ნათესაობა კავკასიის იბერებთან, იბერიბერიასთან დღეს ცხოველი კვლევის საგანია. საკმარისია გავიხსენთ აკად. შ. ძიძიგურის და პროფ. ი. ტაბალაძის საინტერესო მეცნიერული შრომები.

საინტერესოა ისიც ითქვას, რომ კამოინშის გვარს იბერიული ბოლოსართია — „ში“ ამკობს. ეს ოგივე „ში“ გახლავთ, რომელიც ერთვის ლუზარი და. მაშასადამე, იბერიული წარმოშობის ისეთ ქართულ გვარებს, როგორიცაა, მაგალითად, ხალვა+ში, ჯა+ში, მუხვა+ში, ვანელი+ში, ჯავან+ში, ნაკაი+ში, გეგე+ში და ა. შ. ოგივე „ში“ ისმის ისეთ ტრანსფორმაცია განცდილ, თავდაპირველად ლუზურ (იბერიულ) გვარებში, როგორიცაა, მაგალითად, არო+ში+ძე, გორკო+ში+ძე, ოქრო+ში+ძე და ა. შ.

„შის“ პრობლემა ეხება არა მარტო კამოინშის გვარს. პორტუგალიურ გვართა უდიდესი უმრავლესობა სწორედ ამ იბერიულ „ში“-ს ირთავს.

(შეადარეთ: სანტუ+ში, კარლუ+ში, გონსალეე+ში, გომე+ში, კამპინე+ში და სხვა).

რაც მთავარია, ეს გარეგნული დამთხვევა არ არის. იბერიულ (ლუზურ) „ში“-ს ოგივე შინაარსი და ფუნქციია ეკისრება ონომასტიკური ერთეულების ფორმირების დროს, რაც პორტუგალიურ (ლუზურ-იბერიულ) — „შის“.

ავიღოთ ასეთი მაგალითი. პორტუგალიის პირველი შეფის ადოლფო ენრიკე+ში ეწოდება. პორტუგალიელი უამთავარწყრილი შენიშნავს, რომ ენრიკე+ში „ენრიკეს ძეს“ ნიშნავსო. ზუსტად ასევე იქნება ეს ლაზურად, ჭანურად, ზანურად — „ენრიკე+ში“.

ამასვე ადასტურებს პორტუგალიელი მწერალი ალეშანდრო ჰერკულანო.

აქ შემთხვევითობა ყოფილად გამორიცხულია.

მაშასადამე, ბასკურის გვერდით, პორტუგალიური ენა იძლევა მეტად საინტერესო მასალას პირენეის იბერიისა და კავკასიის იბერიის ნათესაობის შესახებ თავისი ლუზური ლექსიკური დანაშრეგების მეშვეობით.

ეს საკითხი, თუ არ ვცდები, თითქმის შეუსწავლელია. პირენეისა და კავკასიის იბერიათა ეთნიკურ-ენობრივი ნათესაობის საკითხის შესწავლისას, ეტყობა, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პორტუგალიური ონომასტიკონის შედარებით შესწავლას.

ოგივე თქმის პორტუგალიურ ტოპონიმიკაზეც. მაგალითად, პორტუგალიური ტაკონიმური ერთეულები „ვვადი“ და „ვვადი+ანა“ არ შეიძლება არ იწვევდეს ქართული „ვვადის“ (გავიხსენოთ ლ. ქიაჩელის „ვვადი ბიგვა“ ანოცაციას) ან პორტუგალიურმა ქალაქმა „ხეთუბალ“ — არ შეიძლება არ გავგახსენოს „თუბალ-თაბალის“ პრობლემა. არც ამ სიტყვის პირველი ნაწილი „ხეთ“ — „ხეტ“ არ არის უცხო ქართული ტოპონიმიკისთვის. მაგალითად, მეხეთის ანალოგი არის დასახლება „ხეტ“. ხშირად მეხეთს „ხეტ-მეხეთის“ უწოდებენ.

მართალია, აქ გამოთქმული აზრები უფრო თავისუფალი იმპროვიზაციებია, ვიდრე მეცნიერული კვლევის შედეგად მიღებული ჭეშმარიტება, მაგრამ, ვინ იცის, ამ იმპროვიზაციამ, იქნება უბიძგოს ვინმეს მეცნიერული აღმოჩენისაკენ.

საინტერესოა ისიც, რომ პორტუგალიელები, მთ შორის კამოინში თავის პოემაში „ლუზიადაზ“, თავიანთ სამშობლოს ლუზი+ტანიას ე. ი. ლუზთა ქვეყანას უწოდებენ. (შდრ. მაგრი+ტანია).

კამოინშის პოემაში გამოყენებულია პორტუგალიური თქმულება ლუზთა მამამთავარზე, ერის ფუძემდებელზე, რომელსაც ლუზი ერქვა. მის ძმას კი ლიზი.

რა ახლოს დგანან ერთმანეთთან ეს სიტყვები: ლუზი, ლიზი და ლაზი.

ლუზი, პორტუგალიური ლეგენდის მიხედვით, არის ძე მეფვენეობის ღმერთის ბახუსისა, რომელიც დდდხანს ლაშქრობდა, ომობდა და ბოლოს დასახლდა პირენეიში, იბერიაში და ლუზიტანია უწოდა ამ მიწას.

პორტუგალიელები, როგორც ერი, ვგიან ჩამოყალიბდნენ. ადრე იმ ხალხმა, რომელებიც ვგიან პორტუგალიელებად ჩამოყალიბდა, განიცადა კელტიზაცია, რომანიზაცია და ათასი სხვა უბედურება და სიკეთე. მაგრამ მათმა ლეტნიკამ, მათმა ონომასტიკამ და ტოპონიმიკამ აქა-ეკენ შემოინახეს იბერიული ფენომენიც. (ამის უთუო საფუძველს გვაძლევს თუნდაც ბოლოსართი „ში“).

კამოინში იენობს პრომეთეს მითს და, მაშასადამე, კავკასიის, ღმერთთან მებრძოლი ტიტანის მიჯაჭვის ადგილს.

ამამდე ეწერდით — „კამოენსს“. ვფიქრობ, ეს არ არის სწორი. ეწერთ „ზეეუფან ცვიგი“ და არა „ხფეეან ცვიგი“, „ზანდრო პეტეფი“, და არა „ხანდრო პეტეფი“. ეწერთ ისე, როგორც დედანში ყოლის ამა თუ იმ პოეტის გვარი და სახელი. და ეს სწორია. კამოინშის გვარში, სანამ მან საკართველოდან ჩამოაწია, ეესპანური, ფრანგული და სხვა ენების გავ-

ვლადიმერ ალფენიძე
ქალაქი და საქართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღენინ ხანე იცვალა და კამოეწსად იქცა. სჭობს ამაც პირველწერილს მივუბრუნდეთ. სჭობს ვიმხარით კამოინში. (პორტუგალიელებს უყრო სწორად მიაჩნიათ კამოინში). მით უმეტეს, რომ ევნილიური პორტუგალიელი პოეტს გვარს დართული „ში“ ჩვენი ბშობლიური, ხალერთობერიული „ში“ გახლავთ.

ბოლოსარაფები „ში“, „ია“ და „აია“ უსათუოდ ებერიული პორტუგალურშიც, ესპანურშიც, ბასკურშიც და ქართულშიც.

●

კამოინშის ეპიკური პოემის გმირი მთელი პორტუგალია, მთელი პორტუგალიელი ხალხია.

ამბოტმაა, რომ პორტუგალიაში ორი დიდი ეროვნული დღესასწაული აღინიშნება.

პირველი — თავისუფლების დღე 25 აპრილს. ეს დღეს ხალაზარის ფაშეულებს წყავენ. ეს ფაშიზმის დამბობისა და რევოლუციის გამარჯვების დღეა. ხალხი ქუჩაში გამოდის წითელი მიხაკებით.

მეორე — დიდი ეროვნული დღესასწაული 10 ივნისს აღინიშნება. მას პორტუგალიის დღე ჰქვია. ეს დღე ყოველ 10 ივნისს ამიტომ აღინიშნება, რომ პორტუგალიელი ხალხის ეროვნული გენია — ლუის დე კამოინსნი სწორედ ამ დღეს გარდაიცვალა 1580 წელს.

ალბათ დღანმისს ზუროგზე ისე არავის დაუფასებია თავისი პირველი ეროვნული პოეტი, როგორც პორტუგალიამ გაკაკეთა ეს.

პორტუგალიის დღე ჰქვია ერის პირველი პოეტის კამოინშის ხსოვნის დღეს.

ამაზე მეტად შეუძლებელია ეროვნული პოეტის დფფასება.

ამით ისაა ნათქვამი, რომ კამოინში იგივე პორტუგალიაა.

კამოინშობაზეა ლისაბონში ზნრიად ახსენებენ მე-19 საუკუნის გამოქენილი პორტუგალიელი პოეტის ეოან ალბეიდა ‘გარეცის სახელს.

მან შექმნა ბრწყინვალე პოემა „კამოინშა“, რომელიც გასული საუკუნის პორტუგალიური ეროვნის მწვერვალად მიჩნეული, ავრეთვე სონეტი „კამოინში“, რომელიც ეძღვნება პოეტის გმირობას ოკეანეში მისი ბიბლიოდან ჩაძირვის დროს.

პოემით „კამოინში“ იწუნებ პორტუგალიური რომანტიზმის ისტორია.

პორტუგალიის კომუნისტური პარტია ხალხის პროგრესულია, ეროვნული სულიერი კულტურის მემკვიდრედ აცხადებს თავს.

ეარ ფუმოობს მას ამ პოლეტიკერ პარტიებს, რომლებიც სპეკულაციას მიმართავენ კულტურისადმი, კლასიკური მემკვიდრეობისადმი კომუნისტური პარტიის დამოკიდებულების საკითხებზე.

ისინი ავრცელებენ ჭორებს, თითქოს კომუნისტები დღედადმე მზოლოდ ეკონომიკაზე და ძალაუფლებაზე ფიქრობენ, ხოლო ხალხის სულიერი კულტურა მათ, თითქოს ნაკლებად აინტერესებდეთ.

პორტუგალიის კომუნისტურ პარტიას მეცნიერულად გააზრებული და დასაბუთებული სტრატეგია და ტაქტიკა აქვს შემუშავებული ამ საკითხებში. ეს იგრძნობოდა IX ყრილობაზე, მიტანგზე მარეირუში, კომუნისტთა ყოველდღიურ საქმიანობაში.

აქაც, კამოინშის მემორიალზე ჩვენი ყოფნაც ამის დასტურია.

ჩემთვის პორტუგალიას შუბლდადაფნული კამოინშის სახე აქვს. ყველა ერს ხასოლოო ანგარიშით თავისი დიქტატორის კი არა, თავისი ყველაზე ნიჭიერი მეხიტყვანა და მოაზროვნის სახე აქვს.

პორტუგალიური გენია ყველაზე ნათლად კამოინშში გაცხადდა.

5. საქართველო — პორტუგალია

საბჭოთა საქართველოსა და პორტუგალიის ურთიერთობაც წარმავლებით ვითარდება სხრ კავშირ-პორტუგალიის თანამშრომლობის პროგრამის თითქმის ყველა ფაერაზი.

1962 წელს მეფვიენეობისა და მეკვნენობის მე-10 საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც თბილისში ჩატარდა, მე, მაშინ გაზეთ „ლიბონისის კორესპონდენტმა, ინტერვიუ გამოვართვი მეფვიენეობის პორტუგალიელ სპეციალისტებსაც. სალაზარის პორტუგალიიდან მოსული მეფვიენეებს მთვარიდან ჩამოსულ ადამიანებივით ვუყურებდნთ მაშინ თბილისელები. იმდენად უჩვეულო და მოულოდნელი იყო ყოველივე ეს.

ორი წლის შემდეგ მეკვნენობისა და მეფვიენეობის სპეციალისტი, პროფესორი გ. ბერიძე გაემგზავრა ლისაბონს. ის ერთ-ერთი პირველი იყო იმ ქართველ მეფვიენეთა შორის, ვინც ამ საუკუნეში პორტუგალიას ეწვია.

1965 წელს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საბჭოგადოების მოწვევით საქართველოში მეუღლითურთ ჩამოვიდა პოპულარული პორტუგალიელი მსახიობი რიფეირო პაულო.

ის შეეხვა თბილისში ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ დიდ ქართველ მსახიობს, ივანეშიფწვნდოშელ „ოიდიპუსს“ და „ჯარისკაცის მაბან“ სერგო ზაქარიაძეს.

1968 წელს ლისაბონში ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე ქართველმა პიანისტმა ქალბეველმა ნინო ჭირაკაძემ პირველი ადგილი აიღო.

1975 წელს პორტუგალიაში სამეცნიერო მოკლეფენეთი ჩავიდა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ავადმყოფობი თეოფანე დავითაია.

1976 წელს ლისაბონში გაიმართა ლიტერა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტურულ კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ერთ-ერთმა წარმყვანმა ქართველმა კრიტიკოსმა, ეფუნდალ „ლიტერატურნაია გრუზიაზ" მთავარმა რედაქტორმა გურამ ასათიანმა. ის ერთ-ერთი პირველი ქართველი მწერალია, (თუ პირველი არა!), რომელიც პორტუგალიას ეწვია ამ საუკუნეში.

1978 წელს თბილისს ჩამოვიდა მწვიდოსის დაცვის მსოფლიო კომიტეტის დელეგაცია. მას ხელმძღვანელობდა ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, პორტუგალიის ეროფილი პრეზიდენტი გენერალ კოშტა გომეზი.

გასულ წელს პორტუგალიაში საგანსტროლოდ იყო მიწვეული ახალგაზრდა ქართველი პიანისტი რუსუდან ხუნწარია.

ოთხ ქალაქში: ლისაბონში, ფუნშალში, კოიმბრში და პავია-დვარაზისში მან ოთხი დაუვიწყარი კონცერტი გამართა, რომელსაც ადფრთოვანებით შეხვდა პორტუგალიის პრესა და მუსიკალური საზოგადოებრიობა.

საქართველოში სტუმრად იყო პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ოქტავიუ პატუ.

პორტუგალიაში საბჭოთა პარლამენტარების ჭაღუთან ერთად იმოგზაურა გამორჩენილმა ქართველმა მწერალმა, სოციალისტური შრომის გმირმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გრიგოლ აბაშიძემ.

გრ. აბაშიძემ გამოაქვეყნა ლირიკული შედევრი „ფიქრები ლისაბონის კარეტების მუზეუმში".

პორტუგალიაში, საბჭოთა საელჩოში დიდხანს მუშაობდა დიდი მხატვრული ჭედური ქმნილების — „ჯრედლის" შესაქმნელად გამოჩენილი ქართველი მხატვარი, ლენინური პრემიის ლაურეატი ზურაბ წერეთელი.

მისი ნაწარმოები თვალშარგალტგივით ამკობს საბჭოთა დიპლომატიის კერას ლისაბონში.

ეს ჯრის მაღალმხატვრული და მაღალიდეური ქმნილება.

ხელიერ ლირგებულებათა გაცვლა პორტუგალიისა და სსრ კავშირს, კერძოდ, პორტუგალიასა და საბჭოთა საქართველოს შორის ხელ უფრო და უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებს.

მსოფლიო ლიტერატურის ოთხმოცტომეულში, რომელიც ქართულ ენაზე გამოდის, გათვალისწინებულია პორტუგალიური ლიტერატურის ნიმუშების შეტანა.

ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა პორტუგალიური და პორტუგალიურენოვანი ქვეყნების მწერალთა ნაწარმოებები. მათ შორის ვინსენტ რივა პალასიოს რომანი „მეეჭიკის ყურის პირატები", ესა დე კეიროშის „ბადრე ამაროს დანაშაული", ჟ. პერეირას მოთხრობა „პორტუგალიელი, რომელსაც ლენინი ჰქვია", პოეტ ა. ფონსეკას ლექსი „შავკანიანი დედა" და ბევრი სხვა ნაწარმოებები.

საქართველოს სსრ მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობათა მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვიტა თარგმნოს ქართულ ენაზე მე-14-მე-15 საუკუნეების პორტუგალიური სარაინდო პოეზიის ნიმუშები, ჟერეთე ა. რიბეიროს, ფერეირა დე კაშტრუს, ესა და კეიროშის რომანები, თანამედროვე პორტუგალიელ პოეტთა ლექსები და პოემები.

●

ჩქარა გაირბინეს პორტუგალიაში გატარებულმა დაუვიწყარმა დღეებმა.

ისევ თვალწინ მიდგას პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ისტორიული IX ყრილობა, გრანდიოზული მიტინგი ბარიერიუში, შეხვედრა მუშათა კლასთან „ქმიგალში", მიღება პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, შეხვედრები პორტუგალიის პარლამენტში — რესპუბლიკის ასამბლეაში, ბარიერიუს მუნიციპალიტეტში...

ხაოცრად მახლობელი გახდა ახე შორეული **პორტუგალია.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ასათიანი

სათავეებთან

(რამდენიმე ცდა ქართული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების გასარკვევად).

ჟინათქმა

შენი სიბერე,
სიახლე ორბის,
15 საუკუნე
ელოდა წინამორბედს.

გალაკტიონ ტაბიძე

თხუთმეტი საუკუნე...

სუნთქვა შეგეკვრება, როცა გაიფიქრებ, რამ-ხელა სივრცე გადმოსერეს ამ ხმებმა — ის-ტორიის რამდენ გამაყრუებელ გრიგალს გაუ-ძლეს, დაუნთქმელად, გაუბზარავად, რათა ჩვენს სმენას — თანამედროვე ქართველთა სმენასაც — კვლავ, უწუვეტ ზარად მოწვდენოდა დიდი ხნის წინათ შემწუდარ გულთათქმის, იმა დღეთა გამდღეთების სუფთა ნახმეავი.

ძალიან მაღალი ტონალობით დავიწყე. სხვაც რომ არა ვთქვათ, საგნისათვის შეუფერებ-ლით. ჩვენმა ძველებმა — იაკობ ხუცესმაც, მერჩულემაც, საბამაც — კარგად იცოდნენ: დიდი განაცდი თავშეკავებით თქმას მოითა-ხოვს.

ვცადოთ.

მართლაც დიდი გზაა განვლილი...

და მაინც, როცა პირველი ქართული ძეგლის ტექსტს კითხულობ, სხვა შეგრებაც გეუფლე-ბა. 1500 წელწადი მხოლოდ პირობითად მა-ღებული ვადაა ჩვენი მწერლობის არსებობისა.

საკმარისია გავიხსენოთ სხვა, ჩვენზე იღბლია-ნი ერების მაგალითი, რომლებსაც ისტორიამ მათი დამწერლობის პირველადი ტექსტები შე-უნარჩუნა, რომ ნათელი გახდეს: ქართული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ძეგლები მის დასაწყისს კი არ მოსწავებენ, რამდენ განვითარების გარკვეულ, საკმაოდ მა-ღალ საფეხურს.

„შუშანიკის წამება", თუ მხედველობაში პი-ვილებთ მისი კომპოზიციის თავისებურებას, ფარითოდ გაპზრებულ კოლეზიებს და თხრობის სტილს, „პატარა რომანია", ამ ცნების თითქმის თანამედროვე გაგებით, უფრო მეტიც: ათას ხუთასი წლის წინ შექმნილი საწარმოები დღესაც ისე აღიქმება, თითქოს ჩვენს ხელთ თბილი, მფეთქავი არსება იყოს.

როგორც მიხაილი ასევე ფორმა ამ ნაწარ-მოებისა ერთხელ კიდევ გვარწმუნებს: ნამდ-ვილ ცხოვრებას და ნამდვილ ხელოვნებას ყველა დროს ადამიანის სულის მოძრაობათა არა-ერთგვაროვნება ედო საფუძვლად.

ხშირად გვსმენია, რომ XX საუკუნეში დი-დად გართულდა პიროვნების ფსიქიკა, რომ „თანამედროვე ადამიანი" ბევრად უფრო რთულ ფენომენად გვევლინება, ვიდრე თუნ-დაც გასული საუკუნისა. ეს სწორია ფარითო მნიშვნელობით, რამდენადაც ყოველგვარი განვ-ითარება ახალ ფენათა, ახალ (ამ შემთხვევაში ხელიერ) წარმონაქმნთა აღმოცენებასაც გუ-ლისხმობს.

მაგრამ ჩვენვე ხშირად გვავიწყდება, რომ ად-ამიანის სული, სინამდვილეში, არასდროს არ ყოფილა მარტივი.

იაკობ ხუცესის მოთხრობა დღემდე იძლევა მისი სხვადასხვაგვარად წაკითხვის უფლებას, არა მხოლოდ ვიწრო ტექსტულური, არამედ გაცილებით უფრო ფართო კონცეპტუალურ-მხატვრული თვალსაზრისითაც. ამის დასტურია მის გარშემო უკანასკნელ დროს გაშლილი ნა-ცმოდ მძაფრი დისკუსიაც (მხედველობაში მაქვს, კერძოდ, ალექსანდრე ბარამიძის, ვახტანგ

ჭელძის, თამაზ ჭილაძისა და სარგის ცაიშვილის წერილები).

დღეს უდავოა ერთი: „შუშანიკის წამება“ განეკუთვნელი ნაწილია ჩვენი ხალხის სულიერი პიროგრამისა, მისი შემოქმედი გენიის მრავალი დამახასიათებელი თვისებით აღბეჭდილი.

ამის გამო მისი იუბილეც მთელი ქართული ლიტერატურის ზეიმია და არსებითად ჩვენ აღვნიშნავთ არა ერთი კონკრეტული ნაწარმოების, არამედ მთელი ჩვენი ეროვნული მწერლობის 1500 წლისთავს.

კარი პირველი

ადამიანის იდეალი ქართულ მწერლობაში და ხალხურ შემოქმედებაში

ყოველი ეროვნული ლიტერატურის არსებობა, უწინარეს ყოვლისა, გამართლებულია მისი თვითმყოფობით, ერთადერთობით, იმით, რაც მხოლოდ მას შეაქვს კაცობრიობის მხატვრული განვითარების საერთო პროცესში, როგორც თავისი, საკუთარი. ეს რომ ასე არ იყოს, რაღა აზრი ექნებოდა საერთოდ მის დამოუკიდებელ არსებობას?

ქართული მწერლობის თავისთავადობაზე, მის ადგილზე და როლზე ამ საერთო საკაცობრიო პროცესში, ბევრი რამ თქმულა, როგორც სათანადო მეცნიერული დასაბუთებით, ასევე სავარაუდოდაც. მოსაზრებათა ერთი რიგი ექვემოტანელი საბუთიანობით გამოირჩევა, ზოგი, პირიქით, აშკარად პარადოქსულია. (თუმცა ზოგჯერ პარადოქსიც შეიცავს რაციონალურ მარცვალს).

დავიწყოთ ყველაზე ფუნდამენტური თვალსაზრისით.

ყველას ახსოვს გასული საუკუნის დამლევს ნათქვამი სიტყვები იმის შესახებ, რომ „დასავლეთი დასავლეთია, აღმოსავლეთი—აღმოსავლეთი და ისინი ვერასოდეს ვერ შეხვდებიან ერთმანეთს“.

ინგლისელი კიპლინგის ამ ცნობილი სენტენციის მორეგებებითი აქსიომატურობა, რომელშიც მთელი ეპოქის ცრურწმენა გამოხატა, არაერთგზის უარუყვიათ ჩვენს დროში* კერძოდ, მას თანამემამულეთაც.

ინგლისელი მეცნიერი მორის ბოურა თავის ნაწარმოში „ეროზია და შთაგონება“ შენიშნავს: „ევფუნსტეკუოსანი“ ის ქართული ნაწარმოებია, რომლიდანაც ერთნაირად მოიხიდება დასავლეთი და აღმოსავლეთი და მაინც იგი წმინდა ეროვნული ხასიათისაა“.

ჭირდება თუ არა ამ სიტყვებს კომენტარი? მე მგონი ჭირდება, ვინაიდან თუ „დასავლეთი“ მიმართ ამუამად თითქმის ყველა ერთსულოვანია, „აღმოსავლეთის“ საკითხი ხაკმაოდ ღრმა უთანხმოებას იწვევს.

არსებობს აზრი, რომ ყოველივე აღმოსავლური საფუძველშივე უცხოა ჩვენთვის, მხოლოდ ძალითაა თავსმოხვეული და ეს ნაძალადევი ზემოქმედება მხოლოდ ამახინჯებდა და ამახინჯებს ქართული კულტურის არსს.

მართლაც აღმოსავლეთმა ბევრი ძალა იხარჯა ჩვენზე, ბევრი რამ წაგვართვა ქართველებს. არსებობს აღმოსავლური კულტურის თავისთავად ალბათ სრულქმნილი ალრიბუტები, რომლებიც ჩვენს წარმოდგენაში ავთმბეტყველ ნიშნებად იქცნენ. მეორეს მხრივ, აღმოსავლურით ეპიგონურმა გადაცემამ ბევრი გამოათავაზა. იდეოლოგიზმამდე მივიდა, კერძოდ, ერთ დროს ე. წ. „ძველი თბილისის“ წრეგადასული ამოლოგია.

დიახ, ბევრი რამ დაკარგეთ მაშრიყელთა წუალობით.

და მაინც აღმოსავლეთმაც ჩვენ ბევრი რამ მოგვცა. რა დასაბალია, ზოგიერთი სანრახი თვისებაც შეეძინაენთ. მაგრამ გაცილებით მეტი ნამდვილად ღირებული, გამამდიდრებელი. და რაც მთავარია, ქართულმა მხატვრულმა გენიამ შეძლო გაეთავისებინა შეძენილი, თავისებურად მიეღო და გადაეფერა, ისე რომ უკანასკნელს მისი პირველქმნილი არსი არ დაეჩაგრა. დღეს კი აღმოსავლური ნაკადი მთელი ჩვენი კულტურის შემადგენელი ნაწილია, იმდენად ორგანული, ისე მკვიდრად შენივთებული მის ცოცხალ მატერიასთან, რომ ზოგჯერ პრაქტიკულად შეუძლებელია ზუსტი საზღვრის დადგენა პირველდასა და შენაძენს შორის.

აქ ერთი ფსიქოლოგიური გარემოებაც თამაშობდა როლს. როდესაც შენს წინ დაუძინებელი მტერი დგას, შენი დამქცევი და დამშეხობელი, ცხადია, ყველაფერი გაღულს მისი; არა მხოლოდ იარაღი, რომლითაც ის ჭკლავს, ან გაწამებს, არამედ მისი იერიც, ჩაცმულობაც, ადათ-ჩვეულებიც, ენაც, სიმღერაც და ა. შ. მაგრამ „მტერი“, როგორც ყოველი ცოცხალი არსება, წმინდა სახით არ არსებობს, ჯერ ერთი, ეს „არსება“ მაშინაც არსებობდა, როცა ის შენი მტერი არ იყო (შეესაძლოა, ერთ დროს გმეგობრობდნი კიდეც. ან ღირსეულად გმეტოქეობდა). მეორეც, ეფქვეთ, მოხდა ისე, რომ უკვე მერად ქცეული, ის შემდგომ, დროთა განმავლობაში შემოეტეკა, დაგიახლოვდა, ათასგვარი კავშირი ვაამა შენთან. ობიექტურად, მტრული ბანაკის ყოველი წარმომადგენელი მტრული ძალის ნაწილადვე რჩება (ან „გაიძვერა მოუკარედ“), მაგრამ, ვინაიდან ის ამავე

*დიდად საინტერესოა ამ მხრივ ამერიკელი მეცნიერის ბ. როფულენდის წიგნი „დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ხელოვნება“, რომელშიც გამოკვლეულია როგორც სხვათა, ასევე მსგავსება ამ ორი სამყაროსი

გურამ ასათიანი
სასთავეფდამან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრის ცოცხალი არსებაცაა, მრავალ „დამატებაში", სუბიექტურ თვისებასაც ავლენს. ახე გასინჯეთ, ფამაკრობელი ზოგჯერ მსახურადაც გიდგება, შენს ხასიათსვნოდ ზრუნავს, გართობს, ბუღს გიხსნის, გინათესავდება და ა. შ.

„ნაწილს" ზოგჯერ ავიწყდება, რომ ის მთლიანის ნაწილია და სხვა გარემოშია, სხვა მთლიანობაშია მოქცეული, თანდათან ბკარგავს საწყის თვისებათა ერთ რიგს, რათა ამ ახალი მთლიანობისათვის მისაღები თვისებები შეიძინოს.

სწორედ ამ ნაწილებს შემოაქვთ ახალ გარემოში ის ელემენტები, რომლებიც თანდათან მკვდრდებიან უკანასკნელის წიაღში, თუმცა არსებობად ტრანსფორმირებული. მაგრამ მაინც ახალი კოტეკესტისაგან განსხვავებული მოტივების ხახით.

„ძველი თმილისის" კოლორიტი ამგვარად საბეგლითოდ შეხაადთა ორკანული გამთლიანების კლასიკური ნიმუშია. მართალია, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ეს კოლორიტი არიერთგზის ოქნა პროფანირებული (განსაკუთრებით ჩვენს საუკუნეში), მაგრამ თავის დროს ის ერთ დამატებით ელფერს მატებდა ქართული სულის, ქართველი ეროვნული ხასიათის მდიდარ გამმას.

ალმოსავლური კულტურის გავლენა, ცხადია, ხხვა, უფრო მაღალი რანგის ადეკვატა მეშვეობითაც იკვლევდა გზას ჩვენსკენ („ძველი თბილისი" ამ მხრივ ძირითადად მაგალითი ალებეფერი ვარიანტია ხსენებული ზემოჩამოდგომის).

ახეა თუ ახე, ევროპეიზმით გატაცებეა, ევროპული ორიენტაცია (სრულიად ბუნებრივი და ისტორიულად გამართლებული) არაფერ და არაფერ არ უნდა გვიკრძალავდეს იმის შემჩნევას, რაც ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში დიდი ინტენსივობით მოხაწილეობდა საუკუნეების მანძილზე.

ერთი საგულისხმო გარემოება:

ალმოსავლელებთან შედარებით ჩვენ, ცხადია, ევროპელები ვართ, მაგრამ ევროპელებთან უშუალო კონტაქტისთანავე იმასაც ვგრძნობთ, რომ ჩვენში არის რაღაც მთგან განსხვავებული, არა მხოლოდ წმინდა ქართული, აბსოლუტურად თვითმყოფი, არამედ უფრო ზოგადი წარმოშობისა.

ჩვენ ზოგჯერ გვერცხვინება ამისა და ვცდილობთ ზუსტად ისე გამოვიყურებოდეთ, ისე ვიქეცოდეთ, როგორც დასავლელებს ჩვენივთ სინამდვილეში ამით კი არ ვმალდებიან, მხოლოდ ვაღარიბებთ ჩვენს თავს. გვავიწყდება, რომ ალმოსავლეთიდან ჩვენ მემკვიდრეობად მივიღეთ არა მხოლოდ ე. წ. „ჯნიტერი" ეოფისა და ხასიათის მრავალი უბადრუკი თვისება (რაც ცივილიზაციის მთელ რიგ ელემენტარულ ნიშნთა ნაკლებობაშიც ვლინდება), არამედ ზოგიერთი რამ ნამდვილად საეოფისხმოც. დანაკარგე დავიწყება არ ღირს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამასთან ერთად ჩვენ ნებით თუ უნებლეთ ვეზიარეთ, უშუალოდ შევეხეთ და შევიწოვეთ დიდი ალმოსავლური კულტურის არიერთი ნამდვილი მონაპოვარიც.

და, რაც მთავარია, რომ თვით ჩვენი ბუნებაც, ტემპერამენტიც, ემოციური წყობაც, მხატვრული თვალდამყვანდრების წესიც (ამ შემთხვევაშიც კი, მამმადიანურ სამყაროს მხრივ არავითარი ძალდაბა რომ არ განგვეცადა) არ შეიძლებოდა ეოფილიყო წმინდა დასავლური.

ერთი სიტყვით, ჩემი ღრმა რწმენით, ალმოსავლურისა და დასავლურის სინთეზი თვით ქართული ეროვნული ხასიათის თვისებაა და უმთავრესად ამითე ეხსნება.

სხვადასხვა დროს ჩვენ გვკვეთდა როგორც „დასავლელი", ისევე „ალმოსავლელი" პოეტები, ისევე როგორც კოლორიტში — დასავლური და ალმოსავლური ორიენტაციის მოდგაწეები, მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც კი ერთი საწყისის დომინანტი არაცა და არაცა არ გამორიცხავდა მთლიანად მეორე საწყისის მოკმედებას.

ამასთანავე: ალმოსავლური სკოლის პოეტი იყო ძირითადად თეიმურაზ I, მაგრამ გვნა, მის შემოქმედებაში ცოტაა დასავლური (ქრისტიანული) კულტურისა და მსოფლმხედველობის ელემენტები?

მეორეს მხრივ, ისეთი მკაფიოდ გამოვლენილი დასავლური ორიენტაციის მწერალი, როგორიც სულხან-საბა ორბელიანია, თავის შემოქმედებაში, დიდად დავალებულია ალმოსავლური მოტივებით.

ხოლო ალმოსავლური პოეტიკის ყველაზე ერთგული მიმდეგრისა და (ამ თვალსაზრისით) ყველაზე დიდი ვარტაფეტის, ბესიკის ლირიკაში საკმაოდ დიდი როდენობით მოიპოვება როგორც ანტიკური, ასევე ქრისტიანული კულტურის ანაბეჭედები.

მეცხრამეტე საუკუნეშიც დაახლოებით ასეთი სურათია: — რომ არაფერი ვთქვათ ალ. ჭავჭავაძეზე, რომელიც ამ მხრივ სწორედ შუაბიჭზე დგას, ან გრ. ორბელიანზე, რომელიც ერთნაირი გატაცებით წერს როგორც ვნეკიან მუხამბაზებს, ასევე ფსალმუნით შთაგონებულ ელეგიებს, საკმარისია გავიხსნოთ, რომ თვით ბარათაშვილიც კი, ქართული ევროპეიზმის ყველაზე რაფინირებული წარმომადგენელი, თავის სათაყვანებელ მომღერად სათრარს ახახელებს და გუფწრფელად აღტაცებულია გიგჯაბეკუმის ბაითებით.

ალმოსავლური და დასავლური საწყისები ქართულ ლიტერატურაში, მართალია, ებრძვიან კიდეც ერთმანეთს (ხან ერთი ჩაგრავს მეორეს, ხან პირიქით, მაგრამ ვამარჯვებული ფაქტიურად ვერასდროს ვერ ხარობს, ვერ „აუქმებს" დამარცხებულს). ხოლო უფრო ხშირად ეს საწყისები იშვიათ მთლიანობას ქმნიან.

როგორც ვიცით, მწერვალი ამ მთლიანობისა, ამ პარმონიის კლასიკური გამოხატულება „ეეფხისტყაოსანია".

ზოგი ფაქტიურად აქ სვამს წერტილს: ადმოსავლეთი + დასავლეთი = ქართველს.

ეს ფორმულა მეტად მომსუდველია თავისი სიმარტივით.*

მაგრამ რაღაა მაშინ ის „თვითმყოფი", „პირველქმნილი" თუ „თავისთავადი" (რაც ჩვენს ვახსენეთ)? ნუთუ მხოლოდ ორი დამოუკიდებელი ეროვნული არეობეტაკული ჯამი?!

ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა, რაღა თქმა უნდა, დიდად ალემატება ჩემს შეხედულებებზე და არა მხოლოდ ჩემსას.

ამგვარი პრობლემის დასაძლევად საჭიროა იქნებოდა, სულ ცოტა ივანე კავახიშვილის მასშტაბის რამდენიმე მეცნიერის (ისტორიკოსის, ფილოსოფოსის, სოციოლოგის, ანტროპოლოგის, ეთნოგრაფის, ფსიქოლოგის, ლინგვისტის, ხელოვნების მცოდნის, ლიტერატურის მკვლევარისა და ლიტერატურისაც — თეორეტიკოსის) შეთანხმებული შრომა. მე ამ ფუსფუსმეტერი საკითხის მხოლოდ რამდენიმე ასპექტს შევეხები და ისიც მხოლოდ ჩემი საკმაოდ შეზღუდული ცოდნისა და კომპეტენციის ფარგლებში.

დავიწყებ ერთი შენიშვნით:

ქართული ლიტერატურის ისტორია (ან, რაც თითქმის იგივეა, „საქართველოს ლიტერატურული ისტორია") მთელი რიგ მომენტებში ახლად არის დასაწერი. ჩვენი მწერლობის ისტორიკოსებმა დიდი ყურადღება დაუთმეს თავიანთი საკნის სოციალურ-ისტორიული შინაარსის გამოკვლევას (რაღაც უთუოდ თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო). კაცთმეტნი ხალხები ენერგიას დახარჯული მისი ეროვნული, ისევე როგორც ტიპოლოგიური, თავისებურებების გამოსაძიებურებლად. ამ მიმართულებით ახლა მეტის გაკეთება გვმართებს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ მწერლობაა ხელოვნების ის სახეობა, რომელიც ერის სულიერი რაობის უპირველეს ემანაციას წარმოადგენს.

სხვათა შორის ამ ახალი ამოცანის გადაწყვეტა, მისი საბოლოო ამოხსნა და ამოხსნილის გათვალისწინება ჩვენ გასულმა საუკუნემ გვაანდერძა.

სწორედ XIX საუკუნის მეორე ნახევარია ის დრო, როდესაც საქართველოს „ოფიციალურ" ზეციერ ეროვნული თვითდამკვიდრების უკეთესი ტუმბარიტ, ისტორიულად უკეთესზე მიზანშეწონილ მოდელს. ამ ძიების მოთავე მწერლობაა და, გასაკვირი არ არის, რომ ეურადღების ცენტრში პრობლემის მხატვრული ასპექტიც ექცევა.

„თვითეული ერს — წერდა აკაკი წერეთელი 1901 წელს — თავისი საკუთარი, ერთი მეორისგან განსხვავებული სახე აქვს და მან ლიტერატურასაც, როგორც სარკეს ამა თუ იმ ერისას, განსაკუთრებითი ელფერი უნდა ედგეს. ჩვენი მწერლობაც უტყუარი სარკე უნდა იყოს ქართველობისა... თუ ეს არ იქნება, ჩვენი მწერლობაც უმნიშვნელო იქნება, როგორც უბრალო რამ, უსახო ლაწირაკი".

ასეთი მიზანსწრაფვა დიდად დამახასიათებელია მრავალი სხვა, ამ დროს ჩვენსავით ვამოფიზნელების გზაზე მდგარი, სულიერი აღორძინების მოწყურე ერებისთვისაც.

მაგალითები ბევრია. მაგრამ ალმოსავლეთ წერტილად მე ერთს ვამკობინებ.

ახალი ინდოეთის უდიდესი მოაზროვნე ვ

თუ რატომ მიაჩნდა ქართველ კაცს სახელის მოპოვება ყველაზე დიდ მიზნად. იმის გამო, რომ ცოტანი ვართ და სათითაოდ უუნდა გამოვჩნდეთ, თუ კიდევ სხვა რაიმე მიზეზნთ?

ამჯერად შედეგით დავამაყოფილდეთ, ან, როგორც ოტეკვინან, „სოცემეროლნი“.

„სახელის მოხვეჭნის“ გარეშე ქართველი ხასიათი გაუგებარია (ამიტომ იყო ალბათ, რომ ყველა დროის პოეტები და მორალისტები ქართველ კაცს ერის უჩინჩინებდნენ: ყველაზე დიდი სახელი მამულისათვის თავდადებით მოიხვეჭებთ.)

მე წარილმანით დავიწყე, იმის გამო, რომ ეს წარილმანი ზედაპირზე იდო და თვალს ჭრიდა, როგორც იმის მარტივი ნიშანი, თუ რაოდენ განსხვავდება ერთი ერის ფსიქიკა მეორისაგან.

მთავარი სილრმეში დევს.

ვიფეკანანდა ლიტონ განცხადებას არ ჯერ-დება. ის კინკრეტულად, პირდაპირ მიუთითებს იმაზე, თუ რა არის მთავარი „თემა“ (ანუ „ბგერა“) ინდოელი ერისა.

მოვუსმინოთ:

„ყოველი კაცი, ყოველი ერი მოწოდებულია აირჩიოს თავისი ხვედრი. ჩვენ მრავალი საუკუნის წინ ავირჩიეთ ჩვენი ხვედრი. ეს არის რწმენა უკვდავი სულისა... მე გაფრთხილებთ, არ უფალატეთ მას. თქვენ ვერ უფალატებთ საკუთარ ბუნებას.

ნუ ემუნავთ! თქვენ აირჩიეთ მაღლიანი, კეთილი ხვედრი. დიდი ძალა თქვენს ხელთ. თუკი შეიცნობთ მას და იქნებთო მისი ღირსნი, მთელ მსოფლიოს გადაამარჯნებთ, **ინდოეთი სულიერების განაპირა.**

როგორც ხედავთ, ამ ერონენული ოფთიმყოფობის პრობლეა უფართოესი მასშტაბითაა გაწნილილი. მე, როგორც მოგახსენეთ, უმთავრესად ლიტერატურას ვეურნდნობი, ვინაიდან პროგლემის მხოლოდ ერთი ასპექტი მაინტერესებს: როგორ განცხადდა მხატვრულ შემოქმედებაში ქართული სულის, ქართული ხასიათის თავისებურება.

ვეფხისტყაოსანში თხრობა როსტევან მეფის დახასიათებით იწყებება. ეს არის თავისებური ზნეობრივი კამერტონი მთელი პოემისა. იდეალური ადამიანის პორტრეტი ასეთი თვისებებით იკვეთება:

...**ბალალი, უხვი, მდაბალი, ლაშკარ-მრავალი, ყმანი,**

მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განვეშიანი...

ჩვენს მიერ ხაზგასმული ეპითეტები აშკარად კონტრასტულია და ეს კონტრასტულობა შეგნებულად აქცევნერებულია ტექსტში. სამართლიანობა („მოსამართლე“) და ლმობიერება („მოწყალე“) არსებითად ანტონიმებია; ამსოლუტური სამართლიანობა სრულ ობიექტურობას, უშეღავათო სიმკაცრეს და მოუკერძოებლობას მოითხოვს. ხოლო ლმობიერებას ხალდენი სწორედ შეღავათი, სუბიექტური ეფექტი განწყობა, სიბრალეულის დამთმობი გრძნობაა.

რუსთაველის მიერ ამ ცნებების უშუალო შეწყვილება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ასევე შემთხვევითობას ვერ მივაწერთ „ბალალისა“ და „მდაბალის“ ერთ კონტექსტში მოქცევას. პოემის ავტორს არ გაუეჭიდებიდა სხვა სინონიმების შერჩევა იგივე შინაარსის გადმოსაცემად, მას რომ პარადოქსულობის ეფექტის შენიშნებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ რუსთაველისთვის მნიშვნელოვანი იყო სწორედ ასეთი შთაბეჭდილების ხაზგასმა (აშკარა ანტანომიების შეუდღეებით).

ეს ხერხი უთუოდ საგულისხმოა „ეფეხსტეკოოსნისთვის“. ეს ინიშნავდით რუსთაველი თითქოს დასაწყისშივე მიგვანიშნებს ადამიანის ბუნების არამარტივ, წინააღმდეგობრივ მთლიანობაზე.

პოემის შესავალშიც არის ამის ნიშნები: სამეარო, რუსთაველის მიხედვით, „ზეცით მონაბერი“ სულებითაა დასახლებული, ანუ ყოველივე ერთი წყაროდან (უზენესი ძალიდან) მოდინებრეობს, მაგრამ აქვე ხაზგასმით აღინიშნება, რომ ამ ერთარსმა ძალამ: „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს **ეშხალავი** ფერითა“.

ე. ი. ჩვენებურად რომ გავშიფროთ, სამყაროში მთავარია, დამახასიათებელია, არა მხოლოდ ის, რომ იგი მთლიანად ერთი ზეგანდომო სულის საუფლოა, არამედ ისიც, რომ, როგორც „ქვეეანა“ ანუ როგორც რეალობა, ის უთვალავი ამქვეყნიური „ფერითი“ (მატერიალური ნაირსახეობით) არსებობს.

როგორც ვხედავთ, აქაც ბუნების ორმაგობაა მინიშნებული. ერთის მხრივ — სულიერი წარმომავლობა, მეორეს მხრივ — ნივთიერი არსებობა, ერთის მხრივ — მთლიანობა (ერთარსობა), მეორეს მხრივ — უსახრეთო მრავალფეროვნება.

ასეთი წარმოდგენა სამყაროზე, ცხადია, რუსთაველს არ ეკუთვნის, ნიშანდობლივი აქ ის არის, რომ პოემის ავტორი, თავისი ხატოვანი მეტყველებით (ანუ პოეტური ხერხით) ამთავითვე ხაზს უსვამს არა მხოლოდ სულიერების („ზეციდან“), სულისაგან წარმოშობის) ხაზგასს, არამედ სულიერის ზორეიელში, ნივთიერში. გასოფესს. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ „გვაქვს უთვალავი ფერითი“, როგორც სარითმო ერთეულის შემცველი ლექსიკური უკრედი აშკარად აქცენერებულია ტექსტში.

რუსთაველის ინტერესი ამგვარ ორმაგობათა მიმართ უაღრესად დამახასიათებელია მთელი მისი პოეტიკისათვის (იხ. ქვემოთ: „ეფეხსტეკოოსნი და ქართული ლესსიკური პოეტიკა“).

...შვიდი საუკუნის შემდეგ ვეფა-ფშაველი ისევ მიმართავს „სათვეებს“ — ქართული პოეტური ენის პირველსაწყისებს — და სხვა სატყვებთან თითქმის იგივე თვისებას აღნიშნავს.

სთავეددის ფუნქცია ვეფა მხატვრულ კონ-
ცეფციაში ხალხური პოეზიის განეკუთვნება,
სახელდობრ მის უძველეს შრეს — ფშაველთა
პოეტურ შემოქმედებას:

„ფშაური კოსმიური ფეერთაბერლია უაი-
ფლურნი ილალიზმი უაიფლურნს რეალიზმ-
თან“.

უნდა ითქვას, რომ „ილალიზმი“, ისევე როგორც „რეალიზმი“ ვეფასთვის უპირატესად ესთეტიკური კატეგორიებია.

მაგალითები შეიძლებოდა სხვა ჩვენი ავტორების შემოქმედებიდანაც მოგვეტანა. მაგრამ მე შეგნებულად მივმართე მხოლოდ ორ წყაროს — რუსთაველს და ვეფა-ფშაველს —ვინაიდან, ჩემი რწმენით, სწორედ ამ ორი შემოქმედის მხატვრულ სისტემაში ჰპოვა თავისი სრულყოფილი გაშოვლინება ქართული ეროვნული ხასიათის პირველქმნილმა ბუნებამ. ხოლო ამ ბუნების, ამ თვისებურების მთავარი ნიშანი „სულისა“ და „ხორცის“, სულიერებისა და ნივთიერების ორგანული შერწყმაა.

სულიერება თავისთავად სავსებით განვითარებული საწყისია ქართული მწერლობისა. შესაძლოა, საქართველო „სულიერების განი“ არ იყოს, მაგრამ ერთ საშუალო მთის მდინარეს მაინც არ ჰამოუვარდება. თავისი შაშველი სახით ეს საწყისი ჩვენი შუასუკუნეების სახულიერო პოეზიაში (ჰიმნოგრაფიაში) გვხვდება. უფრო ვვიან კი დავით გურამიშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში იჩენს თავს.

მაგრამ ქართული ესთეტიკური მსოფლეფდვის კლასიკური ფორმა (პირველ რიგში რუსთაველი და ვეფა) სულიერ საწყისს, როგორც წესი, განუფოფლად აოელებს ნივთიერთან, მატერიალურთან.

სულის და ხორცის ურთიერთ ლტოლვა, მათი შეთანხმება, შეეკავშრება, შერწყმა, ფუძდამენტური თვისებაა ქართველი ხალხის ესთეტიკური ბუნებისა.

აქ შეეოფვნება საჭირო, რათა კრიტიკულად გადავსინჯოთ ჩვენივე მსჯელობის მსვლელობა და შედეგები.

არამიამიტმა მკითხველმა ალბათ უკვე შენიშნა, რომ მთელმა ამ მსჯელობამ ჩვენ ნიახლის მხრივ ბევრი ვერაფერი მოგვცა.

სულისა და ხორცის (ჰეგელის მიხედვით—„იდეისა“ და „ფორმის“) ერთიანობა („ადეკვატურობა“) ხომ საერთოდ ელანაყერი ხელოვნების მთავარი ნიშანთვისებაა, მაშ ჩვენ, ქართველებს რაღა დაგვრჩა?

ასეთი გამარტივება შემოშავებული მოსაზრებისა (თვითკონტროლის მიზნით) აუცილებელი ოპერაციაა, რომ მტკიცებათა თვითდინებამ სწორ გზას არ აგვაცდინოს.

ცხადია, შეეკრთით, მაგრამ გასაძნნეველია ისევ ვეფა გვიწვდის ხელს.

ერთი საგულისხმო სიტყვით: „უკიდურესი“. **საგულისხმო აქ ისაა, რომ სულისმიერი და ხო-**ვეიერი ქართულ პარანაზე ერთმანეთს ეკარ ანელებენ, კი არ ნთქავენ, ისინი „უკიდურესი“ სახით მონაწილეობენ ამ კავშირში და სწორედ ამის გამო ქმნიან ოშვიათ მთლიანობას.

ეს მთლიანობა დიალეკტიკურია ამ სიტყვის ყველაზე ძმაფრი გაგებით, ვინაიდან ნაწილები აქ არაამც და არამც არ თმობენ თავის თავს, პირიქით, უადრესი ფორმით აკვლენენ საკუთარ ბუნებას, არა მხოლოდ ისწრაფვიან ერთმანეთისკენ, მთელ რიგ შემთხვევებში ებრძვიან კიდეც ერთმანეთს, მწვავე ურთიერთ წინააღმდეგობაში იმყოფებიან.

სწორედ ეს არის ქართული ხასიათის შინაგანი დრამატიზმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ხოლო ეს უკანასკნელი საგანგებო განხილვას მოითხოვს.

უეჭველია: ზემოთაღნიშნული თვისება განსაკუთრებით მკაფიოდ ორმა, ერთმანეთისგან საკმაოდ ვრცელი დისტანციით დაშორებულმა ავტორმა აღნიშნა — ვახუშტი ბატონიშვილმა და ბორის პასტერნაკმა. პირველის მოწმობით, ძველმა ქართველებმა ერთნაირად „უუნოდეს ურთიერთთა მტერობა და მოყურობა, ლხინთა ლხინობა და ჭირთა ჭირობა“ (ვახუშტი დაწერილებით აღწერს, ეკრძოდ, თუ რა უზომონი ოეანენ ისინი, როგორც მწუხარეთა, ასევე სიხარულთა გაშოხატვის დროს). ასევე ხაუურა-დღეშოა ერთი შენიშვნა „საქართველოს სამეფოს აღწერის“ ამავე კარიდან. ვახუშტის სიტყვით, ჩვენი წინაპრები ასევე ერთნაირად ეოფილან „კეთილ-ბოროტნეფ ადრე მიმდრეკნი“ (თუმცა იქვე ეკითხულობთ: „სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი“).

ბ. პასტერნაკმა ორი ხაუუნის შემდეგ ქართული ხასიათის შინაგანი წინააღმდეგობრივობა სხვა კუთხით დაინახა: **«Это какое-то живое нечто, составившееся из переплетения современной городской жизни и природного типа, а главное, из вековых наслоений двух порядков, празднично победоносных, грозящих перейти в поверхностность и потом потрясающе трагических, обрекающих на безмолвие, углубляющих, бездонных».**

საეჭოოა აღინიშნოს, რომ „საქართველოს სამეფოს აღწერის“ ავტორი იყო პირველი იმ ქართველ სწავლულთაგანი, რომელმაც სისტემაში მოიეოვნა და მთლიანი სახით გადმოგვცა უძვირფასესი ცნობები ქართველთა ხასიათისა და ზნეობის შესახებ („ზნენი და ჩუეულებანი საქართველოსანი“). უაღრესად მნიშვნელო-

ბერაშ ასათიანი
სათაგე

ვანია ამ მხრივ პარაგრაფი: „კაცთაოვის", რომელსაც შემდგომაც დაუბრუნდებით, აქ კი მხოლოდ ერთ, ჩვენი ინტერესის საგნისთვის განსაკუთრებით საგულისხმო პასაჟს შეგახსენებთ:

...ჩვენნი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მეკერძოსთა შინა კადნიერნი, მკერიცხლნი, მსწრაფფლნი... ხალოჭროთა შინა ახოვანნი, საუფრველთ მოყუარენი, ამაყნი, ლაღნი (შეადარე ვეფ: „მაგრამ ამაყნი, მტკიცე, და ლაღნი" — გ. ა.) სახელის მაძიებელნი ესრეთ, რამეთუ თუსთა სახელოთათს არა რიდაბნე ჭეუეანსა და მეფესა თჳსსა, ტკუბართა და უცხოთ მოყუარნი, მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან არარა შეიპრრვიან; უფრონი, არცა თჳსსა და არც სხვასას კრძალვენ, საუნჯეთა არა მმეცველნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმკედრნი, მჩემებელნი, სწორთა მოყუარენი. არამედ არს ეამი რათადენმე, არცარა ისახელების ცოდნა, თჳნერ წოვნის კითხვისა და წერისა, გალობა — სიმღერისა და სამკედროსაგან კიდე და ჭგონებენ დიდ მეცოდინარნა. ფრიერთის მიმეოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სარცხვეილის მდეკარნი, კეთილ-მორჩუნებელ ალრე მიმდრეკენი. თავქედნი (თამამნი — გ. ა.), დიდების მოყუარენი, თუალმგებნი (დაკვირვებულნი — გ. ა.) და მოთაკელნი".

როგორც ხედავთ, ეს ძირითადად ქართველთა ღირსებებია ჩამოთვლილი, ან, ყოველ შემთხვევაში, ის, რასაც თვით ქართველები თავიანთ ღირსებად თვლიან, თორემ „არცა თჳსსა და არცა სხვისს კრძალვენ" და „საუნჯეთა არა მმეცველნი" სხვა რომელიმე ერის ზეიცილს, შესაძლოა, სახიკეთილო ცოდვათაც მიეჩნიათ.

აქა-იქ მაინც მინიშნებულია რამდენიმე ნაკლი თუ სისუსტე ქართული ხასიათისა, რაც ავტორის ობიექტურობაზე მეტყველებს. მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში ეს არ არის. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, რომ საკართველოს ზნეკეთა და ჩვეულებათა პირველი სისტემატიზატორი აქაც და სხვა პარაგრაფებშიც (მაგ. „ჩუეულებისათვის") ზაზგასმით აღნიშნავს რამდენიმე წინააღმდეგობას (როგორც ფუნდამენტურს ასევე შედარებით მეორეხარისხოვანს) ერთი ეროვნული ხასიათის შიგნით.

უნდა შევნიშნოთ, რომ ვახუშტი არ ჩქმალავს აღნუსხულო თვისებათა ისტორიულ ცვალებადობას და აქაც საკმაოდ მკვეთრ კონტრასტებს გვთავაზობს.

საერთოდ, ის შორს დაეს ჩვენი ეროვნული ხასიათის იდეალიზაციისგან — ღრმად ხედავს მის განვითარებას, ეფოლუციურ სახეცვლილებებს, ისევე, როგორც შინაგან ნაირფერობას და, როგორც ზნეთაღმწერელი, უნნარეს ყოველისა, ხშირად ამით განსხვავდება თავისი წინამორბედებისგან.

ავანე ჭყონდიდელის მოწმობით, შუასაუუნეების გამოჩენილ ქართველ სასულიერო მოღვაწეთა შორის ერთ დროს „ქართული ეროვნული თვისებების იდეალიზაციას ირიბნი თავი, თუ ამაზე უწინარეს არა, უკეე XI ს-ში ივი ჩამოყალიბებულია: ამ დროისთვის დამკვიდრებული შეხედულება ჩამოინაკვეთა ქართველ ეროვნულ თვისებებზე, რომელსაც მაშინ და შემდგომშიც ყველა აზიარებდა და რომელიც ქართველთა და სხვა ეროვნებათა თვისებების ერთგვარ დაპირისპირებას წარმოადგენდა. გიორგი ხუცეს-მონაზონის აზრით, მაგ., პირველთა-განვე ქართველები, „ნათესავი ჩუენი წრფელ იეო და უმანკო"... გიორგი მთაწმიდელიც სხვა ეროვნების მოსაუბრე, თუ მოკამათეებთან ლაპარაკის დროს ყოველთვის ცდილობდა ხაზგასმით აღენიშნა, რომ „ნათესავი ქართველთა წრფელი და უმანკო" არის, რომ ხასიათის ეს თვისება უფუნურებითა, ან უმეცრებით და სიმსუბუქით კი არ აიხსნება, არამედ ზნეობრივი სიფაქიზით, გულწრფელობითა და პატიოსნებით... ნიკოლოზ კათალიკოზის დახასიათებითაც ქართველები არიან „ბუნებით სადაგნი და მარტივნი და გონებით წრფელნი, სიმარილეს ცოლიერებისსა და ფიდელსა უმანკოებისასა მზიდველნი და მხოლოდ ღრმითსა ოდენ და მკლავისა თვისისა მოსავნი".

რაც თქმა უნდა, ვახუშტისეული კონცეფცია ეროვნული ხასიათისა გაცილებით უფრო მდიდარია ყველა ამ თავისთავად საგულისხმო შეხედულებაზე. მისი დაკვირვებები კიდეე გაგვახსენებენ თავს, ამჟამად კი სხვა გარემოებაზე უნდა შეეჩერო მეცოხველის ყურადღება.

ჩანართი I

მინდია და მურმანი

ქართულ ხასიათს აქვს გადახრები და უალრესობანი, რაც სხვადასხვა დროს (ᲩᲔᲜᲘᲗᲮᲠᲘᲗ — ისტორიის პიერ ფუქსირებულ ფაქტებშიც — გამოვლენილა და მხატვრულ შემოქმედებაშიც — როგორც ლიტერატურაში, ასევე ფოლკლორში.

დახასიათებულია, რომ ყველაზე **დიდი უკიდურესობანი** ამ მხრივ ხალხურმა **ზეპირსიტყვიერებამ** შემოგვინახა.

ჩვენი ეროვნული სულის **ორი პოლუსია მინდია** და მურმანი — ორი უკიდურესი გადახრა (მიდგომული ნორმიდან) ურთიერთ საპირისპირო მიმართულებით.

გამორიცხული არ არის, რომ ამ **ორ ხასეს** საერთო სათავე ჰქონდეს.

საინტერესოა ამ მხრივ ზეესტეტური გადმოცემის ლიტერატურული მოდიფიცირება კ. გამსახურდიას ცნობილ მოთხრობაში, **რომელს** მიხედვით, ნოგაის მინდი **ინოინტეტს მიპყიდის** სულს (ისევე როგორც **მურმანი — ეშმაკს**), **და ამის შედეგად ვანიკურნება მკბენარეისაგან (როგორც მურმანი ეკრანის ფილმს).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, ორივე ამ სახის გააზრებაში შესულია ფაუსტური მოტივი (თავისებურად ტრანსფორმირებული სახით*). რას უნდა ნიშნავდეს ეს, ხალხური მსოფლგაგების თვალსაზრისით? როგორც ჩანს იმაა, რომ ორივე მათგანმა გადაიბიჯა ადამიანური შესაძლებლობებისა და ადამიანურივე ეფოფის ჩვეულებრივ ზღვარს და ახალ „ზეადამიანურ" საფეხურზე შედგა ფეხი. ასე თუ ისე, ორივემ დაარღვია ჩვეულებრივობის ნორმა. ამ მხრივ (საზღვრის გადაკვეთის თვალსაზრისით) ისინი ერთად არიან. მაგრამ აქედან მათი გზები საწინააღმდეგო მიმართულებით იერება.

მინდიოს და მურმანს ქართულ ფოლკლორში ერთი სიუეტური კონტექსტი არ აერთიანებს, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. ისინი ხალხური წარმოდგენების, ხალხური მსოფლგაგებისა და ეთიკური მრწამსის კონტექსტში უპირისპირდებიან ერთმანეთს.

დამახასიათებელია, რომ ქართულმა პოეტურმა ენამ ფაუსტური თავგადასავალი ორად გაჰყო და ამ თავგადასავლის ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო ხაზი მოგვცა.

მინდიოა და მურმანი ღირსეული ანტიპოდები არიან.

პირველის შეგნება და მოქმედება, მარტივად რომ ვთქვათ, ალტრუიზმის ნიშნითაა ალბეჭდილი, მეორისი — ეგოცენტრიზმის დადაო. (ამ მხრივ სწორედ მინდიოა მურმანის მსოფლხედველობრივი ანტითეზა და არა ამბერსიანი, რომელიც, მურმანის მსგავსად, პირად ბედნიერებაში ხედავს ცხოვრების თვითმყრ მიზანს და თავისი მეტოქესავან მხილოდ ამ მიზნის მისაღწევად „ხაშუალებად" განსხვავდება).

მურმანსა და მინდიოს შორის მთავარი წყალგამყოფი ზღვარი სწორედ იქ გადის, სადაც ბედნიერების მურმანისეულად და მინდიოისეულად გაგება უპირისპირდება ერთმანეთს.

სიმპრიალისათვის უნდა ითქვას, რომ სადღაც, დასაწყის ტაფიანზე ბედნიერება ბათვის მსგავსი ეერთიანე იერსებება, როგორც დაფარული ცოდნა, განსწავლულობა. მინდიოს ახალი ცხოვრება ბუნების ფდუმალი ენის შეცნობით იწყება, ხოლო მურმანისა მას შემდეგ, რაც ის დანარჩენთათვის უცნობი წამლის საიდუმლოებას შეიტყობს.

და მაინც სწორედ ბედნიერების შინაარსი და შესაბამისი ცოდნის მიზანი განასხვავებს მათ სახეების ყველაზე მეტად.

მინდიოა დაკრული ქართული სულის კეთილია — მისი გუფმოწყალეობის, სიკეთის, უნივერსალური ხათნოების გამოვლინება.

მინდიოს ზნეობრივი მაკსიმალიზმი მხოლოდ ამბსოლუტურ ეთიკურ ღირებულებებში ჰპოვებს კმაყოფილებას: ამსოლუტურ სიკეთეში, ამსოლუტურ სამართლიანობაში, ამსოლუტურ გულისხმიერებაში. „გაშეკნილობაა" — ქართული ადეალური ზნეობის ერთი უმთავრესი ატრიბუტი — მინდიოს სახეში სცდება ყველა მეტნაკლებად შეწონდეფ სოციალური ნორმას, საერთოდ, ყველა ადამიანურ ზღვარს და ეროვნებათად კოსმიურ სივრცეებში განეფინება (თუ მინდიოას ყველა არსის გულისხმიდან ეს-მის, თავის მხრივ ციური სხეულებიც არანაკლებ გულისხმიერებს იჩენენ მის მიმართ).

ცოდნა და ბედნიერება, რომელიც მინდიოამ მოიპოვა, მის თვითფარფოის, ყველა ჩვეულებრივ ადამიანურ კაკეშირზე და ამდენად პირად კეთილდღეობაზე უპირისპირს ფასად უჯდება.

ამის შედეგია მისი ფსიქიკის კრიზისული მდგომარეობა, რაც საბოლოოდ ტრაგიკული პასიორობისეს, ეოფელვარი უტალტარული, პრაკტიკულად სასარგებლო (ნორმალური ადამიანური გაგებით) მოქმედების უარყოფისეს უბიაკეკეს მას.

სამაგიროდ ეს არის უმაღლესი, სულდგი ქმნილებისთვის, ქმედმრიგი ადამიანისთვის (რამდენადაც ის ბუნების მეუფე და გვირგვინია) შესაფერისი ბედნიერება.

მინდიოა (როგორც სკანდინავური საგის პერ_სონაჟი, სიგურდი) ვეფილ (ვეკელეშაის) ხორცს (ილსლს) იკეკეფს და ამის შემდეგ წვდება ბუნების ენას. ასე იწყება მისი განპრძნობა, როგორც ცნობიერი, ვეფილი ბიმლიის მიხედვით სიბრძნის სიმბოლოდაა მინნეფილი. მაგრამ ამ მოტივის ქართულ ვერსიაში ერთი მომენტია უფრო საგულისხმო:

ჩემი აზრით, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ კ. გამსახურდიას ოდესის მინდი ორიპინტეს უთანხმდება და სწორედ მისი შემწეობით ხდება ბუნების ზვიერთა სულთამიხლაპი (სწორედ ორიპინტე ხარშავს მასთვის „თეთრ ვეფილს").

ორიპინტე ნადირთა ოფთიანა ქართულ პანთეონში. მას სატრის მსგავსი გარეგნობა აქვს: ჯიხვის (თხის) ჩლიქებზე დგას, და მისივე რქები ასხია.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მთელი ეს მოტივი ლიტერატურული გამონაგონია, მინდიოს სახის გამსახურდიასეულ და ხალხურ გააზრებაში მე-

---

* ხალხურ ვერსიებში მინდიოას და ორიპინტეს ურთიერთშეთანხმების გამსახურდიასეული მოტივი დადასტურებული არ არის. სამაგიროდ დასტურდება მეგნანერის გაჩენისა და მთელი გათავისუფლების ამბავი, რაც თან სდევს მინდიოასან ვეფილის ხორცის ჭამებს. მაგრამ ეს უკვე დეტალია. გაკეოლებთ უფრო არსებითია ის გარემოება, რომ ხალხური მინდიოას (ისევე როგორც მურმანის) ახალი ძალმოსილება ეშმაკეულ ძალებთან (ქაკებთან) კავშირით იწყება, რაც უთუოდ ახლოვებს მის ამბავს ფაუსტურ თავგადასავალთან.

ბუნარა ასათიანი
სამეცნიერო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრი რამ არის საერთო. მთავარი აქ ისაა, რომ მინდია ბუნების წიაღთან ალიდგენს კავშირს, პირველქმნილ, „ცხოველურ“ საწყისს მიმართავს უმალესი სიბრძნის მოსაპოვებლად.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ის დიონისურ არსებად იქცევა, ოღონდ, ნიცშეს დიონისურ მსოფლჭვრეტისგან განსხვავებით, ბუნებაში მხოლოდ ბნელი ძალების სარბიელს (სისასტიკეს, უსამართლობას, ტანჯვასა და სასოწარკვეთას) კი არ ხედავს და შესაბამისად „ბორობებისა და სიკეთის მიღმა“ კი არ დგება, არამედ, პირველი რიგში, ბუნებისეული ჰარმონიის, (სათნოების, სიყვარულის, ლმობიერების, ურთიერთმფარველობისა და ურთიერთდაწყალობის) რწმენას ეზიარება და ამ საწყისთა ქომაგობაში ხედავს თავის მთავარ ადამიანურ მოწოდებას,

მისი მიზანი საოცეანეთო ბედნიერებაა — ბედნიერება უნივერსალური მასშტაბით, ისეთი ბედნიერება, რომლის განხორციელებისას არცერთი არსება (თუნდაც ერთი უმწეო ჩიტიც კი) არ დაიჩაგრება, არავინ და არაფერი არ დარჩება უუფრადღებოდ, უალერსოდ, განუკითხავად.

რასაკვირველია, ეს მიუწვდომელი ბედნიერებაა, მხლოდ ოცნებაა, მხოლოდ ის, რასაც უალერსობამდე განვითარებული „სურვილთა დიადობანი“ უკარნახებენ ადამიანის სულს.

სამაგიეროდ ეს არის ლოგიკურად (წმინდა ლოგიკის ძალით) კონსტრუირებული ბედნიერების იდეალი.

საგულისხმოა ისიც, რომ მინდია უბრალო (ბრტყელი) „განსაზიერება“ არ არის, მისი სული მრავალ ფერთოვნებადმეკვეთ შრეთაგან შედგება. ამ ფერთოვნებადმეკვეთთა ზემოქმედებით აიხსნება მისი შინაგანი დაფოკუსებლობა, ფუძმივი განგაში, ტატანეული გაორებანი.

მინდია „სულის ადამიანია“,

არსებობს აზრი, რომ ხალხმა ის გაიაზრა, როგორც „ინტელიგენტი“, ამ სიტყვის ფართო, ზესოციალური, ზეისტორიული მნიშვნელობით, როგორც პიროვნება, რომელმაც იგრძნო სიბრალული, გიიგო სხვისი და სხვათა (არაადამიანთა) ტანჯვა, რომელმაც თავის არსებობაში პირველ ალაწნევ დაიყენა ფიქრი, აზროვნება და არა მოქმედება ან ქმნადობა. ამის გამო ის ხალხის წარმოდგენაში განწირულია პასიურობისთვის, ანუ ხალხისეულ გაგებით, არყოფნისთვის. მინდიას სიბრძნე პრაქტიკულად უსარგებლოა და ამის შედეგად არაეშმარიტი, უაზრო, უნაყოფო.

ასეთი მოსაზრება უთუოდ საფუძვლიანია და უურადსაღები. მაგრამ ასევე საგულისხმოა ერთი მომენტი, რომელიც მინდიას წინაადმდეგობრივ ხასიათს უდგენს საფუძვლად.

ეს „სულის ადამიანი“, ეს სულად, წმინდა სულიერებად, იდეად გადაქცეული პიროვნება თავისი ცხოვრების, გულთათქმის, თვითდამკვიდრების საკრდენს საკუთარი არსების სიღრმეში კი არ ეძებს, არამედ გარემოცვაში — ექვთესო, მატერიალურ სამყაროში.

მინდია არც მშვიდი მკვრეტელია ამ სამყაროსი.

ის ბუნების, საერთოდ, ყოფიერების — უნივერსუმის მესიადუმლეკი და ამავე დროს მისი საყვარი, მისი ობიექტური ეროვნულ-ტრადიციული მაუწყებელი, მისი საკერპოებისა და ჭრილობების თავდაუზოგავი მეურვე და მკურნალი, ყველაფერადი ერთნაირად მოწყალე და განმკითხველი.

ასეევ არიერუკრეტდოვანია მინდიას მსოფლმხედველობრივი და ზნეობრივი ანტაგონიზმ, მოუმანის ხასიათი (მიუზდავად მისი სახის შედარებით ღარბი ფოლკლორული და ლიტერატურული ნაკვთებისა).

საკვირველია, რომ ჩვენმა ხელოვნებამ ახალ დროში ერთგვარი გულგრილობა გამოიჩინა ამ თავისებურად უნიკალური სახის მიმართ. ეიფას შემდეგ, მხოლოდ ზაქარია ფალიაშვილის ეროვნულ გუშანს არ გამოპარვია მხედველობიდან მისი შინაგანი მასშტაბურობა.

მოურმანი ულალერსად საინტერესო სახეა ქართული მითოლოგიისა, როგორც ალვანშნეთ, არც ის არის რაიმე იდეის უბრალო განსახიერება. ამას მოწმობს მისი ტრაგიკული გაჯრეტა ხალხის წარმოდგენაში; ასევე კანონზომიერია ეს მოტივი ფალიაშვილთან, ხოლო კიდევ უფრო მეტად ვეფას პოემა „ეთერში“, სადაც მისი სულიერი დრამა და მისივე შემზარავი ალსასრული ღრმა ადამიანურ თანაგრძნობას იწვევს მკითხველში. მოურმანი (მინდიისგან განსხვავებით) ეკოეცენტრიკოსია. მედნიერებას მისთვის მხოლოდ ერთი ასპექტი აქვს — პირადი. ბედნიერება, რომელიც მას სჭირდება, მხოლოდ ეთერის ანუ სექსუალური სიყვარულის სახით არსებობს. სხვა წყარო მისი სულის წადილის დასაკმაყოფილად უბრალოდ არ მოიპოვება ბუნებაში.

ამ ბედნიერებისთვის ის არაფერს არ იშურებს, თვით სულსაც. ე. ი. აბქეკუნაური ბედნიერებისთვის სამუდამო ტანჯვაზე თანხმდება.

ბედნიერების ეროტმანიკეული მოდელის შედეგია სრული ინდიფერენტიზმი სამართლისა და სამართლიანობის მიმართ, თვითდაოკების, თვითდამკვიდრების პრიმატი ყველა სხვა სახის იმპულსზე და ქმედებაზე და აქედან — უალერსი ბტლეროობა (ბეესალლის უალერსი უმწეობის ფონზე).

ფალიაშვილის მუსიკალურმა შემოქმედებამ (უსარეველს ყოველისა „ბეესალლამ და ეთერმა“) ისეთივე როლი შეასრულა უაბლესი დროის ქართული კულტურის ფორმირებაში, როგორიც ვაგნერისამ გერმანიაში. მხედველობაში მაქვს არა მათი ბუნებრივი ნიჭისა და მუსიკალური მსოფლმხედველობის თვისებრივი ნიშნები (ამ მხრივ მათ შორის დიდი სხვაობაა), არამედ კულტურულ გარემოცვაზე ზემოქმედების სიღრმე, ეროვნული რეზონანსი და, რაც

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამ ორი ნიღვანის განსაკუთრებული ინტერესი ნაციონალური მსოფლგაგებისა და ეთოსის პირველწყაროების მიმართ.

ამ თვალსაზრისით უთუოდ ნიშანდობლივია, რომ სწორედ ზაქარია ფალიაშვილმა გააცოცხლა ეს ორნი დროში ქართული ფოლკლორის ეს თავისებურად უნიკალური სახე. (ვაჟას „ეთერიანში“ მურმანი შერეს სახელით მოქმედებს).

მურმანის სახეს, ისევე როგორც ვეფხისტყაოსანსა, ჩვენი ინტერესი დასავლური კულტურის ფუნდამენტურ ჭარმოდგენათა სფეროებში გადაჰქვს.

მურმანი იგივე „სული ბორტია“, უფრო ზუსტად, „სული ბორტის“ ელემენტია ის მთავარი, რაც ის არსებაში დამინადრდა და რაც მის ხასიათს და მოქმედებას განსაზღვრავს. შემთხვევითი არ არის, რომ მურმანის ორეულის („დალისში“), კიაზოს მთავარ არიას ბარათაშვილის „სული ბორტის“ ტექსტი დაედო საფუძვლად.

აქ როგორც ჩანს, არ ღირს ამ სახის (ბიბლიის მიხედვით, სამთხზიდან გამდვენილი ანგელოზის) ლიტერატურული გენეზისის მიმოხილვა მიეტანინდან დოსტოევსკიზედ, ან ბაირონის ლიუციფერიდან ლერმონტოვის დემონამდე. უყველზე საგულისხმო ჩვენი დროისთვის, ვფიქრობ, ამ სახის ფრანსისეული გააზრება უნდა იყოს — ერთგვარი შეჯამება ბინი ევოლუციისა ბიბლიიდან XX საუკუნემდე.

ანატოლ ფრანსის „სული ბორტი“ აქტიური საწვისია კაცობრობის ისტორიისა. თუ დოსტოევსკის ეშმაკი წყრომანებზე, სულის ბნელ კუნქულთა ჩიჩქნაზე, ხოლო ზოგჯერ უხამს ლაზღანდარობაზეც ხურდავდება (ივანე კარამაზოვთან საუბრისას), ფრანსის სატანა ამაყი და ბალღამხედი არსებაა; არც უნდა გაგვიკვირდეს: კაცობრობის ისტორიის ნამდვილი შემოქმედი სწორედ ის არის — ყველა ადმოჩენის, ყველა რევოლუციის, ყველაფროინდელი პროგრესის, საერთოდ ყოველგვარი წინსვლის მოთავე და სულის ჩამდგმელი. ბორტებისა და ქმედითობის გაგებავება და ამრიგად, „ბორტი სულის“, როგორც თავსმოსეველი უნივერსალური წესრიგის წინააღმდეგ ამხედრებული ძალის, მორიგი „რეაბილიტირება“ (ბაირონის შემდეგ) ფრანსისეული სეკპტიციზმის ერთი თავისთავად შეტად საგულისხმო მოტივია.*

ქართულ ნიადაგზე ამ მოტივს გახარება არ ეწერა, არა მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენს **მწერლობაში სათანადო განვითარება ვერ** ვა მისმა ზოგად-კულტურულმა შინაარსმა (ამ უკანასკნელს საქართველოში არსებობად მხოლოდ ქაბუკი ბერთაშვილის ეგნიან მისცა დროებით გახანში). ასევე რომ არ ყოფილიყო, მისი განვითარება, როგორც ჩანს, ამგვარი გეზით არ წარიმართებოდა, ვინაიდან ქართველი ხალხის მხატვრულ შემოქმედებაში ქმედითი (მშენებელი, შემოქმედი) ძალის როლს ტრა_ დიციულად სიკეთე ახლოლებს და არა ბორტება.

მურმანის სახეც (მიუხედავად მისი ხასიათის მკვეთრად აქცენტირებული აქტიურობისა) სინამდვილეში არაკეშმარიტი, არსრულფასოვანი და ამდენად უდღეური, უპერსპექტივო ქმედების მომასწავებელია.

მურმანის ენერგია, ხალხის თვალში, ბორ_ ტი ენერგიაა. ამის გამო მას არაფერის წარმოქმნა (აშენება) არ შეუძლია. მისი „ბროლის ციხე“ მხოლოდ მერანია, მხოლოდ ეფემერული ხუხულაა, ვინაიდან არც ქვადრი ბალავარი აქვს, არც ნამდვილი კედლები და მისი პატრონიც საბოლოოდ (ვაჟას მიხედვით) ეშხერ ნადირივით უნდა აუმუვლიან „ხრამებში, მთაში და ღრეში“.

მურმანის ნდომაში შერიბა და სიავის თესლი ფრეივი. ამიტომაა, რომ მისი უადრესი აქტიურობა მხოლოდ ნგრევაში ჰპოვებს გამოსავალს და არსებითად მოძრაობის წყაროდ კი არ გვევლინება, არამედ სხვათა მომნუსხველ ძალად — სიკვდილის, არყოფნის, უძრაობის სათავედ.

საოცარია: ვაჟა_ფშაველა თავის მურმანს (შერეს) პოემის ფინალში ოიდიპოსის ტრაგიკულ ზრახვას მიაწერს:

„თვალებს დაითხრის ბედკრული თვალებსა დაშნებულსა...“

ვინაიდან საკუთარი ბედნიერების დაუცხრომელ მაძიებელს, ამ ნაკლული, ღვთისგარეგანი „ბედნიერების“ მოსაპოვებლად ამხედრებულ ინდივიდს — სხვათა დამღუპველს და საკუთარი სულის ჩამწყმედ მოძალადეს — „მოსცაგდა სინათლის სინჯვა“.

მურმანი ვაჟას პოემაში შეძრწუნებულია არა მხოლოდ, არა იმდენად თავისი მარცხით, რამდენადაც თავისი ნამოქმედარით.

საკუთარ გულთან ის, რასაკვირველია, მარ_ თალია, მაგრამ როგორც ადმოჩნდა, ეს იყო თვითკერძო გულის ფსეიდოსიმპრალე, ვნებით აღრეული გონების ბრმა „ეშმარიტება“.

ცოდნა, რომელიც მურმანმა მოიპოვა (მისი მოკმედებისა და დროებითი წარმატების განმსაზღვრელი ძალა) ამთავითვე პირობადებული იყო უკუფშართად გამოყენებისთვის. სწორედ ამის გამო აირია ყველაფერი: „სიყვარული“

---

* თომას მანს „დოქტორ ფაუსტუსში“ ეს სახე უკვე სხვა, უფრო ახალ და უფრო რთულ კულტურულ-ფილოსოფიურ სიბრძნეშე გადაქცეს. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის ფრანსის „სეკპტიკური“ გააზრება უფრო საგულისხმოა, როგორც გარკვეული ტრადიციის ლოგიკური დაგვირგვინება.

„მტრობად“ იქცა, „შენების“ ხუთვალი „ნგრევად“ მოპრონდა.

გონებისა და ცოდნის, როგორც ანტიპოდეთის, ანტიფრეზეთისა და ანტიკეიდების გაჯარება, ქართულ პოეზიაში ბარათაშვილის სახელთან არის დაკავშირებული. მაგრამ „ხულო ბორატოს“ კონკეფცია, რომელმაც შემდგომ „ბერანში“ უნდა მპოვოს ორიგინალური გახსნა, თავისი წარმოძალეობით ამკარად ზოგადეფრობულ (რომანტიკულ) ტრადიციას ეკუთხნობა.

„ცოდნის“ ჩვენებერა, ხალხური გაგების თვალსაზრისით, ამ შეთხვევაში უფრო ხაუელისმცოა ვაჟა-ფშაველას ნაიზრეკა.

„ავველისმკამელში“ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მინდოიან ქაჯებისგან მიღებულ სიბრძნეს ეშმაკეული ბოროტების გარსი ჩამოაცალა, ადამიანისთვის უცნო. მტრული ელემენტისგან გაწმენდა და კეთილ ცოდნად აქცია:

მხოლოდ ბოროტმა მის გულში
ვერ მოიკიდა ფეხია,
სხვა დანარჩენი ქაჯური
ყველა ისწავლა ხერხია*.

მართალია, ეს ცოდნა ამ სახითაც გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდა ადამიანთა უმრავლესობისათვის, მაგრამ დიდი ანგარიშით ეს სწორედ ადამიანური (ჰუმანური) ცოდნა იყო — ქეშმარიტი ქმედებისა და შენების ერთადერთი საფუძველი.

ჩანაბრძნი II

ცოტნე და ზურაბი

საგულისხმოა, რომ მითოლოგიზირებული სახეები თავის ანალოგს პოეტებს ისტორიულ რეალიებშიც.

ასევე მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს ხაქართველოს ისტორიაში, კერძოდ, ცოტნე დადიანი და ზურაბ არაგვისერისთავი.

პირველის ხასიათი ერთგულების უადრესი, ზღვარდადუდებული ვალოვლინებაა, მეორესი — ასეთივე წრეგადასული, უკიდურესობამდე მისული მოღალატეობისა.

წარმოიდგინეთ, ამ ანტიპოდურ წყვილსაც აქვს საერთო ნიადაგი და საერთო ალმოსავალი წერტილი.

ჯერ ერთი, ისინი ერთნაირად სისხლიანნი, მძვრიე და სასტიკი ეპოქების შვილები არიან. მეორე: ორივე სახეს თავს ადგას გმირობის, გარეშე მტრის წინაშე შეუპოვრობის, ქართველი ლობის მიმართ მნიშვნელოვანი დამსახურების შარავანდედი.

სხვა მხრივ ისინი პოლარულად განზიდულ წერტილებზე იმყოფებიან.

ცოტნეს სახე ლიტერატურამ უკვდავყო. ზურაბისა — ხალხურმა შემოქმედებამ. ასე დამკვიდრდნენ ისინი ქართველი ერის წარმოდგენაში, ოღონდ მათივ ერთნაშობოვანი სიმბოლოების იერი არ მიფლიათ. მათი ხასიათები უფრო მეტ განზომილებებს შეიცავენ თავიანთ სიღრმეში, ვიდრე ამა თუ იმ ზნეობრივი ცნებისა თუ იდეის უბრალო განსახიერება.

ცოტნე დადიანი ყველაზე ნორმალურია „გადახრათა“ შორის, ყველაზე ტიპიური სახე რაინდული ზნეობის თვალსაზრისით. ის ჰარმონიული პიროვნებაა და ყველაზეზე მეტად ამ ჰარმონიის ინტერესებს აფასებს, სწორედ ამის გამო არ შეუძლია საკუთარ სინდისისან კომპრომისული შეთანხმება.

უადრესია მხოლოდ მისი ერთგულება თანამემამეობისა, მართალია, ცოტნეს სხვა გზა არა აქვს, — არავითარი საშუალებით არ ძალუძს მეგობართა დახმარა, მაგრამ მას აქვს საკმარისი გამჯარლება იმისთვის, რომ თავი არ გასწიროს, ვინაიდან ეს მსხვერპლი (საღი ბონეერების თვალსაზრისით) უაზრობაა.

ცოტნეს სიბრძნე თანაზომიერი ატავიზმული გულის სიბრძნეა. მისი ერთგულება ამსოლუტურ ფორმას იღებს, თვითკმარ სიამოვნებად იქცევა. ეს არის ერთგულება ეთიკურ-ბრალთაგის!

საოცარია, როგორ უბრალოდ და მშვიდად ყვება ყოველივე ამას მემატიანე...

თამაზ ნატროშვილი თავის წიგნში „მაშრიყიდან მაღრიბამდე“ ხაზს უსვამს ხალხის არაბარიერ დამოკიდებულებას ზურაბ ერისთავისადმი. ხალხი, მისი ბრალი, ვერ თმობს, ვერ ელეკვა, ვერ ურიგდება ზურაბის სიკვდილს, იმ ზურაბისას, რომელიც მანვე პირსისხლნად მტარვალად დასაბა და შეაჭვენა („სვედამ მაგხვდების, ზურაბო, დაგალევდამც სისლსის წყალია!“).

რა უნდა იყოს ამის მიზეზი?

ცხადია — ზურაბის ბგირული დამსახურებაც ხაქართველოს წინაშე. მაგრამ აქ თავს იჩენს ერთი ქვეშეცნიული მომენტი, რომლის დასაბუთება უთუოდ ძნელია. მაგრამ გრძნობა, გულით მოზეიერია მაინც შესაძეველი.

ხალხს სევდა ზურაბის წახდენის გამო საფუძველად უდევს იმის მტკივნეული შეგნება, რომ ბგირად დაბადებული პიროვნების პოტენციალ საკეთები ჯერ ჰპოვა რეალიზება.

საოცარია და საოცრადვე დამახასიათებელი ამ მხრივ თეიმურაზის (ლიტერატურული თეიმურაზის) დამოკიდებულება ზურაბის სიკვდილისადმი. თ. ნატროშვილსეე შენიშნული აქვს, როგორ იმარჯლებს თავს არაჩილის პოეტაში

* ცოდნისა და გონების სიკეთესთან დაკავშირება დამახასიათებელია ჩვენი ძველი მწერლობისთვისაც. ეამთაალმწერელი წერს: „უბოროტო და კეთილი გონება აქვნდეა“. გრიგოლ ხანთოელის ცხოვრებაში კი ვკითხულობთ: „ამოწყალე გონებითა“, ის. წიგნში ი. ჯავახიშვილი „ქართული ენისა და მწერლობის საკითხები“, თბ., 1956, ეგ. 145.

ზურაბის მოსისხლე მტერი, მისგან ჩრდილ-
**

ერთგზის წავწყდომივარო. ისინი მრავალ გაუგებრობას ბადებენ და სამწუხაროდ ბევრი მიაჩიჩი მსმენელი შეჰყავთ შეცდომაში. ერთთ საქართველო აბქვეესნოურ ხასოთნედ წარმოოდგენილად, მეორეი რადაც ფუდოოს, კოკოხეთოოს ხედვევენ ჩვენში. ზოგი თავკერძობას ხდ ეკუტალლოს გვიკოენებს, სხვანი უკეოლისმიერეს რანდენად გვაცხადებენენ. მხოლოდ ერთეულებს შესწეკეთ უნარი სხვა თვალით შემოკვხედონ:

Мы были в Грузии... помножим Нужду на нежность, а на рай...

გაუგებრობის ისტორია შორიდან იწყება.

იოჰან გოტფრიდ ჰერდერს თავის კაპიტალურ ნაშრომში „იდეები კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიისთვის“ (1784-91 წწ.) ქართველების ხასიათზე სულ რამდენიმე სიტყვა აქვს ნათქვამი: „კიდევ უფრო (სომხეთთან შედარებით — გ. ა.) სპარალოა ქრისტიანეფენ საქართველოს ბედი. აქ არის ეკლესიები და მონასტრები, პატრიარქები, ეპისკოპოსები, ბერები, ქალთველი ქალები ლამაზები არიან, მამაკაცები — გულადნი, და მაინც მშობლები ჰყიდიან თავიანთ შვილებს, ქმრები — ცოლებს, თავადები— ჭეეშეერდმოებს, მორწმუნენი—მდედლებს. უცნაური ქრისტიანობაა გამეფებული ამ სულით ლად, ხოლო ჭეშდელი გულის სიღრმეში ფალტიან ხალხში“.

საერთო დახასიათება იმდენად არასახარბიელია, რომ მე ერთხანს გადავწყვიტე თანამეშეულეთა ნერვების დამშოგრა და მოლიანად არ გადმოვიქარხოულებინა ჰერდერის სიტყვები. მაგრამ ბოლოს მაინც შემრცხვა ჩემი განზრახვისა.

მოდი, შევეცადოთ ამ ტექსტის მშვიდად აღქმას. ჰერდერი უთუოდ აჭარებს. მისი მთავარი ამოცანა ქრისტიანობის „ეთილესმეოფელი ზეშოქმედების“ დისკრედიტირებაა და ის შესაბამისად ამუქებს ფერებს. გამორიცხული არ არის აგრეთვე, რომ სათანადო ინფორმაცია მას ანტიკართველი წყარეოებიდან აქვს მოპოვებული. და მიანც, რადაც ამის მსგავსი ხომ მართლა ხდებოდა XVIII საუკუნის საქართველოში?! სხვა თუ არა, თავადები ხომ მართლა ყიდდნენ თავიანთ ყმებს. რასაკვირველია, რომ ასეთი ფაქტების ცოდნას (თუნდაც ყურმოკრულს) სათანადო შეფასება გამოუწვია.*

ეს დახასიათება იმით არის საგულისხმო, რომ, მიუხედავად ავტორის აშკარად უარყოფითი დამოკიდებულებისა ჩვენდამი, მასში მაინც ვპოულობთ ორ დადებით ეპითეტს ქართველთა ხასიათის გამო — „გულადნ“ და „სულთა ლალს“ („ქართველი ქალების სილამაზეზე“ ნაგარიშში ნეფლრ ჩავაგდებთ).

აღსანიშნავია, რომ ჰერდერი დაახლოებით ასევე ახასიათებს კიდევ ერთ ერს — ბასკებს, რომელთა შესახებ მის წიგნში ასე წერია: „ეფეკაცური... მზნე და მხიარული ხალხი“.

რამ გამოიწვია ამ კონტექსტისთვის ეს თითქოს აშკარად შეუფერებელი, კოზტეიური ეპითეტები? უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰერდერი ამ შემთხვევაში ტრადიციას ეერდნობა.

„სულის სილალეი“ მანამდეც და მას უკანაც არაერთგზის აღნიშნულა დასავლეთში ქართული ხასიათის დახასიათებისას. ხოლო ეს კონკრეტული შემთხვევა იმით არის საინტერესო, რომ ამას წერს არა ჩვენი ეპოლოგები, არამედ საკმაოდ დაუნდობელი კრიტიკოსი, რომელსაც არად ეფერის მისთვის უცხო ერის მომაკვდინებელი დამცირება.

ჰერდერს, რომ ჩვენი ისტორიისთვის თვალის გადასავლებად მოეცალა (გასსაკუთრებით იმავე XVIII და რამდენიმე წინამორბედი საუკუნისთვის), ალბათ იმასაც იგრძნობდა თუ რა პარადოქსად ყფერდა მის მიერ გამეორებული ეპითეტი, შემჭნილ ვითარებაში, ანუ რა ფასად დაუჯდა მის მიერ ათვალსაზეზულებულ ხალხს ამ საოცარი თვისების შენარჩუნება.

როგორ განცადდა ქართველ მწერლობაში ქართული ხასიათის ეს საყოველთაოდ აღიარებული „სილალეი“?

* * *

ყოველ ხალხს თავისი ლიტერატურის ისტორიაში აქვს ისეთი მომენტები, როდესაც მისი სულიერი პოტენციის გამოვლინება კულმინაციურ წერტილს აღწევს.

საფრანგეთის ისტორიაში ეს რაბლეს ეპოქაა („რაბლეზნისული სული“, რომელიც სათვეს უდგას ყველა მომდევნო დროის კოლა ბრუნონებს), ინგლისში — შექსპირის, რუსეთში — ტოლსტოისა და დოსტოევსკის ხანა.

სწორედ ტოლსტოისა და დოსტოევსკის შემოქმედებაში გამოვლინდნდა მთელი სისავეთი რუსი ხალხის (და შესაბამისად რუსული მწერლობის) „სიმართლისმაძიებელი სული“.

საქართველოსათვის ასეთი ეპოქა რუსთაველის საუკუნეეა. „ვეეფხისტყაოსანნაც“ არსებითად ქართველი ხალხის „ახალი ადთქმაა“.

სიმართლის (ისევე როგორც სამართლიანობის) პათოსი ამ პოემაში უაღრესად ძალუნია. მაგრამ მთავარი აქ მაინც სხვაა: არა მხოლოდ და არა იმდენად „სიმართლის“, რამდენადაც „სინათლის“ ძიება, იმ სინათლისა, რომელიც სინნნეის ადეპტებმა წარიტაცეს (მთელი პოემაც ხომ ამ ძიების პროცესის აღწერას წარმოადგენს).

ეს „სინათლე“ თავისი შინაარსით სხვა არა არის ძა, თუ არ ბედნიერება, ჰარმონია, და-

* როგორ არ გავიხსენოთ აქ ნიკო ლორთქიფანიძის ცნობილი სიტყვები „საქართველო იყიდება“-ზეს: „ჰაეიის ყველა, თავადი, მდედელი, ვეჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ქკვიანი და სულელი“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორეულთა შეერთება — სულიერი ლტოლვის ხორციელ კავშირში დაოკება.

ქართული ხასიათი, რუსთაველის მიხედვით, **ბედნიერების მაძიებელი** ხასიათია, რასაკვირველია, სიმარտლისაც, მშვენიერებისაც, სიკეთისაც, მაგრამ პირველ რიგში და უპირატესად ბედნიერების მაძიებელი ხასიათი.

ამ ხაჭირო კიდე ერთხელ შეეკონდეთ ბანსჭილის შესაძიებლად. შეიძლება ეკითხონ: „ეს მაგრამ, რომელი ხალხი, ან საერთოდ რომელი სულდგმული არ ეძებს ბედნიერებას?“

ასეთი კითხვა მოსალოდნელია და ბუნებრივიც. მაგრამ, წარმოიდგინეთ, პასუხი მაინც არსებობს: ეს საუბარია დომინანტზე, „მთავარ თემაზე“, „მთავარ ბგერაზე“.

ქართველ კაცს არ შეუძლია, უბრალოდ ვერ წარმოუდგენია ბედნიერების გარეშე ყოფნა, ანუ ისეთი მდგომარეობის გარეშე არსებობა, რომელიც სრულ გასაქანს აძლევს მისი სულის თანდაყოლილ „სილალეს“, ამის გამოა, რომ როდესაც მის გარშემო დიდი, ნამდვილი ბედნიერების პირობები არ არსებობს, ის წერილმანებში ეძებს შვებას, ან კიდევ ბედნიერების (ზეციის, სიხარულის) ილუზიას ქმნის.

ამას განსაკუთრებით ნათლად ამჩნევს არაქართველის თვალი. ნ. ტიხონოვი ერთ თავის „კახურ“ ლექსში წერდა:

Мастера людей учили,
чтоб был весел человек.

ჩვენ ძველ ხალხთა იმ მეტად მცირერიცხოვან რიგს ვეკუთვნით, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა სიცოცხლის გემო. ისეთი ვარაუდიც არსებობს თითქოს ქართული „ყვირის“ (ყვირა დღის) ეტიმოლოგია „ბაკვირვებიდან“ მომდინარეობს: ადამიანი ექვს დღეს მუშობის, მწას ჩასცქერის, მშვიდე დღეს კი ცას ახედავს და **ბაკაკირვებს** თავის არსებობას, სამყაროს ბილვით გაოცდება და გაიხარებს...

ბედნიერების ფილოსოფია ფრანგმა გამანათლებლებმა შეიმუშავეს. ჰელვეციუსის აზრით, „ადამიანს არ შეუძლია ბედნიერებისაკენ არ ისწრაფოდეს... ეს მისი ხასიათის ყველაზე ბუნებრივი, ყველაზე ადამიანური თვისებაა“. ბედნიერების ძიება (უფრო ზუსტად, მოდმივი „დევნა ბედნიერებისა“) გასულ საუკუნეში ყველაზე სრულყოფილად სტენდალის შემოქმედებაში წარმოჩინდა.

ეს იყო არსებითად ჰუმანიზმის ეპოქის სულისკვეთების თავისებური დაგვირგვინება, ვინაიდან ბედნიერების იდეა რენესანსული იდეაა, იმ ეპოქის მასულდგმულებელი, რომელმაც უზენაესი არსების ტახტრევანზე ადამიანი დასვა.

ხვეთაშორის სტენდალი თავის ვრცელ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტრაქტატში „სიყვარულის შესახებ“ ერთმანეთს უპირისპირებს ბედნიერების ბაგეებისა და ბედნიერებისაკენ ლტოლვის სხვადასხვა ეროვნულ ვარიანტებს, განსაკუთრებით ფრანგულს და იტალიურს. ფრანგულ ვარიანტში მთავარ ნიშნად მის პატივმოყვარეობის დიქტატი წარმოდგება, იტალიურში კი შიშველი, ღრმა ვნებისა.

პატივმოყვარეობა გალანტურობაში ვლინდება ძირითადად: „გალანტურობას კი მეტი (ვნებასთან შედარებით — გ. ა.) გრაცია ახლავს, მეტი დახვეწილობა — წერს სტენდალი — და ამის გამო მეტი ბედნიერება მოაქვს საფრანგეთში“, „ჭირნობაზე დაფუძნებული ბედნიერება ეს (ანუ იტალიური ვარიანტი — გ. ა.) არ შეიძლება იყოს პატივმოყვარეობის საგანი“.

რა შეიძლება ითქვას, ამ თვალსაზრისით, ბედნიერების გაგების ქართული ვარიანტზე? როგორც ჩანს, სტენდალის კლასიფიკაციის მიხედვით ჩვენ სადღაც შუაში უნდა მოვხვდეთ, ვინაიდან არც პატივმოყვარეობა გვკლია (შუბამაში გრაციონზეა გაფორმებული) და არც ნამდვილი ვნებებით ვართ ღარიბნი.

შეიძლება ითქვას (ჩვენც უკვე აღვნიშნეთ); რომ ბედნიერებისაკენ უპირატესი ლტოლვა ქართული ხასიათის თანდაყოლილი თვისებაა. მაგრამ „თანდაყოლილი“ ამ შემთხვევაში ზუსტი სიტყვა არ არის, მას ჩვენ მხოლოდ პირობითად ვხმარობთ, როგორც რაღაც ხანგრძლივის, საუკუნეებს საუკუნეში გარდამავალი თვისების სინონიმს.

სინამდვილეში ბედნიერების მოთხოვნილება ქართველ კაცს ალბათ დროთა მანძილზე გამოუმუშავდა, არა მხოლოდ პრეისტორიულ ხანაში, არამედ ისტორიკოსებისათვის ცნობილ ეპოქებშიც.

მოეწყო ისე, რომ ბედნიერება ქართველებისათვის მუდამ სძიებელი საგანი იყო. ეს ძიება კი, როგორც წესი, ბრძოლასთან, წინააღმდეგობის დაძლევასთან იყო დაკავშირებული და ამის შედეგად აქტიურ თვისებად ყალიბდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს თვისება აქტიურადვე (ნაწილობრივ მაინც) რჩება მაშინაც, როცა ქართველი კაცი არარსებული ბედნიერების ილუზიას ქმნის, ვინაიდან აქაც მოქმედებასთან (შემოქმედებასთან) გვაქვს საქმე.

ასეთია, კერძოდ, ქართული ლხინის დედააზრი: ადამიანი დგამს ბედნიერების სპექტაკლს.

მაგრამ როგორია ამ „დადგმული“ ბედნიერების სტრუქტურა?

ეს გვხლავთ ხასურველისა და რეალურის ურთიერთ შეკავშირება, ანუ იდეალური ჩარმონიის აღდგენა. ქართული სადღეგრძელოც (არაერთგზის პარიდირებული და გაუხამებული ჩვენს ხელში) თავისი არსით, თავისი პრაველადი ჩანაფიქრით, ხომ ასეთი ცდის შედეგია.

გურამ ასათიანი
სათავეებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორწმენებას (სადღეგრძელის ობიექტს) მიაწერენ ამას, რაც ის უნდა იყოს, რაც ის იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მისი დადებითი თვისებები იდეალურად სრულიქმნილნენ.

სახერვალისა (იდეალური) და არსებულს (რეალურს) შორის მარმარილის ალდგენის ცდა—ასეთია ბედნიერების ქართული მოდელის მთავარი ტენდენცია.

და, აი, ჩვენ დავუბრუნდით იმას, რითაც დავწყვეთ, ვინაიდან „იდეალური", გარკვეული თვალსაზრისით, იგივეა, რაც „სულიერი". „ხელისმიერი", ხოლო „რეალური" კი იგივე, რაც „ნივთიერი", „ხორციელი".

ქართული ხასიათი თავდადებულია ელტვის სულიერებას („ცისა ფერნ", „სამუდამო მზარეს"). მაგრამ, ცოდვა გამხელილი ჯობს (თუკი ეს ცოდვაა), ამ მაღალ სფეროებს მიღწეული. დიდხანს ვერ ძლებს ზმანდა სულიერების ხაუფლლობა, მალე ფუფხება იქ, სიხსელი ეკიენებ, მიწიერის დარდი აღონებს („სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა...").

ახლვე მძაფრი და ძალუმია მისი სიყვარული ყოველივე ამქვეყნიერისადმი, „ამა ქვეყნის სიამეთადმი", ცოცხალი სიგნებისადმი. მაგერიალიზმი და მანნე. მატერიალიზმ კმაყოფლებას (ფართო გაგებით), ამქვეყნიერ საწყლელს ნაზიარები ის ასევე ძალე იმსჭვალება სულის მოფსიქიერობით. ამაღლებულზე ოცნებით, იდეალის ფეფრენელით.

ახე ინერება საქართველოს ყველაზე სვებდნერი მეფის დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანნ".

ხოლო, რაც ახლე საგულისხმოა. ქართული ხასიათის კლასიკური ნყოობა ვერ იგუეს ერთიანა ან მეორეს ნაკლებობით გამოწვეულ უკმაჩრისობას, ვერ ფოვისდება დისპარმონიას, არ შეუძლია თვით ამ ტანჯვაში (უკმაჩრობის გრძნობით გამოწვეულ მწუხარებაში) მპოვოს შეება. დამორჩილდეს მას, სიტანჯველად გახეროს თავი. მას არ შეუძლია ბედნიერების მოცდა, მისი შორი მომავლისათვის გადადება.*

ბედნერება მას აქ, ახლა ჭირდება.

ამის გამო სიტყვები „შეუძლებელი", „აკრძალული" ქართველი კაცისთვის ყველაზე საძულველი სიტყვებია. ხოლო თვითშეზღუდვა — ყველაზე უცნო. მაუდებელი თვისება.

სულის სილრმეში მას სჯერა, რომ ის სურვილი, ვნება, იმპოლსი, მის არსებაში რომ აღმოცენდა, თავისთავად კანონზომიერია, ბუნებრივია, კეთილისმყოფელია (ასე რომ არ იყოს, არც ალმოცენდებოდა) და ამ ლოგიკითვე უსათუოდ უნდა განხორციელდეს, აღსრულდეს, დამამყოფელდეს.

ასეთია მისი ინსტინქტური რწმენა, ვინაიდან ის უპირობესად „ადამიანური ადამიანია".

ასეთი თვისება შეიძლება ზერელეშის ნიშნად მიიჩნიონ (და ხშირად სწორედ ასეც ეცმით). მცირედით თუ მოჩვენებითი კმაყოფილება, გულის მოოხება, დო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ან სხეულში, ერთი მთლიანობის ფარგლებში? ყველაზე ძნელი სწორედ ამ უკანასკნელ კითხვაზე პასუხის გაცემაა.

ჩემს აზრით ამომწურავ სისავსეზე პრეტენზია ვერ ექნება, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეჭვი, პირველ რიგში, იმის გამოსენებაა საჭირო, რომ ეს არის არა ჩვეულებრივი, არამედ **ფრაპტიული** მთლიანობა. და მაინც რა გარემოების ძალით შეიძენება დავუშვათ, რომ ეს შეერთებები ენინააღმდეგობები ერთმანეთში „ადამიანნენ", ერთმანეთი გამოიწვიონ, რომ ერთმა მეორის აღმოცენებას მისცეს ბიძგი?

ამაში გასარკვევად აუცილებელია თითოეული მათგანის არა მხოლოდ არსებითი, არამედ სპეციფიური თავისებურების გათვალისწინებაც.

ქართული სულის „უკმარობა" სპეციფიურია იმ მხრივ, რომ ის სინამდვილეში არასდროს არ კარგავს ფეთრესურობების იმედს, არასდროს არ აღწევს სრულ სასოწარკვეთამდე და ამდენად სრულ ფარან არ ამბობს რეალურ (ამქვეყნიურ, ამეიმინდელ, ან კონკრეტულ პირობებში დასახულ) პერსპექტივაზე. მას ყოველთვის რჩება ხასნაულის (შეუძლებელის) იმედი, არა იმიტომ, რომ აუცილებლობაზე ბუჯავს თვალს, არამედ იმის გამო, რომ თვით ამ ბუნებისმიერ, ობიექტურ აუცილებლობაში ელანდება, ეიმედება ხასნაულის პოტენციური შესაძლებლობა (ამის შესახებ ქვემოთ) და, ასეთი რწმენით ფრთაშესხმული, ვერ ფრიგდება, ვერ ეგუება თავის რეალურ მდგომარეობას.

ამის შედეგია, რომ „უკმარობა" ქართული სულის მოძრაობაში არასდროს არ გადაიზრდება შესაძლებლობად (რეალურისად) სრულ გალტოდვაში ანუ არასდროს არ აღწევს რომანტიკული მსოფლგანწყობის იმ სასრულ წერტილს, რომელიც, პრაპრიპულად, არსებულთან შერიგებას, მასთან ბედიდან ფარანოქმას, საბოლოო ხელის ჩაჭეეთას მოსაწვევებს (ამის კლასიკური მაგალითია ნიეოლოს ბარათაშვილის — ყველაზე „უკიდურესი" ქართველი რომანტიკოსის შემოქმედება). სწორედ ამგვარი შეურიგებლობა აღვივებს ცდის გამუდმებულ სურვილს და უკმარობაც ზმირად მთავარის, ამსოლუტურის დაუცდელად, ნაწილში, შეფარდებითში („მცირეში") ან მოჩვენებითში ეძებს თვითგანხორციელების დროებით წყარო. ერთი სიტყვით, ეს ისეთი უკმარობაა, რომელიც სწორედ თავისი უალრესი სიმძაფრის გამო გამუდმებით ლამობს (თუნდაც ნაწილობრივ) დაოკეკბას.

თავის მხრივ, „მცირედით კმაყოფილების" ქართულ ვარიანტსაც აქვს თავისი სპეციფიური ნიშნები. მთავარი მათ შორის ისაა, რომ კმაყოფილება აქ დამშვიდებას, ფაცხრობას ან დაშომშინებას კი არ ნიშნავს, პირიქით, როგორც წესი, ბრძოლის, ბედლის, ამბობის ცხოველ ილუსიაში ვლინდება. აქედან იღუმს სათავეს ქართველი კაცისთვის ესოდენ დამახასიათებელი **ბაბანჯვების** წყურვილიც, რაც ზმირად მცირე, არაარსებითო წარმატებით უზომო ალფრთოვნებაში ან ფსევდო-გამარჯვებულის პოზაში ვლინდება.

ეს უკანასკნელი მიდრეკილება, რომელიც პასტერნაკმა ჩვენი ხასიათის ზერელობის თავკიდ ნიშნად მიიჩნია («Празднично-победоносность»), მხოლოდ ერთი, კერძო გამოვლინებაა გაცილებით უფრო ძლიერი და ღრმა წადილისა, რაც უფუოდ ჩვენი ისტორიის სპეციფიურ გარემოებათა ზემოქმედებითაოც გამომშუშავდა.

არ უნდა გვიკვირდეს, რომ ქართველი კაცი მოწყურებულია გამარჯვებას! იმდენი ომი გვაქვს წაგებული, იმდენ ხიწრის ოფლში გავლერილვართ, იმდენჯერ შეგვაშვია გული ბედის გულარილობთა თუ უსამართლობით, რაცა გასაკვირია, ყოველ ალზეკებას, ყოველ „მოგებას" ახე თავდავიწყებით შეეცაცინებდეთ.

როგორც „უკმარობა", ასევე „მცირედით კმაყოფილება" ჩვენი, ბევრ გარეშე თვალს ამ ბიაროლებს.

პირველის გამო ხსეთახსეა დროს დონ კიხოტური ფაოტრაკების მოელი ხერია გადაკვეხდომია თავს — ბევრმა დელცინემ გვიღალატა ზწარედ, ბევრ ქარის ჭრიხვალს შეეალეთ ჯანი; სანამ თავდერილნი შორეულ ხივრცეებს გავყურებდით, ბევრი რამ უშმაკიენელოდ აგვაცნალეს ცხვირწინ, მაგრამ ხაქმე ბოლ მზოლოდ უკიდურესობებში არ არის.

დონ კიხოტური ელემენტის გარეშე ამა რა ფახი აქვს ჩვენს ქართველებად ყოფნას, ჩვენს თვითმყოფ სულიერ კონსტიტუციას?!

შეშთხვევითი არ არის რომ ვეფ-ფშაველმა, ქართული სულის ერთ-ერთმა ყველაზე ღრმა მეხაიდულმემ, სწორედ ეს პერსონაჟი აირჩია ბუნებრივი (სწორედ ბუნების ხიბრიანი ნახაზრლოები და არა ბუნების წინააღმდეგ ამხეკრებული) ადამიანის იდეალად:

„აბა, კარგად დაუკვირდით ლამანჩელ ანზურის დონ-კიხოტს, შეადარეთ თვით ბუნებასთან, რამდენს მსგავსებას ბნახავთ მათ შორის. რა არის თვით ბუნება, თუ არა ოგივე დონ კიხოტი, რომელიც თავდაუზოგავად მეელავს, ობრძვის, მიისწრაფვის ერთხელ არ‌ჩეულ ანეიმებულ გზაზე თავდაუზოგავად? ეზრი მალალი აქვს, ფიქრი კეთილი, მაგრამ შეცდომაც ბევრში მოსდის, უნაკლო არც ოგია".

ზეორეს მხრივ, როცა ქართველი კაცს ბედნიერების ხელოვნური შემცველეობით კმაყოფილებას უკიდნენენენ. აქაც ზომიერებაა საჭირო. მართალია, ეს ხუროგაატები ზოგჯერ წამლავენ მის ორგანიზმს — ფიტკვენენ, თაუკვანენენ, მაგრამ სრული უამისობა, უბრალოდ, მოკლვდა მას, როგორც ქართველს. საქმე ისაა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ხასიათის „თანდაყოლილი“ თვისება („ხალადე“) ერთი იმ თვისებათაგანია, რომელიც, ზოგიერთი სხვა თვისებისაგან განსხვავებით, გამუდმებით მოითხოვს გარეგან საზრდოს და თუ ირგვლივ ნამდვილი საკვები არ მოიპოვება, ასეთ შემთხვევაში დროებითი შემცველილი მაინც უნდა შეიქციოს თავი.

ალალადი (ან თუნდაც არა მოჩვენებითად გალალებული, სილალის თუნდაც ილუზიური გარეშეოქვის გარეშე დარჩენილი) ქართველი კაცი არსებითად უკვე ქართველი აღარ არის.

ცუდი ეს თუ კარგი? ღმერთმა უწყის! მთავარია, რომ ასეა.

* * *

თუ რამდენად თავისებურია ამ მხრივ ქართული ხასიათი, ამის თვალსაზრისე წარმოსაჩენად ზედმეტი არ იქნება ზოგიერთი სხვა ეროვნულ-ქარაქტეროლოგიური მოსაზრების გახსენება.

ვიაჩესლავ ივანოვი წერდა ტოლსტოის შესახებ, რომ რუს მწერალთა შორის მან პირველმა შექმნა სიმართლის ეროვნული კონცეფცია, იმგვარი სიმართლისა, რომელიც თავისი არსით მტრულად უპირისპირდება, არა მხოლოდ „ჩვენს ამამალლებელ სიცრუეს“, არამედ საერთოდ ყოველივეს, რაც მშვენიერისა და ამალლებულისგან მომდინარეობს და მათი „გამამტრუბელი“ ზემოქმედების მატარებელია.

ეს მოსაზრება იმდენად არამარტივია თავისი აზრობრივი განშტოებებით, რომ სიზუსტისთვის უმჯობესია დედანს მივმართოთ:

«Лев Толстой — писал в. и. ивановский ответил стихийно - национальному тяготению нашему к обличению всего условного, к совлечению всех убранств и личин, к бегству от всякой прелести очей и ума, к нисхождению от всех высот житейской гордости, к обнажению правды сущей в ея последней, суровой и нищей простоте. Эта проповедь была сократической универсальною проверкой... всех утешений и самоубаюкиваний дешего и лицемерно успокоившегося духа, всех «возвышающих нас обманов», присутствие которых русский характер склонен упрямо подозревать в прельщениях прекрасного и возвышенного и ради которых не пожертвует он и последнего из низких истин».

ვიაჩესლავ ივანოვის მთელი ეს უაღრესად საგულისხმო ექსპლიკაცია სიმართლის (უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, ცხოვრების ფედაზარის) ტოლსტოური გაგებისა იმისი მშვენერი ნიმუშია, თუ რაოდენი მნიშვნელობა აქვს სინონიმების ხმარებას ამა თუ იმ ფენომენის დახასიათებისას.

მის მიერ შერჩეული ეპითეტების ზეგავლენით, „ჭეშმარიტება“ აქ ერთადერთ ნაღდ ცხოვრებისეულ ფასეულობად წარმოდგება და გაუფიზიკულ მაღლა დგას, როგორც „მშვენიერ-ზე“ (ანუ სინამდვილის ესთეტიკურ ღირებულებაზე) ასევე „ამალლებულზე“ (ანუ ამ შემთხვევაში ზნეობრივად ალმაზეებულზე).

ძნელი არ უნდა იყოს იმის შემჩნევა, რომ აქ ექსპლიკატორის საკმაოდ ძლიერი ტენდენცია მოქმედებს. სხვა ავტორიტეტებსაც რომ არ მივმართოთ, კლასიკური ფილოსოფიის მიხედვითაც ხომ „ჭეშმარიტება“, „მშვენიერება“ და „სიკეთე“ სამი განუყოფელი ნაწილია ადამიანის სულიერი სრულყოფისა.

ორი უკანასკნელის ესთეტიკურისა და ეთიკურის) ზემოქმედების დამაკანონებელი სინონიმებით დახასიათება აქ სწორედ ავტორისეულ ტენდენციის ავლენს.

სწორია თუ არა ვიაჩესლავ ივანოვის თვალსაზრისი მთლიანად, როგორც „რუსული ხასიათის“ გაგებამ? ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გასაცემად სხვა კომპეტენციაა საჭირო, გაცილებით უფრო საფუძვლიანი და შეუფალი, ვიდრე ის, რის უფლებასაც ამ საგნის ჩემი ცოდნა მაძლევს.

მე მაინც ვიტყოდი, რომ ეს არის ცალმხრივი დახასიათება, ვინაიდან თუ შევთანხმდებთ, რომ ისეთმა უნივერსალურმა ნიჭის შემოქმედმა, როგორიც პუშკინი იყო, არანაკლებ ღრმად გამოხატა თავისი ხალხის ხასიათი და სულისკვეთება, მაშინ ვ. ივანოვის მტკიცებაში ბევრი საეჭვო პუნქტი ძალას დაკარგავს ან თავდაყირა დადგება.

ეკვამუტანელია ერთი: მთელი ეს მტკიცება პოზიტიურ მზანს ისახავს, და ასევე აღიქმება. ეს არის ის ეროვნული ხასიათის წრფელი ასოლოგია, რომელმაც, ეროის მხრივ, ტოლსტოის ღვთისმეტყველი გენია წარმაშვა, ხოლო. მეორეს მხრივ, დოსტოევსკის უფსკრულთამეწვდომ ფიქრს მისცა საზრდო და გაბაკენი.

მაგრამ რაოდენ შეუფერებელია ის, რაც ერთი ხალხის მისამართით ნამდვილ ქებათა-ქებად ეფერის, მეორე ხალხის სულიერი წყობის დასახასიათებლად?

ამა, წარმოიდგინეთ ჩვენი „სტეკიფურ-ეროვნული სულისკვეთება“ ამ „ოვალისა და ბონის მახაზრდიებელ მშვენებათა“ გარეშე, ან მითუნეტეს „მშვენიერითა და ამალლებულით ალფრთოვანებას“ განრიდებული. მათგან ეკვნარეკი ზიზღით უფუქცეული ქართველი კაცი, რომელიც ყოველივე ამას უფოფმანნად ამყოლნიბს ყველაზე „უკანასკნელს მდაბალ ჭეშმარიტებათა შორის“!

ქართულ ხასიათს თავისებური დამოკიდებუ-

ლება აქვს სიმართლესთან (ეკშმარიტებასთან) და ეს თავისებურება მხოლოდ მისი სუსტი, შეფარებული მეორეხარისხოვანი მხარეებით როდია გაპირობებული. მართალია, არც ამ სისუსტეების გამო ღირს წყარუება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ამა თუ იმ ობიექტური მიზეზის გამო პიპერაროფერებული სახით იჩენენ თავს და სიბედისწერო გველინას ახდენენ მოელს ეროვნულ ფსიქიკაზე. როდესაც, მაგალითად, განსაცდელის წინაშე მდგარი ეროვნული თვითშეგნება ვერ აშჩნეს თუ ზაალდენ სიშინია მისთვის ეს „ცრუნუგეშინი" და „თვითმოტივნება". სწორედ ასეთ დროს ჩნდებიდნენ ჩვენშიც ახალგაზრდა ილიას ტიპის პიროვნებები, რომ „სოკრატისებური უნივერსალური" გაგჩრიალაზით შეეფასებინათ და უკუგდოთ „თვალთმაქცური დაშშაჩნებული" თუ „იაფად ნაშოვნ სიმშვიდის მინებებული სულის" სამარცხვინო ნირვანა.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამგვარი რამ მხოლოდ ჩვენი ცალკეული „თანდაყოლილი" თუ გვიან შეძენილი სისუსტეების საბედისწერო პიპერტროფიერების მომენტებში ხდებოდა და ხდება ხოლმე.

ეს საკითხის მეორე მხარეა — ისტორიული, ღრმებითი, სხვადასხვა მომენტში მეტნაკლებად აქტუალური, ხოლო მუდმივი და არსებობერი ნიშანი ჩვენი ხასიათისა სხვა შრეებში დევს და სხვაგვარი კატეგორიებით განისაზღვრება.

ქართული ხასიათის სიმართლის მიმართ დამოკიდებულების თავური ნიშანი ამ უკანასკნელის კლასიკური თვისებრივობაა.

ამ „სტაჭიერ-ეროვნულ" თვალსაზრისს საფუძვლად უდევს ეკშმარიტების (ანუ ყოფიერების შინაარსის) და მშვენიერების (ამავე ყოფიერების ფორმის), ისევე როგორც სიკეთის (ზნეობრივი ღირსების) ურთიერთგანუყოფლობის შეგნება, ხოლო თავდაპირველ ამ კლასიკური მსოფლშეგრძნებისა ის გაბლავთ, რომ ქართველი კაცისთვის სიმართლე (ანუ ამ შემთხვევაში სინამდვილე, სიცოცხლე, ყოფიერება) თავისთავად სიკეთე და მშვენიერებაა.

დიახ, ისტორიის გარკვეულ მომენტებში ქართული ხასიათი სწორედ „მწარე სიმართლეს" მოითხოვს, (გამოფხიზლებას, მკვახე შეძახილს, უტეუკის ხარეს), რომ, უფსკრულის პირას მდგარს, თვლეს ამ პოერიოს და საშიშ ზღვარს არ გადასცდეს. მაგრამ, უფრო დიდი ანგარიშით, „სახტიკი და ღატაკი" (ისევე როგორც „მდაბალი") ეკშმარიტება მისთვის მიუღებელი ვარიანტია ყოფიერების თავური შინაარსისა...

ამის გამოა, რომ ის ადამიანური სიმართლეს („სამართლიანობას"), როგორც წესი, „მოწყალებასთან" აფუღლებს და არა სისასტიკესთან, ხოლო ცხოვრების დედაარი მის „ღატაკ უბრალოებაში" კი არ ეგულება, არამედ სამყარის „უთვალთა ფერთა" დაუფეფილ სიმდიდრეში.

ამ უშუალოდ მოახლოებულთა და მოსალოდნელად მოელის თავის რიგს კიდევ ერთი ცნება, რომელიც ქართული ხასიათის ოდენდელი თვისების მაფუძველი უნდა იყოს: მუნებრივი არტისტიზმი, თანდაყოლილი სწრაფვა ყოველივე ამაღლებულისკენ, ჩვეულებრივი ნაგვანგ განსხვავებულისკენ, „პოეტიურისკენ", ყველაფრისკენ, რაც შემოქმედებასთან, ხელოვნებასთან, ფანტაზიასთან ანუ „სიცოცხლესთან" არის დაკავშირებული.

„ამაღლება" განსაკუთრებით საყვარელი სიტყვაა ქართველი პოეტისთვის, საერთოდ ქართველი კაცისთვის. მერე საუკუნეა, რაც „მაღლი" და „მაღლამბები" ჩვენს ეროვულ სიტყვაში არა მხოლოდ „რჩეულისა" და „აქეთელ-შუბრალის", არამედ „ბრძენისა" და „შორსმჭვრეტელის" სინონიმებადაც ჩანერა.

და რიცა თანამედროვე პოეტი ამბობს:

როდესაც ასე ახლოა ბრეგი,
მეც მინდა ვიყო უფრო მაღალი.

— ამას ჩვენი მკოიხველისთვის განმარტება ალარ ჭირდება. ეს, თუ გენბავთ ჩვენი ეროვნული პოეზიის კოდი.

ვეფაც ხომ ამის იმედით ამბობდა: „მიეკარ-ხართ მისთვის, რომ ხარო მაღლებნ".

სიმაღლე ჩვენ შემბალოოზა მწვეიერალებმა შეგვაკუვარეს. მაგრამ ეს ისეთი თემაა, რომელიც ძალიან შორს წაგვიყვანდა...

ქართული ხასიათი ოოლად ვერ ელევა „პირობითობას", ვერც „მოსასხამებს და ნილებს" თმობს დაუნანებლად, არამც და არამც არ ჩქარობს მათ „ჩამოგლეჯას", რათა შიშველი სინამდვილის ჩინჩხი ახილოს. ერთი უმთავრესი ნიშნეზის ძალით: ყოველივე ეს („მოსასხამიც", „პირობითობაც", „ნილებიც") მას თვით ცხოვრების სუბსტანციურ თვისებად წარმოუდგება.

ქართველისთვის ცხოვრება თავისთავად ზეიმია, დღესასწაულია, სანაბამაა, „სახობაა", მრავალსახოვნებაა. ანუ_ის, რაც ბუნებრივ მშვენიერებას, ბუნებასმიერ სილაღეს და გამონაგოს, ბუნების გამამხნევებელ ღიმილს მოასწავებს, რაც ბუნებასავით ნათელი და ფერადოვანია, როგორც ჩვენი ცისა და მშვილის ფერები, ან უფრო მეტად ის შვიდფერი სახ_წყალი, ფიფილ ქართულ პოეზიაში ჩვენ ეროვნულთა თვითმყოფობის ნიმბოლოდ იქცა.

ვინ იტყვის, რომ ასეთი წარმოდგენა ყოფიერებაზე ჩვენ ჩვენი არსებობის ობიექტური ვითარებების წყალობით შეგვიმუშავდა?! რომ ეს ისტორიის მიერ განმავრცული ერის ცრურწმენაა. არა! ცხოვრება სულ სხვა სიბრძნეს ჩაგვძახოდა დღენიადაგ, როგორც ბევრ-ჯერ ვინა ჩასჩიჩინებს ყრმა ინსეს: „ყრმანი გახსოვდეს, ადამიანი ტანჯვისთვის არის გაჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილნ", „ადამიანი ტანჯვისთვის არის გაჩენილი", „ტანჯვისთვის არის გაჩენილი"...

ქართველი ხალხიც თითქოს საკანონმდებლო ამოსთვის — ხანგრძლივად და სათმენად მოაკლინა ქვეყნად გაჩენებმ. მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ხალხს არასდროს არ შეუკარებია თავისი ტანჯვა, არასდროს არ დაუხანჯვ იგი არსებობის ასატან, ნორმალურ (ან მოთმინების ფიზიალურ) ფორმად, არც მოთმინებისა და თვითშეზღუდვის ჩრდილია შეუქმნია ოღესმე.

ზნრანდ ვგსმენენი და თითქმის აჭიოთმატურ ტეშმორტებად იქცა ეზრი, რომ „პირითთმენა" ქართველი კაცის ერთი ყველაზე დამახასიათებელ თვისებათაგანია.

ეს უფიოდ სწორია ისტორიულად, რამდენადაც მარილი უზნეკვ ჭირს გავუძელით, ვეტანეთ, მოვინელეთ. მაგრამ თუ გულისგულს ჩავხედავთ და, მოთუმტეტს, ჩვენს თავს სხვას შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ჩვენი ხასიათის მთავარი თვისება ჭირთთმენა კი არ არის (ამით ბევრი სხვა ხალხი გვაჯობებდა) არამედ სწორედ ჭირის მოუთმენლობა, მასთან შეურიგებლობა, შეუთვისებლობა.

თუ სიმარილე გზებავთ, ჩვენ მოთმინებამ კი არ გადაგვარჩინა, არამედ სწორედ მოუთმენლობამ. ოღონდ ამ სიტკვის ტრიენალური საზომით ნუ მივუდგებით.

მოუთმენლობა, ფართო გაგებით, დაუმორჩილებლობის, მოუთვინიერებლობის, არსებულით დაუოკებლის სინონიმია.

ჩვენი მოუთმენლობის მსოფლმხეველობრივი საფუძველი ის იყო, რომ ცხოვრება ხიკეთედ და მშვენიერებად გვწარმდა, ხილადედ და ბედნიერებად გვესახებოდა, მუდამ გვჯეროდა მისი მაღლიბა და ამის გამო ვერც მონობას ვერიგ-დებოდით. ვერც გამბედ კიეშპს და ულიმდეომო ვაიეკალახს შევაჩვიეთ თავი, ვერც მტარვალთა ძალმომრეობის მოწამებრივ ალაბაში და ვერც ფეთვკვეშაში ვაოეკებდით შვებას.

ჩვენი „ალიქმული ქეეკანა" იმიერნად ზეიდმტავი და მომხიბლველი იყო, ისეთი ძალით გვიხმობდა მშობლიური მორიზონტებიდან; ბედნიერება, რომელსაც ქართველ კაცს ხაუკუნების მანძილზე უმალვდნენ, ისე მიმზიდველად ილანდებოდა ყოველ მოსახვევში, რომ არავითარ სხვა ძალას, არავითარ თავსმოხვეულ დოქტატს ან შეეძლო აღეზარდა ჩვენს შვილებში მცირე ულუფით კმაყოფილება, აუცილებლობით ზღვარდებულ, ედეფანაცვლური სიძულწინო ნორმირებულ რეალობასთან შერიგების ფსიქოლოგია.

აქ კიდევ ერთხელ უნდა ვიეიხვან ჩაზი ჩვენს მიერ უკვე აღნაშნული ერთ გარემოებას. მოიდა ისე, რომ ჩვენი ამჟვარი ხასიათი ეფრო ძლიერი აღმოჩნდა, ეფრო ვამძლე და ბყარი, ვიდრე ყველა ობიექტური პირობა, რასაც წესით, ძირფესვიანად უნდა შეეცვალა ქართველთა ბუნება. ხოლო ვინაიდან „ზოხდა", ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო, ასე გვეწერა, ასეთი იყო ქართნზმიერი ხვედრი ამ ხასიათისა.

ალრე უკვე ითქვა ამ ხასიათის შინაგან დრამატიზმზე, ახლა უნდა დავძინოთ, რომ უკანასკნელი გაპირობებული იყო გარეგანი მიზეზებითაც.

ბედნიერების აუცილებლობის შეგნებას ქართველი კაცის ცნობიერებაში, როგორც ჩანს, საფუძვლად ედო არა მხოლოდ გარემომცველი სამყაროს, არამედ თვით ადამიანური ბუნების ეეოილი არსის რწმენაც.

ამ რწმენის ბედი კი მუდამ ბეწვზე ეკიდა, ვინაიდან არსებობის შენარჩუნებისთვის გამუდმებეული ბრძოლა ათასი უკუდმართი ჩვენის შეძენისკენ ვვიბიძგებდა — ის „ქურდული" და „ღალატიანი" გულიც სულ ტკეულ-ტბილად არ მოგვპურეს. ჩვენს სულთამხუთავს, რასაკვირველია, უფრო ეამებოდა ჩვენ რომ ერგოდეს, უღალატო ქვეშევრდომებად გავგებიდიო ფეტკვეშ.

მაგრამ რას ვეურდლობდით? — პირველ რიგში, ჩვენსას!

ვის ეღალატობდით? — მოძალადეს!

ვერაგობა კი არ ვისწავლეთ — გვასწავლეს. გვიიძულეს ვვისწავლა.*

ხაკვირველი ეს არ არის, ხოლოდრია ის, რომ „ვერაგობასანაწავლეს" ხალხს სიკვიერულის წყურვილი არ გაგვნელებია.

„მოღალატეებმა" ხაუკუნეების მანძილზე შეკინარჩუნეეთ უურეეეი ერთგულება ერთხელ ნაწამებისა — „ჯვარს ვეცვით ქრისტეს ჩრდილოსნოვის, რომლის ბაგეთ ჩვენს ედდებს ძეძუების უმანთავდნენ. ჯერ კიდევ გიორგი მოაწერინდელი ალნიშნავდა, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ, ქართველებს „ერთი ღმერთი გვეცნობიეს, არ ღარა უარ გვკოფიეს და არცა მივდრკებით". მაგრამ რომელი ერთი ეთქვთ...

ჩანარი III

უნდილაძე

ბასრად, უჩვეულოდ იკვეთება გვიან-ფეოდალურ ხანართველოს მოქ-ეეზებულ ფონზე „ბათეთრებული" ქართველი კაცის, იმამეულიხან უნდილაძის სილუეტი.

მისი თავგადასავალი და ხასიათიც კიდევ ერთი „გადაბრაა" ქართველთა ცხოვრების ჩვეული კალეიპოტიდან. მაგრამ ეს გადაბრაც თავისებურად ტიპიურია: რამდენი ჩვენი თანამემამეულ ალზეეებულა ასეთი თავბრუდამხვევი სი-

---

* „ნათესავნი ქართველნი ორგულ-ბუნება არიან პირველეთგანვე თუსთა ფეფალთა." — ვახუშტი ბატონიშვილის ეს მტკიცება, რომელსაც ტექსტში კონკრეტული მისამართი აქვს, ფართო მნიშვნელობითაც უნდა გავგაოთ, როგორც ყოველგვარი ძალმომრეობის მიეღებლობა, ერჩობა, ბეოშეუჯერებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფით და ბრწყინვალებით სამამშაღიანის გამგებელთა კარზე და რამდენს გაუნწილება მისი ტრაგიკული ხვედრი!

„შორაზის ხანის“ მთელი ცხოვრება უმძიმური ხილ დრამაა, შეესპირის სიხსნილისა „ჭრონიკების“ მსგავსი, ოღონდ აღმოსავლური ყაიდაზე შეფერადებული.

თუ როგორი ობიექტური შინაარსი ჰქონდა მის პოლიტიკურ საქმიანობას, ამის დასადგენად ერთი გარემოებაა საკმარისი: უნდოლაქე არანის უხანტაკეში მბრძანებლის შაჰ-აბასის მარჯვენა ხელი იყო. იმ შაჰ-აბასისა, რომელიც თეიმურაზ პირველს ასე ჰყავს დახასიათებული: „მძლავრი და უწყალო მეფე, ქრისტიანთა მტაცჭველი, უბრალოს სიხსნილს მჩქეფელი, ეროდიას წილ ბჭღიმელი“.

მოხდა ისე, რომ სწორედ უნდოლაძის, შორაზის ბეგლარბეგის ხახახლეში აწამეს, შაჰ-აბასის ბრძანებით, თეიმურაზის დედა ქეთევან დედოფალი.

მაგრამ, აი, რას წერს თავის პოემაში იგივე თეიმურაზი ამ კაცის შესახებ:

შორაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის
ბრძენთა ენანი,
მდაბალი, ტკბილი, მოწყალე, აქებენ ხრულად
ქვეყნანი,
ღირსეულია ღვთისაგან, მითა სცავ ძალთა
ზენანი.

იმამყული-ხან უნდოლაძე უცბიოეში მყოფი, მტრულ გარემოცვაში დაწნეხურებული, მოსიხლის ხამსახურში აღზეევებული ქართველი კაცის ტიპიური სახეა.

მისი ცხოვრება გარკვეულ მომენტამდე გაუნურელი წინსვლის გზით წარიმართება და არც მის იერს აბეკვნა რაიმე კრიზისული ნიშანი.

პიეტრო დელა ვალეს მოწმობით XVII-ს. 20-იანი წლებისთვის უნდოლაძე ყველაზე დიდი პიროვნებაა მთელს ირანში შაჰ-აბასის შემდეგ. მას ძლიერ უყვარს ქრისტიანები და მეგობრობს ეგროპელებთან.

კეთილიკე მისიონერები განსაკუთრებით აღნიშნავენ ამ კაცის უსაზღვრო გულუხვობას, გარკვეულ ესთეტიზმს („ი

ბრძოლაა და ის იძულებულია საბოლოოდ პილატეს ეუბნით დაამაყოფილდეს...

ვიდრე ქართველი ხალხი ქეთევან წამებულის წმინდა ჰარდილს ეთაყვანება, იმამყოფლ-ხანის სახელს ვედარავინ ჩამორიგებავს ამ საზარელ ლაჯას.

საქმეს ვერც იმის წარმოდგენა უშველის, თუ რა ღამეებს ატარებდა თავის მოსასვენებელში ეს ბედით განებიერებული, ხოლო ღვთიგანან მიტოვებული კაცი, როდესაც მისივე სახანლის ერთ დარბაზში უსათნოეს ქართველ ქალს ტანჯვით ხდდნენ სულს, როგორ ბორგავდა გათენებამდე, როგორ იკენტდა ტუჩებს, რა სახით დგებოდა გათენებისას, რათა კვლავ სახელმწიფო საზრუნავში ჩაეკლა გული ვარამი, ვერც იმის გახსნება, თუ რაგვარი ალსასრული ელოდა წინ მას და მის ოჯახს.

საოცარია მხოლოდ ერთი რამ. იმამყოფლ-ხანს ერთსულოვანი კეთილგანწყობით ახსენებენ არა მხოლოდ სპარსეთში მყოფი ღვთისმოსავი ტალიელი მისნირები, არამედ იმდროინდელი ქართველებიც და მათ შორის ქეთევან წამებულის ვაჟი, თეიმურაზ პირველი:

„ზდაბალი, ტკბილი, მოწყალე..“

თეიმურაზის ეს სიტყვები თავის მხრივ დიდსულოვანი მიუკერძოებლობის ისევაია ნიმუშია.

ამა, წარმოვდგინოთ, ვინ და ვის შესახებ წერს ამას!

როგორც ჩანს, ჩვენმა ძველმამ კარგად იცოდნენ არა მხოლოდ ავკაზიანობის რელიგია ფასი, ისინი ასევე კარგად ეჩვეოდნენ ზნეობრივ ფასეულობათა შეფარებული ღირებულებაშიც.

რასაკვირველია, ეს მათ ცხოვრებამ ასწავლა, იმ სასტიკმა და უადამიანო სინამდვილემ, რომლის წიაღში მისხლობით თუცა მოიპოვებოდა ბეშმარიტი ადამიანურობის მცირედი მარცვლები.

მაგრამ ამის სწავლას შეგნების გარკვეული თვისება და დონე ჭირდებოდა.

ქეთევანის მოწამებრივი აღსასრულის შემდეგ შირაზის ხანის აღმავალი გზა შესამჩნევი მრეფილი ირჩება ქვეკეთეულ, ყოველ შემთხვევაში შაჰ-აბაზის მემკვიდრესთან კონფლიქტის მომენტში ის უკვე სულიერად მოტეხილი ჩანს. მართალია, თავიდან ქედმაღლობს კიდევ სიუჯერენის წინაშე, მაგრამ გადაშენეული ნაბიჯის გადადგმას მაინც ვერ ბედავს. ძველებურად აღარ ერჩის გული.

უნდილაძე 1633 წელს მოკლეს ყაზვინში შაჰსეფის ბრძანებით.

რა არის ამ სახეში მთავარი?

ჯოჯოხეთის, უღმობლობის, სიეულგის, თვალთმაქცობის, ძალმომრეობის ბეერნში ჩაფლული, სიყრმითვე ამ რწყლეზე გაზრდილი, თავად აქტიური მონაწილე მთელი ამ ავბედითი წარმოდგენისა, „სვეტბუნიერი“, ძალმოსილებით გაგულისებული კაცი მაინც ინარჩუნებს სიკეთისა და სამართლისადმი სწრაფვას, ხელეგანეული ქეთევან, სადაც სინათლე და ბაჰმონია ეგულება, მაგრამ უკვე ვეღარ წვდება საწადელს. მდგრე მორეკი ფუკერისკენ ეზიდება მის სულს და სხეულს და ისევ დარჩენა, თავისი არსებობა გრაციოზული ფრაზით დასასრულს.

მოვუსმინოთ თამაზ ნატრაშვილს, შესანიშნავი, მართლაც ხელის-ხელ საგოგმანები წიგნის („მაშრიალი მაღრიბამდე“) ავტორს:

„იმავე დღეს დაადგენს თავზე იმამყულ-ხანს, იგი თავის ჰარამხანაში იყო. აცნობეს შაჰის განაჩენი. შირაზის ხანმა მშვიდად მოისმინა ეს სამეფოსწერო ცნობა, მხნეობა არ დაუკარგავს და წარბშეუხრელად მიმართა ჯალათებს: „აი, მზად ვარ დავეგმორნილო შაჰის ბრძანებას. მხოლოდ ერთსა გთხოვთ — ნუ მომკლავთ ამ საბრალო ქალების თვალწინ, თავზარი არ დაეცეთ“

შირაზის ხანის უკანასკნელი სურვილი დაამყაოფილეს. წუთისოფელს გამოსალმეს მისი შვილებიც. დასჭილთა გვამები სამი დღე-ღამე ეყარა მოედანზე. იქვე ფეზმოუცველად იწყა მოზეიცი ქართველი ქალი, დედა იმამყოფლ-ხანისა და მწარედ მოოქვამდა. ალბათ ქართულად დასტიროდა თავის „სპარსელ“ შვილსა და შვილიშვილებს“.

❀

არაკართულ წყაროთა ამბოლუტური უმრავლესობა ქართველებს უშიშარ ხალხად ასახელებს. დამახასიათებელია ამ მხრივ, რომ ჩერდერი ქართველი მამაკაცების სიმამაცეზე ოხე წერს, როგორც ხაყოველთათვიდ აღარებულ ფაქტზე. ქართველთა ოშვიათი მეომრული ღირსებები კარგად იყო ცნობილი აღმოსავლელი გამგებლებისთვისაც, რომლებიც მაჭსიმალურ ექსპლუატაციას უწევდნენ მათ შეუპოვარ ბუნებას და რაინდულ სულს.

მაშ რითი უნდა ეხსნას ლერმონტოვის ყმადაღებული, «робкие грузины»?

ახეთი წარმოდგენა ზერელე შეაბეკდილებასაც შეიძლება მიეწეროს, ეუერმოკრეულ სჯასაც, ან უბრალო ახრიგმას. მაგრამ სულ შემთხვევითი არ უნდა იყოს. რომ „დემონის“ ავტორი სიმხდალის აღმნიშვნელ საკმაოდ მრავალრიცხოვან რუსულ სინონიმებიდან მაინც და მაინც ირჩევს „робость“-ს (და არა, მაგალითად «трусость»-ს ან «пугливость»-ს.

გასული საუკუნის რუსულ პოეზიაში ეს სიტყვა ყველაზე შოამბეკდავად პუშკინის ცნობილ ლექსში გაისმა:

«Я вас любил безмолвно, безнадежно.
То робостью, то ревностью томим».

„Робость“ — ეს სიმორცხვეს და სამორცხვით გამოწვეულ გაუბედაობას ნიშნავს.

რასაკვირველია, ლერმონტოვის პოეზიაში ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა სხვა აზრითაა ნახმარი, მაგრამ პუშკინის უსიერელნი თაყვანისმცემელისკან მაინც და მაინც ამ სინონიმის ამორჩევა ქართველთა დახასიათებლად უფიერდ რადაც მასთვის ნნიშვნელოვან ნიუანსთან უნდა იყოს დაკავშირებული. თვით ლერმონტოვს ქართველები უმოთავრესად მშვიდობიან პირობებში ჰყავდა ნახული. როგორც ჩანს, ის თვალს მხედველობიდან არ გამორჩენია ჩვენი ხასიათის ეს ხშირად მალული, მრავალთათვის შეუმჩნეველი თვისება, რომელიც ჩვეულებრივ სწორედ ასეთ (უსაფრთხო) პირობებში იჩენს ხოლმე თავს გამორიცხული არ არის, რომ მან ერთ მეგობარეთან შენიშნული თავისებურება წარმოდგენით გაავრცელა სხვა, თვისობრივად განსხვავებულ მდგომარეობაზეც.

სიმორცხვე (ქედმა) და მასთან დაკავშირებული მტკივნეული განცდა, რაც თავისებურ გაუბედობაში ვლინდება, მართლაც, საგულისხმო თავისებურებაა ქართული ხასიათისა (შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ „ქედმამსისლება" ჩვენში დღემდე საკმაოდ იშვიათია). ამის დასანახად შორს წასვლა არ არის საჭირო. დღესაც ათი ქართველი ბავშვიდან შვიდი მაინც ავადმყოფურად მორცხვია, მიუხედავად იმისა, თუ რა პირობებში იზრდება იგი — ქალაქში თუ სოფელად, მთაში თუ ბარში, ეკონომიურად უზრუნველყოფილ თუ ღარიბ ოჯახში. აღნიშნული თვისება თავისთავადაც ნიშანდობლივია, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა მისი გამოვლენის ფორმა, ვინაიდან ეს უკანასკნელი არცოუ იშვიათად პარადოქსული წინააღმდეგობის სახით წარმოგვიდგება.

უალრესი სიმორცხვე, მთელ რიგ შემთხვევებში კაჟნერვიანის, ზოგჯერ კი ჩვეულებრივი თავხედობის ნიღაბს არჩევს თავის დასამალად და ისე ოსტატურად ინიღბება, რომ ნამდვილი სახისა და გამოგონილის ერთმანეთისგან გარჩევა ზოგჯერ პრაქტიკულად შეუძლებელია.

თუ ამ თავისებურ ფსიქოლოგიურ ფენომენს სხვა კუთხიდან შევხედავთ, მაშინ კიდევ ერთი გარემოება მიიპყრობს ჩვენს ყურადღებას.

გბედავთ — (ქედმიანა და მორიდების ზღვარის გადალახვა) ქართველი კაცისთვის საერთოდ მტკივნეული მოძრაობაა. უფრო ფაროო მასშტაბით ეს შიშის ბიოლოგიური გრძნობის დაძლევაზეც ვრცელდება.

ქართველისათვის უშიშრობა თავისთავადი, ბუნებრივი, ძალდატანებელი მდგომარეობა კი არ არის ხულისა, არამედ მოპოვებული — რაღაცის დაძლევით, ნახშობით, ან დამორჩილებით მიღწეული შედეგი.

მეორეს მხრივ, უალრესი სიმორცხვისა და უალრესი (ზოგჯერ წრეგადასული) თავხედობის წინააღმდეგობრივი მთლიანობა კიდევ ერთი ნიშანია ქართული ხასიათის შინაგანი დრამატიზმისა. ამ შემთხვევაში ერთი (პირველადი) ბუნება თვითუარყოფის ჭეში გადადის მეორეში.

ხაგულისხმოა ისიც, რომ ეს მეორე, ხელოვნური ჩვეულებრივ უცხო გარემოში იძენს განსაკუთრებით თვალსაჩინო, მკვეთრ ფორმებს (დამახასიათებელია ამ მხრივ საქართველოში გაზრდილი ბაბუკი ვლადიმერ მიაკოვსკის უეცარი მეტამორფოზა — მისი გადამეტებულად გამომჭვეკი ყოფა-ქცევა მოსკოვის არტისტულ წრეებში). ყოველი ქართველის სულში ერთდროულად ზის ორი არსება — დავთ კლდეაზველის ანტიპოდური წყვილი —სიმწრის ოფლში გაწურული, სიცოცხლეთ განაწამები პლატონი და თავზეხედულებული, ქეიფნასდამქცევი კირილე.

მეორე თითქოს იმიტომ დგება ყირაზე, რომ პირველის შემკრთალი სული გამოიყვანოს მოწუხნული მდგომარეობიდან.

ბავშვური ფსიქიკის უშუალოდ გამოვლენილი მონაცემები სხვა მხრივაც თვალსაჩინოებენ ეროვნული ხასიათის თავისებურებას.

ასეთი თვალშისაცემი თვისებაა, კერძოდ, ჩვენი ემაწვილების განსაკუთრებული მიდრეკილება „თამაშის" იმ სპეციფიური სახეობისკენ, რომელსაც შინაურობაში ჩვეულებრივ „ეტიჩრობას" უწოდებენ.

ქართველი ბავშვების უმრავლესობა მოკლებულია იმ უბრალოებას, რაც საერთოდ მოზარდის დამახასიათებელ თვისებად ითვლება. ყველაზე ქმაფიოდ ეს დასავლეთ საქართველოში ეგრძნობა, მაგრამ მეტ-ნაკლებად სხვა კუთხეებშიც შეიძლება შეხვედეთ.

„ეტიჩრობა" თავისთავად ნაკლია და მთელ რიგ შემთხვევებში გულის ამრეკ ფორმებსაც იძენს, მაგრამ თუ მას გამოვლენის უკიდურესობებს ჩამოვაცილებთ და ისევ გულს ბეჭდავთ, აღმოჩნდება, რომ „გადახრა" აქაც ძირეული თვისებიდან იღებს სათავეს. ძირეული კი ამ შემთხვევაშიც ჩვენი არტისტული ბუნებაა, ამ სიტყვის როგორც ფართო, ასევე ვიწრო, ტრიგიალური მნიშვნელობით.

ქართველი კაცი მუდამ სცენაზე გრძნობს თავს. ბარტიდ დარჩენილსაც კი ეიღიან მოუშორებელი მზერა ელანდება და ყოველ თავის მოძრაობაში ამ უხილავ თვალთა დაინტერესებულ ყურადღებას თვალისწინებს.

პირადად მე ამ ქეიენობიური ფაქტორის მოქმედება პირველად კონსტანტინე გამსახურდიას პერსონაჟთა ქცევაზე დაკვირვებისას შევნიშნე. სხვა ქართველი მწერლების გმირებს უთუოდ მეტი უბრალოება ახასიათებთ. მაგრამ თავისი არსით ეს მაინც ეროვნული ხასიათის ნიშნია. კონსტანტინე გამსახურდიამ მზოლოდ უკიდურესი, პიპერტროფირებული სახით გამოხატა იგი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა XIX საუკუნეშ უსახტიკესი ომი გამოუცხადა ამ თვისების მრა-

ბუბუნა ასათიანი
სათანეიგთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭალ უკეთეურ გამოვლენებას — ყოყოლიჩინობას, მატრაკვეცობას, კუდაბზიკობას, კაკლოცოცობას და ა. შ. მაგრამ მისი გულის გული არსებობად არ უარუყვია. დიდად დამახასიათებელია ისიც, რომ ვახუშტი ბატონიშვილს პოზიტიურ კონტექტსტში აქვს ალნიშნული, კერძოდ, ამ თვისების ისეთი ნაირსახეობა, რომელსაც ის „მოთაკილობას" უწოდებს.

ოგივე ვახუშტი ხაგანეგბოდ მიუთითებს სალაქმრდ ამხედრებულ ქართველთა თავმომწონე გამომეტყველებაზე, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ცალკეული წვრილმანებია.

მთავარი აქ „სცენის გრძნობაა", რაც სხვადასხვა შემთხვევაში სრულიად სხვადასხვა კონკრეტული იერით შეიძლება ვამოვეცხადოს, სხვადასხვა შედეგი მოგვცეს. მისი ავთვისებიანი ფორმების შესახებ უკვე ითქვა. უკანასკნელთა უმრავლესობა ადამიანური ყოფა-ქცევის იმ ნაირსახეობას განეკუთვნება, რომელსაც ფრანგები „კოკეტობას" უწოდებენ, მაგრამ „სცენის გრძნობის" უთუოდ აქვს თავისი დადებითი, „ეთიოლზნიანი" ფორმებიც. ყველაზე ელემენტარული მათ შორის ის არის, რომ ამგვარი გაწყობა შინაგანი მოშვების, მოდუნების უფლებას არ უტოვებს და „ხიკობტავისკენ" უბიძგებს ადამიანს.

ყველაზე მაღალი და დრამაციული კი ისაა, რომ ყოველი მხრიდან მობმენილი უშეღავათო, მომთხოვნი მზერა საბოლოოდ ნამდვილ გმირობას, სრულ თვითგაღებას მოითხოვს სცენაზე მდგომლისგან.

რა გარემოებათა ზემოქმედებით უნდა გამომეშვებულიყო ჩვენში ასეთი არაორდინარული შეგნება?

შესაძლოა, სცენაზე გასვლის მოთხოვნილება იმანაც გაგვიძაფრა, რომ უფრო ხშირად კულისებში გვიხილებოდნენ ყურეუტი, რომ ნამდვილი, დიდი მოქმედება სადღაც ჩვენგან შორს, ჩვენი მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობდა. თუმცა ისეც რომ ხდება, რომ ავანსცენას მოცილებული პიროვნება თანდათან ბუნდება, საერთოდ კარგავს მოქმედების სურვილს და „პროფესიონალ" სტატისტად იქცევა?

პირველმიზეზი ჩვენი ამგვარი ბუნებისა, როგორც ჩანს, გაცილებით უფრო შორსაა საძიებელი, ისევ და ისევ საუკუნეთა, ათასწლეულთა სიღრმეში. ხოლო, როგორც მოგეხსენებათ, რაც უფრო დიდია ამა თუ იმ „ზნის" წარსული სიხანგრძლივე მით უფრო სავარაუდოა მისი ფესვების სიღრმე და მომავალი გამძლეობა.

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბონდო კაკჩოზია

რევოლუცია და ენა

(ს. ი. დანელიას დაბადებიდან 90 წლისთვის გაპრ.)

ენის არსისა და მისი განვითარების კანონზომიერების საკითხი დიდხანს იყო ცხარე დავისა და კამათის საგანი ენათმეცნიერებაში. ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი მის მიმართ. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, როგორც ცნობილია, მოსპო ძველი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილება ჩვენს ქვეყანაში, გამოიწვია დიდი იდეოლოგიური ძვრები, დასაბამი მისცა ახალი ყოფისა და კულტურის დამკვიდრებას. რევოლუცია თავის-თავად რთული სოციალური მოვლენაა და მისი არსის გაგება ადვილი როდია. ბევრს ეკარა, რომ იგი მოიმწყვლებდა ულაზღვლივ ყველა ხაზოგადოებრივივ მოვლენის არსებით ცვლილებას, მათ შორის ენისაც. ზოგიერთი „ვან-მეცნიერი", რევოლუციის სახელით, პირდაპირ მოითხოვდა, მაგალითად, არსებული რუსული ენის ნაცვლად ახალი, ხელოვნური ენის შემოღებას, ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ა. ანდრეევი, რომლის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა ს. დანელიამ. მხედველობაში გვაქვს მისი მცირე მოცულობის წიგნი **«Рационализация ли русского языка или недоразумение?»**, რომელიც 1927 წელს დაიბეჭდა.

ცნობილმა საენათმეცნიერო დისკუსიამ, რომელიც 1950 წლის 9 მაისს დაიწყო გაზეთში „პრავდა" აკადემიკოს ა. ჩიქობავას სტატიით — „ხაბეჭთა ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხის შესახებ", საბოლოოდ გაარკვია, რომ ენა რთული საზოგადოებრივი მოვლენაა, რომლის შემწეობით ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრებს და ადწევენ ურთიერთგაგებას; იგი წარმოიშობა და ვითარდება საზოგადოების წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად; ენა არ არის კლასობრივი მოვლენა. იმ საზოგადოებაშიც კი, სადაც ანტაგონისტური კლასები არსებობენ, ენა ერთიანი და საყოველთაო-სახალხოა. იგი შექმნილია ხალხის მიერ და თანაბრად ემსახურება მის ყველა წევრს; ენას დიდი გამძლეობა ახასიათებს, მისი ცვლილებანი და განვითარებასთან საუკუნეებია საჭირო; ენის განვითარება ხდება არა ძველი ენის ერობაშად მოსპობისა და ახლის ერთბაშად შექმნის გზით, არამედ ძველი ფეოდალური ელემენტების თანდათანობით კვდომისა და ახალი ფეოდალური ელემენტების თანდათანობითი და ხანგრძლივი დაგროვების გზით, უეცარ ფეოლქმენტს ენის განვითარებაში ადგილი არა აქვს.

ენის რაობის ამ მეცნიერული გაგების ელემენტებს ეპოულობთ ს. დანელიას დასახელებულ წიგნში. მართალია, იქ ზემოხსენებული ყველა დებულება ისეთი მწყობრი ფორმით არაა ჩამოყალიბებული, როგორც ეს შემდეგ გახდა შესაძლებელი, მაგრამ მისი შინაარსი დაცულია ერთი ენის, ერერთი რუსული ენის მაგალითზე.

ს. დანელიას წიგნი პოლემიკური. იგი მიმართულია საკარიგველში ესპერანტო ენის ცნობილი პრომაგანდისტის — ა. ა. ანდრეევის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს თბილისის უნივერსიტეტში გაუკეთებია მოხსენება «რუსული ენის რაციონალიზაციის შესახებ, რაც 1926 წელს დაუბეჭდია კიდევ სტატიის სახით — **«Наша речь, как объект рационализаций»**. ს. დანელია ალუშვოლებსა მის „რაციონალიზატორულ" წინადადებებს და ეს გაგდა მიზეზი მისი ნაშრომის შექმნისა. როგორც ს. დანელია ვეჩვენებს, ანდრეევი ალფოდოდა ხელოვნურად შეეყვანა რუსული ენის ლექსიკური ფონები და გამმარტივებინა მისი გრამატიკული წყობა. იგი მოითხოვდა ერთი მოვლენის გამოსახატვად მხოლოდ ერთი სიტყვის შენარჩუნებას, სინონიმების, მრავალსტყვაობის მოსპობას, ყველა უცხო ტერმინის განდევნებს.

ენის სიწმინდისათვის ბრძოლას ს. დანელია სასაცილო საქმედ თვლის. ყოველი ენა, ამბობს ის, უნდა ცდილობდეს დაიცვას თავისი ენის ინდივიდუალური სახე. უცხო სიტყვებს უნდა ეებრძოლოთ, მაგრამ ფრთხილად. გონივრულად. უცხო სიტყვები მაშინ უნდა შემოვიტანოთ, რომელ მათ შემცველი არა გვაქვს. სინონიმების სიუხვე, მრავალსტყვაობა ენის სიმდიდრის მაჩვენებელია. რაც უფრო მდიდარია ენის ლექსიკური შემადგენლობა, მით უფრო განვითარებულია ენა. ცოცხალ ენაში ყოველთვის ხდება ახალი სიტყვების წარმოშობა და ამდენად გარკვეული სახის ცვლილება. ენა მოკვდებს და ცოცხლობს მაშინ, სანამ მოკვდებენ და ცოცხლობს მისი შემქმნელი ხალხი, სანამ არაა ამოწურული ხალხის შემოქმედებითი ენერგია. მისი შრომისა და აზროვნების უნარი. ამიტომ ენის მოკვეცა მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში, როგორც ამას ანდრეევი მოითხოვდა, შეუძლებელია.

ა. ანდრეევი მოითხოვდა აგრეთვე რუსული ენის გრამატიკის გამარტივებას, რუსული გრამატიკა და საერთოდ ლიტერატურული რუსული ენა მას კლასობრივ მოვლენად ეთვლება. ანდრეევს ეგონა, რომ ამ ბურჟუაზიის მიერ იყო შექმნილი, რათა მონიზმსა და სიბნელეში ყოლოდა ხალხი. ანდრეევი მოითხოვდა ზოგიერთი გრამატიკული წესის გაუქმებას და ლიტერატურული ენის ნაცვლად გამარტივებული, ექსპერანტირებული ენის შემოღებას, ყოველივე ამას სოციალისტური რევოლუციის სახელით ამართლებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხ. დანელიამ დაგმო ანდრეევის მოთხოვნა, როგორც ლიტერატურიზმის პროდუქტი. მან შეცნიერულად დაასაბუთა, რომ ენა შექმნილია ხალხის გენიის მიერ, იგი საუკუნეების სიღრმეებიდან მომდინარე ხალხური განძია და მისი კანონმდებელია ხალხი უნდა იყოს. რაციონალიზაციის ყოველი ცდა ცხოვრებით უნდა იყოს გამარჯლებული. რუსული ენა, ხ. დანელიას აზრით, შექმნილია რუსი ხალხის გენიის მიერ. გამოხატავს მის ხასიათს, ცხოვრების თავისებურებებს. მიხვანსა მიდებული ლიტერატურული ენა. ეს უკანასკნელი ეწყვება ხალხის მიერ შექმნილ ლექსიკურ ფონდს და გრამატიკულ წყობას და არ წარმოადგენს ვიწრო კლასობრივ მოვლენას. „ხალიან მოიტანა ანდრეევმა, — კითხულობს ხ. დანელია, — რომ ლიტერატურული რუსული ენა შექმნილია ბურჟუაზიის მიერ? ეს ბაშინ. როცა ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ ამ ენის ძირები გვხვდება ჯერ კიდევ X საუკუნეებედ, როდესაც, რაკაკვირველია, არავითარი ბურჟუაზია არ არსებობდა, ხოლო რაც შეეხება ლიტერატურული ენის თანამედროვე ფორმებს, ისინი გვხვდება XVIII საუკუნის ბოლოს კრაშენინის ნაწერებში. იმის ნტკიცებაა, რომ ლიტერატურული რუსული ენა შექმნილია ბურჟუაზიის მიერ, რომ იგი ბურჟუაზიული ენაა, სრულებით უსაფუძვლოა. ლიტერატურული რუსული ენა ბურჟუაზიის კი არა, მთელი რუსი ხალხის პროდუქტია. იგი მთელმა ერმა შექმნა“.

ხ. დანელიას დასკვნით, რუსული ენა ეკუთვნის რუს ხალხს. იგი არ შეიძლება მიეკუთვნოს ბურჟუაზიის იმის გამო, რომ ამ ენაზე წერდნენ და მას ანვითარებდნენ ის მწერლები, რომლებიც თავანცნი საზოგადოებრივი მდგომარეობით გამგატარებულ კლასებს ეკუთვნიდნენ. რუსულ ენაზე წერდნენ არა მარტო ბურჟუაზიის, არამედ პროლეტარიატის „დეიოლოგებიც“. რუსული ენა ბურჟუაზიულიც რომ იყოს, მაინც არ შეიძლება მისი განადგურება. რევოლუციური აქტით ენის მოხპობა შეუძლებელია“ და საზოგანოც. სოციალისტური რევოლუციი არ ხაჭიროებს რუსულ ენის რადიკალურ შეცვლას. თუ ენის მოხპობა აუცილებელია, კითხულობს ხ. დანელია, მაშინ რატომ არ უნდა მოიისპოს ანბანი, წიგნის ხაბეჭდი მანქანა, კომპასი, ელექტრობა, რატომ არ უნდა ვთქვათ უარი ჰიეროგლიფზე, დინტეზე, შეკსპირზე, ბუშკინზე და სხვა ხაკცაცობრივი გენიოსებზე? რას არგებს პროლეტარიატს წარსულისადმი ასეთი უსულგული დამოკიდებულება? ანდრეევის თეორია, ხ. დანელიას შეფასებით, რევოლუციური კი არა, ფსეუდორევოლუციური. მას სარგებლობა კი არა, ზიანი მოაქვს პროლეტარიატისათვის. ხ. დანელია იმოწმებს მარქსიზმის კლასიკოსებს, რომლებიც უარყოფენ ძველი კულტურული ღირებულებებისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას და მოიწოდებდნენ ზოშათა კლასს დაუფლებოდა ყოველივე ამას, რაც შექმნა კაცობრიობის მოწინავე აზრმა. „კლასიკური გერმანული ფილოსოფია, — წერს ხ. დანელია, — წარმოიშვა ბურჟუაზიული კულტურის ატმოსფეროში. მაგრამ ენგელსს უარი არ უთქვამს მასზე, პირიქით, მეცნიერული სოციალიზმი მის მემკვიდრედ გამოაცხადა. ლეგ ტოლსტოი ჩამოყალიბავდა ძველი რუსეთის პირობებში. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ლენინისათვის დაენერა, რომ პროლეტარიატი ღებულობს მის მიერ შექმნილ მემკვიდრეობას, რათა შემდგომ განავითაროს ის“.

ხ. დანელია ეხება ენის ცვლილებისა და ეანვითარების ხაკითხს და ვვადლევს მის მეცნიერულ ახსნას. ის აღიარებს, რომ ენას დიდი გამძლეობის უნარი აქვს, მაგრამ იგი აბსოლუტურად უცვლელი რადია. ენა იცვლება, ოღონდ უეცრად, ერთბაშად კი არა, არამედ ნელა, თანდათანობით, ეკოლუციური მოძრაობის ჯნით. „ანდრეევს არ ესმის, — წერს ხ. დანელია, — რომ რუსული ენა, რომელსაც ხალხის ვერა ვმნიდა ხაუკუნეების განმავლობაში და რომელიც შეეხლიხლორაცა მას, ბაზდა მისი არსება, ბევრს ნელილუფლება რადია, რომელიც შეიძლება რევოლუციური აქტით დაემხოს. მართალია, ენა, როგორც ყველაფერი ბუნებაში, იცვლება და გარკვეული ოდენობით ცლაკეულ ინდივიდთა ზემოქმედებასაც განიცდის, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს სურვალილი ერთბაშად შეეცვლილიყოს ენის მთელი წყობა... მან არ იცის, რომ ენაში შეხაძლებელია ძმლილდ ნელი, უწყვეტი ეკოლუციური მოძრაობა, სადაც ყოველი ახალი ნაბიჯი წინას ემყარება და მისით ხაზრაფლობს“.

ხ. დანელია იყო რუსული ენის ბრწყინვალე მცოდნე და მისი ღირსების თავგამოდებული დამცველი. ოქტობრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ის განსაკუთრებით ხაერიოდ თვლდა ლიტერატურული რუსული ენის დაფუფლებას ახალგაზრდობის მიერ, ხ. დანელია ირავის არ ეპატიებდა ენის ხელკოფას. მან ანდრეევს უწოდა უმკეო ჰეროსტრატე. რომელსაც სურდა რუსული ენისათვის ცეცხლი წაეკიდებინა, მაგრამ ბიჭ.ნს ვერ მიაღწია. „ხაბეჭნიერად ენის ხაგანძური ისე ადვილად არ იწვების, როგორც ეფეესის ტაძარი“, — ამბობს ხ. დანელია.

ქართული მეცნიერების ისტორიისათვის დაუფასებელია ხ. დანელიას ხაენამეცნიერო შეხედულება, განსაკუთრებით მისი ბრძოლა ენის კლასობრივის წინააღმდეგ. გაკვირვებას იწვევს ამ ფაქტის დარჩენა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ეს აიხსნება მხოლოდ მარქსიზმის ხახელით არაბარსტისტული თეორიის ხანგრძლივი და განუფიფელი ბატონობით ენათმეცნიერებაში. ეს რომ არა, ვინ იცის, იქნებ ადრე მოჭმდარიყო ის, რასაც მთელი ოცდაათი წლის ბრძოლა ბრძოლია დისკიერდა. ხახაბოლოა იმის აღნიშვნა, რომ ამ მაინც ქართულმა მეცნიერულმა აზრმა გაარღვია უკუნი, სადაც დიდხანს შეეშმნილვალ ბუუბავდა ხ. დანელიას მიერ ანთებული პატარა სანთელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამსონ ღეჭავა

გოგი თოთიბაძე

გოგი თოთიბაძე მიეკუთვნება 50-60 წწ. ქართველ მხატვართა იმ კლუბადს, რომელმაც ჩვენი საუკუნის ქართულ ხელოვნებაში თავისი ღირსეული ადგილი დიამკვიდრა.

მხატვარი ბავშვობიდანვე ღრმად იყო დაინტერესებული სახვითი ხელოვნებით. სამხატვრო აკადემიაში მას ფერწერას მ. თოიძე, უ. ჯაფარიძე და კ. სანაძე ასწავლიდნენ, ხოლო ხატვას — ს. ქობულაძე. გ. თოთიბაძე ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო სტუდენტად, ჰქონდა ი. რეპინისა და სახელმწიფო სტიპენდია. აკადემიაში სწავლის წლებში იგი სიბოლოოდ დაეუფლა პროფესიულ ოსტატობას და წარმატებით დაასრულა სამხატვრო აკადემიის კურსი, ხოლო შემდგომ — ასპირანტურა უ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

სადიპლომო ნაშრომი „ახალი სამგორის მიწაზე" (1958) ეხებოდა ეპოქის მოთხოვნილებებს, ახალ სოციალურ ცვლილებებს და ავლენდა, რომ გ. თოთიბაძისათვის შრომის თემა, მრავალფეგურიანი რთული კომპოზიცია თავიდანვე ახლობელი იყო.

მშენებლობის გრანდიოზული პანორამის ფონზე გამოსახული ფიგურათა ჯგუფის დინამიკურობას სიღრმიდან მომართული „დიაგონალური" მოძრაობა აძლიერებს. კომპოზიცია რამდენიმე რთულ მოძრაობაში გამოხატული მცირე ჯგუფისაგან შედგება, მაგრამ ემოციურობა ერთიანი „მსვლელობის" ზრდად რიტმს. დინამიკურ ბირთვს წარმოადგენს ფიგურათა ჯგუფი მოხუცი ხეცსურის და ბავშვის გამოსახულებით, მაგრამ ძირითადი აქცენტია ორი ახალგაზრდის ფიგურა, რომელიც თითქო აგვირგვინებს კომპოზიციას. მათ სახეებში სიცოცხლის, სიხარულისა და ოპტიმიზმის გამოხატვით მხატვარი ცდილობს ეპოქის სულის გადმოცემას. უკანა პლანის ფართო სივრცე ხედვის „ქვედა" წერტილიდან წარმორნილი, რაკურსში გამოსახულ ფიგურებს ანიჭებს მასშტაბურობას.

სურათში შეთავსებულია ფერწერის ტრადიციული ენა კომპოზიციის სიმძაფრესა და დინამიკურობასთან, ზოგიერთი კონკრეტული დეტალი — განზოგადოებულ ხედვასთან — რაც ჯერ კიდევ საბოლოოდ არაა „შედუღაბებული" — მაგრამ სადიპლომო ნაშრომის კვალობაზე სურათი ოსტატურია.

სწრაფვა მხვილი კომპოზიციური ალგებისა და დინამიკური დამუხტულობისა „ცეკვაში" (1957 წ.) უფრო სრულყოფილად წარმონნდა. აქ მხატვრის ამოცანაა ადამიანთა ინდივიდუალობის გახსნა მოქმედებაში და მათი ემოციური ერთობის გამოხატვა. მართლაც, ყველა თავისებურად რეაგირებს, მაგრამ ჩართულია საერთო საზეიმო განწყობილებაში. ფიგურული ჯგუფი ორი მოცეკვავის ირგვლივაა შემოჯარული. მამაკაცი თითქმის თავაწყვეტილი ცეკვავს. აფრიალებული ჩოხის შეფარებით მუქი ლაქა ბაზს უსვამს და აფიქსირებს კიდეც მისი მოძრაობის დინამიკას. მას უპირისპირდება ქალის ელასტიკურად უფრო ბაზგახმული და წინა პლანზე მოტანილი ფიგურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკაცრი მოძრაობა. მაგრამ ეს კოლორიტი შეეხებაკვეცვა ხუთრთის განწყობილებას. ნაწარმოებში ჩანს, რომ ავტორი არ გიორგის მრავალფეროვანი კომპოზიციის სივრცეშრივი ორგანიზებისა და განსაკუთრებით — სხვადასხვა სახასიათო ტიპების „გალერეის" შემნის როლი ამოცანას.

გ. თოთიბაძე თავიდანვე დიდ ინტერესს იჩენს, ისეთი რთული ჟანრისადმი, როგორიცაა პორტრეტი. ერთ-ერთ უადრეს სურათში „მანანა ქავთარაძის პორტრეტი" (1956) იგი უკვე დახვეწილ ოსტატობას ამჟღავნებს.

ნაშუშევარში ჩანს იმ დროისათვის დამახასიათებელი, მაგრამ ჯერ კიდევ „ფრთხილი" და თავშეკავებული ტენდენცია ფერადოვნების გამდიდრებისა.

ფიგურა ცოცხალ მოძრაობაშია დაჭერილი, მაგრამ ამასთანავე ეს მოძრაობა „დაფიქრებულია". პლასტიკურ სიმყარეს სკარბის ფორმის სირბილე, მისი არამკაფიო ხაზოვანები, თხელფენოვანი ფერადოვანი ზედაპირის „ვიბრაცია".

ფაქტიურად და საგულდაგულოდაა დამუშავებული კომპოზიციის ძირითადი აქცენტი — ხახე — მცირე, „შელოსილი" მონახმენით, ფერადოვნების დელიკატური შეფარდებებით. ფონის ფერადოვნება უფრო გარკვეულია — იგი შედარებით თავისუფალი და დიდი შედგენილი ლაქებითაა დაწერილი. ტანსაცმლის მკაცრი ლაქა წერის მანერით ენათესავება ფონს. ამ თავშეკავებულ სიბრტყეთა კავშირი საერთო სიბრტყოვნივი ადგილის როლს უსვამს ხაზს — მით უფრო, რომ ხახის პლաստიკურობა არაა ხაზგასმული.

ყურადღებას იპყრობს პერსონაჟის დაკვირვებული მზერა, რომელიც თითქოს ფრთხილ კონტაქტს ამყარებს მაყურებელთან. იგი თავშეკავებულადაა დახასიათებული.

უკვე ამ სურათში ჩანს, რომ გ. თოთიბაძის, როგორც პორტრეტისტის, ფორმირებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ქ. მაღალაშვილთან ურთიერთობამ ჯერ კიდევ ბაგშვობაში.

ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს მხატვრის შემოქმედებაში „ნ. ამირეჯიბის პორტრეტი" (1959) წარმოადგენს. მხატვარმა ამ სურათში გამოაშუალვანა მისი, როგორც პორტრეტისტის, შინაგანი კულტურა. ნამუშევარი ფერწერის ენით და საერთო პრინციპით გარკვეულ კავშირშია „მანანა ქავთარაძის პორტრეტთან", მაგრამ მეტი ხილვრმია და მკაფიო დასრულებულობით გამოირჩევა.

კომპოზიციას ძირითადად მოიცავს ინტერიერის ფრაგმენტში ხამ მეოთხეფში გამოსახული ქალის ფიგურა, რომლის მზერა მიმართულია კომპოზიციის მიღმა — მაგრამ იგი არაა კონცენტრირებული, არამედ დროში გაგრძელებილ სტაბილურ განწყობას გამოხატავს.

პორტრეტში ჩანს, ლტოლვა კონკრეტული ნიშნების დახასიათებისა, სახის დაბეჭდილობისა და ინტელექტუალური გამოვლენისა, რომელშიც ვლინდება ქალური სინაზიდან, ხარბლიე, თავშეკავებული ადამიანისგან და ამავე დროს თითქოს მიჩქმალული შინაგანი ძალა. პერსონაჟის ინდივიდუალობა გამოხატულია სწორედ სახის განუმეორებელი პლასტიკის ღრმა ჭვდმით და არა კონკრეტული ფსიქოლოგიური მომენტის დაჭერით. პროფენება „ტაქტიანადაა" დახასიათებული, მისი სახის ნაკვთები მსუბუქად დადებული მცირე მონახმეფის რიული შეფარდებებითაა „ნაკსოვი" და კომპოზიციის კონცენტრაციის წერტილს წარმოადგენს. პოზის თავისუფლება და ბუნებრიობა ეინყმის ერთგვარ „შეკრულობას", რაც ხელს მოძრაობაშია ფოკუსირებული. სამოსელის ფუქი ლაქა შედარებით მკვეთრი ფაქტურულობითაა ნაწერი, მაგრამ ამ ლაქის მოლითნობა შენარჩუნებულია. მასთან დაპირისპირებაში უფრო ნიუანსირებული სახის თვისობრიობა ჟკვეთება. კომპოზიციაში ორი ფუქი ლაქა (ტანისამოსისა და თმის ლაბში ვარცხნილობისა) უპირისპირდება სახისა და ხელების ნათელ ლაქებს, რაც სტატიკურ კომპოზიციას „რბილ" დინამიკურ რიტმულობას ანიჭებს.

გარეგნო სურათში მეორადი აკომპონიმენტია. იგი უპირატესზოია და ემსახეტება ადამიანის „სახის" გამოხატვას. ფერადოვნებისადმი ინტერესიც ექვემდებარება ამ ძირითად კონკრეტულ ამოცანას.

ამავე წელს მხატვარმა ო. ჭილაძის პორტრეტი შეასრულა. ჯერ კიდევ მაშინ მან დაინახა ამ უადრესდ საინტერესო და ღრმა მზერლის, გამორჩეული ინდივიდუალურობა.

მხატვარმა მიმართა წინა პორტრეტების ჩარმონიულ კოლორიტთან შედარებით უფრო მკვეთრ შეხამებებს, რაც ჩეტ ემოციურ სიმძაფრეს ავლენს და დაკავშირებულია პიროვნების უფრო მკაფიო, „აქცენტირებულ" დახასიათებასთან.

სახე ძოწნდად, მაგრამ საკმაოდ ამომწურავადაა წარმოდგენილი. აქ ჩანს არა იმდენად კონკრეტული სულიერი მდგომარეობა, რამდენადაც საერთო თვისობრიობა მოაზროვნე პიროვნებისა. სახის თავისებური, შეკრული პლასტიკა დაბეგენილია და ამავე დროს ენერგიული, ნებიანი — ოდნავ ძმიმე ნიკაპით, შეკრული ბაგეებით, ძორს დაჰრილი თვალების შინაგანი განცდის სიმძაფრით აღბეჭდილი მზერით.

1962 წ. მხატვარმა შეასრულა კომპოზიცია „სტუდენტების გაზაფხულზე", რომელშიც უფრო თვალსაჩინოდ გამოავლინა ამ დროისათვის დამახასიათებელი ინტერიერი ფერადოვნების სიმძაფრისა და ინტენსივობისადმი. ახალგაზრდობის თემა, რომელიც აღელვებდა მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ სადიპლომო ნაშუშევარში, ამ სურათში უფრო მკაფიოდ ჩანს თავს. სურათში დამახასიათებელი, ჩვეული, „ყოველდღიური“ სტუდენტური სცენა. გამოსახულია ბაღში მჯდომი მეგობრები ჭაღეი.

სურათში იგრძნობა ფერადოვნების აშკარა დეკორაციულობა, რაც ბოლომდე ვერ უთავსდება ფერწერის ტრადიციულ ენასა და რამდენადმე „ნატურულ“ მოტივს — მაგრამ ამ პერიოდში ახალი მხატვრული ენის ათვისებანა და „ქმნადობისა“ ორი ტენდენციის თანაარსებობა ბუნებრივია. ესაა ეტაპი ახალი პრინციპების ძიებისა, რაც კარგად ჩანს, მაგ. „ნ. ამირეჯიბის პორტრეტის“ ჩამოყალიბებულ სტილთან შედარებისას.

ფერადოვნების „ფუეული“ რეგისტრი ამავე დროს კომპოზიციის თავისებურ აგებასაც ერწყმის. კერძოდ — კადრი თითქო „ენინა“ მოტანილი, უკანა პლანი გადაჭრილია, რაც თავისებურ ფრაგმენტულობასა და დინამიზმს ქმნის, ალიფულია ხედვის „ზედა“ წერტილი. ყოფილი სცენის ამგვარი სგანგგები მხატვრული ხერხებით წარმოჩენა ოდნავ „სხვა თვალით“ დაგვანახებს მას.

კიდევ უფრო მკაფიო ინტერესი ფერადოვნების სიმდიდრისა და ინტენსიფიობის წარმოჩენა უფრო შემოფარგლული და დაზუსტებული ამოცანის ხასიათ „8. ყიფიანის პორტრეტში“ (1964). სურათი დაწერილია ფართო, დიდი პასტოზური მონასმებით, თითქმ ხელგაშლილი სიუჟეით ფერადოვნებისა და კიდევ უფრო აშკარა დეკორაციულობით. ფიგურა, წარმოდგენილი განეეებულ ფონზე, თითქმის მალიანად მოიცავს კომპოზიციას. ხელების გაშლა ერთგვარ მასშტაბურობას ქმნის (თითქო ვერ მოთავსდაო კადრში), ხოლო მათი გადაკვეთა — დინამიკას.

მხატვარს ამ სურათში საგნის ფაქტურაზე, მის კონკრეტულ ხასიათზე მეტად აინტერესებს თვით ფერწერული ზედაპირი, რაც ოდნავ „თვითკმარია“ და რამდენადმე აბსილუტს ფორმის სტრუქტურულობას — თუმცა ამოცანა ძირითადად სწორედ ფერადოვანი ზედაპირის სიმდიდრისა და „მოძრაობის“ გადმოცემაა. თუ შევადარებთ სურათს „8. ქავთარაძის პორტრეტს“ და სხვ. რომლებიც შედარებით ფაქიზად და თავშეკავებითაა შესრულებული — ნათელი ხდება, რომ აქ ამოცანა არაა ისეთი ფორი და „მრავალფეროვანი“, იგი უფრო „განთავისუფლებული“, მკვეთრი და „ბრალილობითია“. ფსიქოლოგიური ნეგდოსაც მეორადი ხდება — ძირითადად უფრო ინდივიდუალური ხასიათია გამოხატული. მხატვრულ შეაბეჭდილებასაც არსებითად ფერწერული ზედაპირის სპეციფიკა განსაზღვრავს. მაგრამ ამასთანავე კოლორიტისა და ნერის მაჯერის შერჩევა თვით პერსონაჟის თვისებების გამოყვითას ემსახურება — აქტიური, შინაგანად ჭანსაკი ადამიანებისა.

ეს ძიებანი ფერადოვნებისა, რომლებიც 60-იანი წლების პირველ ნახევარში უფრო ექსპერიმენტული და ჯერ კიდევ „ჩამოუყალიბებელი“ ხასიათა იყო, ნაყოფიერი გამოდგა შემდგომი ეტაპისათვის მხატვრის შემოქმედებაში და ორგანულად ჩაერთო მასში. 60-იანი წლების მეორე ნახევარში მხატვრის ნაწარმოებთა სტრუქტურა რთულდება. ამ მხრივ მთ მეტი კავშირი აქვთ სწორედ ორმოცდაათიანი წლების სურათებთან. მაგრამ 60-იანი წლების მეორე ნახევარში ხშირად ჩანს უფრო მუქი, „დახშული“ ელფერადობა ორმოცდაათიანი წლების ნათელ კოლორიტთან შედარებით. და ამასთან სამეცნიერო წლების პირველი ნახევრის „ექსპერიმენტულ“ სურათთაგან ალებული მეტი სიმკვეთრე და თავისუფლება კომპოზიციები უფრო მომცველ, განზოგადებულ და „არსებრივ“ თვისებებს იძენს. სწორედ ამ პერიოდში დაინტერესდა მხატვარი კახეთის თემით და ორი მნიშვნელოვანი სურათი მიუძღვნა კიდეც მას.

„კახელ მევენახეებში“ (1967) ავტორს სურს განზოგადებული ჭაღეური პორტრეტით გამოავლინოს ამ კოლხის ხასიათი. კომპოზიციას საგანგებო „მიზანსცენის“ ხასე აქვს, რაც ფონის განეეებულობასთან ერთად მეტ სიზუსტეებას აძლევს მხატვარს „ცრენთიო“ ხასიათი მიანიჭოს სურათს იმისდა მიუხედავად, რომ თვით ფიგურებში არ ჩანს პირობითობის ნაზგაბმა.

ფიგურული ჭაღეი ეკრიბება ჭარმაგი, გამორჩეული ტიპის მევენახის ირგვლივ, რომელსაც ოდნავ დაურიდებელი, გამომცდელი მზერა აქვს და მაყურებელი კონტაქტში შეჰყავს მთელ ჭაღეფონთ. ეს უფრო განზოგადებული სახეა კახელი გლეხკაცისა, მოცემული გამოკვეთილ აქცენტებად. სხვებში მეტია კონკრეტულობა — ვლინდება მხატვრის დაინტერესება ინდივიდუალური ხასასათო ტიპაჟის განფენერებლობით, რაც მიმიკის აქცენტრირებითაც ძლიერდება და ზოგ პერსონაჟს მომეტებული გამომეტყველების ელფერსაც ანიჭებს. დამახასიათებელია, რომ მხატვარმა დიდძალი „ეპიპორიული“ კონკრეტული მასალის (ტატუები და სხვ.), განზოგადებით შეკმნა სურათი და სწორედ ამ ბასალის ელემენტები დამთავრებულ სურათშიც ჩანეს თავს. სურათში უფრო „მოწესრიგებულადაა“ გადმოცემული ეროვნული ტიპაჟი, რომლისადმი ინტერესი თვალსაჩინო იყო, მაგ. „ცეკვაშიც“. მხატვარი ამ განზოგადებულ კომპოზიციაშიც პორტრეტისტად რჩება, და კვლავ ეზიდავს ხასიათების მრავალფეროვნებაა.

სამსონ ლეშავა
ბიბი თოთიბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკაცრი, ოდნავ „ჭუფრი“ კოლორიტით. ჩამოუქმედები დამაღი ეფექტიდობის ერთიანობაში მოქცეული მხატვარი კრავს და ადუღებებს ფიგურულ ჭგუფს, ამოლიანებს მას. სახეებიც საკმაოდ მუქია, მაგრამ ნათლად იკითხება უფრო მუქ ფონზე. ისინი „სწრაფი“ ხელით, ხაკმაოდ მკვეთრად და მძაფრადაა შეფრულებული — მათი კონცეპტრირების, ხაზგასმის, გამოკვეთის მიზნით.

დახასიათების სიზუსტისა და „დოკუმენტურობის“ შერწყმა ოდნავ თავისუფალ მანერასთან. ხატების წერისა დამაკერებელია დიდძალ მასალაზე დაფფძნები ბამეკ. სტატიკურ დგომას ფიგურების ხასეების ცვალებადობა და დინამიკა უპირისპირდება.

ეთნოგრაფიულ ელემენტზე მინიშნება აქ მეორადია. ძირითადია სწრაფვა თვით ადამიანთა ხასიათების წედმინთ გამოიხატოს გარკვეული ეროვნული ტიპის თავისებურებანი.

1967 წელსვე შესრულდა მხატვარმა თავები ერთ-ერთი საუკეთესო სურათი „თამადა“.

სურათში გამოხატულია ქართველი გლეხკაცის შთამბეჭდავი, დამაკერებელი ხასე, რომლის მკაფიოდ დახასიათებული პორტრეტულობა ერუყების ღრმა ტიპიზაციას — ამდენად ეს არის „პორტრეტი-ტიპი“.

პერსონაჟის მოქმედება ღირსების გრძნობითაა აღბეჭდილი. ესაა მინაზე დადფძნებული ქართველი გლეხკაცი. განსაკუთრებულობას მას საფდეგრძელოს წარმოთქმის საზეიმო მომენტიც ანიჭებს.

გარემოზე მინიშნება მინიმალურია, მაგრამ არსებითი — ფონს ხალხური ფარდაგი წარმოადგენს, რომელიც ამ უბრალო, პირდაპირ კაცის დახასიათებისათვის ხაუკეთესო ანტურაჟია.

პერსონაჟის ხასე მეტყველია. ფუნჯის თამამ მონასმთა თვალსაჩინოება პლასტიკურად მეტყველი ნაძერწობის შთაბეჭდილებას ქმნის. ხასის მოდელირება თითქმის სკულპტურულია. ვნებიანად, მკრთალ შეკრული ბაგე, ხორცოანი ცხვირი, პატარა თვალების გამოხედვის ძალა მოუნიშნებს მის უდრეკობას. ეს მზით გარეულები რელიეფური ხასე კომპოზიციის „ფოკუსს“ წარმოადგენს. აქვე თავს იჩენს პირობითობაც. ტანსაცმლის ერთიანი სიბრტყე (ვეფხისტყაოსნ მ. ქეთოშვილის პორტრეტი) ხასეს მთელან სიბრტყობრივ აღნაგობას უქვემდებარებს და ზედაპირის, სიბრტყის გამაერთიანებელ როლსაც ამლიერებს.

ეტერობა კაბელ მეფეხაზეთანან შედარებით კიდევ უფრო შეკრულად და მონუმენტალიზებულად გამოსახა ქართველი გლეხკაცის თვისებები.

1970 წ. მხატვარი ასრულებს კომპოზიციას „ჯანეი გურიაში“ რომელშიც ფერადოვნების გამდიდრების ტენდენცია უფრო „სრულდა“ ფოერრდა და კომპოზიციამდე მეტი დამუშავებულობა შეიძინა. ხხვა სურათებთან შედარებით. ფერადოვნების პირობითობაც გაძლიერებულია და ემოციური დაძაბულობის სიმძაფრეცა გამოხატული. წერის მანერაში მეტი „განთავისუფლებულობაც“ ჩანს და ფორმის პლასტიკურობაც გამოელენილია, რაც სურათის რიფ სტრუქტურაზე მიეთითებს. წერის მანერა დინამიკურია, ფაქტურული სიმდიდრისა და ზედაპირის „ეფექტების“ გამოხატვით. პასტოზურობა კომპოზიციაში მეტია — განსაკუთრებით აქცენტირებულ არეებში. ფერწერული ზედაპირი მოძრაკია. რამდენიმე ხახე სურათში მეფეოოდა დახასიათებული — განსაკუთრებით წითელსამოსელანი მეზრძოლი, რომლის შინაგანად დარწმუნებული ვეფეკცური იერი, მყარი დგომა და იარაღის მძლავრი პაორობა ბის შეუპოვრობასა და უდრეკობას ავლენს.

მხატვარმა გამოხატა პიროვნებათა ერთობა, შედფღაბებულობა. უკანა პლანის თოფების „დაგრეული“ ვერტიკალები და ერთიან ბასაში მოქცეული ხასეების მიმეკან ეკსპრესია კიდევ უფრო აძლიერებს საერთო მეიღვარე განწყობილებას, რასაც ხაზს უსვამს კომპოზიციური არის სიმეიდროვე და მკვეთრი წითელი აქცენტი ძირითადი ფიგურისა, რომლის დაძაბული გარინდებულობა საერთო ღინამიკას, ემოციურ მუხტს ამძაფრებს. ისტორიული მომენტი შინაგანადაა განცდილი მხატვრის მიერ.

გ. თოთიბაძე კვლავ განაგრძობს მოღვაწეობას პორტრეტის ჟანრში. 70 წ. მან შექმნა რამდენიმე საინტერესო ხასე, რომელთაგანაც ზოგიერთის შევეხებით.

„ნ. ბაქარაშვილის პორტრეტი“ (1970) ყურადღებას იპყრობს ლირიკული განწყობილებით, რომელიც ესოდენ უპირისპირდება „ჯანეს გურიაში“ და მიუთითებს ინტერესთა სფერთოვნებზე სხვადასხვაგვარი ემოციური განწყობილების გადმოცემისა. სურათში გამოხატულია ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელსაც ფერთოდ გაზელილი თვალები პირდაპირ მოუპყრია. ხახეში ჩანს სირბილეი, ქალღერობა, ოდნავ „მიმნდობი“, მაგრამ თავშეკავებული მზერა, რომელიც თითქოს „ითხოვს“ კონტაქტს. სურათი ღინამიკურად, „სწრაფადაა“ დაწერილი, მაგრამ მისი ოდნავ თავისუფალი მანერა უთავსდება პიროვნების დახასიათების სისრულეს და არა მხოლოდ მომენტურ შთაბეჭდილებას.

დახასიათების სიზუსტითა და წვდომის სილრმით გამოირჩევა „ნ. მუსხელიშვილის პორტრეტი“ (1971). მხატვარმა ოსტატურად გადმოსცა თვითდარწმუნებული პიროვნების შემფახვლური და რამდენადმე უნდობელი გამომეტყველება. დამაკერებელია თითქო წყლებით დამძიმებული ნაკვთები სახისა, ჭუთუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოლების ქვეშიდან მომზირალი თვალები, ოდნავ დაუდევარი „არტისტული“ ეესტი სიგარეტის „პერმბისა“, თავისუფალი ინტელიგენტურობა. ფონზე გამოსახული წიგნები უფრო ფერწერული ლაქებია და მეორადია სახის გახსნის მხრივ, მაგრამ ოდნავ ჩაშუქებულ ფერწერულ ქსოვილში აქტიურ როლს ასრულებს. დიდი მეცნიერის სახე მოელებულია ილეალიზებას და შეულამაზებელი სიმართლითაა წარმოჩენილი.

ფერწერულ ნაწარმოებთა გარდა გ. თოთიბაძე მუშაობს წიგნის გრაფიკაში, მუყლიპლეიკციურ მხატვრობაში, ქმნის პეიზაჟებს, საზღვარგარეთ მოგზაურობის შთაბეჭდილებათა სერიებს და სხვ. იგი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, 1972 წლიდან კი მისი რექტორია.

გ. თოთიბაძის, როგორც მხატვრის სპეციფიკა იმაშია, რომ გამომხატველობას იგი თვით რეალურ გარემოში ეძებს და გადმოსცემს—ე. ი. მის ნამუშევრებს ახასიათებს მეტი, უშუალო დაფუძნება ნატურაზე და უკვე შემდგომ — განზოგადება. ხელოვანის მხატვრული ენა ტრადიციულია, იგი პრინციპულად უარყოფს პროპორციათა დეფორმაციას, სტილიზაციას, რაც არაიშვიათად ჩვენს მხატვრობაში ზედაპირულ ხასიათს ატარებს. მის ქმნილებებში დიდი ადგილი უჭირავს აქტუალურ თემებს ახალგაზრდობისა, შრომისა, ინდუსტრიალიზაციისა, ინტელიგენციის ცხოვრებისა. ამასთან მხატვარი დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნის ისტორიით, ეროვნული თემატიკით. ტრადიციული მიდგომა მასთან გამდიდრებულია განზოგადოების უნარით, არსობრივი, ღრმად დამახასიათებელი თვისებების გახსნით. მხატვრის თავისებურება ვლინდება კოლორიტში, სადაც იგი ზოგჯერ თავისუფალ „იმპერიმენტსაც“ მიმართავდა. მაგრამ ძირითადად კოლორიტულია ამოცანები მის სტილთან შესაბამისად ოპტიმალური იყო. იგივე ეხება წერის ინდივიდუალურ მანერას რეალისტური ფორმის ფარგლებში, რომელიც ახლე არასაგანგებო და თავშეკავებულია, მაგრამ ძირითადია მხატვრის ინტერესთა სფერო, სპეციფიკური სამყარო მისი გმირებისა, რომელნიც უშუალოდ თუ გაშუალებულად ეხმიანებიან დღევანდელი დღის პრობლემებს, თანამედროვე ცხოვრების აქტუალურ პოთხოვნებს.

მხატვართან ვლინდება რეალიზმის პრინციპთა ერთგულება. ამასთან გ. თოთიბაძე დღევანდელი ქართული პორტრეტული ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირინე აბესაძე

კიმი ტაბატაძე

გამარჯვ მარჯვენის ხელის გულზე დატეული საქართველო „...ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო...“ ყოველ კუთხეს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი, თითოეული თითის მოხაზულობით განსაზღვრული და შესაფერის ფერში ამეტყველებული — ზვიადი ცივ-გომბორის მოვერცხლისფერო მწვერვალი, ქართლის ველები, ოქრის თავთუხით დამშვენებული, ფერდობებზე შეფენილი წითელ-ვარამტანი იმერული ოდა-სახლები, ციტრუსებით გარშემორტყმული მეგრული კარ-მიდამო, მარადმწვანე მთებში ჩაფლული გურია ხეზე შემოხვეული იზაბელათი. მარჯვე კომპოზიციური მიგნება ჯერ ფანქრით მოხაზული ხაბიღოო გადაწყვეტას გუაშის ტექნიკაში პოვებს. ამჟამად ხელის გულზე მხატვარს მშობლიური იმერეთი გამოუსახავს. სხვადასხვა ფერის ლაქებად აელვარებული, თითქოს წვიმით ჩამორეცხილი იმერული პეიზაჟები, დავით კაკაბაძისეული ყოლორიტით, დასამახსოვრებელს ხდის ნამუშევარს. სახელოსნოში გამოფენილი, სხვადასხვა მასალაში შესრულებული პორტრეტები თუ დეკორატიული მოტივები ძირითადად ფორმის, მოცულობის სრულფასოვან გამოვლენას ემსახურება. ქალის სხეულის სავსე ფორმების ცვლის იმერელის სახასიათო პორტრეტი. ფერი დამცხრალია, ხაზი ამეტყველებული, ფორმა ამოყვანილი. ეს გასაგებია თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი ავტორი მოჭანდაკეა.

მოჭანდაკე კიმი ტაბატაძე ჯერ კიდევ თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტზე სწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას კომპოზიციის ამებას ანიჭებდა და მალე დაეუფლა კიდევ კომპოზიციური ხელოვნების საიდუმლოებებს. ამიტომაცაა, რომ დღეს მოქანდაკის სახელოსნოს დათვალიერებისას პირველ რიგში თვალს ხვდება დაზგური ქანდაკებების კომპოზიციური მრავალფეროვნება.

კომპოზიციური ამების თვალსაზრისით მოქანდაკე ერთნაირ უფლებებს ანიჭებს, როგორც ჩაკეტილ, თავის თავში დასრულებულ, გარემოსაგან გამიჯნულ, დამოუკიდებელ დაზგურ ნაწარმოებებს, ასევე გარემოსთან აქტიურ ურთიერთკავშირში მყოფ, მაყურებელთან დაკავშირებულ ღია კომპოზიციებს. აღსანიშნავია, რომ რიგ ნაწარმოებებში, კომპოზიციური ამების ეს ორი ასპექტი ერთმანეთს უთავსდება, ერთად მოკმედდებს. ამ ნაწარმოებებში მოქანდაკე უფრადღებას სხეულის დაკეტვებსა, სახის მიმიკასა თუ ჟესტის გამომსახველობაზე ამახვილებს. ხელების ჟესტი, აფრიალებული წამოსასხმი პათეტიკური ჟღერადობით აღსებს კომპოზიციებს „შოთა რუსთაველი“, ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „გალაკტიონ ტაბიძე“, გამქოული მზერა თითქოს „ბურდავს“ გარემომცველ ჰაერს და ამავე დროს თვითჩაკვირვებასა და სულიერ გასხივოსნებას გადმოსცემს, რაც თავის მხრივ ერთგვარ „ესთეტიკურ წონასწორობას“ ამყარებს კომპოზიციის ამების ზემოთ ნახსენებ ორ ასპექტს შორის.

ლენინგრადში, სსრკ სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა სადიპლომო ნამუშევრების გამოფენაზე, კიმი ტაბატაძის ქანდაკებამ „ხელა ოკაზარი“ მოწონება დაიმსახურა. ალეტერი აღსაგობის, შუა საუკუნეების ალორძინებული ხელოვნების ტიპიური წარმომადგენელი, მოქანდაკეს ცალ ხელში საკრთელითა და ფუტკრებად დადებული ქედური ხატით გამო-

უნახავს. ქანდაკების პოსტამენტის არშიაც, მეკა ოთხრის შემოქმედებით შთაგონებულს, მეცნიერული ჩუქურთმის სქემატური მონახაზით შეუმკია. მოკახდაკეს შესძლო შემოქმედებითი განწყობის მოიმენის ფიქსირება, ამის დასტურია ობა მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ატრიბუტება (საჭრეთელი, ქედური ხატი), არამედ ოკრომქანდაკებლის შემოქმედებითი ექსპანსია გახხოვსნებული სახე, მისი ზამპარისავით დაშიმული სხეული, მეტაყველი ხელება.

განსხვავებულ სტილშია შესრულებული ხურთიმოძღვარ არხაკიძის პორტრეტი. ბაზალტის ქვაში ნაკვეთი კომპოზიციის ზედაპირი ნაჭდევებით (ზეკიდან ჩაჭრილი ხაზებით) არის დამუშავებული, რაც გარკვეულ გრაფიკულობას ანიჭებს ამ ქანდაკებას. ხურთიმოძღვრის სხეულის პირობითი დაკენება, დაგრძელებული პროპორციები ემსგავსება შუა საუკუნეების ქტიტორთა ტრადიციული გამოსახვის წესს. ხელოვნებისათვის ზვარაკად შეწირული ოსტატის არქაიზირებული მხატვრული სახე, თითქოს ღმერთს აფიერებსო თავის ქმნილებას, სვეტიცხოვლის ტაძარს, რომლის მაკეტისათვის მზრუნველად დაუფარებია მარცხენა ხელი, მარჯვენაში კი გონით უპყრია, სწორედ ისე სვეტიცხოვლის დიდი ტაძრის პერანგზე რომ არის გამოსახული და რომელიც მხოლოდ ლეგენდად ქცეული შურით გამოწვეული ნისახიკიის დასტური როდია, არამედ შემოქმედი მარჯვენის ფეტიშად ქცეული ქვაში განცხადებაცაა.

თაობათა ცვლა ითახა კომპოზიციებში „ეშმაკვიდრე" და „ბაბუა და შვილიშვილი". სხვადასხვაგვარია მონაწილეობა ხელოვნ მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტად, თუ „ეშმაკვიდრე" წარმოადგენს სხეულთა ფრონტალური დაყენებით, დაგრძელებული პროპორციებით, ერთიანნი რიტმით შეკრულ, ქვაში ნაკვეთ კომპოზიციას, რომლის ზედაპირიც გრაფიკული ნაჭდევებით არის დამუშავებული, — „ბაბუა და შვილიშვილი", გაზვიადებული პროპორციებით, ზედაპირის თავისუფალი, ფართო დამუშავებით წარმოადგენს მოკახდაკის მსგავლი სკულპტურული მასებით აზროვნების უნარს. ორივე ქანდაკებას კი აერთიანებს ქვაში დაბოდებული შინაგანი, ძძლავრი ენერგია ერთი ჭიდლაგის, კერკეტი ეაკალივით მაგარ და ჯიუტ ადამიანთა მოდგმისა, ახლოგელზე ზრუნვითა და ვიუკაცობით სიცოცხლეს რომ ამკვიდრებენ ამ ქვეყანაზე.

რომანტიკული პათოსი გამოარჩევს კიმი ტაბატაძის კომპოზიციებს „ენგურჰესის მშენებლები", „ბერხავები", „კოლმეურნეები", „ზეიმი", „ხის დამცურებელი", „უღელი", „მეფუტკრე" და სხვ. მათში მზრომელი ადამიანის ყოველდღიური ხაკმიანობა, შრომა და დასვენება ალსახა. ამ უმთავრესად მრავალფიგურიან კომპოზიციებს ახასიათებთ თავისუფალი ძერწვა. რეალური, გამომსახველი რიტმიკით, ნოსტალგიელ კომპოზიციის ცალკეული კომპონენტის სიგრცეობრივი კავშირი.

„ენგურჰესის მშენებლები" — იმ ნამუშევრთა რიგს მიეკუთვნება, რომლისთვისაც მოკახდაკეს მრავალი ხამუშაო ესკიზის შესრულება, სხვადასხვა ვარიანტის მოსინჯვა დასჭირდა, რათა დასრულებული მხატვრული სახისათვის მიეღწია.

სამი ვეკაცის თავისუფლად მდგომ დაკუნთულ სხეულებში, მათ სახეებში იხსნება ბუნების გარდაქმნელი მშრომელი ადამიანების მტკიცე ნებისყოფა. გაზვიადებული, არბარუბარიად დაკუნთული კიდურები, ზომებში გადადებული ხელის მტევნების ურთიერთგანლაგება, სხეულთა დაყენების არქიტექტონიკა, იმ შინაგანი რიტმით კრავს კომპოზიციას, რომელიც ყოველი წერტილიდან, ყოველი რაკურსიდან მეტყველ სილუეტს ქმნის.

კომპოზიციებში „მხერხავები", „კოლმეურნეები", „ზეიმი", „მეზრე", „უღელი" და სხვ ვამიანდა მოკახდაკის მიერ ჩანაფიქრის განსხვავებისათვის რთულ გზათა ძიება. თითოეული მათგანის კომპოზიციური ხაერდენა ვერტიკალურ და ჰორიზონტალური მასების დაპირისპირებით შეკმნილი რიტმის მძლავრი აკორდები. ხოლო სხვადასხვა ალსახეკიერ მოცულობათა გარემოცვაში, ალსახეკიერ სხეულთა კავშირში კი ადამიანი უპირველესი და უმნიშვნელოვანესია.

ნამუშევრისათვის „მხერხავები" კიმი ტაბატაძეს 1978 წელს მიენიჭა ხაკართველოს მხატვართა კავშირის პრემია „წლის საუკეთესო ნამუშევარი". სხვადასხვა სიმაღლეზე დაყენებული ორი მხერხავი ხის ბორხს ხერხავს (ზეკიდან — ქვეკით). კომპოზიციის ხაერდენი — ხის კუნძის ჰორიზონტალის და ხერხის ვერტიკალის დაპირისპირება გეგმაში ჯვარს ქმნის. ერთი მეორის თავზე, პირისპირ, „ორი იარუნად" განლაგებულ მხერხავთა სხეულების მსგავს დაყენებას, ერთნაირ „მონოტონურ" ბობრაობას, გარკვეული რიტმული ხაწყინი შეაკავს კომპოზიციაში, რასაც ავსებს კომპოზიციის გაწონასწორების მიზნით, ქვედა მარცხენა კუთხეში მოთავსებული ნაკახჩარეობილი კუნძი, რაც თავს ბრძოვ კომპოზიციის ერთგვარ წერტილდასმადად აღიქმება. სიმსუბუქე, ლაკონურობა, პირობითობა და ბოლოს თვით კომპოზიციური აგება ორიგინალურს ხდის ნამუშევარს. შრომის თემას ეძღვნება აგრეთვე ნამუშევრები — „ხის დამცურებელი", „მევლეი", „მეზრე", „მეფუტკრე", „უღელი", თითოეული მათგანში ბაგრანოვი შრომელი ადამიანის შინაგანი ნებისყოფა, დაკირეტული მოვალეობის, ხაკმის სიყვარული.

ირინე აბესაძე
კიმი ტაბატაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნკულპტურული მასების თანდათანობითი გაზვიადება (მიპერტროფირება), პირობითი გადაწყვეტა გამოარჩევს კომპოზიციას „მეფუტკრე". როგორც დაფუნქციონირებული ბლოკი, ისე იკითხება მეფუტკრის ძმიმე, უხეში სხეული, რომელსაც ხელში ფეჩის ჩარჩო უჭირავს და გულდასმით ათვალიერებს მას. მოკუნტული მეფუტკრის მჭდომარე სხეულის სიმძიმეს დაუპირისპირა ჩარჩოთი შექმნილი სივრცობრივი ნაპრალის სიმსუბუქე, რამაც თავის მხრივ კომპოზიციური წონასწორობა დაიცვა.

მოკუნდაკის მახვილი თვალი კარგად იჭერს და შემდეგ მასალაში ოფიციერებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა სახასიათო მოძრაობებს, მათ პროფესიულ ჩვევებს. კომპოზიციის ავტორისას კი მოკუნდაკისათვის არ არსებობს პირველი და მეორეხარისხოვანი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებს (სახრე, ჯოხი, ჩარჩო) არა მხოლოდ ამა თუ იმ პროფესიისათვის დამახასიათებელი ატრიბუტის როლი ენიჭებათ, არაუნდ მათ კონსტრუქციული მნიშვნელობა აქვთ და კომპოზიციური წონასწორობის დაცვის აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენენ. ნათქვამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს კომპოზიცია „ულელი", რომელშიც ულელს, რომელზედაც მოხუცი ცოლ-ქმარი დამსხდარან ალეგორიული მნიშვნელობა ენიჭება, ამავე დროს იგი კომპოზიციის მთავარი საყრდენია. ზრომისაკენ დაღლილი ცოლ-ქმარი ულელზე ჩამოსხდარან და ისვენებენ. წლების განმავლობაში ეწევთან ერთ უღელში შებმული მოხუცები ცხოვრების ჯაჭვს. სევდანარევი იუმორითთა გამამარი მოხუცთა სახასიათო, მეტყველ სხეულთა პლასტიკა.

მაყორული ჟღერადობა ახასიათებს კომპოზიციას „კოლმეურნეები", რომელიც სამეოთა კაეშრის სამხატვრო აკადემიის დიპლომით არის დაჯილდოებული. ამ ღია, სივრცობრივი კომპოზიციის თითოეული კომპონენტი ერთმანეთთან და მაყურებელთან დაკავშირებული, ემოციურად დამუხტული, ზრომის ჰიმნის სადიდებელი ერთიანი მხატვრული სახის შექმნას ეშსაზურება. მოკუნდაკე ზოგადად, პირობითად წარმოადგენს შემოდგომის ღღესასწაულს, მოსავლის აღებას. როგორც წარმართული დროის „სახილველი"; ისე აღიქმება სადღესასწაულო პროცესია — ხარზე შემჯდარი ახალგაზრდა ქალი ხელში პურის თაიფუნით და ჭეშეიქით თანმხლენი, სალამურზე დამკვრელი ახალგაზრდა და შემოდგომის ხვავითა და ბარაქით დატვირთული ზრომელი. მოკუნდაკეს მიზნად არ დაუსახავს დაკონკრეტის გამოსახულებანი. იგი სიმბოლური მეტყველების საშუალებით ბუნების ნაყოფიერებას წარმოადგენს. ამიტომაა, რომ მსხვილი მასებით ძერწვა, დაფსრულებულია, ერთგვარი ესკიზიურობა, რომელიც მასალაში (ბრინჯაო) გადატანილსავე ზერჩა ნამუშევარს, ამ შემთხვევაში კი არ ამცირებს, არამედ უფრო ზრდის ეფექტურობას. ზემოქმედების ძალას.

სახილველი, სადღესასწაულო პროცესია ჩვენს თვალწინ კიდევ ორი დამატებითი ჯგუფით შეიესო, მოკუნდაკის კიდევ ორი ნამუშევრის „ზეიმი" და „კოპოზიციის" სახით, რომელნიც თავისი თემატიკით, გარკვეულად, ტრიპტიკის ნაწილებადაც შეიძლება მივიჩნიოთ (თუმცა ტტილისტურად სამივე მათგანი განსხვავებული ხელწერით აქვს შესრულებული ბრონზეში), თითქოს „კოლეეურნეებში" ნაპოვნი სალამურზე დამკვრელთა სახე (უფრო დახვეწილი სახით) — „გადასახლდა" კომპოზიციაში „ზეიმი". სალამურზე დამკვრელის და ხელგაშლილი მოცეკვავე ულაზვილის სხეულთა პლასტიკა მუსიკის ჰანგებითაა განსმეგალული, სახეებიც მუსიკითაა შთაგონებული.

დეკორატიულობა კიმი ტაბატაძის თითქმის ყველა ნამუშევარში გარკვეული ხარისხით შეინიშნება (ზოგან მხოლოდ ერთი-ორი დეტალით, ზოგან კი კომპოზიციის თითოეულ დეტალში ვლინდება). თუ კომპოზიციები „კოლმეურნეები" დეკორატიულობა ცალკეულ დეტალებში (თავთავი, მოსავალი, სალამურიი, თმების დამუშავება და სხვა) აისახა, კომპოზიცია „ზეიმი" მთლიანად დეკორატიულ ქანდაკებათა რიტხვს მიეკუთვნება. როგორც გარეშმოცველი აქსესუარები — სახეეგრად მორკალული გამოსახულება, რომლის ერთი მოული უურმანის მტევნითა და მეორე კი ღუზაზე დაკიდებული ბრონზეთით მთავრდება, ასევე პერსონაჟთა პლასტიკური სხეულებიც დეკორატიულობით სუნთქავს. სამბოლერი ნინნენით შემკული დეკორატიული ტანი თავის „ბრონზებში" აქცევს პერსონაჟთა პლასტისკურ სახეებს (მოცეკვავეები და მუსიკოსს). შესრულების სტილით, დეკორატიულობი, მხატვრული დასრულებულობითა და კომპოზიციური შეერულობით კომპოზიცია ჭერალდიას ნიმუშს ეხსგავსება. იგივე შეიძლება ითქვას ზესამე ნამუშევრზე პირობითი სახელწოდებით „კომპოზიცია" (ბრონალია, იგი ჯერ კიდევ დაუსრულებელია, ამიტომაც შესაძლოა მასზე საუბარი ნაადრევიც იყოს), რომელიც მოეკვავე „ქალ-ვაჟს" ასახავს. ისევე როგორც „ზეიმში", აქაც, გარდა, ძირითად პერსონაჟთა სხეულებისა გამოყენებულია ტალღისებური ფორმის დამატებითი დეკორატიული მოტივი, რომელიც თავის საზდვრებში აქცევს მოცეკვავე ქალ-ვაჟის სხეულებს.

მოკუნდაკე, როგორც გრაფიკული, ასევე ქანდაკებაში, დიდ ხანს ეშსაზებოდა კომპოზიტი თემის გადმოსაცემად. კომპოზიციას თავის თავში უნდა ჩაეტანა ორი საწყისი: დინამიკა და სტატიკა. მათ შორის შეიქმნა ავტორის მიერ შემოტანილი ასოციაციათა გარკვეული რკალი, უწონადობის მდგომარეობაში სხეულის გაფრენა და დედამიწის მიზიდულობის ძალით შე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოვნება, შეფერხება. ადამიანი სკაფანდრში, ადამიანი კოსმოსში, უსასრულო სამყაროს წინაშე მდგომი, ასეთია დეკორატიული კომპოზიცია „კოსმონავტის“ ძირითადი არსი. კოსმონავტის სხეული რიტმულად ერწყმის კოსმიური სივრცის გამომსახველ რთული კონფიგურაციის პლასტიკურ ფორმას. კოსმონავტის სხეულსა და „მოძრავ“ კოსმიურ სფეროს (თითქოს ფორმას იცვლის, იმდენად არაკონკრეტული მოხაზულობისაა იგი) შორის იქმნება სივრცეობრივი ხვრელები, რომლებიც ქანდაკებას გარემომცველ სივრცესთან აკავშირებს. აღსანიშნავია, რომ ქანდაკების პოსტამენტის არქიტექტურული გადაწყვეტა ჩვენის აზრით შეუსაბამოა თვით ქანდაკებასთან როგორც სტილისტურად, ასევე მასალის შერჩევის მხრივაც.

მოქანდაკე ბევრს მუშაობს საპარკო ქანდაკებებზე, პლენერზე დასადგმელ დეკორატიულ ფორმებზე. ქ. ობნინსკში დგას ბაზალტში განხორციელებული ქანდაკება „ქალი ბრწყინვალით“, შავიზღვისპირა ქალაქებში ქობულეთსა და ციხისძირში, დასასვენებელი სასლების მახლობლად კი დგას დეკორატიული ფორმები „სიყვარული“, „ზღვის სამყარო“, „ქალი ბრწყინვალითი“, „ნებიერი“ ოვალური ფორმათა რიტმებით შექმნილი მეტყველი ქანდაკებებია. სკულპტურული მასების რიტმთა მონაცვლეობაზე აგებული ჭარბად გამოყენებული ხვრეცობრივი ხვრელები დეკორატიულ ქანდაკებებს ვარემოს უკავშირებს.

მოქანდაკე კიმი ტაბატაძის მხატვრული ალღო, მისი ესთეტიური მრწამსი, კომპოზიციური აგების ფართო დიაპაზონი მრავალფეროვანი თემატური რკალი, მიმართულია ადამიანის, შრომის სადიდებლად. სპილენძსა თუ ბაზალტში, ბრინჯაოში თუ ხეზე კვეთისას, ყველგან ყველა მასალაში მოქანდაკე ცდილობს დახვეწილ დეკორატიულ ფორმათა შექმნას, საინტერესო პლასტიკური ამოცანების გადაწყვეტას, ქანდაკების ენაზე მეტყველებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწერალთა ღიმილნარევი ცხოვრებისეული ეპიზოდები

საპატიო მიზეზი

ერთხელ ცნობილ მეზღაპრეს ვილჰელმ გრიმს ფრანგი სტუმარი ეწვია. უკვე სამი წელი გასულიყო, რაც სტუდენტი ბერლინში ცხოვრობდა, მაგრამ არც ერთი გერმანული სიტყვა არ იცოდა. გრიმს ეს გაუკვირდა და ჰკითხა:

— როგორ მოხდა, რომ ამდენ ხანს ჩვენი ენა ვერ შეისწავლეთ? თქვენი თანამემამულენი ამაზე უფრო მცირე ხნის განმავლობაში ეუფლებიან გერმანულ ენას.

— მეზიზღება და იმიტომ ვერ ვისწავლე, — მიუგო ახალგაზრდამ, — ეგ ხომ ცხენების ენაა!

— გასაგებია, — მიუგო გრიმმა, — ახლა კი მივხვდი, რატომ არის, რომ ვირებს ძლიერ უჭირთ ამ ენის შესწავლა. საპატიო მიზეზი ჭკონიათ!

მეგობრული რჩევა

ერთმა ახალგაზრდამ პოეტ პეფფელს თავისი უნიკო ლექსები მოუტანა. პეფფელმა მორიდებით მიახვედრა, რომ მისი ლექსები მხატვრულად ხუსტი იყო.

— პოეტური ალმაფრენის ცეცხლში ყველა სიტყვას ხომ ვერ ავწონი გულმოდგინედ, — იწუნა ახალგაზრდამ.

— მე აქ პოეტური ცეცხლი ვერ ვიგრძენი, —მიუგო მშვიდად პეფფელმა, — ან მარცლა ცეცხლი უნდა შეიტანოთ თქვენს ლექსებში, ანდა პირიქით, ლექსები — ცეცხლში.

შთამომავლობა

ერთმა არისტოკრატმა ცნობილ ფრანგ მწერალს ალექსანდრე დიუმას ირონიულად ჰკითხა:

— თუ არ ვცდები, თქვენი შთამომავლობა სისხლის სიწმინდით არ გამოირჩევა. მაშა-თქვენი, გენერალი დიუმა მულატი იყო, არა?

— სრული ეშმარიტებაა.

— პაპა თქვენი?

— ზანგი გახლდათ.

—საერთოდ, თქვენი წინაპარი ვინ იყო?

— მიმუნი, — მიუგო დიუმამ და თან დასძინა: — ჩემი შთამომავლობა იმით დაიწყო, რითაც თქვენმა თავისი განვითარება დაასრულა.

კოტეტი და მოძღვარი

ცნობილი ფრანგი პოეტი მალერმე სახიკვდილო სარეცელზე იწვა; მეგობრებმა მოძღვარი მიუყვანეს.

მოძღვარმა მძიმედ დაავადებულ პოეტს ვრცელი ქადაგების კითხვა დაუწყო.

ავადმყოფი მეტისმეტად შეწუხდა და მოთმინებადაკარგულმა მოძღვარს შესძახა:

— თუ სამოთხეშიც ავარე საძაგლად ლაპარაკობენ ფრანგულ ენაზე, მაშინ მე უარს ვამბობ იმ ნეტარებაზე, რასაც საიქიოს მპირდებიან!

შეკრიბა და თარგმნა ზოთა ამირანაშვილმა.

ჩ ვ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-44-78, გაყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „იცხარის“ დამატება — 72-17-01. ხაკორექტორი — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 18. 3. 80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 4. 80 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბანი 15.85. შეკვ. № 810. უე 07337. ტირაჟი 37.350.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი საგალობელი

ჰეი, ბავშვებო!
ნუ დახატავთ ტანკებს და თოფებს,
ნურც მოპიკორე თვითმფრინავს და დაბომბილ სოფელს,
ნურც ნაღმებისგან ჩონჩხადქცეულ მდუმარე ქალაქს,
ნანგრევთა შორის აურაცხელ სიკვდილს რომ მალავს.
ნურც ომობანას ითამაშებთ მიწის ბელტებით,
ღმერთი არ გიწყენთ,
სულ უომრად თუ დაბერდებით!
დახატეთ, დიდი ცხრათვალა მზე როგორ იცინის,
დახატეთ ლამაზ ყვავილებზე ცვართა ციმციმი,
დახატეთ მინდვრად ფრთახატული პეპლების ფრენა
და იმ პეპლებთან თქვენი ლაღი ცეკვა და ლხენა,
დახატეთ თეთრი გვირილების ღიმილი ველად,
თეთრ მზესა ჰგავდეს სხივნათელი გვირილა ყველა.
დახატეთ ზეცა, მოფრთქიალე მტრედებით სავსე
და იმ მტრედებთან თქვენი ფრენაც დახატეთ ცაზე.
დახატეთ ვაზი, ზედ მტევნები ქვევრებისსენა,
დახატეთ ბევრი ბრწყეული, წითლად რომ ელავს.
დახატეთ ბაღი, ბაღში — ბევრი მსხალი და ვაშლი,
იმავე ბაღში უამრავი დახატეთ ბავშვი.
დახატეთ თქვენი ოცნებები ია-ვარდებად
და არასოდეს თქვენს ცაზე არ გაავდარდება.
ყოველ დღეს თქვენთვის კალთით მოაქვს ათასი ფერი,
დახატეთ ბევრი სიცოცხლე და ღიმილი ბევრი..
ოღონდ, ბავშვებო, ნუ დახატავთ ტანკებს და თოფებს,
ნურც მოპიკორე თვითმფრინავს და გადამწვარ სოფელს,
ნურც ბომბებისგან ჩონჩხადქცეულ ნაცრისფერ ქალაქს,
ყველა ნანგრევში ათი ათას სიკვდილს რომ მალავს.
ნურც ომობანას ითამაშებთ მიწის ბელტებით,
ღმერთი არ გიწყენთ,
სულ უომრად თუ დაბერდებით!
მაშინ ოცნების მზე ნამდვილად მთაში და ბარში,
მაშინ ისარებს ქვეყნად მუდამ დიდი და ბავშვი,
ზეცაც და მიწაც ბედნიერი იქნება მაშინ!
ჰეი, ბავშვებო!..

აკაკი გეწაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ*

«ЦИСКАРИ»

**ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ**